

ნანა შავთვალაკე

**ქართულში თავისებურ ზენათა
უმსჯავლის ისტორიის
კლასიფიკაციის კონსტრუქციისა
და სწავლების საკითხები**



თბილისის უნივერსიტეტის განმომცემლობა

თბილისი 1999

81. 2 Γp
809. 463.1
შ 161

ნაშრომში წარმოდგენილია თავისებურ ზმნათა ანალიზი ქართული ენის ყველა ადრინდელ და თანამედროვე გრამატიკაში. გაანალიზებულია თავისებურ ზმნათა ორი ჯგუფი: ძირმონაცვლე და ფუძემონაცვლე ზმნები. ფუძემონაცვლე ზმნებში გაერთიანებულია მედიალური ზმნები, რომელთა წარმოებაც ნაირგვარია. საკითხი მეტად აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს, საშუალო სკოლის მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

რედაქტორი: პროფ. ზ. ჭუმბურიძე
რეცენზენტები: პროფ. ა. ონიანი
დოც. ო. ქაჯაია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999
© ნ. შავთვალაძე

შ $\frac{4601000000}{608(06)-99}$

ISBN 99928-31-18-9

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართულ ენაში გამოირჩევა თავისებურ¹ ზმნათა ორი დიდი ჯგუფი: ძირმონაცვლე და ფუძემონაცვლე ზმნები, „რომლებიც არ ემორჩილებიან საზოგადოდ შემუშავებულ ნორმებს და თავისებურებებს იჩენენ რაიმე მხრით.“ ამით გარკვეული სიძნელეები იყრის თავს სწავლების პროცესშიც. თავისებური ზმნები მეტად საყურადღებოა როგორც ლინგვისტურად, ისე მეთოდოლოგიურადაც, რადგან „ზმნის შესწავლას მის საფუძვლიან ცოდნას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სინტაქსის კატეგორიებში გარკვევისათვის“² ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის ამადლების და სტილზე მუშაობისათვის.

ზმნის ამგვარ ნაირფეროვნებათა გაგება და თავისებურებათა შესწავლა-შეთვისება ძველთაგანვე იქცეოდა ყურადღებას (XVIII-XIX საუკუნეები). იმთავითვე იყო შემჩნეული ეს ნაკლოვანება - დეფექტები, მათ სხვაგვარად ხსნიდნენ და სხვადასხვა ტერმინითაც იხსენიებდნენ.

⌒ თავისებურ ზმნათა პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოთ ძირმონაცვლე ზმნებს რომელთა შესწავლის ისტორია მომდინარეობს ანტონ პირველის გრამატიკიდან. ჩვენ ასეთ ზმნებს ტრადიციულ თავისებურ ზმნებს ვუწოდებთ.

მეორე ჯგუფი თავისებური ზმნებისა ფუძემონაცვლე, მედიალური ზმნებია, რომელთა წარმოება აწმყოსაგან მყოფლის წრეში უადრესად საყურადღებოა. მათ. აკად. აკ. შანიძე მედიო-აქტივს უწოდებს. პროფ. ზ. ჭუმბურიძის შრომაში („მყოფადი ქართველურ ენებში“ 1986) უფრო ფართოდაა გაანალიზებული ასეთი ზმნები და გამოტანილია საყურადღებო დასკვნები.

ჩვენს გამოკვლევაში მედიალური ზმნები ტრადიციული კუთხით არის განხილული, მათი წარმომავლობის შესახებ შექმნილია ახალი თეორია (აქტიურობა-ინაქტიურობის თეორია).³

1. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, 1980, გვ. 496.

2. მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია, 1959, გვ. 175.

3. Климов Г.А., Типология языков активного строя, М. 1977.

4. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, Т. 1-2, Тб., 1984.

შრომში მოცემულია ფუძემონაცვე ზმნათა ლეტალური ანალიზი და ამის საშუალებას იძლევა ჩვენ მიერ შემოტანილი ინდექსის ცნება. ვფიქრობთ, ნებისმიერი მედიალური ზმნის შესწავლა მხოლოდ ამ ინდექსთა ფარგლებში ხდება. ამიტომ, ამგვარი შესწავლა ქმნის სისტემას და მეტად სანდოა. ზმნათა რაოდენობა სამი ათასს აჭარბებს. მასალა მოპოვებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (რეატომეული).

ინდექსი არც ძირია ჩვეულებრივი გაგებით და არც ფუძე, მაგრამ ის ნაწილია ზმნის ფუძისა, რომელშიც შემავალ ელემენტთა ცვალებადობის საშუალებით აწმყოს მწკრივისაგან იწარმოება მყოფადის მწკრივი. დადგენილია საერთო ფუძე აწმყო-მყოფადისათვის, რომელთა შორის განსხვავებას იძლევა ინდექსთა ელემენტები. ინდექსთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, არანაკლები ორმოცდაათისა. ამასთან, გამოყოფილია ძირითადი ინდექსები, რომლებიც საკმაოდაა დამკვიდრებული ენაში, და არაძირითადი ინდექსები, რომელთა რაოდენობა ათზე ნაკლებია. ე.ი. ძირითადია დამკვიდრებული და გავრცელებული ფორმები, არაძირითადი - გამონაკლისები.

ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლის ამჟამად მოქმედი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გათვალისწინებით ზმნათა კონკრეტულ თავისებურებაზე გზადგზა, თანამიმდევრულადაა გამაზვილებული ყურადღება. მაგ.: რთული ზმნა, პირნაკლი, რიცხვნაკლი, პირსა და რიცხვში მონაცვე ზმნები - პირისა და რიცხვის კატეგორიების სწავლებისას, მწკრივში მონაცვე მწკრივის სწავლებისას და ა.შ. აქ საუბარია ძირმონაცვე ზმნებზე. ასევე გათვალისწინებულია მედიალური ზმნების სწავლებასთან ახლებურად დაყენებული საკითხები, რაც ხელს უწყობს ამ რთული პრობლემის გადაჭრას და მრავალრიცხოვან ზმნათა ერთიანი სისტემის დამკვიდრებას.

მეთოდოლოგიურად კვლევას საფუძველად დაედო მშობლიური ენის, კერძოდ, თავისებურ ზმნათა ჯერ ლინგვისტური ასპექტით შესწავლა და შემდეგ სწავლების ისტორიული მოვლენების ანალიზი, ხოლო თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას - თანამედროვე ლინგვისტური, პედაგოგიურ-დიდაქტიკური და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მონაცემები.

თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიიდან

§ 1. თავისებური ზმნები აღრინდელ გრამატიკებში

ქართული ენის საკითხები ძველ გრამატიკებში მეტ-ნაკლები სისრულითაა წარმოდგენილი. ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, როგორ აფასებდნენ თავისებურ ზმნებს გრამატიკოსები, რომელთა შრომებში ელინდება მათი დამოკიდებულება თავისებურ ზმნათა მიმართ.

პირველი ქართული გრამატიკა სრული სახისა ეკუთვნის ანტონ ბაგრატიონს. არსებობს მისი გრამატიკის ორი რედაქცია: 1753 და 1767 წლებისა. ამ გრამატიკის ბეჭდური გამოცემა ორია - 1885 და 1997 წლებისა, პირველ გამოცემას რ. ერისთავის წინასიტყვაობა ახლავს, მაგრამ „ეს გამოცემა ც საკმაოდ ბევრ შეცდომას შეიცავს“.¹

ანტონი ზმნებს კანონიანად და უკანონოდ (არკანონიერად) ყოფს უკანონო ზმნათა რაოდენობა მცირეა და აქ თავისებური ზმნები იგულისხმება, კერძოდ, მისივე ტერმინით კლებითი (დრონაკლი) და პირნაკლი ზმნები. განსაზღვრა თავისებური ზმნებისა კანონიერის საწინააღმდეგოა.

ანტონ პირველი ზმნის მიმოხრას იწყებს არსებითი (დამხმარე) ვარ ზმნის უღლებით და აღნიშნავს „სხუათა და სხუათა დროთა შინა აღივსების უმეშუჭობითთა ზმნათაგან, რომელია „კმყოფობ“.² ამავე ვარ ზმნით იწყება თეორიული მსჯელობა გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე. „არსებითი“ (მეშველი) ვარ ზმნა აწმყო დროსაა. აკლია ნამყო და მყობადო, რომელსაც ივსებს „კმყოფობ“ ზმნის ფორმით. მოჰყავს მაგალითი: „უსრული: ვიყოფოდი, სრული: ვიყავ. ეგ სახედ სხუათაცა დროთა შინა“.³

ანტონმა მიმოხრაში შეიტანა, მისი ზრით, პირნაკლი ზმნებო, ობიექ-

1. ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ. 1970, გვ. 9.

2. ანტონ I, ქართული დრამატიკა, თბ. 1885, გვ. 20.

3. იქვე, § 234, გვ. 155.

ტური წყობისა, რომლებიც „არა მართებითად კანონისა ქუჭშეთა“¹ არიან. მაგ.: შეგკრავ შეგკრავს შეგკრავ შეგკრავს... ამ ზმნებს ის მიიჩნევს პირნაკლად იმის გამო, რომ კომბინაცია მე-მე, მე-ჩვენ, შენ-შენ, შენ-თქვენ ზმნის ფორმას არ იძლევა. ანტონის ეს თვალსაზრისი თითქმის ყველა მომდევნო ეპოქის გრამატიკაშია გატარებული.

ანტონ ბაგრატიონი სავესებით მართებულად მიიჩნევს პირნაკლად თოქს თენდების ღამდების ზმნებს. იგი აქცევს ყურადღებას ძირმონაცველ ზმნას - ვიტყვი. „არიან კვალად რომელნიმე, რომელნიცა შემდგომად არა სრულისა დროჲსა, სხუსა უღლულებისა ზმნითაგან აღივსებიან, მაგალითებრ: აწ-მყო: ვიტყვ, ნამყო - უსრული: ვიტყოდი, ნამყოფსრული-ვკსთქუ. ეგ სხედ სხუათაცა დროთა შინა ნამყოთა, ვკსთქუამ ზმნისა ნაწარმოებთაგან“.²

ანტონი ვარაუდობს რომ უკანონოა „კჳზი“ ზმნა, რადგანაც ფორმებს „ესჯდები“ ზმნით ივსებს. ე.ი. ისეთ ზმნებს მიეკუთვნება, რომელნიც „ერთსა და დროსა შინა ნამყოსა, ანუ მყობადსა და ანუ სქესთა შინა რომელთამე და დროთა მისთა სხუათა ზმნათაგან დამჭირველ არიან აღუსებინს, მაგალითებრ: კჳზი“.³

ანტონი ზმნის მიმოხილვას ასრულებს თავით: „თჳს არ კანონიერთა ზმნათა სხუად გუართა“, რომელიც შედგება თერთმეტი სიმკაცრისაგან (მუხლისაგან) და სადაც ჩამოთვლილია უკანონო ზმნები:

1. არ კანონიერთა, რომლებიც კანონს „წინა-აღუდგების“. სრულყოფილი კანონიერი ზმნებია ის ზმნები, რომელთაც არ აკლიათ არც დრო, არც პირი და არც კილო.

2. არ კანონიერთა მერვე „უღლულებისა“ ზმნები „მიწჳს მიღირჳს“ ამ ზმნებს აკლიათ დრო-სრული უსრულებსი და უუსრულებსი. (წყვეტილი I თურმეობითი, II თურმეობითი).

3. ზმნები, რომელთაც აკლიათ „ბრძანებითისამებრ სქესისა (კილოს) აწმყოსა შინა დროსა დამტკიცებითიცა და მყოობადსა შინა დროსა იკმევს ლექსთა ამათ დამტკიცებითად და უკუთქმითად, მაგალითებრ: გიჯმდე სულირდე სჯემდე“.⁴

1. ანტონ I, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

2. იქვე, გვ. 156.

3. იქვე, გვ. 158.

4. იქვე, გვ. 202.

4. არ კანონიერია მეშველი ზმნები ანუ ანტონის ტერმინით „არსებითი“ (დამხმარე) ზმნები, რადგან „შემდგომად აწმყოფსა დროფსა სხუათა ზმნათა დროთა და სქესთაგან აღივსების“¹

აქვე აღნიშნავს რომ ყოველი ზმნა უკანონოა, რომელსაც აწმყო დროის შემდეგ ენაცვლება სხვა ზმნა ნამყო დროსა და კილოს მიხედვით.

6. არ კანონიერია ზმნა „ზუაღ“, რადგანაც II პირში ან გ ნიშანი უნდა იყოს ან I პირის ნიშნის ე-ს მომდევნო ბგერა.

აქვე მიუთითებს თხრობითი კილოს აწმყო დროის პირველ პირში მდგარ ე-ფ. ინვერსიულ ზმნებზე. გამოყენებული აქვს მხ. რიცხვის ობიექტური პირის ნიშანი მ. მაგ.: მ-პრწამს, მ-წადს, მიყუარს და სხვ. აღნიშნულია, რომ I პირის მხ. რიცხვის ნიშანს მ-ს შეესაბამება II პირის ნიშანი გ. მაგ.: გ-რწამს, გ-წაღს, გიყუარს და სხვ.

7. არ კანონიერია „მოვედ“ ზმნაც. რადგანაც I პირის ბრძანებითად გამოყენება საერთოდ არ შეიძლება.

მე-8 და მე-9 სიმკაცრეების (მუხლების) მიხედვით „არ კანონიერია“ პირნაკლი ზმნები. აქ იგულისხმება პირთა კომბინაციათა შეუთავსებელი ვარიანტები. (იხ. ზემოთ გვ. 4).

10. არ კანონიერია საშუალი გვარის ზმნები „რომელნიმე ხატშემოქმედებითნი და რომელნიმე ხატვნებითნი“.

11. არ კანონიერია „მომოსივს“ ზმნაც, რადგანაც აწმყო დროსაა და დაბოლოება კი ნამყო უსრულესის აქვს.²

ამრიგად, ანტონ პირველს არ დარჩა შეუმჩნეველი თავისებური ზმნების არსებობა. მართებულად გამოიყენა ტერმინები უკანონო (აკლია პირი და დრო), კლებითი (დრონაკლი), პირნაკლი.

უკანონო ზმნებში გამოყო ძირმონაცვლე ზმნები ვამბობ-ვიტყვი, ვსთქვი, ვპზი-ვეჯღებო, ვარ-ვიყავი, პირნაკლი ზმნები - თოვს თუნდების, ღამღების და ა.შ. დრონაკლი ზმნები - მიწმს, მიღირს. აღნიშნა მეშველ ზმნათა თავისებურება და ვალ თავისებური ზმნა.

1. ანტონ I, დასახ. ნაშრ, გვ. 202.

2. ელ. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

თავისებურად მიიჩნია საშუალი გეარის ზმნები, რომლებიც წარმოების მიხედვით მრავალგეარია. „საშუალი გეარის ფორმებში გარკვევა კი გაუჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს-და სწორად დაყო საშუალი გეარის ზმნები მაცდუნებელ „ხატშემოქმედებით“ და „ხატეწებით“ (ერთი შეხედვით, იგივე მედიოაქტიურ და მედიოპასიურ) სახეებად“.¹

კანონისაგან გადახვეულად მიჩნეული აქვს ე.წ. ინვერსიული ზმნები. „ანტონმა ფაქტიურად პირველმა აღიარა საკუთრივ ინვერსიული ზმნების არსებობა ქართულში“.² მისთვის გაურკვეველია სტატიკური ზმნის დაბოლოება - იეს. მაგ.: მმოსიეს, გიპყრიეს. რატომ ემთხვევა გარდამავალი ზმნის თურმეობითის დაბოლოებას.³ მიუხედავად იმისა, რომ ანტონ პირველს ყოველთვის არა აქვს ამ თავისებურებათა სწორი კლასიფიკაცია, მისი დამსახურება დიდია, რადგან კანონისაგან გადახრილი ზმნები აქვს შემჩნეული და გაანალიზებული. ამით დასაბამი მიეცა თავისებურ ზმნათა შესწავლას.

გაიოზ რექტორი ანტონ კათალიკოსის ეპოქის მოღვაწეა და ანტონის გრამატიკის ხელნაწერებში რამდენიმეჯერ იხსენიება როგორც გადამწერი. კერძოდ, ანტონის გრამატიკის Q 881 ხელნაწერს აქვს მინაწერი: „მე, ცოდვილმან გაიოზ, დავწერე ეს ღრამმატიკა...“⁴ სავარაუდოა, ხსენებული გაიოზი ამ გრამატიკის გადამწერი გრამატიკოსი გაიოზი იყო. გაიოზის სახელი სხვა ხელნაწერშიც არის მოხსენიებული. კერძოდ, ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი 198 ანტონის გრამატიკის II რედაქციაა. ამ ხელნაწერის 255-ე გვერდზე ვკითხულობთ: „სრულ იქმნა 17 - $\frac{9}{12}$ - 82. იყავნ სადიდებლად შენდა, სიტყვაო ღმისაო და უბიწოდ მშობელისა შენისა. უღირსი დიაკონი გაიოს ვმადლობ უა“.⁵

გაიოზის სახელს უკავშირდება ანტონის გრამატიკის ოთხი ხელნაწერი. აქედან ქუთაისში დაცულია მეორე რედაქციის სამი ხელნაწერი. (№221, №578, №198), ხოლო თბილისში ხელნაწერთა ინსტიტუტის Q 881 ხელნაწერი I რედაქციისა.

1. ელ. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

2. იქვე, გვ. 245.

3. იქვე, გვ. 179.

4. ო. ურიდია, ქართული ხელნაწერი გრამატიკები (ხელნაწერის უფლებით), თბ., 1980, გვ. 3.

5. იქვე, გვ. 3

გაიოზი კარგად იცნობდა ანტონის გრამატიკის ორივე რედაქციას და ბუნებრივია, გამოიყენებდა მათ თავისი გრამატიკის შედგენისას. მისი გრამატიკა დაიშერა კრემენჩუკს.

გაიოზ რექტორი თავის „ქართულ ღრამმატიკაში“ ზმნას ჰყოფს 1789 წელს პირიოვანად და პირნაკლად, კანონიერად და უკანონოდ.

პირნაკლად მიიჩნევს იმ ზმნებს, „რომელთაც აკლნ პირნი ანუ პირუშლი, ანუ მეორე და მამინ უკუშ მექონ არს ძალისა ანუ ბრძანებითისა, ანუ ვნებითისა სქესისა“.1 მაგ.: მწერ, მწერს გწერ, გწერს ჯერ არს.

უკანონოა ის ზმნები, რომლებიც „ვერ განელიან ჰსქესთა (კილო) შინა და დროთა სრულებით“.2 ასეთია: 1) ნაკლულეკანი ზმნები, უღლების დროს სხვა ზმნისაგან შეეცებული. მაგ.: 1) არსებითი (მეშველი) ზმნა ვარ, 2) ვიყო, 3) ვაძლეუ 4) ვეტყვი 5) ვიტყვ, 6) ვქსთქვ, 7) ვამბობ, 8) ვკსუამ, 9) ველი 10) ვალ. ეს ზმნები გაიოზს სათანადო განმარტებით აქვს შეტანილი თავის გრამატიკაში.

2) ნაკლობითი ზმნები, რომელთაც აკლიათ რომელიმე დრო და „არ აღივსებიან სხუათაგან“. მაგ.: 1) ვიცო 2) ვესაუ 3) ვჟღობ; 4) ვპზო 5) ვკსლგა 6) დამყავს.

3) „უხუშვითნი, რომელნიცა ერთნი და იგივენი ზმნანი სხუსა და სხუსა უღლულებისა ქუშშე დაიწერებიან და აქუსთ ერთნი და იგივე ნამყონი და მყოობადნი დრონი ვნებითისანი“.3 მაგ.: ვერცხუნები, მაქსომს მძინაეს მესმის მღჯავეს და სხუანი.

4) პირნაკლი ზმნები. აქ იგულისხმება S და O-ის ერთი და იმავე პირების (I და I, II და II) შეუთავსებლობა.

მომდევნო პარაგრაფში მოცემულია უღლება მეშველი ზმნისა ვარ, იუკანონო უშუშუშობითსა“ ზმნისა ვალ, პირნაკლი ზმნისა - მწერ, რომელსაც აკლია პირველი პირი.

აღსანიშნავია, რომ გაიოზ რექტორმა ყურადღება მიაქცია ისეთ თავისებურ ზმნას, როგორიცაა უწყი. ეს ზმნა მეხუთე უღლვილებაში ვნებით ზმნებთან ერთად შეაქვს და გამოყოფს ცალკე პარაგრაფით. „ზმნანი ამის უღლულებისანი, რომელნიცა სხუაობენ სრულსა და მყოობასა შინა: ვუწყი

1. გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა 1789. გვ. 67.

2. იქვე, გვ. 103.

3. იქვე, გვ. 103.

ეუწყოდი, ეუწყოდე“¹

გაიოზ რექტორი თავისებურ ზმნათა დახასიათებას ახდენს ძირითადად ანტონ პირველის მიბაძვით, მაგრამ იგი უფრო დაწვრილებით მსჯელობს მათ შესახებ. განსხვავებით ანტონისაგან, ის ყოფს უკანონო ზმნებს ნაკლულეყან, ნაკლებით და უხუჭბითაღ. პირნაკლს კი გამოყოფს მსგავსად ანტონისა. თავისებური ზმნების რაოდენობა გაიოზის გრამატიკაში უფრო მრავალრიცხოვანია. მაგალითად: მას გამოყოფილი აქვს ეუწყო ზმნაც.

ანტონი ასახელებს თავისებურ ზმნებს და განმარტავს, თუ რატომ არიან ისინი უკანონო; გაიოზი კი ახდენს უკანონო ზმნათა კლასიფიკაციას და ამატებს საკუთარ მაგალითებსაც.

დავით ბატონიშვილი თავის გრამატიკაში ზმნებს ყოფს კანონიერად და არაკანონიერად. „არაკანონიერი“ ზმნები არიან იგინი, რომელნიცა წინააღმდეგომ კანონთა ამათ იქცევიან“² განმარტების ფრაზა ანტონისეულია.

დასმულ კითხვას, თუ რომელია პირნაკლი ზმნები, უპასუხებს: „ეკუწთა, ვემე ზატთა არიან მეკონ, ზ იმეცნებიან ესფერ. პლი არს შევკრავ, შეგკრავს; მეორე-შემკრავ, შემკრავს; მესამე შემეკრავი, შეეკრავი; მეოთხე-შეგეკრავი, შევეკრავი; მესუთე შემეკრავი, შემეკრავის; მეექუწესე-თოვს“³ მაგალითები და მსჯელობა თითქმის უცვლელად აქვს ნახესხები ანტონისაგან.

დავით ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ზმნები არიან პირნაკლი, რომელთაც აკლიათ პირველი პირი. გამკობ, გამკობს.

არაკანონიერია ზმნა, „რომელიც არს პირნაკლი, რლსა აკლს პირი პლი“, მაგ.: მიფსნე, მიფსნის.

იგი არაკანონიერ ზმნებში აერთიანებს ისეთ ზმნებს, „რლსა აკლს პირი პლი და მეორე“, მაგალითად მოჰყავს ზმნა - თოვს. საბოლოოდ აღნიშნავს, რომ „ესფერვე გაიგონენ სხუანიცა“.

ე.ი. დავით ბატონიშვილი მისდევს წინამორბედ გრამატიკოსთა კვალს. ტერმინი არაკანონიერი ანტონისაგან აქვს ნახესხები. ასევე, ანტონის მსგავსად, პირნაკლად მიიჩნევს ობიექტური წყობის ზმნებს, რომლებშიაც პირთა კომბინაციები S I და O I, S II და O II ზმნის ფორმას არ იძლევა.

1. გაიოზ რექტორი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ძირითადი ხელნაწერი A 795, 15 v.

3. იქვე, 35 v.

არსებობს იოანე ქართველიშვილის ხელნაწერი გრამატიკა შედგენილი 1809 წელს. ზმნა იყოფა ორად: კანონიერად და უკანონოდ. უკანონო ზმნები იოანეს გრამატიკაში სამგვარია: 1) ნაკლობითი, 2) ნაკლულევანი, 3) პირნაკლნი.

1) ნაკლობით ზმნებს არ გააჩნია რომელიმე დრო, მაგრამ ამ დროის ფორმებს სხვა ზმნებით ივსებს.

2) ნაკლულევან ზმნებს აკლია რომელიმე დრო და ვერც ივსებს სხვა ზმნებით ამ დროის ფორმებს.

გ) პირნაკლია ზმნა, რომელსაც აკლია I პირი (მწერ) II პირი (გწერ) ან პირველი და მეორე პირი ერთად (ჯერ არს).

უკანონოა აგრეთვე ზმნა, რომელსაც არ აკლია არც დრო და არც პირი, მაგრამ უღვლილებისას რაიმე თავისებურებას იჩენენ.

იოანე ქართველიშვილი ცალკე თავში იხილავს ე.წ. უკანონო ზმნებს ისინი გარკვეულ ჯგუფებად აქვს დაყოფილი მხოლოდ სხეადასხვა სისტემით.

კლასიფიკაცია ეხება მხოლოდ დრონაკლ და პირნაკლ ზმნებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ არის მიღებული სხვა თავისებურებების მქონე ზმნები. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ამა თუ იმ თავისებურების მქონე ზმნათა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა შეუძლებელია.

იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში მოცემულია კლასიფიკაცია უკანონო ზმნებისა, თუმცა არასრული, მაგრამ მაინც საყურადღებო.

ქართველიშვილმა უკანონო ზმნათა ჯგუფები უზუებითი ჯგუფის გამოკლებით შეიტანა თავის გრამატიკაში გაიოზის მსგავსად. განსხვავებაა ის, რომ სხვანაირად ესმის ტერმინი ნაკლულევანი იოანეს. ეს შინაარსით ემთხვევა გაიოზის ნაკლობითს. იოანეს ნაკლობითი კი - გაიოზის ნაკლულევანს.

იოანე ბატონიშვილი თავის თხზულებაში და „კალმასობა“ (1813-1828) გამოყოფს ერთ დიდ ნაწილს „ღრამმატიკისათვის“ (გვ. 124-257) აქ მესამე სიტყვის ნაწილად მიჩნეულია ზმნა, რომელიც არის პიროვანი და პირნაკლი. „პირნაკლნი ზმნანი არიან იგინი, რომელთაც აკლნ პირნი, ანუ პირველი და ანუ მეორე და ანუ ორნივე, ესე იგი, პირველი და მეორე, მაგ.: მეტყვი, მეტყვს, გეტყვი, გეტყვს, ჯერ

არს, კჰუშინის“.¹ იოანე ზმნებს ყოფს კანონიერად და უკანონოდ.

„უკანონონი არიან იგინი, რომელნიცა ნაკლ არიან დროებითა და მსცვალეზენ მიმოზრათა თჯსთა“.² ის ზმნებიც უკანონოა, რომლებიც „ვერა განვლიან კანონიერად სქესთა (კილო) შინა და დროთა სრულებით“.³ (ფრაზა აღებულია გაიოზის გრამატიკიდან - ნ.შ.)

1) გამოყოფს ნაკლებითნი ზმნებს, რომელთაც აკლიათ რომელიმე დრო და ვერც ივსებენ სხვა ზმნების საშუალებით. მაგ.: ვიცი.

2) უხვევითად ვარაუდობს იმ ზმნებს, „რომელთაც ერთი და იგივენი ზმნანი სხვისა და სხჯსა უღვლილებისა ქვეშე დაიწერებიან და აქუსთ ერთნი და იგივე ნამყონი და მყოობადნი და აგრეთვე დრონი ენებითისანი“.⁴ მაგ.: მრცხუშინის, ვირცხვნი, მანჯომს, მძინავს, მესმის, მღვიძავს და სხვ.

3) პირნაკლ ზმნებად იწოდებიან ისინი, „რომელთაც აკლნ პირნი ანუ პირველნი, და ანუ მეორე, და ანუ ორნივე“.⁵

მაგ.: მწერ, მწერს - აკლია I პირი.

დაგწერ, დაგწერს - აკლია II პირი.

იოანე ბატონიშვილი უკანონოდ ვარაუდობს შემდეგ ზმნებს: არსებითი ზმნა ვარ, ვალ. პირნაკლად კი ასახელებს - ჯერ არს, სახმარ არს, სათანადო არს, კჰუშინის ჩემდა, შეჰკავს ჩემდა. გამკვე - აკლია I პირი, მიხსნი - აკლია II პირი. პირნაკლია აგრეთვე ზმნა თოვს, რომელსაც აკლია I და II პირი „და ესფერვე გაიგონე სხვანიცა“.⁶ დაეით ბატონიშვილის მსგავსად ამთავრებს იოანეც პირნაკლ ზმნებზე მსჯელობას.

იოანე ბატონიშვილის გრამატიკას ძალიან ბევრი აქვს საერთო გაიოზ რექტორის გრამატიკასთან. განსხვავებაა მხოლოდ ის, რომ გაიოზის ნაკლულეუვანი და ნაკლობითიდან იოანე ბატონიშვილმა მხოლოდ ნაკლებითი გამოიყენა.

1. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, კალმასობა, წიგნი I, 1990, თბ, გვ. 145.

2. იქვე, გვ. 145.

3. იქვე, გვ. 183.

4. იქვე, გვ. 84.

5. იქვე, გვ. 84.

6. იქვე, გვ. 189.

სოლომონ დოდაშვილმა 1830 წელს გამოსცა „ქართული დრამატიკა“, სადაც ზმნას ყოფს კანონიერად და უკანონოდ. „უკანონონი ზმნანი არიან ივინი, რომელნიცა არ შეუდგებიან საზოგადოთა კანონთა და დააკლდებიან რომელიმე დრო, ანუ პირი და ანუ მიმოიხერიან ურეველთა სახითა“.¹

უკანონოა მისთვის მესველი ზმნა ვარ; ინეერსიული ზმნები: მიყვარს, გიყვარს, უყვარს, რომელნიც მერე უღლილებას მიეკუთვნებიან. ავტორი ამავე უღლილებისად ვარაუდობს ზმნას ვალ, რადგან „აკლსთ დრონი ნამყო სრული, უსრულესი, უუსრულესი და მყოობადი“.²

სოლომონ დოდაშვილი შემდეგ იძლევა უკანონო ზმნების დაყოფას:

1) ნაკლობითნი - ამაში გაერთიანებულია ისეთი უკანონო ზმნები, რომელთაც აკლიათ რომელიმე დრო და „ალივსებიან სხუათა ზმნათაგან“. მაგ.: ვარ - ალივსების - ზმნისაგან ვიყოფი, ვეტყვი - ალივსების - ზმნისაგან ვქსთქუამ.

2) ნაკლულეუანი ზმნები, რომელთაც აკლიათ დრო და „არ ალივსებიან სხუათა ზმნათაგან“. მაგ.: ვჟღობ, ეუწყი, ვესავ და სხვ.

3) პირნაკლი ზმნები, რომელთაც ს. დოდაშვილი ყოფს სამად:

ა) ზმნები, რომელთაც აკლიათ პირველი პირი - მაგ.: მაქებს, მწერ, მწერს და სხვ.

ბ) ზმნები, რომელთაც აკლიათ მეორე პირი - მაგ.: მაქებ, გაქებს, მწერ, მწერს და სხვ.

გ) ზმნები, რომელთაც აკლიათ ორივე პირი „პირჴელ და მეორე მხოლოდ მესამესა ოდენ პირისანი იქმნებიან სამთავე პირთადმი. მაგალ. ჯერ არს ჩემდა, ჯერ არს შენდა, ჯერ არს მინდა, შჴშნის, ჰხამს და სხჴანი“.³

უკანონოა ზმნა ვიცი, ეუწყი. აგრეთვე ჩამოთვლილია მხოლოდ მესამე პირის მქონე პირნაკლი ზმნები: ჯერ არს, სათანადო არს, შჴშნის, შეგავს, ჴაჴმს და სხვ.

სოლომონ დოდაშვილი ზუსტად ისევე გამოყოფს უკანონო ზმნებს, როგორც იონანე ქართველიშვილი. გაიოზის გრამატიკასთან შედარებისას

1. ს. დოდაშვილი, ქართული დრამატიკა, ტფ., 1830, გვ. 24.

2. იქვე, გვ. 43.

3. იქვე, გვ. 54.

ამკარაა, რომ ის უგულებელყოფს მხოლოდ უხუცებით ზმნებს. სოლომონ დოდაშვილი გაიოზ რექტორის ნაშრომიდან იყენებს ტერმინებსაც. სხვაობა ის არის რომ გაიოზის ნაკლობითი აზრით უტოლდება სოლომონის ნაკლულეკანს, ხოლო გაიოზის ნაკლულეკანი - სოლომონის ნაკლობითს.

ნიკო ჩუბინაშვილი თავის ქართულ ლექსიკონს ურთავს წინასიტყვაობას მსჯელობს საერთოდ, ზმნის შესახებ.

ლექსიკოგრაფი გამოყოფს პირნაკლ ზმნებს. ასეთად თელის ობიექტური წყობის იმ ზმნებს რომელნიც ეერ იძლევიან ზმნის ფორმას პირთა კომბინაციის დროს. (1 + 1); (2 + 2) იგი წერს: „რაჟამს მოქმედება არს ორთა შორის პირთა ურთიერთისადმი მოუბართა, ამისგან შეიქმნებიან პირნაკლნი ზმნანი და მამინ უკეთუ მოქმედება მიეჩემების პირველსა პირსა მეორისა და მესამისაგან, მას აკლს მესამე პირი. მაგალ., მიშენებ, მიშენებს, СТРОИТЬ ИТ ДЛЯ МЕНЯ; მიწერ, მიწერს, ПИШЕШЬ-ШЕТ ДЛЯ МЕНЯ; და უკეთუ მოქმედება მიეჩემების მეორე პირსა 1 და 3-საგან, მამინ აკლს მეორე პირი. მაგალ., გიშენებ, გიშენებს, СТРОЮ-ИТ ДЛЯ ТЕБЯ; გიწერ, გიწერს, ПИШУ-ШЕТ ДЛЯ ТЕБЯ“!

6. ჩუბინაშვილი ენებითი გვარის ზოგ ზმნას მიიჩნევს პირნაკლად.

გიშენდები, გიშენდების - აკლია მეორე პირი

მიშენდები, მიშენდების - აკლია პირველი პირი.

6. ჩუბინაშვილს ყურადღება მიუქცევია რომ საბას ზოგი ზმნა დაუწერია პირიანად, უმრავლესობა კი სახელზმნად. ლექსიკოგრაფი აღნიშნავს რომ არიან „ზმნანი უკანონონი, ანუ უპირონი, რომელთაცა არა ჰქონან სახელზმნით. მაგალ: ახს ვლამი ანუ ლამის, მაბაღია, მიეის, მესუა, მგამა, ჯერ არს, კხამს და სხ.“²

პლატონ იოსელიანი ზმნებს ყოფს პიროვნად და უპიროდ. „უპირონი ანუ პირნაკლნი ზმნანი არიან იგინი, რომელთაცა აკლსთ პირნი: ანუ პირუშლო, ანუ მეორე, ანუ ორნივე პირუშლნი. მაგ.: მეტყუ, მეტყუც, გეტყუ, გეტყუც, ჯერ არს და სხ.“³

3. იოსელიანი აღნიშნავს რომ ზმნები არიან უკანონო, „რომელნიცა

1. 6. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 116.

2. იქვე, გვ. 118.

3. პლ. იოსელიანი, ქართულისა დრამმატიკა, თბ., 1840, გვ. 42.

არა შეუდგების საზოგადოთა უღელქლებისა კანონთა“¹ მოცემულ გრამატიკაში უკანონო ზმნები სამგვარია:

1. „სხუა და სხუად მიმოზრილნი ანუ ნაკლულევანი, რომელნიცა აღიესებიან სხუათა ზმნათაგან“. მაგ.: ვარ, ვაძლევ ველი, ვალ.

2. ნაკლობითნი, რომელთაცა აკლსთ რომელიმე დრო და არ შეიესებიან სხვა ზმნებისაგან. მაგ.: ვიცო, ვესავ ვჟღობ.

3. პირნაკლნი, რომელთაცა აკლსთ ან I პირი (მწერ, მწერს) ან მეორე (გწერ, გწერს) ან I და II პირი. მაგ.: ჯერ არს კმუწნის.

უკანონოა მეშველი ზმნა - ვარ, პირნაკლია - მიქონიებ, გიქონიებ, მირწმუნებ, გირწმუნებ... პირნაკლია აგრეთვე ჯერ არს კმუწნის, სახმარ არს სათანადო არს, თოვს წვიმს მივის მივოდა მგამა და სხვ.

პლატონ იოსელიანს შემოაქვს ახალი ტერმინი უპირო, რომელსაც აიგივებს პირნაკლთან. როგორც ჩანს უკანონო ზმნათა ანალიზისას ის ეყრდნობა ი. ქართველიშვილის გრამატიკას. ტერმინებიც იქიდანაა აღებული. თუმცა ამ ტერმინებში საკუთარ თვალსაზრისს გამოხატავს.

პლატონ იოსელიანი უხუბებითი ზმნების გამოკლებით ზუსტად იყენებს გაიოზის მიერ უკანონო ზმნათა დაყოფას.

1877 წელს მონთობანში დაიბეჭდა სასოფლო სკოლებისათვის „მოკლე ქართული გრამატიკა“.

ყურადღება ექცევა არსებით ზმნას რომელსაც უწოდებენ შემწე და უკანონო ზმნებს. ასეთებია: ვარ, ვიქნები.

ზმნები იყოფა კანონიერად და უკანონოდ. „უკანონოდ შეირაცხებიან ის ზმნანი, რომელნიც არ შეუდგებიან იმ საზოგადო უღელქლების კანონებსა არამედ ზოგიერთ დროებშიდ მიიღებენ სხვა ნაირს ცვლილებასა და ანუ აკლიათ რომელნიმე პირნი ანუ დრონი რომელთაც მიიღებენ სხვა ზმნათაგან“².

მონაზვნები პირნაკლად თვლიან ობიექტური წყობის ზმნებს (მწერ, მწერს).

დასახელებულია ინვერსიული ზმნები: მაქუს მრწამს მნებავს რომელთაც პირნაკლად მიიჩნევენ.

1. პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

2. მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის მონთობანს, 1877, მონაზონთა ერთობისგან.

„მესამე ნაირი და ნამდვლი პირ-ნაკლი გინა უპირო ზმნები არიან იგინი, რომელთაც მომატებული ღროები აკლიათ და იხმარებიან მარტო მათი მხოლობითის III პირები“.¹ ასეთებია: წვიმს, თოვს, ჯერ არს, სახმარ არს, სათანალო არს, ქუხს, თენდება, ღამდება, მივს, მივოდა და სხვ.

„უფრო ნამდვლად უკანონო ზმნანი არიან ქართულში“² რომელნიც იცელიან ძირს: ვაძლევ, მოვალ, ვამბობ, ვიტყვ, ესეამ, დავლევ და სხვ. ღრო აკლიათ შემდეგ ზმნებს: ვიცი, ვესავ, ვჟვლობ და სხვ.

მონთობანს დაბეჭდილ გრამატიკაში მონაზენები არაფერს წერენ ახალს, იმეორებენ წინა გრამატიკოსთა აზრს. საინტერესოდ არის შეფასებული პირნაკლი და ძირმონაცვლე ზმნები: „ნამდვლი პირნაკლი“; „უფრო ნამდვლად უკანონო“ ზმნები. ამით განარჩევენ ინვერსიული და ობიექტური წყობის ზმნათაგან, პირნაკლ ზმნებს.

1881 წელს ალ. ცაგარელმა გამოსცა „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“ ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელს.

ზურაბ შანშოვანის გრამატიკა არსებობდა ერთადერთ ხელნაწერში და ის არ იყო ხელმისაწვდომი ქართველი გრამატიკოსებისათვის. ამდენად, ბუნებრივია, ეს გრამატიკა ვერ მოახდენდა გავლენას ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარებაზე.

ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში: „ზმნათაგანი რომელნიმე [არიან]; სა-არსო მყოფნი; ხოლო რომელნიმე; საგარმყოფნი“.³

საარსო ზმნებია: ვარ, ეღვაეარ, ვიმყოფი, ვიქმნები.

სომეხი ბერების ზეგავლენით მოხდა ტერმინ საარსოს გამოყოფა. საერთოდ, ეს გრამატიკა მათი შეწევნითაა შექმნილი. ამიტომაც იგი ქართული ენის ბუნებისათვის უჩვეულოა.

როგორც ვნახეთ, ანტონ პირველი იყენებს ვარ - მეშველი ზმნისთვის ტერმინს - არსებითი. საერთო დიდია ტერმინებს საარსო - არსებითს შორის.

ზურაბ შანშოვანი წერს, რომ: „რიცხვი, პირი და ჟამი არა აქუს ზმართული სახელი: ქმნვა ამა სქესსა შინა არიან ესენი: ვთქვა ვთქვი

1. მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის მონთობანს 1877, მონაზონთა ერთობისაგან, გვ. 86, § 67.

2. იქვე, გვ. 86, § 68.

3. ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, პეტერბურგი, გვ. 20.

უქვი ესვა სვი სვა“.¹

ზურაბ შანშოვანმა ძირმონაცვლე ზმნები მიიჩნია ისეთ ზმნებად, რომელთაც აკლიათ რიცხვი და დრო. ე.ი. შეიცავენ თავისებურ ზმნათა გაგებას.

1882 წელს დაიბეჭდა დიმიტრი ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა“. დ. ყიფიანი არსებით ზმნას უწოდებს დახმარებითს. და ასეთად მიიჩნევს: ვარ, ვიმყოფები.

„განცალკევებულად“ ვარაუდობს ინვერსიულ ზმნებს: მაქვს მყავს რომელთაც აუღლებს არსებითი (მეშველი) ზმნების შემდეგ.

იგი წერს: „1) სხვა კანონი აქვს ზმნასა, რომელსაც მიმოხვრაში ეხმარება არსებითი ზმნა „ვარ“; 2) სხვა კანონი აქვს ზმნასაცა რომელიც არის პირნაკლი“.²

პირნაკლად მიიჩნევს მარტო იმ ზმნებს, რომელნიც მესამე პირში იხმარება: მაგ.: ელაქს ქუხს თოვს წვიმს, თენდება ღამდება ცხელა ცივა გრილა თბილა უნდა.

„შიგა და შიგ თავთავისი ცვლილება აქვს“ - დ. ყიფიანის აზრით, ვზივარ, ვიჯექი, ვსხედვართ, ვწევარ, ვწეებოდო ვდგავარ, ვდგები - ზმნებს „ამ მიზეზით ყველა ამისთანა ზმნა უკანონოდ ითვლება“.³

უკანონო ზმნათა „დასში“ შეაქვს ისეთი ზმნები რომელთაც „ან სახე აკლია ან დრო, და ან რომელსამე სახეში თუ დროში სრულებით იცვლება“⁴ მაგ.: ვხედავ დავინახე, ვზივარ, დავეჯექი დავალ, ვიარე, ვაძლევა მივეცი და სხვ.

დ. ყიფიანს თავის გრამატიკაში შემოაქვს ტერმინი დატრიალება, დახმარებითი (მეშველი ზმნის აღსანიშნავად) „განცალკევებული“ უღლებისად თვლის ინვერსიულ ზმნებს - მაქვს მყავს. მართებულად გამოჰყოფს პირნაკლ ზმნებს თავისებურად მიიჩნია ზმნა - უნდა. და საერთოდ, ძირმონაცვლეებიც. იგი ძირითადად, მაინც ანტონს ეყრდნობა არ იზიარებს გაიოზ რექტორისა და მის მიმდევართა აზრს თავისებურ ზმნათა კლასიფიკაციის შესახებ.

1. ზ. შანშოვანი, დასახ. ნაშრ., გვ., 30.

2. დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა 1882, გვ. 120.

3. იქვე, გვ. 120.

4. იქვე, გვ. 123.

არისტო ქუთათელაძემ 1888 წელს დაბეჭდა „ქართული გრამატიკა“, რომელშიც არაფერს ამბობს თავისებურ ზმნათა შესახებ. ალბათ, იმიტომ, რომ „პირველ-დაწყებითა“ ეს გრამატიკა და განიხილავს მხოლოდ არსებით (მეშველ) ზმნას ვარ. არსებითად მიიჩნევს ვარსებობ, ვიძყოფები ზმნებსაც. არ. ქუთათელაძის მიერ წარმოდგენილი არსებითი ზმნა ვარ, როგორც ტერმინი, ასევე გაგება მომდინარეობს ანტონის გრამატიკიდან.

1897 წელს მან გამოსცა „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“. სულ გამოყოფილია თხუთმეტი კლასი. იგი XIV კლასის ზმნად მიიჩნევს - „უეყვარვარ“. „ეს ზმნა არის რთული და უკანონო, ე. ი. ერთხელ მიღებულ კანონს არ ემორჩილება. აქვს აწყო, ნ. უსრული, ნ. განმეორებული და სათუო დახრა. ამგვარ ზმნებს „დრონაკლი“ ზმნები უნდა ეთქმოდეს“.¹

XV კლასის ზმნებში შეაქვს ზმნა „უეკერვარ“. XIV და XV კლასის ზმნებს განარჩევს დაბოლოებით.

მისი აზრით, XIV კლასის ზმნები „პრეფიქსების წყალობით საკმაოდ დახლართულია“. ასახელებს ზმნებს: ჯერ არს, მგონია, მაკლია, მიხარია, მშია, მცალია, მჯობს, მძულს, მძაგს, მრწამს. ასევე გამოყოფს ზმნებს: მწადს, მყავს, მაქვს, ზის, თოვს, წვიმს, ცივა, ბნელა და სხვ.

ამათ უწოდებს დრონაკლს და ზოგ მათგანს-პირნაკლ ზმნებს. იქვე ჩამოთვლის, მისი გაგებით, სხვა დრონაკლ ზმნებსაც: ვყვივ, ვჩივი, ვტირი, ვჩხავი, ვბღავი, ვყმუი, ვთრთი და სხვ.

არ. ქუთათელაძე არ ანაწილებს უკანონო ზმნებს ჯგუფებად, არ ახდენს მათს კლასიფიკაციას. დრონაკლადაა მიჩნეული ინვერსული და ზოგი გარდამავალი ზმნაც.

1888 წელს გამოიცა პ. კვიციანიძის „ქართული სწორმეტყველება“ ეს გახლავთ „საშინჯი სახელმძღვანელო“. პ. კვიციანიძე ზმნებს ყოფს კანონიურად და უკანონოდ. მისი აზრით, „უკანონო ზმნები არიან ისინი, რომელთაც მიმობრის დროს ზშირად ეცვლებათ ფესვი და ყველა საერთო მიმობრის წესებს არა ექვემდებარებიან“.²

ყველაზე უფრო უკანონოდ მიაჩნია - მწეობითი ზმნა: ვარ, ვიყავი ვიქნები.

1. არისტო ქუთათელაძე, ქართული ზმნების კლასიფიკაცია, 1897, ტფ., გვ. 25.

2. პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, თბ., 1888, გვ. 135.

„ძირუესეიანათ“ რომ იცვლება, ასეთად კი: 1) ვზივარ, სხედან, დაუ-
ჯდები, დავსდები; 2) ვშერები, ექმენ, ვიზამ; 3) დავდივარ, ვიარე,
მივლია; 4) ვამბობ, ვთქვი, ვიტყვი და სხვ.

პ. კვიციანიძე ვარაუდობს, რომ: „იგეთი ზმნა, რომელშიაც მოქმედი არ
ჩანს და მოქმედება კი იწოდების უპიროვნოდ: წუმს, სეტყვს, გათენდა,
დამდება, იღრუბლება, ნათელია, ბნელია, ცივა, თფილა, ცხელა, თოვს (და
არა „თოვლს“) და სხვ.“ უპიროდ მიიჩნევს ზმნებს: იტყვიან, თქმულა,
ამბობენ.

პ. კვიციანიძისათვის პირნაკლია ზმნა, „რომელსაც ერთი რომელიმე
პირი აკლია“.² აქ იგულისხმება ობიექტური წყობის ზმნები.

მისი აზრით, „არც ერთს წმინდა უპიროვნო ზმნას მრავლობითი რიც-
ხვი არა აქვს“. დრო ბევრ ზმნას აკლია მაგალითად, ზმნებს: მის, მიეის,
მძის.

პ. კვიციანიძე განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას თავისებურ ზმნათა
შორის ძირმონაცვლე ზმნებს, პირნაკლებს, რომელთაც უპიროვნოს უწო-
დებს. ცალკე დრონაკლს კი არ გამოჰყოფს ხმარობს ტერმინს ფესვი -
ძირის ნაცვლად, ზოლო მწეობითს - მეშველი ზმნის მაგიერ.

1889 წელს თ. ჟორდანიამ გამოსცა „ქართული გრამმატიკა“. პირველად
მას ყურადღება გამახვილებული აქვს არსებით (მეშველ) ზმნაზე-ვარ, რომ-
ლის უღლებაცაა მოცემული.

გრამატიკოსი თავისებურად თვლის მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს,
რომლებიც მიმოიქცევიან სამი ზმნის შემწეობით: სვლა, რება, დენა. მაგ.:
„აწმყო: ვალ, ხვალ, ვალს ანუ: (და) ვდივარ, (და)დიხარ, (და)დის (დენა),
ვიარები, იარები (რება). წარსული სრული. (წარ)სულ ვარ (ხარ,ა)... მიე-
ლია, გივლია, უვლია, გვივლია; წინარე. წარსული: მევლო, გევლო, ევლო,
მეარნა, გეარნა...“³ გამოყოფილია აგრეთვე ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნე-
ბის უღლება. სიტყვა, თქვა, ამბობა. მაგ.: აწმყო: ვამბობ (ძველს ენაში:
ვიტყვი)... წარსულნი ვამბობდი... ვთქვი (ძველს ენაში „ვთქუ“). შითქვამს...
მუთქვა... მომავალი: ვიტყვი. ბრძანებითი: თქვი. აღკრძალვითი: ნუ იტყვი -
სიტყვისაგან“.⁴

1. პ. კვიციანიძე, დასახ. ნაშრ, 142.

2. იქვე, გვ. 142.

3. თ. ჟორდანი, ქართული გრამმატიკა, ტფ., 1889, გვ. 64.

4. იქვე, გვ. 65.

ყურადღებაა გამახვილებული შემდეგ ზმნებზე. ვსკამ-დავლიე; ვიცი-ვი-
ცოდე ვიქმ (ეშურები)-ვიქმოდი.

თ. ჟორდანიას ცალკე არ გამოყოფს თავისებურ ზმნებს. მას ყურადღება
გამახვილებული აქვს ძირითადად ძირმონაცვლე ზმნებზე, რომლებიც თავი-
სებურებას იწინენ უღლების დროს.

მის გრამატიკაში არსებითი ზმნა ვარ, ტერმინი და მაგალითიც უნდა
მომდინარეობდეს ანტონის გრამატიკიდან.

1891 წელს სილოვან ხუნდაძემ გამოსცა წიგნი „ქართული ზმნები“. იგი
ზმნებს ყოფს კანონიერად და უკანონოდ.

„კანონიერი“ იმ ზმნას ეწოდება, რომელიც ყველა დროში და ყველა
კილოში საზოგადოდ დადგენილ კანონს ემორჩილება ე.ი. ძირის შეუცვლე-
ლად ერთხელვე დადგენილ დაბოლოებებს მიიღებს წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში ზმნას „უკანონო“ ეწოდებისს¹.

მისი აზრით, უკანონო ზმნები უმეტეს შემთხვევაში, საშუალი გეარისაა.
ასეთებად ეარაუდობს ზმნებს: მივდივარ, ვწევარ, ვზივარ, ვდგავარ, მყავს
მაქვს მცხელა მტკივა და სხვ. ის ინვერსიულ ზმნებსაც თავისებურად
მიიჩნევს.

ძირითადად, უკანონო ზმნებს წარმოგვიდგენს საწყისის სახით: 1. ყოფა
2. ყოლა 3. ცოდნა 4. აღსარება 5. ხსოვნა 6. (ძინვა), 7. (მძინავს) ღვიძება
8. მოყვანა 9. (ქონვა), 10. მოტანა 11. დაცხვა 12. (ცივნვა), 13. (ქვივნვა),
14. (შივნა), 15. წყურვა 16. (შინვა), 17. (რცხვინვა), 18. (გა)ძლოლა, 19.
თრთოლა 20. ხტომა 21. კლება.

უკანონოა ის ზმნები, რომელთაც „სხვადასხვა დროში სხვადასხვა ძირი
აქვთ“: თქმა, ქმნა, მიცემა, გაქცევა.

სილოვან ხუნდაძის აზრით, პირნაკლი ზმნებია „რომელნიც პირველსა
და მეორე პირში არ იხმარებიან და მრავლობითი რიცხვი არა აქვთ“²
ასეთებია: თოვს წვიმს ქუხს ქრის ცხელა ცივა გრილა თფილა თენდება
ღამდება ბნელა და სხვ.

სილოვან ხუნდაძე ძირითადად მართებულად ახასიათებს უკანონო ზმნებს.
ინვერსიული ზმნები მიაჩნია თავისებურად, ყურადღებას აქცევს ძირმონაც-
ვლე ზმნათაც და აგრეთვე პირნაკლებსაც. ცალკე არ გამოყოფს დრონაკლ

1. ს. ხუნდაძე, ქართული ზმნები, თბ., 1891, გვ. 76.

2. იქვე, გვ. 95.

ზმნებს. მხოლოდ პირნაკლებთან აღნიშნავს რომ მათ აკლიათ მრავლობითი რიცხვი.

სილოვან ზუნდაძემ 1917 წელს გამოსცა „ქართული გრამატიკა“. იგი მეშველ ზმნას შემწეობით უწოდებს და ვარაუდობს რომ: „ზმნა „მე ვარ“ ბევრ სხვა ზმნას ეხმარება ეწევა მიმოხრაში“. ¹

გამოყოფს უკანონო ზმნებს და კვალიფიკაცია ისეთივეა როგორც 1891 წელს გამოცემულ „ქართულ ზმნებში“. მიმოხრილია შემდეგი უკანონო ზმნები: ვზივარ, ვწევარ, ედგავარ, მივდივარ, მყავს მაქვს აღვიარებ, ვამბობ, ვშკრები.

მისი აზრით, „პირნაკლი ზმნა იმისთანა ზმნას ეწოდება რომელიც მართო მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში მიმოხრის - მაგალითად: თოვს წვიმს ქუხს ქრის ცხელა ცივა გრილა თფილა თენდება ღამდება ბნელა და სხვ“.²

გამოყოფს „მიჩნეებით“ ზმნებს რომელშიც აერთიანებს ინვერსიულსა და ობიექტური წყობის ზმნებს.

უკანონოდ მიიჩნევს საშუალო გვარის შემდეგ ზმნებს: ზის წევს ღვას მიღის იჯდა იწვა იღვა მიდიოდა... სილოვან ზუნდაძე არაფერს ამატებს ახალს წინა გამოცემაში მოცემულ მსჯელობასთან შედარებით.

ანდრია ბენაშვილი თავის მოკლე „ქართულ გრამატიკაში“ გამოყოფს შემწეობით (დამხმარე) ზმნას - ვარ, ხარ, არის. „ეს ზმნა არის რომელიც ბევრს ზმნას ეწევა ეხმარება მიმოხრაში ამიტომ იმას ჰქვია შემწეობითი ზმნა“.³ - წერს ანდრია ბენაშვილი.

გრამატიკოსს მოცემული აქვს უღლება ვარ ზმნისა. ტერმინი შემწეობითი მისეულია და ის განხილულია როგორც მეშველი ზმნა. ანდრია ბენაშვილი არაფერს ამბობს უკანონო ზმნათა შესახებ.

მ. გ. ჯანაშვილმა 1906 წელს გამოსცა „ქართული გრამატიკა“ მეგრული და სვანური ნიმუშებით.

შრომაში მოცემულია არსებითი (მეშველი) ზმნების უღლება, კერძოდ, წარმოდგენილია შემდეგი ზმნების უღლების პარადიგმები: ა) არსება, ყოფნა. ბ) ქმნა, მყოფობა, გიება. ბ) დგომა, ჯდომა, წოლა, ზტომა.

1. სილოვან ზუნდაძე, ქართული გრამატიკა თბ., 1917, გვ. 75.

2. იქვე, გვ. 113.

3. ანდრია ბენაშვილი, ქართული გრამატიკა თბ., 1894, გვ. 24.

მ. ჯანაშვილმა § 117 დაუთმო დრონაკლი ზმნების (verba defectiva) უღლებას. ყველა კილოსა და მწერიში. ესენია შემდეგი ზმნები: ა) ხუმა, გამა. ბ) მიხემა (აღება, წართმევა), გ) ზმა, დ) შრომა, ე) ღება, ვ) მოღება, მოტანა. ზ) ღება-ძიება, ც) მბობა, უბნობა, თქმა, რქმა, თხრობა, თ) ღუკვა.

მ. ჯანაშვილს გამოყოფილი აქვს პირნაკლი ზმნებიც (verba impersonalia). აღნიშნულია, რომ ზმნები გვიჩვენებენ ტაროსს, ბუნების მოვლენას: ქუხს, ელავს, ნათდება, ყინავს ცივა, თოვს, წვიმს, ცურავს, ნამავს, თენდება, ღამდება, მწუხრდება, რიჟრაჟდება, ბნელდება. მისთვის პირნაკლია ის ზმნებიც, რომლებიც გვიჩვენებენ სულიერ განწყობილებას. მოკყავს შემდეგი მაგალითები: სამწუხაროა, სანანოა, უზრდელობაა, არ შეიძლება, შეიძლება, უნდა, სასურველია, ზამს, ცხადია, ეგების, კმარა, იქნების და სხვ.

წინამორბედთა მსგავსად მ. ჯანაშვილიც მართებულად აფასებს ვარ არსებით ზმნას. მისთვის არსებითია ძირმონაცვლე ქმნა ზმნაც. დრონაკლ ზმნებში უმეტესად აერთიანებს ძირმონაცვლე ზმნებს, სწორადაა გაანალიზებული ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი პირნაკლი ზმნები მაგალითებით.

1919 წელს გამოიცა ი. ნიკოლაიშვილის მიერ შედგენილი „ქართული მოკლე გრამატიკა“ (მეორე შესწორებული გამოცემა). აქ არაფერია თქმული თავისებურ ზმნათა შესახებ. ზმნათა გაანალიზების შემდეგ წარმოდგენილია ვარ შემწეობითი (მეშველი) ზმნის მიმოხრა.

ტერმინი შემწეობითი - ნასესხები აქვს ანდრია ბენაშვილისაგან.

ი. ნიკოლაიშვილმა 1927 წელს გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც გათვალისწინებულია შრომის სკოლებში სახელმძღვანელოდ. გამოყოფს პირნაკლ ზმნებს-წვიმს, თოვს, ყინავს, თენდება-წაუღლებია ეს ზმნები და ზახვასმულია, რომ არა აქვთ I და II პირი.

ი. ნიკოლაიშვილი დრონაკლ ზმნებს უწოდებს მსხვერველად. შემდეგ მოცემული აქვს დრონაკლი (ღეფექტური) ზმნების უღლება ყველა დროსა და კილოში. მაგ.: ვშვრებო ვიზამ, ვიქმ, ვამბობ, ვიტყვივ აღვიარებ, მაქვს, მყავს ვალ, ვდივარ, ვიღენ, ვიარებო, ვღგავარ, ვზივარ, ვწევარ.

ავტორისეული მეცნიერული ანალიზი პირნაკლი ზმნებისა მართებულად ი. ნიკოლაიშვილი მ. ჯანაშვილის თვალსაზრისს იზიარებს დრონაკლი ზმნების მსჯელობისას. მის გრამატიკაში პირველად შემოდის ტერმინი ღეფექტური, მსხვერველადი, რომელშიც იგულისხმება დრონაკლი ზმნები.

მ.ს. კელენჯერიძემ გამოსცა „ქართული პრაქტიკული გრამატიკა“. გან-

მარტებულია პირნაკლი ზმნები: წვიმს ცხელა, თოვს. ავტორი აღნიშნავს: „იმ ზმნებს სადაც პირი არც ჩანს და არც იგულისხმება პირნაკლი ზმნები ეწოდება“.¹

გრამატიკოსი ზმნებს ყოფს კანონიერად და უკანონოდ. წარმოადგენს ჯდომა - ზმნას: მე ვზივარ, მე დაუვადები. სუამს კითხვას და თვითვე პასუხობს: „ამ ზმნებს შეეცვალა ძირი, გაენგრა ძირი“.² ასეთ ზმნებს ისიც უკანონოს უწოდებს.

მ. კელენჯერიძეს მოცემული აქვს უღლება ვარ - შემწეობითი ზმნისა. პარაგრაფი § 118 დათმობილი აქვს პირნაკლ ზმნათა უღლებას. ეს ზმნებია: წვიმს ცხელა თენდება. მომდევნო თავში მოცემულია უკანონო ზმნების მიმოხრა. მაგ.: ქმნა ზმნა, დაშრომა, (მო)ბმა, მო(სხმა), ჯდომა მბობა, თქმა აღსარება.

მ. კელენჯერიძე წინამორბედ გრამატიკოსთა მსგავსად ზმნებს კყოფს კანონიერად და უკანონოდ. სესხულობს ტერმინს შემწეობითი ან. ბენამ-ვილისა და ი. ნიკოლაიშვილის გრამატიკებიდან. ის მართებულად აანალიზებს პირნაკლ ზმნებს.

ზემოთ განხილულ გრამატიკებში ძირმონაცვლე ზმნები გაერთიანებულია დრონაკლ ზმნებში. მელიტონ კელენჯერიძე მათ ცალკე გამოყოფს და უწოდებს უკანონოს. მაგალითები უმეტესად სწორადაა შერჩეული. ე.ი. მ. კელენჯერიძე პირველია, რომელმაც ძირმონაცვლე ზმნებს უკანონო უწოდა, თუმცა აქ მაინც არ არის მოცემული მათი საბოლოო დასასიათება.

1929 წელს გამოიცა დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“ თორმეტი ტაბულით. ის მეზუთე მიმოხრაში ათავსებს გარდამავალ ზმნებს. „ზმნები ყველანი ნაკეთნაკლულები არიან, ე.ი. რომელიმე დროის ნაკვეთები აკლიათ“.³

დ. კარიჭაშვილი „გარდამავალ მდგომარეობით ზმნებს“ სამ ჯგუფად ყოფს: I ჯგუფში მოთავსებულია ზმნები, რომელთაც აქვთ მხოლოდ ორი დროის ნაკვეთი (ზმნებს წარმოადგენს საწყისის სახით). მაგ.: ღვთა, ჯდომა, სხდომა, წოლა (წვოლა), დება (დე-ება). II ჯგუფს მიაკუთვნებს იმ ზმნებს, რომელთაც აქვთ მხოლოდ სამი დროის ნაკვეთი. მაგ.: ყოლა

1. მ. კელენჯერიძე, ქართული პრაქტიკული გრამატიკა თბ., 1925, გვ. 41.

2. იქვე, გვ. 54.

3. დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა თბ., 1929, გვ. 24.

სურეება წონება გვანება ჯერება წამება ძაგება. „III ჯგუფში გაერთიანებულია ის ზმნები, რომელთაც მხოლოდ ერთი დროის ნაკვთები აქვთ. მაგ.: ძინება, ყრა, ჭერა, ჭირუა და სხვ. გრამატიკოსი შეექქესენაირ მიმოხრაში აერთიანებს გარდაუვალ მდგომარეობითს ზმნებს. მისი ჯრით, „ეს ზმნები ყველანი ნაკვთნაკლულები არიან“¹. გარდაუვალ ზმნებსაც სამ ჯგუფად ყოფს.

დ. კარიჭაშვილი ვარაუდობს, რომ „მეშვიდენაირი მიმოხრა არის იმ ზმნების მიმოხრა, რომელნიც არღვევენ ზემოდ გამორკვეულს წესებს და ამნაირად იჩენენ თავისებურობას“². ნაშრომში ჩამოთვლილია და განმარტებული თითოეული მათგანის თავისებურება.

დ. კარიჭაშვილის „ქართული ენის გრამატიკაში“ თავისებურ ზმნათა შესახებ ვრცელი საუბარიც მაგრამ მეცნიერულად არ არის გამაზიარებელი და დასკვნებიც ინდივიდუალურ ხასიათს ატარებენ.

ილია სიხარულიძემ 1929 წელს გამოსცა „ენის დაკვირვება“. ნაშრომი შედგება თავებისაგან, რომლებშიც გამოყოფილია ე.წ. სამუშაო (კითხვა-პასუხის მეთოდით გრამატიკულ კატეგორიათა გარკვევა), დასკვნა და შენიშვნები.

ცალკეა პირნაკლი და დრონაკლი (დეფექტური) ზმნები. ე.წ. სამუშაოს ნაწილში შეტანილი მაგალითების საშუალებით, შედარება-შეპირისპირების ხერხის გამოყენებით ახსნილია, თუ რატომ არ გვხვდება თოვს წვიმს, ცხელა ბნელა ზმნები ქართულში პირველსა და მეორე პირში.

აღნიშნულია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებს პირის გარდა აკლიათ რიცხვიც და ამიტომ „მათ პირ და რიცხვნაკლს უწოდებენ“³.

ცალკეა გამოყოფილი დეფექტური ზმნები, რომელშიც გაერთიანებულია საშუალო გვარის ზმნები. იგი წერს: „საშუალო გვარის არს, ღვას, ზის, წევს, ჩანს ზმნებს ნამყო უსრულო დრო არ აქვსთ, აკლია. ეს ზმნები დრონაკლად იწოდებიან. დრონაკლ ზმნებს უცხო სიტყვით დეფექტური უწოდება.“⁴ აქვე აკეთებს შენიშვნას, რომ ამ ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარ-

1. დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 95.

2. იქვე, გვ. 96.

3. ი. სიხარულიძე, ენის დაკვირვება, სახელმძღვანელო შრომის სკოლის 5, 6, 7 ჯგუფებისა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის, თბ., 1929, გვ. 313.

4. იქვე, გვ. 315.

მოებ ვნებითი გეარის ზმნებს აქეთ ყველა დრო და არ უნდა აუერიოთ იმავე ფუძით ნაწარმოებ დრონაკლ საშუალი გეარის ზმნებში.

ი. სიხარულიძე შემდეგ აუღლებს ზმნებს: ეშვრები, ვამბობ, დავდივარ, ვიზამ, ვიქმ, ვიარები.

ავტორი შენიშვნაში წერს: „ნამყო ძირითად დროში აწყო დროის ეშვრები და მყოფადის ვიზამ ზმნებისაგან ელებულობთ სულ სხვა ფუძით ექენი ზმნას, ამგვარადვე დავდივარ ზმნისაგან ვიარე^ს ხოლო ვამბობ^ს ისაგან-ეთქვის“.¹

ი. სიხარულიძე საკითხის დასასრულს იძლევა შემაჯამებელ შეკითხვებს ცოდნის განმტკიცების მიზნით.

ი. სიხარულიძე წინამორბედ გრამატიკოსთაგან ოდნავ განსხვავებული კუთხით აყალიბებს თავისებურ ზმნებს. ის სრულყოფილად ხსნის და თვალნათლივ ასაბუთებს თუ რატომ არიან ზმნები პირნაკლნი, რიცხვნაკლნი. აღნიშნავს ფუძემონაცვლე ზმნებსაც. გრამატიკოსისათვის თავისებურია დრონაკლი საშუალი გეარის ზმნები.

ტერმინი დეფექტური ი. ნიკოლაიშვილის „ქართული ენის გრამატიკიდან“ გამოყენებულია ი. სიხარულიძის მიერ, რომელიც ორი წლით ადრე დაიბეჭდა და ცხადია, გრამატიკოსი იცნობდა ამ გამოცემას.

ი. სიხარულიძის გრამატიკაში პირველადაა ნახსენები ტერმინი რიცხვნაკლი, რომელიც ზემოთ განხილულ გრამატიკებში არ შეგვხვედრია.

1936 წელს გამოიცა ი. სიხარულიძის „ქართული ენის გრამატიკა“. აქ მოკლედ აღნიშნულია, რომ დრონაკლია ზმნები, „რომელთაც ესა თუ ის დრო არ გაანია, აკლია“.² ჩამოთვლილია დრონაკლი ზმნები: არის, დგას, წევს, ზის ზმნები. ზის ზმნას მრ. რიც. II პირში ენაცვლება სხედან. წევს, დგას ზმნებიც სხვა ფუძით გვევლინებიან მრ. რიცხ. III პირში. პირველსა და მეორე პირში წევ და დგა ფუძე აქვთ, ხოლო მესამეში წვან და დგან.

ი. სიხარულიძე მართებულად შენიშნავს ზი და სხედ ზმნათა ძირების მონაცვლეობას.

ილია სიხარულიძის „ქართული ენის გრამატიკაში“ გატარებული თვალსაზრისი, შეიძლება ითქვას, წინგადადგმული ნაბიჯია წინამორბედ გრამატიკოსთა ენათმეცნიერულ შეხედულებებთან შედარებით.

1. ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

2. ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა V, VI, VII კლასის სახელმძღვანელო, 1936, გვ. 65.

§ 2. საპროსოპოზიტივიზაციო ფუნქციონირების სისტემის

ადრინდელ გრამატიკებში თავისებური ზმნების შესახებ ტერმინებზე დაკვირვება საგულისხმო ჩანს. კერძოდ, ზურაბ შანშოვანი გამოყოფს ტერმინს საარსო (მეშველი ზმნა). ანტონ პირველიც ვარ მეშველ ზმნას უწოდებს არსებითს. ორივე შემთხვევაში ამოსავალი სომხური გრამატიკაა.

ანტონ პირველს შემოაქვს ტერმინები უკანონო, არაკანონიერი, კლებითი (რამიც იგულისხმება დრონაკლი), პირნაკლი, არსებითი.

გაიოზ რექტორი აესებს ანტონის უკანონო, პირნაკლ ტერმინებს. ნაკლულეკანი, ნაკლობითი, უხუჭბითნი - ტერმინებით.

დავით და იოანე ბატონიშვილების იოანე ქართველიშვილისა და ნიკო ჩუბინაშვილის გრამატიკულ ნაშრომებში ახალი ტერმინები არ ჩანს.

პ. იოსელიანს შემოაქვს ტერმინი უპირო, რომელსაც აიგივებს პირნაკლთან.

დ. ყიფიანი იყენებს თავის გრამატიკაში ტერმინს დატრიალება (უღლება), დახმარებითი (მეშველი ზმნის აღსანიშნად).

პ. კვიციანი მეშველ ზმნას უწოდებს მწეობითს, აგრეთვე მას ეკუთვნის ტერმინი ფესვი - ძირის ნაცვლად.

ა. ბენაშვილთან ვხვდებით შემწეობითს, რომელშიც იგულისხმება მეშველი ზმნა.

ბ. ჯანაშვილი დრონაკლ ზმნებს უწოდებს *verba defectiva*, პირნაკლ ზმნებს კი *verba impersonalia*.

ი. ნიკოლაიშვილი დრონაკლი ზმნების აღსანიშნად ხმარობს ტერმინს მსხვერველადს, მათ დეფექტურსაც უწოდებს. ტერმინი დეფექტური გავრცელებულია და მომდინარეობს მისი გრამატიკიდან.

მ. კელენჯერიძე პირველია, რომელმაც ძირმონაცვლე ზმნებს უკანონო უწოდა რადგან ვარაუდობს რომ ამ ზმნებს შეეცვალა გაენგრა ძირი.

ი. სიხარულიძე თავის გრამატიკაში პირველად ახსენებს ტერმინს რიცხვნაკლი. ეს სიტყვა განხილულ ნაშრომებში არ შეგვხვებოდა.

მონთობანს დაბეჭდილ გრამატიკაში და იმ შრომებში, რომლებიც შექმნეს არ. ქუთათელაძემ, თ. ჟორდანიამ, ს. ხუნდაძემ და დ. კარიჭაშვილმა ტერმინებთან დაკავშირებით რაიმე საყურადღებო არ მოიძებნება.

თავი მეორე

ინდექსაცია

§ 3. მედიალურ ზმნათა ინდექსაცია

ქართული ზმნის თავისებურებანი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება აწმყოსაგან მყოფალში გადაყვანის დროს. როგორც ცნობილია აწმყოსაგან მყოფალის წრის წევრები იწარმოება სამი გზით:

1. ზმნისწინის დართვით - წერს - დაწერს
2. ფუძის მონაცვლეობით - თამაშობს - ითამაშებს.
3. ძირის მონაცვლეობით - ამბობს - იტყვის.

ამათგან ნორმალურ უღლებას გვაძლევს პირველი საშუალება - ზმნისწინის დართვა, რაც დამახასიათებელია მოქმედებითი და ენებითი გვარის ზმნები-სათვის. საშუალი გვარის ზმნებში კი ჩვეულებრივია ფუძისა და ძირის მონაცვლეობა.

ფუძემონაცვლე ზმნებს ვაერთიანებთ თავისებურ ზმნათა მეორე ჯგუფში. ასეთ ზმნებს მედიალურ ზმნებს ვუწოდებთ. კერძოდ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. საშუალი გვარის ზმნებთან, რომელთაც საკუთარი ფორმა აქვთ აწმყოს წრეში, ხოლო მყოფალის წრისა და სხვა სერიათა მწკრივებს განსხვავებული ფორმით ივსებენ, იცვლიან ფუძეს აწმყოსაგან მყოფალის წარმოებისას და ეს შეცვლილი ფუძე გადაჰყვება მეორე და მესამე სერიებში.

აკად. აკ. შანიძე საშუალი გვარის ზმნებში გამოყოფს საშუალ-მოქმედებითსა და საშუალ-ენებითს. საშუალ-მოქმედებითი აწმყო-მყოფალში სწორედ ფუძით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი ძირი კი ერთი და იგივეა. ამ ზმნებში აწმყოსაგან მყოფალის წარმოების ერთნაირი წესი არ არსებობს. უმეტესობა მყოფალში ი პრეფიქსს დაირთავს ი პრეფიქსითვე არის წარმოდგენილი ეს ზმნები II სერიის ფორმებთანაც. ეს საერთო მოვლენა ჩანს სამაგიეროდ, აწმყოსაგან მყოფალის წარმოებისას განსხვავებას გვაძლევს ფუძის დაბოლოება, სადაც თემის ნიშანთა გაჩენა თუ სხვაგვარი ცვლილებები კონკრეტულად, ცალკეულად უნდა გაირჩეს. სწორედ, ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ისინი მივიჩნიოთ თავისებურად.

აწმყოსაგან მყოფალის წარმოება სიღრმით არის შესწავლილი პროფ. ზ. ჭუმბურიძის წიგნში „მყოფალი ქართველურ ენებში“. განიხილავს რა ფართო მასალას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატომულის

მიხედვით, პროფ. ზ. ჭუმბურიძე გამოყოფს აწმყოდან მყოფადის წარმოების მრავალ შემთხვევას და ასკვნის: „ძირითადად, მყოფადი ნაწარმოებია აწმყო-ს ფორმაზე ზმნისწინის დართით, თუმცა საკმაოდ ბევრი ზმნა ამგვარი წარმოების უნარს მოკლებულია. მათ შორის გამოიყოფა მყოფადის წარმოების საერთო ნორმიდან გადახვევის შემდეგი შემთხვევები: 1) აწმყო და მყოფადი ემთხვევა ერთმანეთს;

2) აწმყო და მყოფადი ნაწილობრივ (განსახდერული მნიშვნელობის ზმარებისას) ემთხვევა;

3) სხვადასხვა ზმნისათვის აწმყო საზიაროა მყოფადი განსხვავებულად;

4) მყოფადი ნაწარმოებია ფორმის შენაცვლების გზით;

5) აწმყოში სხვა ფუძეა მყოფადში სხვა;

6) აწმყო აკლია;

7) მყოფადი აკლია“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მიხედვით მედიოაქტიურ ზმნათა ამოკრება და განხილვა მოგვიხდა ჩვენც წინამდებარე შრომისათვის. ლექსიკონისეული მაგალითები გამოყოფილია. ყველა შემთხვევაში ისინი გადაყვანილია საჭირო მწკრივში.

აწმყოსაგან მყოფადის წარმოებისას ყურადღებას იქცევს ფუძის ნაირგვარობა, რომლის დეტალურად წარმოდგენისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ ინდექსების გამოყოფა.

ინდექსი გრამატიკული ტერმინია, იგულისხმება ზმნის ის ნაწილი, რომლითაც ვლებულობთ აწმყოსაგან მყოფადს.

ინდექსი არის საშუალი გვარის ზმნის ფუძის ნაწილი, რომელშიც შემაკალ ელემენტთა საშუალებით აწმყოს მწკრივისაგან ვლებულობთ მყოფადის ფორმას.

ის რაზეც საუბარი გვაქვს აწმყოსა და მყოფადის წარმოებისას ვრცელდება უწყვეტელსა და ზოლმეობითში, აწმყოს კავშირებითსა და მყოფადის კავშირებითში. წყვილებისათვის აწმყო-მყოფადი უწყვეტელი-ზოლმეობითი, აწმყოს კავშირებითი-მყოფადის კავშირებითი განმასხვავებელი ელემენტები ერთი და იგივეა. კერძოდ, რითაც განსხვავდება აწმყოსაგან მყოფადი იგივე განსხვავებაა, როცა ვაწარმოებთ უწყვეტელისაგან ზოლმეობითს ან აწმყოს კავშირებითისაგან - მყოფადის კავშირებითს. ამიტომ, ინდექსში

აღნუსხული იქნება მხოლოდ აწმყოს მწკრივიდან მყოფადის მწკრივის წარმოებისას არსებული ცვლილებები, რადგანაც მასში მწკრივის ნიშნები არ შედის.

ინდექსში შემავალი ელემენტებია: ზმნისწინი (იშვიათად), ი პრეფიქსი, ძირი, თემის ნიშანი.

აწმყო-მყოფადის შედარებისას აწმყოში სხვადასხვა თემის ნიშანი გვაქვს. მათ შორის ხშირია ობ თემის ნიშანი, მყოფადში გადაყვანისას ის იცვლება ჩვეულებრივ ებ თემის ნიშნით. პირუკუ პროცესი - ებ-ს ობ თემის ნიშანი რომ ენაცვლებოდეს - არ გვაქვს.

როდესაც აწმყოსაგან მყოფადი ზმნისწინის დართვით იწარმოება ვნე-ბითსა და მოქმედებით გვარის ზმნებში თემის ნიშანთა მონაცვლეობა არ ხდება. ობ თემის ნიშანი ჩვეულებრივია საშუალო გვარის ზმნებისათვის აწმყოს ფორმებში, ხოლო ვნებითებში მხოლოდ ებ გვხვდება. მოქმედებითი გვარის ზმნებში კი ამ მხრივ შეზღუდვა არ იგრძნობა.

ინდექსი საშუალებას გვაძლევს დაეაკვირდეთ, თუ რა იცვლება აწმყო-დან მყოფადის წარმოებისას.

პირობითად, ინდექსი შეიძლება იყოს ძირითადი და არაძირითადი. ასეთი დაყოფა დამოკიდებულია მათ სინშირეზე. ძირითადია ინდექსები, რომელთა შემადგენლობაში შედის 10 ან მეტი ერთეული. თუ ინდექსთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია, მათ ეწოდებათ არაძირითად ინდექსებს.

ფუძე და ინდექსი

ინდექსსა და ფუძეს შორის არის გარკვეული ურთიერთმიმართება. ცნობილია, რომ „ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, ზმნის ფუძე ჰქვია“.¹ მაგალითად, ზმნის ფუძეა აკეთებ; სუბიექტური წყობის II პირის ფორმა ჩვეულებრივ ფუძეა. შენ წერ, შენ წერდი, შენ წერდე, შენ დაწერდე და ა.შ. ყოველ მწკრივს თავის ფუძე აქვს. ე.ი. ზმნის ფუძე ზმნის ის ნაწილია, რაც რჩება პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორების შემდეგ.

1. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბ., 1984, გვ. 20.

თემა და ინდექსი

თემის ნიშანი ზმნის ის ნაწილია, რომელიც მოსდევს ზმნის ძირს I სერიის მწკრივებში და არ გადაჰყვება II სერიაში. ამჟამად მოქმედი თემის ნიშნებია: ე, ო, ა, ამ, ი.

I სერიის ფუძე ან თემისნიშნისა, ან უთემისნიშნო. თემისნიშნისან რთულს უწოდებენ, ხოლო უთემისნიშნო ფუძეს - მარტივ თემას. ე.ი. I სერიის მწკრივებში რთული თემა; II სერიის მწკრივებში მარტივი თემაა.

ზმნა, რომელსაც I სერიაში რთული თემა აქვს, ხოლო II სერიაში - მარტივი, ორთემიანია, ხოლო ზმნა, რომელსაც I სერიაშივე მარტივი თემა აქვს, ერთთემიანია.

თემის ნიშანი ინდექსის შემადგენელი ნაწილია. მედიოაქტივები უმეტესად რთულთემიანია. მარტივთემიანები კი შედარებით ცოტაა. ე.ი. ორთემიანთა რაოდენობა ამ ზმნათა კატეგორიისა სამმაგად ჭარბობს ერთთემიანებს.

ინდექსისათვის არა აქვს მნიშვნელობა, ზმნა ორთემიანია, თუ ერთთემიანი. ინდექსი გვაწვდის აწმყოდან მყოფადის წარმოების სურათს, როგორაა ფორმა წარმოდგენილი აწმყოში და რა ცვლილებები ხდება მყოფადის მწკრივში.

ო თემისნიშნისანი - 1524 ერთეული - ყველა ორთემიანია.

ე თემისნიშნისანი - 1046 ერთეული - ყველა ორთემიანია.

აწმყოში ე დაბოლოებიანი - 254 ერთეული - 252 ზმნა მყოფადში თემისნიშნისანია. 2 ზმნა მხოლოდ აწმყოში თემის ნიშნით.

ა თემისნიშნისანი - 205 ერთეული - 204 ზმნა ორთემიანია

ერთი მათგანი აწმყოში თემისნიშნითაა, მყოფადში არა.

უთემისნიშნო - 82 ერთეული - მყოფადში ე თემისნიშნისანია - 73; ერთთემიანია - 9 ერთეული.

თემა, აწმყოს ფუძე, გადაჰყვება I სერიის ექვსსავე მწკრივს. მას ემატება, როგორც ვთქვით, მწკრივის ნიშნები (-დ, -ოდ, საერცობი), რაც ინდექსში არ შედის.

ინდექსი არ უდრის ზმნის ძირს, არც ზმნის ფუძეს და არც თემას. მასში შედის მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც აწმყოსაგან აწარმოებენ

მყოფადს. ე.ი. ზმნური ფუძის შემადგენლობაში შემაველი სხვა ელემენტები ინდექსში არ შედის. (ქცევის ნიშანი, გვარის ნიშანი, მწკრივის ნიშანი და სხვ.).

§ 4. ინდექსში გამოყენებული პირობითი ნიშნები

საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით უნდა გამოიყოს პირობითი ნიშნები. როცა მყოფადი იწარმოება აწმყოს ფორმაზე ზმნისწინის დართვით, რაც იშვიათია მედიალურ თავისებურ ზმნებში, ზმნისწინი აღინიშნება ინდექსში. თუ ზმნისწინი არის როგორც აწმყოში, ისე მყოფადში, ინდექსში იწერება მათ შორის ტოლობა =.

ზმნწ=ზმნწ, ხოლო თუ სხვა ზმნისწინი ჩნდება მყოფადში, მაშინ ზმნისწინებს შორის დაისმის მონაცვლეობის აღმნიშვნელი კლაკნილი **| ზმნწ | ზმნწ**

პრეფიქსი **ი** ზმნათა დიდ რაოდენობას აწარმოებს. პირობით ნიშნად მიჩნეულია **+ ი** თუ მას წინ უსწრებს ზმნისწინი, ხოლო, თუ უზმნისწინოა, პეფიქსი **ი** უპლიუსოდაა.

ინდექსში ჩვეულებრივ გვაქვს ზმნისწინი და **ი** პრეფიქსი. ან ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც მოსდევს ზმნის ძირი, რომლის პირობითი ნიშანია - (ტირე).

ინდექსის შემდგომი ელემენტი არის თემის ნიშანი, რომელიც შეიძლება გადაჰყვეს აწმყოდან მყოფადში. ამ შემთხვევაში ტოლობის ნიშანი დაისმის. **აეავ** მაგრამ, თუ იცვლება მყოფადში სხვა თემის ნიშნით, მაშინ ჩამოშვებულია კლაკნილი (1) **ავქებ** ე.ი. **ავ** თემის ნიშანი შეცვალა **ებ** თემის ნიშანმა.

აწმყოსაგან მყოფადის წარმოებისას შეიძლება რომელიმე ელემენტი დაიკარგოს. ინდექსში ეს აღნიშნულია გადამკვეთი ხაზებით (გამრავლების ნიშნით) ~~ზმნწ~~ + ი - ავქებ ე.ი. ზმნისწინი აწმყოში იყო და მყოფადში გადასვლისას ჩამოშორდა.

არის შემთხვევები, როცა ინდექსი თითო მაგალითით არის წარმოდგენილი, რაც მეტისმეტად ზრდის ინდექსთა რაოდენობას. ინდექსის ელემენტთა ცვალებადობა იწვევს მათი რიცხვის გაზრდას, ამიტომ ამ ერთეულთა რაოდენობა შემცირებულია.

§ 5. ინდექსის უმაღლესობაში უმაკვალ ელემენტთა ფუნქციისათვის

ინდექსში გვაქვს თანხმობანი \underline{u} , რომელიც ან ძირისეულია ან თემის-ნიშნისეულია ან გაჩენილია მაგრამ აწმყოში \underline{ob} თემის ნიშნის წინ იკარგება და როდესაც გადაღის მყოფადღო, \underline{u} ან სხვა თემის ნიშნის წინ აღდგება. ის არ არის ინდექსის მაწარმოებელი ელემენტო, ამიტომ მისი განხილვა საჭიროდ არ ვცანით.

§ 6. თემის ნიშანი

თემის ნიშანი ინდექსის განმსაზღვრელი ელემენტია. გაანალიზებული მასალა დაჯგუფებულია ამ ნიშანთა მიხედვით. თემის ნიშანი პროდუქტული ელემენტია, რომლის საშუალებითაც იწარმოება მრავალი ინდექსი.

მაგ. \underline{ob} თემისნიშნისანიები - 7 ინდექსი

\underline{u} თემისნიშნისანიები - 5 ინდექსი

აწმყოში σ დაბოლოებიანი - 16 ინდექსი

\underline{av} თემისნიშნისანიები - 11 ინდექსი

უთემისნიშნო - 10 ინდექსი.

მასალა დალაგებულია სისშირის მაჩვენებლის მიხედვით.

ობ თემის ნიშანი

მელიოაქტივი უმეტესად \underline{ob} თემის ნიშნითაა წარმოდგენილი. ინდექსთა რაოდენობა უღრის შვიდს. \underline{ob} თემისნიშნისანი ზმნათა - 1524 ერთეულს ძირითადია პირველი ოთხი ინდექსი.

\underline{ob} თემისნიშნისანთა ინდექსები:

1) $\boxed{n - ob = ob} - 16^1$

2) $\boxed{n - ob_{\text{ქებ}} - 1280$

3) $\boxed{\text{ზმნწ} + n - ob_{\text{ქებ}} - 120$

4) $\boxed{\text{ზმნწ} + n - ob_{\text{ქებ}} - 101$

5) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + n - ob_{\text{ქებ}} - 2$

6) $\boxed{\text{ზმნწ} + n - \text{მაღლ} + ob_{\text{ქებ}} - 2$

1. რიცხვებით გამოხატულია მაგალითთა რაოდენობა.

$$7) \boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ობ} \times \text{ავ}} - 1$$

ობ ყველაზე პროდუქტული ელემენტია სხვა თემის ნიშნებთან შედარებით. როგორც ვთქვით, ის თითქმის ყოველთვის მყოფადში გადასვლისას გვაძლევს ებ თემის ნიშანს. პირუკუ პროცესი რომ ებ-ს ობ ენაცვლებოდეს არ გვზღვდება. ობ რჩება კიდევ მყოფადის მწკრივში, ობ გადადის ავ თემის ნიშანშიც.

$$\text{ობ} \begin{cases} \text{ობ (17)} \\ \text{ებ (1506)} \\ \text{ავ (1)} \end{cases}$$

ებ თემის ნიშანი.

გამოიყოფა ხუთი ინდექსი აქედან ძირითადია ოთხი.

- 1) $\boxed{\text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}} - 556$
- 2) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}} - 246$
- 3) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}} - 213$
- 4) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}} - 28$
- 5) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} = \text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}} - 3$

ებ თემისნიშნთან ზმნათა რაოდენობა უდრის 1046 ერთეულს. აწმყოში წარმოდგენილი ებ თემის ნიშანი არცერთი თემის ნიშნით არ იცვლება. ის ყოველთვის იმავე ფორმით გადაყვება ზმნას მყოფადში.

$$\text{ებ} \begin{cases} \text{ებ (1046)} \end{cases}$$


ი - დაბოლოებიან ზმნათა ინდექსები ყველაზე ბევრია.

- 1) $\boxed{\text{ი} - \text{იქებ}} - 24$
- 2) $\boxed{\text{ი} - \text{საწ} + \text{იქებ}} - 65$
- 3) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{იქებ}} - 10$
- 4) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{საწ} + \text{იქებ}} - 29$
- 5) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{იქებ}} - 15$
- 6) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{საწ} + \text{იქებ}} - 59$
- 7) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + \text{ი} - \text{იქებ}} - 6$
- 8) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + \text{ი} - \text{საწ} + \text{იქებ}} - 17$
- 9) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + \text{ი} = \text{ი} + \text{იქებ}} - 7$
- 10) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ენ} + \text{ქ}} - 14$

- 11) $\boxed{\cancel{ზმნწ} + ი - ენ + ჯ} - 1$
- 12) $\boxed{ი = ი - იქებ} - 1$
- 13) $\boxed{ი = ი - საწ + იქებ} - 1$
- 14) $\boxed{ზმნწ - ი = ი + იქებ} - 1$
- 15) $\boxed{\cancel{ზმნწ} \cancel{ზმნწ} + ი = ი - საწ + იქებ} - 1$
- 16) $\boxed{\cancel{ზმნწ} + ი = ი - იქებ} - 2$


აწმყოში ი - დაბოლოებიანი ზმნები, განსვავებით სხვა თემის ნიშან-თავან, ხშირად იყენებენ საწყისის სუფიქსებს მყოფადის საწარმოებლად; ხდება დრეკალობაც და ენ სუფიქსის დამატება ძირში. ამ ჯგუფის ზმნები თითქმის ყოველთვის დაირთავენ ებ თემის ნიშანს.

აწმყოში ე - დაბოლოებიანი ზმნათა რაოდენობა უდრის 254, ინდექსთა - 16, ძირითადია ცხრა ინდექსი.



ავ თემის ნიშანი.

- 1) $\boxed{ი - ავ = ავ} - 12$
- 2) $\boxed{\cancel{ზმნწ} + ი - ავ = ავ} - 4$
- 3) $\boxed{ი - ავქებ} - 114$
- 4) $\boxed{\cancel{ზმნწ} + ი - ავქებ} - 54$
- 5) $\boxed{\cancel{ზმნწ} + ი - ავქებ} - 13$
- 6) $\boxed{\cancel{ზმნწ} + ი - \cancel{ჯ} + ებ} - 1$
- 7) $\boxed{\cancel{ზმნწ} + ი - \cancel{დრეკ} + \cancel{ჯ} - 1$
- 8) $\boxed{\cancel{ზმნწ} - ავ = ავ} - 3$
- 9) $\boxed{\cancel{ზმნწ} \cancel{ზმნწ} - ავ = ავ} - 1$



ავ თემისნიშნის ზმნათა რაოდენობა უდრის 205-ს; ინდექსთა - 11-ს, ძირითადია ოთხი. ავ თემის ნიშანი მცირე შემთხვევაში რჩება მყოფადის წარმოების დროს ზმნაში. უმეტეს შემთხვევაში მას ენაცვლება ებ თემის ნიშანი, იშვიათად შეიძლება დაიკარგოს კიდევ. ავ თემის ნიშნის ებ-ის მონაცვლებით ვლბულობთ ყველაზე მრავალრიცხოვან ინდექსს ავ თემის-ნიშნისებში.

უთემისნიშნო მედიოაქტივები დანაწილდა 10 ინდექსად, რომლებშიაც შედის 82 ზმნა, ძირითადია სამი ინდექსი. მყოფადის წარმოებისას მხოლოდ ებ თემის ნიშანი ემატება უთემისნიშნო ზმნას. ამ ჯგუფის ზმნათა ინდექსებია:

- 1) $\boxed{\text{ი}} - 5$
- 2) $\boxed{\text{ი - ებ}} - 38$
- 3) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი - ებ}} - 9$
- 4) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი - ებ}} - 10$
- 5) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + \text{ი}} - 2$
- 6) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} + \text{ი - ებ}} - 14$
- 7) $\boxed{\text{ი - საწ} + \text{ებ}} - 1$
- 8) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი}} - 1$
- 9) $\boxed{\text{ზმნწ} = \text{ზმნწ} - \text{ებ}} - 1$
- 10) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი}} - 1$

უთემისნიშნო $\begin{cases} \text{ებ (73)} \\ \emptyset (9) \end{cases}$

ამგვარად, ერთპირიანი მედიუმისათვის აუცილებელი ელემენტია თემის ნიშანი, რომლის სხვადასხვაგვარი ფორმა მყოფადის წარმოებისას იძლევა მრავალ ინდექსს. მათი ანალიზის გარეშე შეუძლებელია ამ საკითხის სიღრმით გარკვევა და შესწავლა.

როგორც ვთქვით, მედიოაქტივებში უპირველესია აწმყოში ობ თემის ნიშანი, საერთოდ, მყოფადში ყველა თემის ნიშანი თითქმის ყოველთვის იცვლება ებ-ით და ებ თემის ნიშანი, რომ ობ ან სხვა თემის ნიშნით იცვლებოდეს მყოფადში ასეთი შემთხვევა არ გვაქვს. სულ 49 ინდექსია, რომელშიც შედის 3149 მედიოაქტივის ერთპირიანი ზმნა. აქედან ებ თემის-ნიშნიანი მყოფადში 3134 ერთეული. ე.ი. აწმყოში უპირატესია ობ თემის-ნიშნიანი მედიუმი (რაოდენობა ტოლია 1524 ერთეულის) მყოფადში კი - ებ თემისნიშნიანი (3134 ერთეული). ეს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი ზმნისა. აწმყოში წარმოდგენილი თემის ნიშნები დალაგებულია ზმნათა რაოდენობის მიხედვით.

§ 7. ი - პრეზიპსი

ინდექსში შემავალი ერთ-ერთი ძირითადი და პროდუქტული ელემენტია ღ პრეფიქსი.

ღ პრეფიქსი სათავისო ქცევის ნიშანია მოქმედებითი გეარის ზმნებში, მაგრამ აქ ქცევის გაგება არ აქვს. სწავლების დროს უნდა იქნეს გარჩეული ღ სათავისო ქცევის ნიშანია, ღ პრეფიქსია, სასხვისო ქცევის ნიშანი, თუ ღ ვნებითის აღმნიშვნელია.

ინიანი - ვნებითი ი სასხვისო ქცევ. ი სათავისო ი პრეფიქსი
(შედიუმი)

<u>მყოფად. მწკ.</u>			
ვიზრდება	ამიშენებს	აეიშენებ	ვითამაშებ
გაიზრდება	აგაიშენებს	აიშენებ	ითამაშებ
გაიზრდება	აუშენებს	აიშენებს	ითამაშებს

სხვაობა ვნებითის ი-სა და სასხვისო ქცევის ი-ს შორის ნათელია. ინიანი ვნებითი ერთპირიანია, დაბოლოება - ები, - ები - ება. ინიანს ენაცვლება ორპირიანი ენიანი - ეზრდება - ის მას

სასხვისო ქცევის ღ-ს წარმოდგენილს I-სა და II პირში, ენაცვლება III პირში უ. ეს ღ და უ გამოხატავს კუთვნილებით დამოკიდებულებას ობიექტებს, ან სუბიექტსა და ობიექტს შორის. სასხვისო ქცევის ნიშნები შეიძლება ჰქონდეს სამპირიან გარდამავალ და ორპირიან გარდაუვალ ზმნებს.

ღ პრეფიქსი გამოხატავს სათავისო ქცევას სამივე პირში. ზმნა ყოველთვის ორპირიანია და გარდამავალი. ქცევა კუთვნილებითი დამოკიდებულებაა S-სა და O-ს შორის, S მოქმედებს თავისთვის ე.ი. პ. O ეკუთვნის S-ს და ამ ქცევას სასუბიექტოსაც უწოდებენ.

- ე-ი-შენ-ებ მე მას
- ი-შენ-ებ შენ მას
- ი-შენ-ებ-ს ის მას

ზოგჯერ ხდება, რომ პ.0. დაკარგულია. ზმნა გამოიყურება როგორც ერთპირიანი, მაგრამ ღ პრეფიქსი გვიჩვენებს, რომ ეს ზმნა წარმოშობით ორპირიანია და გარდამავალი. ამის თქმის უფლებას ისიც გვაძლევს რომ II სერიაში S მოთხრობითში შეეწყობა; III პირის მრავლობითობას წყვეტილში - ეს სუფიქსი გამოხატავს. აკლია პ. 0. პირი, რომელიც უნდა ჰქონოდა და გაუჩინარებულა. მაგალითად:

I სერია დაიძინებს ბავშვი

II სერია დაიძინა ბავშვმა; დაიძინ-ეს ბავშვებმა

III სერია დაუძინა ბავშვს;

არ ვაძობთ დაიძინა ძილი, როგორც ვთქვით, პ. 0. გაუჩინარებულა. ასეთი გაუჩინარება გვაქვს 0 პირის საშუალ-მოქმედებითში.

ინიანი ვნებით, ე სათაესო და სასხვისო ქცევის ნიშნები გვაქვს აწმყოშიც, მედიოაქტივისათვის დამახასიათებელი ი პრეფიქსი კი არა. მაგალითად:

<u>აწმყ. მწკ.</u>	<u>ინიანი ვნებითი</u>	<u>ი სასხვისო</u>	<u>ი სათაესო</u>	<u>ი პრეფიქსი</u> <u>(მედიუმი)</u>
	ვიზრდები	მიშენებს	ვიშენებ	ვთამაშობ
	იზრდები	გიშენებს	იშენებ	თამაშობ
	იზრდება	უშენებს	იშენებს	თამაშობს

ე.ი. მედიოაქტივის ი პრეფიქსი არა აქვს აწმყოში, აქვს მყოფადში (ითამაშებს); წყვეტილში (ითამაშა).

უპირატესია ი ელემენტი ინდექსში

ი პრეფიქსიან ზმნათა სქემები

1) ი - ობ $\left\{ \begin{array}{l} \text{ობ (17)} \\ \text{ებ (1506)} \\ \text{ავ (1)} \end{array} \right.$

2) ი - ებ $\left\{ \begin{array}{l} \text{ებ (1046)} \end{array} \right.$

გ) ი - ი დაბოლოებიანი $\left\{ \begin{array}{l} \text{ებ (239)} \\ \emptyset (15) \end{array} \right.$ \emptyset - ი დაბოლოებიანი $\left\{ \begin{array}{l} \text{ებ (19)} \end{array} \right.$

4) ი - ავ $\left\{ \begin{array}{l} \text{ავ (17)} \\ \text{ებ (182)} \\ \text{ავ + ებ (1)} \\ \emptyset (1) \end{array} \right.$

\emptyset - ავ $\left\{ \begin{array}{l} \text{ავ (4)} \end{array} \right.$

5) ი - უთემისნიშნო $\left\{ \begin{array}{l} \text{ებ (72)} \\ \emptyset (9) \end{array} \right.$

\emptyset - უთემისნიშნო $\left\{ \begin{array}{l} \text{ებ (1)} \end{array} \right.$

1) ღ პრეფიქსიანია 3134 ზმნა, 98 % ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი ზმნებისა.

2) მხოლოდ ი პრეფიქსით 1081 ზმნა აწარმოებს აწმყოღან მყოფადს.

3) ღ პრეფიქსის გარეშეა 24 ზმნა.

როგორც ვთქვით, საშუალი გეარის ზმნები აწმყოსაგან მყოფადს მოქმედებითი ფორმის შენაცვლებით აწარმოებს, შედარებით მცირე რაოდენობისა კი ფორმებს იესებს ენებითის ანალოგიით. ვიცით, რომ I სერიაში ორი წრეა ჩამოყალიბებული - აწმყოს წრის მწკრივები და მყოფადის წრის მწკრივები. ნორმალური წარმოებისას ეს ორი მწკრივი უპირისპირდება ერთმანეთს ზმნისწინით, ანუ ასპექტის კატეგორიით: აწმყოს წრე უსრული ასპექტისაა, მყოფადის წრე სრულისა. საშუალი გეარის ზმნებში ეს პრინციპი არ არის დაცული, იშეიათი გამონაკლისების გარდა. საშუალი გეარის ბევრი ზმნა ფუძის მონაცვლებით ან ძირის მონაცვლებით ქმნის მყოფადს.

მედიაოქტივისა და მედიაოპასივის წარმოება არ უნდა იყოს ძველი, ამიტომაც არ ჩანს საბოლოოდ დახვეწილი. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ფორმათა ეს სიჭრელე და ნაირგეარობა. ი პრეფიქსი კი ძირითადად განმსაზღვრელია მყოფადის წარმოებისას, მაგრამ, როგორც ვნახეთ, არანაკლები ძალის მქონეა თემის ნიშნები, რის გამოც საერთოდ არ არსებობს საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე.

აწმყოში სხვა ფორმაა. მაგ.: ჭიკჭიკებს; მყოფადში სხვა - იჭიკჭიკებს;
მეფობს; — იმეფებს;
კამათობს; — იკამათებს;
ღრტეინავს; — იღრტეინებს;
კივის; — იკივლებს.

ამ ზმნათა აწმყოს ფორმები მორფოლოგიურად განსხვავდება მყოფადის ფორმისაგან. მყოფადის მწკრივი არ არის საკუთარი წარმოებისა.

არსებობს განსხვავებული აზრი. ლამარა ნოზაძე ვარაუდობს ერთპირიან მედიაოქტივებთან ი პრეფიქსს, სუფიქსებსაც, მაგრამ ძირითად დაპირისპირებას ახდენს აწმყოსა და ნამყოს მწკრივის საფუძველზე.

„ზოგ მედიაოქტივ ზმნას აწმყოშიაც ი პრეფიქსი ახასიათებს, ე.ი. თუ არა გვაქვს ი პრეფიქსის მიხედვით დაპირისპირებული წყვილები, მაშინ ასეთი ზმნები ნამყო - ძირითადისა და მყოფადის წრის ფორმებს, ჩვეუ-

ლებრივ პრევერბის დართვით აწარმოებს. მაგ.: იცინის - [გა]-იცინებს [გა] - იცინა. ამგვარ ზმნებთან პრევერბი ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც ი პრეფიქსი - მეფობს-იმეფა, იმეფებს; სადილობს-ისადილა, ისადილებს“.¹

ლ. ნოზაძე იმორწმობს ზ. ჭუმბურიძეს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მეფობს-იმეფა ტიპის ზმნათა ი პრეფიქსი ასპექტის საწარმოებელი თავსართია; აგრეთვე არნოდლ ნიქობაეასაც - პრეფიქსაცია ქართული ენის უძველესი დამახასიათებელი პრინციპია - მისი აზრით, გამონაკლისს არ უნდა ქმნიდეს ისეთი სიძველის ზმნები, როგორც ე. წ. მედიოაქტივი ზმნებია. უძველეს ქართულში პრეფიქსული წარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამ ტიპის ზმნებისათვისაც.

ძველი ქართულისა და სხვა ქართველური ენების მონაცემების გათვალისწინებით ლ. ნოზაძე ვარაუდობს, რომ ი პრეფიქსი აწმყოს ფორმებში სპოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი მედიოაქტივი ზმნებისათვის. ი პრეფიქსის მიხედვით აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფორმათა დაპირისპირება აღნიშნულ ზმნებთან მეორეული ჩანს, მიღებული აწმყოს ფორმებში პრეფიქსის დაკარგვის შედეგად.

ე.ი. მეფობს-იმეფა ტიპის წარმოება ისტორიულად მიღებული ჩანს იცინის-იცინა ტიპის წარმოებისაგან.

ცურავს გორავს დრტყნავს მეფობს, დღესასწაულობს, სამხრობს, დაღაღებს ტიპის ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში შემდეგდროინდელია.²

ლ. ნოზაძე ასკენის, რომ „მედიოაქტივ ზმნის ფორმათა ამგვარი დაპირისპირება მეორეულია. სხვაობა, რომელიც არსებობს აღნიშნულ ზმნათა აწმყოსა და ნამყო ძირითადის წრის ფორმებს შორის, წარმოქმნილი უნდა იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე. მედიოაქტივი ზმნებისათვის ი, უ - პრეფიქსები ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აწმყოს წყებაშიც. სტვენს, დრტყინავს, დღესასწაულობს, სადილობს, ხელმწიფობს, კებენს... ტიპის ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში შემდეგდროინდელია, მიღებული ხმოვნის დაკარგვის შედეგად.

ისტორიულად ისტინა, იდრტინა, იდღესასწაულა, ისადილა, უკბინა...

სტვენს, დრტყინავს, დღესასწაულობს, სადილობს, კებენს...

1. ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 29.

2. იკე, გვ. 39.

ზმნათა საკუთარი ფორმებია (და არა ნასესხები!) ისევე, როგორც - აენო, არგო, აწყინა, ატკინა... ჰენებს, პრგებს, სწყენს, სტკენს... ზმნებისა. ი-, უ-, პრეფიქსებს ახალ ქართულში ასპექტის გამოხატვის ფუნქცია უკავშირდება“!

ეს ზმნები რომ ძველი იყოს, დღეს აუცილებლად გამოჩნდებოდა მიდრეკილება უნიფორმაციისკენ.

„ერგატიული კონსტრუქცია (კლა მან იგი, აქო მან იგი) უწინარესია. ნომინატიური კონსტრუქცია კი (ჰკლავს იგი მას, აქებს იგი მას) შემდეგი ხანისაა, უფრო ახალია...“²

„გარდამავალი ზმნა ძველად ერგატიულ კონსტრუქციას იყენებდა იქაც, სადაც ახლა ნომინატიური კონსტრუქცია იმარება, ორივე კონსტრუქციის - ერგატიულისა და ნომინატიურის - ნაცვლად მხოლოდ ერთი, ერგატიული კონსტრუქცია იმარებოდა...“

უღლებს ის ნაკვთი, რომელსაც აწმყოს სახელწოდებით ვიცნობთ, მაშინ ზმნას არ გააჩნდა (ეს ნაკვთი მერეა წარმოქმნილი).³

ამდენად, რადგან აწმყო გვიანი წარმოშობისაა, მედიოაქტივში მყოფადის ფორმების ჩამოყალიბება კიდევ უფრო გვიანი პერიოდისაა.

გარდამავალი ზმნებისთვის დამახასიათებელ კონსტრუქციებს ინარჩუნებენ საშუალ-მოქმედებითი ზმნებიც. აღვნიშნეთ, რომ ზღება არა ფონეტიკური, არამედ მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებები, ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მედიოაქტივებში გავრცელებულია სინტაქსური მოვლენაც:

მყოფადის წრეში სუბიექტი სახელობითშია - იქუხებს ის, დაიქუხებს ის, უდარაჯებს ის მას II სერიაში სუბიექტი მოთხრობითშია - იქუხა მან, დაიქუხა მან, უდარაჯა მან მას. III სერიაში სუბიექტი მიცემითშია - უქუხია მას, უდარაჯია მას (მისთვის).

საშუალი გვარის ზმნათა აქტივის პრობლემა მყოფადის წრეში და II სერიაში, III სერიაში ირიბი დამატების უბრალო დამატებად გადაქცევა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სურათს გვაძლევს აქტივის წარმოებისას

1. ლ. ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

2. არნოლდ ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ბებერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 6.

3. იქვე, გვ. 119.

ხოლო პასივის ფორმები ყველა სერიაში უცვლელი კონსტრუქციით წარმოგიდგება. ასეთი ზმნების უმეტესობა ღონიანი ვნებითება.

ლ. ნოზაძის აზრით, „მედიაოქტივ ზმნებს: ილაღაღა ისერა, დაისადგურა, უმზირა, ურქინა... პირდაპირი ობიექტი არ უნდა .ქონოდათ არც ისტორიულად. ობიექტი ამგვარ ზმნებში ფუძედ არის გამოყენებული წარმოდგენილია „შინაგანი ობიექტის“ სახით. ისტორიულად აღნიშნულ ზმნათა „ობიექტი“ უნდა იყოს ღაღაღა სერო, სადგურო მზირო, რქა... ისევე, როგორც არის ეს შესაბამის რთულ ზმნებში: ღაღაღ-ყო, სერობა-ყო, სადგურ-ყო, ჭმა-უყო, მზირ-უყო...

ამდენად, იმეფა ტიპის ზმნათა ერთპირიანობა ისევე, როგორც ორპირიანობა ურქინა... ტიპის ზმნებისა, თავდაპირველი მოვლენა უნდა იყოს. მეორე პირი იმეფა ტიპის ზოგ ზმნასთან შემდეგ უნდა იყოს განვითარებული“!

საკითხის საბოლოო შესწავლისათვის აუცილებელია ძვ. ქართულის მონაცემების ფართოდ გათვალისწინება, ასევე მონაცემები ცოცხალი მეტყველებიდან და ქართველური ენებიდან, რომ სრულად იყოს წარმოდგენილი ამ ზმნათა ადრინდელი ფორმები და მათი განვითარების მიმართულება.

§ 8. ელემენტი ძირი

ინდექსის ელემენტია ძირი, რომელიც შეიძლება იყოს ზმნური (ზოგი მათგანი მომდინარეობდეს სახელისაგან), საწყისის ფორმით, მიმლეობის ფორმით.

ზმნური ძირის მქონეა ყველა ებ (1046) და ავ (205) თემისნიშნის ზმნები. სულ 1251 ერთეული.

ობ თემისნიშნის წარმოდგენილია ზმნური ძირით:

აწმყოში - 1523 ზმნა

მყოფაღში - 1541 ზმნა

ძირი მიმლეობის ფორმით: აწმყოში - 14 ზმნა; მყოფაღში - 5 ზმნა.

ძირი საწყისის ფორმით: აწმყოში - 14 მყოფაღში - 1.

აწმყოში ი დაბოლოებიანი ზმნური ძირით:

აწმყოში - 254 ზმნა.

მყოფადში - 86 ზმნა.

ძირი მიმღეობის ფორმით: აწმყოსა და მყოფადში უდრის ნულს.

ძირი საწყისის ფორმით: აწმყოში - 2 მყოფადში - 187.

უტემისნიშნო წარმოდენილია ზმნური ძირით:

აწმყოში - 82 ზმნა.

მყოფადში - 80 ზმნა.

ძირი საწყისის ფორმით: აწმყოში - 2 მყოფადში - 2 ზმნა.

ძირი მიმღეობის ფორმით: აწმყოსა და მყოფადში უდრის ნულს.

ძირი	ებ		ობ		ოდაბოლოებიანი		უტემისნიშნო	
	აწმყო	მყოფადი	აწმყო	მყოფადი	აწმყო	მყოფადი	აწმყო	მყოფადი
ზმნური	1046	205	1510	1518	254	86	82	80
საწყისი-სეული	0	0	0	1	0	168	0	2
მიმღეობისეული	0	0	14	5	0	0	0	0

აწმყოში - ზმნური ძირი - 3133 მყოფადში - ზმნური ძირი - 2964

საწყისისეული - 0 საწყისისეული - 190

მიმღეობისეული - 14 მიმღეობისეული - 5

§ 9 ზმნისწინი

მედიალურ ზმნებში ზმნისწინის საშუალებით მყოფადის წარმოება იშვიათია. ზმნისწინის გამოყენების თვალსაზრისით მედიალური ზმნები არ მისდევს ვნებითი და მოქმედებითი გვარის ზმნებს. ფუძემონაცკლე ზმნებში

1. ზმნისწინის წარმოდგენა ინდექსის ელემენტად შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ზმნისწინებს გამოყენება განსხვავებული ფუნქციით ხდება. უმთავრესია სრული ასპექტის წარმოება ან შესაძლებელია მიმართულების გამოხატვა როგორც აწმყოში, ისე მყოფადში.

როდესაც მყოფადის მაწარმოებელი უ პრეფიქსი გვაქვს და მასთან ერთად არის ზმნისწინი, მაშინ ის არ არის მყოფადის მაწარმოებელი, მას სხვა ფუნქცია აქვს.

ი დაბოლოებიანი ზმნები

ა) აწმყოში უზმნისწინოა, მყოფადში ზმნისწინი ერთის, ფუძეში კი ხდება სხვადასხვა ცვლილებები. ასეთია - 99 ზმნა.

წარმოება ი პრეფიქსიანი; მარტივი ზმნისწინები (ზმნისწინი გამოხატავს ასპექტს)

და - ზმნწ. (22)

გა-ზმნწ. (4)

შე-ზმნწ. (6)

ასპექტი

ასპექტი, მიმართულება

ასპექტი

ბღავის-დაიბღავლებს

ბზუის-გაიბზუილებს

კივის-შეიკივლებს

ყვირის-დაიყვირებს

ქრის-გაიქროლებს

ქნავის-შეიქნაველებს

წყმუის-დაიწყმუელებს

შხუის-გაიშხუილებს

მო - ზმნწ. (1)

ჩა-ზმნწ. (10)

წა-ზმნწ. (5)

ასპექტი

ასპექტი, მიმართულება

ოდნობითობა

* ტყუის-მოიტყუებს

ქმუის-ჩაიქმუელებს

ზმუის-წაიზმუელებს

ღმუის-ჩაიღმუელებს

ტირის-წაიტირებს

რთული ზმნისწინები

წარმოება ი პრეფიქსიანია

ამო-ზმნწ. (6)

ჩამო - ზმნწ. (3)

წამო - ზმნწ. (14)

ასპექტი-მიმართულება

ასპექტი, მიმართულება

ასპექტი, ოდნობითობა

ღნავის-ამოიღნაველებს

ქრის-ჩამოიქროლებს

სივის-წამოიხივლებს

ხენემის-ამოიხენეშებს

ჩხავის-ჩამოიჩხაველებს

ფშმუის-წამოიფშმუელებს

ღმუის-წამოიღმუელებს

ბ) წარმოება უ პრეფიქსის გარეშე, მარტივი ზმნისწინები აწარმოებენ მყოფადს თემის ნიშნებთან ერთად.

შენიშვნა: ზმნები, რომლებიც ზმნისწინით აწარმოებენ მყოფადს აღნიშნულია ვარსკვლავით.

ლა - ზმნვ. (7)

შე - ზმნვ. (6)

გა - ზმნვ. (1)

სიტუაცია-მოქმედება
საზედარო

ასპექტი

ასპექტი

*ბლავის-ღაბლავლებს

*კნავის-შეკნავლებს

*ჭყვივის-გასჭყვივლებს

*ჩხავის-ღაჩხავლებს

*ზმუვის-შეზმუვლებს

*წვივის-ღაწვივლებს

გაღა - ზმნვ. (1)

ჩა - ზმნვ. (1)

მო - ზმნვ. (1)

ასპექტი დაბრკოლების

ასპექტი მიმართულება

ასპექტი

გაღალაზება

*ყვირის-გაღაყვირებს

*კივის-ჩაკივივლებს

*მწყისის-მომწყისის.

რთული ზმნისწინები აწარმოებენ მყოფადს თემის ნიშანთან ერთად

გაღმო - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება

დაბრკოლების გაღალაზება

*ჩხავის-გაღმოჩხავლებს

ჩამო - ზმნვ. (3)

წამო - ზმნვ.(1)

ასპექტი მიმართულება

ასპექტი - ოღნაობითობა

*კივის - ჩამოკივივლებს

*კნავის-წამოკნავლებს

*ყივის - ჩამოყივივლებს

გ) ღ - დაბოლოებიან ფუძემონაცვლებს (მელიოაქტივებს) აწმყოში აქვთ ზმნისწინი და მყოფადის წარმოებისას მათ იცილებენ.

წარმოება ი პრეფიქსიანია

ღა - ზმნვ. (17)

მი - ზმნვ. (10)

მო - ზმნვ. (14)

მრავალგზისობა

მამორებელი გეზი მიმართული ორიენტაცია

დაკრთის-იკრთოლებს

მიხუის-იხუებს

მაახლოებელი გეზი

დაძრწის-იძრწოლებს

მირბის-ირბენს

მოქშუის-იქშუელებს

ღაბტის - იბტომებს

მობღავის-იბღაველებს

მოწივის-იწიველებს

ასეთი წარმოება უ პრეფიქსის გარეშე არ გვაქვს.

ღ) ღ დაბოლოებიანი ზმნები აწმყოსა და მყოფადში წარმოდგენილია ზმნისწინით. მყოფადში გადასვლისას ასპექტს გამოხატავს ზმნისწინი, რომელიც შეიძლება იყოს შეიძლება არა.

წარმოება უ პრეფიქსიანი, მარტივი ზმნისწინები.

გა - ზმნწ. (4)

ასპექტი, მიმართულება
გარბის-გაირბენს

მო - ზმნწ. (3)

ასპექტი მიმართულება
მოსწრაფის-მოსწრაფებს

ჩა - ზმნწ. (8)

ასპექტი, მიმართულება
ჩაღმუის-ჩაღმუელებს

შე - ზმნწ. (1)

ასპექტი, მიმართულება
შერბის-შეირბენს

გაღა - ზმნწ. (1)

ასპექტი, მიმართულება
გაღარბის-გაღაირბენს

რთული ზმნისწინები (ფუძეში ხდება სხვადასხვა ცვლილებები)

გამო - ზმნწ. (7)

ასპექტი - მიმართულება
გამოქრის-გამოიქროლებს
გამოჭვივის-გამოიჭვივებს

ამო - ზმნწ. (4)

ასპექტი მიმართულება
ამოივის-ამოიკივებს
ამოქშუის-ამოიქშუელებს

გაღმო - ზმნწ. (3)

ასპექტი, მიმართულება
გაღმორბის-გაღმოირბენს
გაღმოყვირის-გაღმოიყვირებს

შემო - ზმნწ. (3)

ასპექტი, მიმართულება
შემორბის-შემოირბენს
შემოქრის-შემოიქროლებს

მიმო - ზმნწ. (1)

მიმართულება
მიმოქრის-მიმოიქროლებს

ჩამო - ზმნწ. (4)

ასპექტი მიმართულება
ჩამოტირის - ჩამოიტირებს
ჩამოყვივის - ჩამოიყვივებს

ე) ღ დაბოლოებიან მედიოაქტივებს ზმნისწინთა მონაცვლეობაც ასასი-ათებთ.

წარმოება ღ პრეფიქსიანია. აწმყოსა და მყოფადში ზდება ღ დაბოლოების შეცვლა ებ თემის ნიშნით.

მოიბრძვის-გამოიბრძოლებს

ამრიგად, ღ დაბოლოებიანი ზმნები ძალიან ხშირად იყენებენ ზმნისწინს აწმყოდან მყოფადის წარმოებისას. ამიტომაც განვიხილავთ მათ პირველ რიგში.

როგორც ვნახეთ, მარტივი და რთული ზმნისწინიც ახლავს ზმნებს მყოფადის მწკრივში და გამოხატავენ ასპექტს, მიმართულებას, ოდნაობითობას (ქშუის-ჩაიქშუელებს; კნავის - წამოიკნაველებს).

აწმყოში ღ დაბოლოებიანებს მოუღით ღა, მი, მო ზმნისწინები და მყოფადში გადასვლისას შორდებათ (დაკრათის-იკრთოლებს; მოწივის - იწიველებს).

ზმნისწინი მაინც აუცილებელი ელემენტია ინდექსის მყოფადის წარმოებისას, მართალია, ფუძეში ზდება სხვა ცვლილებებო, მაგრამ თუ ზმნისწინი არ იქნება ისე ზმნა მყოფადის მწკრივს ვერ გამოხატავს (ბლავის-დაბლავლებს; წივის-დაწიველებს).

ებ თემისნიშნის ზმნათა ინდექსების უმრავლესობა ზმნისწინიანია. აწმყოდან მყოფადში გადასვლისას 246 ზმნა ირთავს ღ პრეფიქსსა და ზმნისწინს.

მარტივი ზმნისწინები (შინაარსობრივი ნიუანსი).

გა - ზმნწ. (30)

ასპექტი; გეზი მიუმართავი

ბრჭყვიალებს-გაიბრჭყვიალებს

რანხრახებს-გაირანხრახებს

ტყაპუნებს-გაიტყაპუნებს

მო - ზმნწ. (2)

ასპექტი; მიუმართავი გეზი

გოგმანებს-მოიგოგმანებს

მოქმედებს-მოიმოქმედებს

გადა - ზმნწ. (3)

ასპექტი; მიმართულება

დაბრკოლების გადალახვა

გრილებს-გადაიგრილებს

ხარხარებს-გადაიხარხარებს

ხითხითებს-გადაიხითხითებს

ღა - ზმნწ. (65)

ასპექტი; მიუმართავი გეზი
ბუბუნებს-ღაიბუბუნებს
ფრუტუნებს-ღაიფრუტუნებს
ღულუნებს-ღაიღულუნებს
ჩიფჩიფებს-ღაიჩიფჩიფებს
ჯიჯღინებს-ღაიჯიჯღინებს

შე - ზმნწ. (16)

ასპექტი გეზი მიუმართავი
გრიალებს-შეიგრიალებს
ქაქანებს-შეიქაქანებს
წკაწკაუებს-შეიწკაწკაუებს
ჭრიალებს-შეიჭრიალებს
ხრიგინებს-შეიხრიგინებს

ჩა - ზმნწ. (60)

ასპექტი გეზი მიუმართავი
მოქმედებასთან თანხედრა
როხინებს-ჩაიროხინებს
ტუტუნებს-ჩაიტუტუნებს
ღუნღუნებს-ჩაიღუნღუნებს
შრიალებს-ჩაიშრიალებს
ჭიხინებს-ჩაიჭიხინებს

წა - ზმნწ. (39)

ასპექტი ოღნაობა
ზმუკუნებს-წაიზმუკუნებს
ღულღულებს-წაიღულღულებს
სისინებს-წაისისინებს
ქეითინებს-წაიქეითინებს
ჩურჩულებს-წაიჩურჩულებს

რთული ზმნისწინები (შინაარსობრივი ნიუანსი)

შემო - ზმნწ. (7)

ასპექტი მიმართულება
ბაჯბაჯებს-შემობაჯბაჯებს
კუნტრუშებს-შემოიკუნტრუშებს
ქაქანებს-შემოიქაქანებს
წაწანებს-შემოიწაწანებს
ჭიკჭიკებს-შემოიჭიკჭიკებს

წამო - ზმნწ. (22)

ასპექტი ოღნაობა
ღულუნებს-წამოიღულუნებს
კრუტუნებს-წამოიკრუტუნებს
ტიკტიკებს-წამოიტკტიკებს
შრიალებს-წამოიშრიალებს
ხრანტალებს-წამოიხრანტალებს

გამო - ზმნწ. (1)

ასპექტი, მიმართულება
სრიალებს-გამოსრიალებს

ჩამო - ზმნწ. (1)

ასპექტი, მიმართულება
ცანცალებს-ჩამოიცანცალებს

ებ თემისნიშნიანებს აწმყოში აქვთ ზმნისწინი, მაგრამ მყოფადში გადას-
ვლისას შორდებათ, მყოფადს აწარმოებს ი პრეფიქსი.

ზმნისწინები უჩვენებენ მიმართულებას

და - ზმნწ. (120)

გეზი მიუმართავია
დაგდაგებს-იდაგდაგებს
დაკიკინებს-იკიკინებს
დატიკტიკებს-იტკტიკებს
დაცუნცულებს-იცუნცულებს
დაწკმუტუნებს- იწკმუტუნებს

მო - ზმნწ. (55)

გეზი მიმართული
მოდუდუნებს-იდუდუნებს
მოფრიალებს-იფრიალებს
მოშრიალებს-იშრიალებს
მოციმციმებს-იციმციმებს
მოწანწალებს-იწანწალებს

მი - ზმნწ. (41)

გეზი მიმართული
მიგრიალებს-იგრიალებს
მილასლასებს-ილასლასებს
მიფართქალებს-იფართქალებს
მიღრიალებს-იღრიალებს
მიძუნძულებს-იძუნძულებს

ჩა - ზმნწ. (1)

გეზი მიუმართავი
ჩადუდუნებს-იდუდუნებს

ებ თემისნიშნიანი ზმნები, რომელთაც ზმნისწინი აქვთ აწმყოში და
გადაჰყვებათ მყოფადშიც, მყოფადს აწარმოებს ი პრეფიქსით.

მარტივი ზმნისწინები

ჩა - ზმნწ. (2)

ასპექტი მყოფადში;
გეზი მიუმართავე;
თანხვედრა მოქმედებასთან.
ჩაჩუხჩუხებს-ჩაჩუხჩუხებს
ჩაჩხრიალებს-ჩაჩხრიალებს

გადა - ზმნწ. (2)

ასპექტი გეზი მიმართული
დაბრკოლების გადალახვა
გადაჩანჩქარებს-გადაჩანჩქარებს
გადაწანწკარებს-გადაწანწკარებს

რთული ზმნისწინები

მიმო - ზმნწ. (1)

ასპექტი მიმართულება
საიქეთო და სააქეთო
მიმოსრიალებს-მიმოისრიალებს

გადმო - ზმნწ. (4)

ასპექტი მიმართულება
გადმოჩქეფარებს-გადმოიჩქეფარებს
გადმოწანწკარებს-გადმოიწანწკარებს

გამო - ზმნწ. (3)

ასპექტი მიმართულება
გამომეტყველებს-გამოიმეტყველებს
გამოჩუხჩუხებს-გამოიჩუხჩუხებს

შემო - ზმნწ. (1)

ასპექტი მიმართულება
შემოქმუტუნებს-შემოიქმუტუნებს

ჩამო - ზმნწ. (9)

ასპექტი მიმართულება
ჩამობიბინებს-ჩამოიბიბინებს
ჩამოწკრილებს-ჩამოიწკრილებს

ამრიგად, ებ თემისნიშნინები მყოფადში ი პრეფიქსთან ერთად ირთავენ ხან მარტივ ხან რთულ ზმნისწინებს, რომლებიც გამოხატავენ ასპექტს მიმართულებას გეზს (ლულუნებს-დაილულუნებს; ქაქანებს-შემოიქაქანებს); გვაქვს მაგალითები, როცა ზმნისწინი აწმყოსა და მყოფადშიც გვხვდება ამ შემთხვევაშიც შინაარსობრივ ნიუანს გამოხატავს მყოფადს კი აწარმოებს ი პრეფიქსი (ჩაჩხრიალებს-ჩაჩიხრიალებს).

აწმყოში ეხ თემისნიშნინანებთანაც ღა, მღ, მღ ზმნისწინიანი ერთეულები გეხედება, მყოფადში გადასვლისას კი ისინი ზმნას შორდებიან (დაცუნცულებს-იცუნცულებს; მოციმციმებს-ციმციმებს).

ღ თემისნიშნინანები ზმნისწინს ირთავენ მყოფადის წარმოების დროს ღ პრეფიქსთან ერთად (ყველა ინდექსი ღ პრეფიქსიანია). უმეტეს შემთხვევაში ზმნისწინი შეიძლება არ იყოს. იშვიათია, როცა მყოფადს აწარმოებს ზმნისწინი.

მარტივი ზმნისწინები

გა - ზმნწ. (17)

ასპექტი

- *ზაფხულობს-გაიზაფხულებს
- ლაზღანდარობს-გაილაზღანდარებს
- ნაღირობს-გაინაღირებს
- ქეიფობს-გაიქეიფებს
- ჯირითობს-გაიჯირითებს

მო - ზმნწ. (17)

ასპექტი

- *აზრობს-მოიზრებს
- *ლოგინობს-მოილოგინებს
- *წადინობს-მოიწადინებს
- *თარეშობს-მოითარეშებს

ნა - ზმნწ. (18)

ასპექტი

- *ბუღობს-ჩაიბუღებს
- *ქვეითობს-ჩაიქვეითებს
- ტრაბახობს-ჩაიტრაბახებს

ღა - ზმნწ. (13)

ასპექტი

- *ბუღობს-დაიბუღებს
- *გვიანობს-დაიგვიანებს
- *ზამთრობს-დაიზამთრებს
- ყვავილობს-დაიყვავილებს
- *ჩემულობს-დაიჩემებს
- *შვენობს-დაიშვენებს

შე - ზმნწ. (7)

ასპექტი

- კუნტრუშობს-შეიკუნტრუშებს
- *ყვრობს-შეიყვარებს
- ხმაურობს-შეიხმაურებს
- *სწყალობს-შეიწყალებს

წა - ზმნწ. (24)

ასპექტი ოდნობითობა
აუღმყოფობს-წაიუღმყოფებს
ეანშმობს-წაიუანშმებს
ზარმაცობს-წაიზარმაცებს
მეცადინეობს-წაიმეცადინებს

გაღა - ზმნწ. (3)

ასპექტი დაბრკოლების გადალახვა
*ღარობს-გადაიღარებს
ნადირობს-გადაინადირებს

რთული ზმნისწინები

გამო - ზმნწ. (7)

ასპექტი მიმართულება
ნაუარღობს-გამოინაუარღებს
სეირნობს-გამოსეირნებს
ფხიზლობს-გამოიფხიზლებს

შემო - ზმნწ. (3)

ასპექტი მიმართულება
თამაშობს-შემოითამაშებს
ნაუარღობს-შემოინაუარღებს
ჯირითობს-შემოიჯირითებს

წამო - ზმნწ. (5)

ასპექტი მიმართულება
კაპასობს-წამოიკაპასებს
ყბეღობს-წამოიყბეღებს
წიწმატობს-წამოიწიწმატებს

ჩამო - ზმნწ. (5)

ასპექტი მიმართულება
*ნაცვლობს-ჩამოინაცვლებს
სეირნობს-ჩამოსეირნებს

ობ თემისნიშნით ზმნებს აწმყოში აქვთ ზმნისწინი მყოფაღში არ გადაჰყვებათ

მარტივი ზმნისწინები

ღა - ზმნწ. (62)

მიუმართავი გეზი
დაბორიღლობს-იბორიღლებს
ღაფართხალებს-იფართხალებს

მო - ზმნწ. (24)

მიმართული გეზი
მაახლოებელი ორიენტაცია
მოსეირნობს-ისეირნებს
მოკუნტრუმობს-იკუნტრუმებს

დაყანყალებს-იყანყალებს
დაძუნძულებს-იძუნძულებს
დაჭორიკნობს-იჭორიკნებს

მოჩინდრიკობს-იჩინდრიკებს
მოწანწკარებს-იწანწკარებს
მოჯახირობს-იჯახირებს

მი - ზმნწ. (15)

მიმართული გეზი; მამორებელი ორიენტაცია
მიბორძიკობს-იბორძიკებს
მიფათურობს-იფათურებს
მიქანაობს-იქანავეებს
მიჩერჩეტობს-იჩერჩეტებს

ობ თემისნიშნიანი ზმნები აწმყოსა და მყოფადში ერთი და იმავე ზმნისწინითაა წარმოდგენილი

შემო - ზმნწ. (1)

ასპექტი, მიმართულება არ ჩანს
შემოქმედობს - შემოიქმედებს

თითო ინდექსიანი ზმნები აწმყოდან მყოფადს აწარმოებენ სხვადასხვაგვარად. ზმნისწინი თითქოს აუცილებელ ელემენტად გვევლინება მწკრივის საწარმოებლად.

*ტყობილობს-შეიტყობს; *ღებულობს-მიიღებს; *გებულობს-გაიგებს;
*ლოცულობს-წაილოცავს||ილოცებს.

ობ თემისნიშნიანებში დაიძებნა ყველაზე მეტი ისეთი ერთეული როცა ზმნისწინს აქვს მნიშვნელობა ახალი (მყოფადის) მწკრივის წარმოებისას. ფუძეში ზღება სხვა ცვლილებებიც, მაგრამ ზმნისწინის გარეშე მყოფადის გაგებას არ იძლევა ზმნა. მაგ.: ბუდობს; იბუდებს - აწმყოა. (დაიბუდებს-მყოფადი). გამოიყენება მარტივი და რთული ზმნისწინები.

სხვა დაბოლოების მსგავსად აწმყოს მწკრივში გვაქვს და, მი, მო ზმნისწინები, რომლებიც მყოფადში გადასვლისას ზმნებს შორდება (დაძუნძულებს-იძუნძულებს; მოჯახირობს-იჯახირებს).

ავ თემისნიშნიანი ზმნები ი პრეფიქსთან ერთად დაირთავენ ზმნისწინებს.

ავ თემისნიშნიანი უცვლელია აწმყოსა და მყოფადში.

ლა - ზმნვ. (1)

ასპექტი გეზი მიუმართავი
ყვინთავს-დაიყვინთავს.

გა - ზმნვ. (1)

ასპექტი ოდნაობა
ბუუტავს-გაიბუუტავს

მარტივი ზმნისწინები ავ იებ (ავ თემის ნიშანს მყოფადში ცვლის ებ).

გა - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება
ბრწყინავს-გაიბრწყინებს

ლა - ზმნვ. (2)

ასპექტი მიმართულება
ქროლავს-დაიქროლებს
ჭეკავს - დაიჭეკებს

ნა - ზმნვ. (2)

ასპექტი მიმართულება
გმინავს-ჩაიგმინებს
ელავს-ჩაიელვებს

წა - ზმნვ. (2)

ასპექტი - ოდნაობა
გმინავს-წაიგმინებს
ფორთხავს-წაიფორთხებს

რთული ზმნისწინები

ამო - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება
კრინავს-ამოიკრინებს

გამო - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება
ჭეკავს-გამოიჭეკებს

გადმო - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება
ქროლავს-გადმოიქროლებს

შემო - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება
ქროლავს-შემოიქროლებს

წამო - ზმნვ. (3)

ასპექტი ოდნაობა
გმინავს-წამოიგმინებს
კრინავს-წამოიკრინებს

ზმნისწინების დამატებით იწარმოება მყოფადის მწკრივი.

გადმო - ზმნვ. (1)

ასპექტი დაბრკოლების გადალახვა
*ცურავს-გადმოცურავს

შე - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება
*ცურავს-შეცურავს

შემო - ზმნწ. (2)

ასპექტი

ქროლავს-შემოქროლავს.

აუ თემისნიშნის ზმნებს აწმყოში აქვთ და, მი, მო ზმნისწინები, მყოფად-ში არ გადაჰყვებათ.

და - ზმნწ. (23)

გეზი მიუმართავი
დაბობავს-იბობებს
დაფრინავს-იფრენს
დალოლავს-ილოლებს
დაჩოჩავს-იჩოჩებს
დაწოწავს-იწოწებს

მო - ზმნწ. (16)

გეზი მიუმართავი მახლობელი ორიენტაცია
მობეჭდავს-იბეჭდებს
მოგელავს-იგელეებს
მოგოგავს-იგოგებს
მოზოზავს-იზოზებს
მიხტუნავს-იხტუნებს

მი - ზმნწ. (16)

გეზი მიმართული მამორებული ორიენტაცია
მიგორავს-იგორებს
მიფორთხავს-იფორთხებს
მიტბორავს-იტბორებს
მიქროლავს-იქროლებს
მიცოცავს-იცოცებს

აუ თემისნიშნის ზმნები ზმნისწინთა მონაცვლეობით აწარმოებენ მყოფადს.

*მიცურავს-გაცურავს.

ამრიგად, აუ თემისნიშნის ნაკლებად იყენებენ ზმნისწინებს მყოფადის მწკრივში. გვხვდება მარტივი და რთული ზმნისწინები; (ბრწყინავს-გაბრწყინებს; კრინავს-ამოიკრინებს) აწმყოში და, მი, მო ზმნისწინები მყოფადმა გადასვლისას შორდებათ ზმნებს.

(დაბობავს-იბობებს; მოგელავს-იგელეებს).

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა ზმნისწინი აწარმოებს მყოფადის მწკრივს. გამოყენებულია ზმნის მხოლოდ ორი ძირი. მაგ.: ცურავს-შეცურავს; ქროლავს-შემოქროლავს.

უთემისნიშნო ზმნები მყოფადში გადასვლისას ირთავს ზმნისწინს, ე პრეფიქსს და ზოგს ახლავს ებ თემის ნიშანი.

ღა - ზმნვ. (3)

ასპექტი
ელაეს-დაიელებს
ყეფს-დაიყეფს

გაღა - ზმნვ. (1)

ასპექტი დაბრკოლების გადალახვა
ელაეს-გადაიელებს

გამო - ზმნვ. (1)

ასპექტი მიმართულება
ქუხს-გამოიქუხებს

წა - ზმნვ. (1)

ასპექტი ოღნაობა
ყეფს-წაიყეფებს

წამო - ზმნვ. (3)

ასპექტი ოღნაობა
ქუხს-წამოიქუხებს
ყეფს-წამოიყეფებს
წვიმს-წამოიწვიმებს

უთემისნიშნობს აწმყოში აქეთ ზმნისწინი მაგრამ მყოფალში არ გადა-
ქეებათ.

ღა - ზმნვ. (2)

დაფეთქს-იფეთქებს
დაქუხს-იქუხებს

მი - ზმნვ. (1)

მიფრენს-იფრენს.

მო - ზმნვ. (6)

მოშხეფს-იშხეფებს
მოჩქეფს-იჩქეფებს
მოწვიმს-იწვიმებს

აწმყოსა და მყოფალში ერთი და იგივე ზმნისწინები, მყოფალს კი
აწარმოებს ღ პრეფიქსი და უშეტესად ემატება ებ თემის ნიშანიც.

მარტივი ზმნისწინები

ჩა - ზმნვ. (2)

ასპექტი მოქმედებასთან
თანხვედრილობა
ჩაჩქეფს-ჩაიჩქეფებს
ჩაქუხს-ჩაიქუხებს

გაღა - ზმნვ. (2)

ასპექტი დაბრკოლების
გადალახვა
გადადულს-გადაიდულებს
გადაქუხს-გადაიქუხებს

მო - ზმნვ. (1)

ასპექტი
მოსთრეფს-მოითრეფს

(ღ პრეფიქსის გარეშე, მყოფალს აწარმოებს ებ თემის ნიშანი)

ამლ - ზმნწ. (2)

ასპექტი მიმართულება

ამოქუხს-ამოიქუხებს

ამოჩქეფს-ამოიჩქეფებს

გაღმო - ზმნწ.(3)

ასპექტი მიმართულება

გაღმოჩქეფს-გაღმოიჩქეფებს

გაღმოღულს-გაღმოიღულებს

გამო - ზმნწ. (3)

ასპექტი მიმართულება

გამოჩქეფს-გამოიჩქეფებს

გამოჭვირს-გამოიჭვირებს

ჩამო - ზმნწ (2)

ასპექტი მიმართულება

ჩამოქუხს-ჩამოიქუხებს

ჩამოწვეთს-ჩამოიწვეთებს.

ე.ი. უთემისნიშნოები მყოფადში იშვიათად იყენებენ მარტივ და რთულ ზმნისწინებს (ქუხს-გამოიქუხებს; ელავს-გადაიელავებს); აწმყოში აქვთ და, მი, მო ზმნისწინები და მყოფადში გადასელისას შორდებათ (დაფეთქს-იფეთქებს მორჩეფს-იჩქეფებს).

გვაქვს მაგალითები, როცა ერთი და იგივე ზმნისწინები აწმყოშიც და მყოფადის მწკრივშიც ახლავს ზმნებს (გადაღულს-გადაიღულებს; გამოჭვირს-გამოიჭვირებს).

ამრიგად, ყველაზე დიდი რაოდენობით ზმნისწინები გვხვდება ღ დაბოლოებიან და ებ თემისნიშნიან ზმნებთან. აგრეთვე ობ თემისნიშნიანებთანაც. ავ თემისნიშნიანი და უთემისნიშნოები ნაკლებად იყენებენ მათ.

ყველა დაბოლოებიანი ზმნა მყოფადში გამოიყენებს მარტივ და რთულ ზმნისწინებს. ზმნისწინი შინაარსობრივი ნიუანსის გამომხატველია.

მაგ.: ბზუნს-გაიბზუნებს

ელავს-გაიელავებს

გმინავს-წაიგმინებს

ნავარღობს-შემოინავარდებს

ხრიგინებს-შეიხრიგინებს

ყეფს-წაიყეფებს.

ყველა დაბოლოებაში გამოიყო ისეთი ფორმები, როცა აწმყოში გვაქვს მხოლოდ და, მი, მო ზმნისწინები, რომლებიც შორდებათ მყოფადში გადასელისას.

მაგ.: დაკრთის-იკრთობს

მიცოცავს-იცოცებს

მოხობავს-იხობებს

მოჩინდრიკობს-იჩინდრიკებს

დატივტივებს-იტივტივებს

მიფრენს-იფრენს.

საერთოა ის შემთხვევები, როცა ზმნისწინია აწმყოსა და მყოფადშიც.
მაგ.: ჩაჩქეფს-ჩაჩქეფებს მიმოსრიალებს-მიმოსრიალებს
ამოკივის-ამოკივლებს ჩამოწკრიალებს-ჩამოწკრიალებს.

ღ დაბოლოებიან და ობ თემისნიშნის ზმნებში ზმნისწინი აუცილებელი ელემენტია ინდექსისა. გვხვდება მაგალითები, როცა მყოფადის წარმოებისას მართალია, ფუძეში ხდება სხვა ცვლილებები, მაგრამ ზმნისწინის გარეშე ზმნა მყოფადის გაგებას არ იძლევა.

მაგ.: კნავის-შეიკნაელებს ყვირის-გადაიყვირებს
ბუღობს-დაიბუღებს ზრობს-მოიზრებს.

აჟ თემისნიშნის კი არსებობს ორი ძირის ზმნა, როცა მხოლოდ ზმნისწინით ხდება მყოფადის წარმოება. მაგ.: ცურავს-შეცურავს ქროლავს-შემოქროლავს.

§ 10. მეშველზმნიანი ფორმები მედიოაქტივებში

მედიალური ზმნების შესწავლისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ზოგ მათგანს უწინდება მეშველი ზმნა.

მეშველზმნიანი ფორმები გამოყოფილია მთლიანად საანალიზო მასალიდან. ღვინდება, რომ ებ, ობ, აჟ თემისნიშნიანი ზმნები არ დაირთავენ მეშველ ზმნას.

მეშველზმნიანი ფორმები ახლავს ღ - დაბოლოებიანსა და უთემისნიშნო ზმნებს I-სა და II პირში. ზოგ ზმნაში იგი რეალურადაა დამკვიდრებული, ზოგან კი მერყეობს - შეიძლება იყოს და შეიძლება არა. ზოგი შესაძლებელია მივიჩნიოთ ლიტერატურულ ფორმად (ითქმება და იწერება ერთნაირად), ზოგი - ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებლად.

ე.ი. მეშველზმნიანი ფორმები I-სა და II პირში ჩნდება ი - დაბოლოებიანი და უთემისნიშნო მედიოაქტივებთან და მისი გაჩენა შეიძლება იყოს ახალი მოვლენა. მეშველზმნიანი ფორმები თანდათან ყალიბდება და საბოლოოდ დამკვიდრდება ვზივარ და ვღვაეარ ზმნათა კვალობაზე.

I. ი - დაბოლოებიანი ზმნები 273 ერთეულია. მეშველზმნიანი ფორმები I-სა და II პირში თანდათან მკვიდრდება (146 ერთეული)

ემღერივარ	ეტირივარ	ეკრთივარ
მღერიზარ	ტირიზარ	კრთიზარ
მღერის	ტირის	კრთის

II. ღ დაბოლოებიანებს არ უკეთდებათ მეშველი ზმნა (13 ერთეული)
მაგ.: მოსწრაფის ვიღუწი, მოიბრძვის, ვიცინი... და ა.შ.

I. უთემისნიშნობში გამოიყო ისეთი ზმნები, რომლებიც რეალურად იყენებენ I-სა და II პირში მეშველ ზმნებს (35 ერთეული)

მაგ.: ვღუმვარ, ღუმზარ, ღუმს.

II. უთემისნიშნო ზმნები, რომლებიც არ დაირთავენ მეშველ ზმნებს (25 ერთეული).

მაგ.: ფშვენს, ფრთენს, ღრენს, ფეთქს და ა.შ.

§ 11. ობ თემისნიშნიანი ინდექსები მაგალითებით

ობ თემისნიშნიან ზმნათა რაოდენობა აწმყოში ყველაზე ბევრია. მედიო-ოაქტივები აწმყოდან მყოფადის მწკრივის წარმოებისას გამოყოფენ შემდეგ ინდექსებს:

1)

ი - ობ =

ობ ინდექსი მიგვანიშნებს, რომ ზმნები აწარმოებენ მყოფადის მწკრივს ღ პრეფიქსით, ობ თემის ნიშანი უცვლელადაა აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში. მოგვეპოვება 16 მაგალითი.

ბჭობს-ობჭობს

„ვიცი კარგად ვიცი ძალიან, რასაც ბჭობენ, რასაც ფიქრობენ“ (ვაჟა).

2)

ი-ობ ჭებ

 ინდექსი აწმყოს მწკრივიდან მყოფადის მწკრივს აწარმოებს ი პრეფიქსის საშუალებით. ობ თემის ნიშანი იცვლება ებ თემის ნიშნით.

რიცხობრივად ამ ინდექსში ყველაზე მეტი ზმნა ერთიანდება. კერძოდ, 1280.

აუზაკობს-იავზაკებს

„ვერ მიხვდნენ, რომ გაბრო თავისთვის არის და აქაც და იქაც სულ სხვადასხვანი ავზაკობენ იმის სახელითა“ (ილია).

ბატონობს-იბატონებს

„გარეთ კი ყინვა ბატონობდა და კარში თავს არავის აყოფინებდა“ (თ. რაშიკ.).

გმირობს-იგმირებს

„პოეზიისთვის ცა შესძარ, იგმირე, იტარიელე“ (ი.გრიშ.).

ეშმაკობს-იეშმაკებს

„რატომ არ მოდის ის ბიჭი, ქა არაფერი - კი იეშმაკოს!“ (ვაჟა).

ვანშობს-ივანშობებს

„ამ დროს ყოველთვის ვანშობდა შინ [ოქრომჭედელი] (შ. არაგვი).

ზეიმობს-იზეიმებს

„[ჩიტები] ხალისობდნენ ერთად, ... ზეიმობდნენ თავისებურად“ (ე. ბარნ.).

თათბირობს-ითათბირებს

„არჩილმა და ნიკამი იფიქრეს ითათბირეს, მეზობლებს გამოჰკითხეს“ (ს. კლდ.).

იკოტრიალობს-იკოტრიალებს

„დიდხანს იკოტრიალა ორგზის დაჭრილმა არსაკიძემ თავდაღმართში“ (კ. გამსახ.).

ლომობს-ილომებს

„ვით უსაჭურველად მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს., ვერ აღასრულოს საწაღი რაც ნებაეს მისთვის ღონობდეს...“ (დ.გურამ.).

მთავარსარდლობს-იმთავარსარდლებს

„თუ სვიმონისაგან განსწავლული სააკაძე მთავარსარდლობდა საქართველოს საფარ ომებში, შადიმანი წინამძღვრობდა ქართველთ ცხოვრების მიმოდენაში“ (ე. ბარნ.).

ნადიმობს-ინადიმებს

„დღეს სამ წყებად ნადიმობდნენ [გიორგის] სტუმრები (ე. ბარნ.).

ომობს-იომებს

„რად ომობდით, პაპაე რა გქონდათ გასაყოფი?“ - ჰკითხა კვლავ ცნობისმოყვარე შალეამ“ (ვაჟა).

პირფერობს-იპირფერებს

„ბატონო ლეხოვ! ნუ პირფერობთ!“ (გ. წერეთ.)

ჟინიანობს-იჟინიანებს

„თინათინი უმიზეზოდ ერხუებოდა ოჯახში ყველას კაპასობდა, ჟინიანობდა“ (ე. ნინოშ.).

რაკუნობს-ირაკუნებს

„თუ სარეკელა რაკუნობს, ნაჭლიკაში დის ზეავია“ (ვაჟა).

საუზმობს-ისაუზმებს

„საქმე მაქვს საყურადღებო, ჩემო ძმობილო, შენთანა, ამიტომა გთხოვ მოხვიდე და ისაუზმო ჩვენთანა“ (ვაჟა).

ტორტმანობს-იტორტმანებს

„ასე ეგონა ბილიკზე მიმავალს, ... ტორტმანობსო მთელი ქვეყანა“ (კ. გამსახ.).

უფროსობს-იუფროსებს

„შინ იყო და იუფროსო ის არა სჯობს?“ (ა. ყაზბ.).

ფხიზლობს-იფხიზლებს

„ძაღვები ფხიზლობენ და მთელი ღამე ყეფენ“ (ვაჟა).

ქეიფობს-იქეიფებს

„შირთვით, იქეიფეთ, თქვენი ჭირიმეთ, კარგი დროება გაატარეთ“ (ვაჟა).

ლოლიალობს-ილოლიალებს

„სხვებმა ილოლიალებს და დაჭკნენ აყვავებამდე“ (ი. გოგებ.).

ყოყლოჩინობს-იყოყლოჩინებს

„ჯიბო სოფლის ინტილიგენტი იყო, მაგრამ არ ყოყლოჩინობდა“ (ეკ. გაბ.).

შარიშურობს-იშარიშურებს

„შარიშურობდა კაკლის ზის ტოტი“ (ლ. ასათ.).

ჩირთიფირთობს-იჩირთიფირთებს

„ვანომ [გიგოს] თავი გაუქნია და თვალებითვე მიუგო - „არაფერი რაღას ჩირთიფირთობენო“ (ნ. ლომ.)

ცელქობს-იცელქებს

„ყმაწვილია და ცელქობს, ჯერ ამან ზრდილობისა არა იცის რა, ყველას ეთამაშება! (აკაკი).

ძუნწობს-იძუნწებს

„ჩინ-ორდენებზედაც მეტად ძუნწობდა [ერმოლოვი]“ (მ. ჯავახ.).

წიოკობს-წიოკებს

„კრუხი თავისას არ იშლიდა, წიოკობდა“ (თ. რაჭიკ.).

ხუმრობს-იხუმრებს

„ხშირად უხუმრია ამჟებ ბეკინას“ (დ. კლდ.).

ჯიქობს-იჯიქებს

„ჯიქობდა მეფე, არაუის ანდობდა თავის გულს თქმას“ (ვ. ბარნ.).

ჭარბობს-იჭარბებს

„ჩვენში მარილი, პილილი და ნიგოზი ყოველთვის ჭარბობს და აუგემურებს საჭმელს“ (ე. ნინოშ.).

3) ზმნწ + ი - ობ ზებ ინდექსით აწმყოს მწკრივიდან მყოფადი იწარმოება ზმნისწინისა და ღ პრეფიქსის დართვით, ძირი უცვლელია, ობ თემის ნიშანს ცვლის ებ თემის ნიშანი. 120 მაგალითი დაიძებნა. ზმნისწინიანი მაგალითები ლექსიკონისეულია.

ზაფხულობს-გაიზაფხულებს

„[გული] განმტკიცდა, გაიზაფხულა შეიმყო ყვავილებითა“ (ვაჟა).

ნავარდობს-გაინავარდებს

„[დამურა] ჩიტებში გამოერიო იმანაც გაინავარდა“ (აკაკი).

ლაპარაკობს-დაილაპარაკებს

„როგორ გაიზარებდა [ტასო], ... რომ ავადმყოფი გონს მოვიდეს, დაილაპარაკებდეს“ (დ. სულ.).

ყბელობს-დაიყბელებს

„იფრთხილე, აღარ გადასთქვა რაც ერთხელ დაგიყბეღია“ (ვაჟა).

ბოდიშობს-მოიბოდიშებს

„მე უბრალო მთიელი ვარ“, - მოიბოდიშა სვანმა“ (ს. კლდ.).

თარეშობს-მოითარეშებს

„ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო, რომ ყმახები სოფლის გარემო ადგილებშიაც მოითარეშებდნენ“ (ს. კლდ.).

ხმაურობს-შეიხმაურებს

„ჩამქოლეთ გენაცვალეთ, ჩამქოლეთ!“ - შეიხმაურა დედაკაცმა და ლოყას ხელი იკრა, ჩამოიხოკა“ (ვ. ბარნ.).

ხმიანობს-შეიხმიანებს

„მძინარე ხალხმა შეიხმიანა“ (გ. ლეონ.).

ბაგუნობს-ჩაიბაგუნებს

„ოპელაშვილმა ისე ჩაიბაგუნა მკერდზე მუშტო, რომ წერაში გართული მაიორი შეკრთა“ (მ.ჯაფარიძე).

სეირნობს-ჩაისეირნებს

„მილაგ-მოლაგდეს ყველა და მაშინ ერთად ჩაისეირნოთ დაბლა“ (ვაჟა).

ნებიერობს-წაინებიერებს

„[მგზავრი] დილიენის ჩამოსვლამდე ხშირფოთლიანი მუხის ჩრდილში წაინებიერებს“ (კ. ლორთქიფანიძე).

პურმარილობს-წაიპურმარილებს

„მაიზერს ძღვნად [მწევარს] მივართმევ... ასეთი ძღვენის მიმართმევმა შორებელმა კაცმა ერთხანს ხომ უნდა წაიპურმარილოს“ (ბანო).

ვაკობს-ამოივაკებს

„ორკესტრი რამდენიმე წუთით დაღმართში მიიმალა და როცა ამოივაკა მუსიკის ხმა გაისმა“ (ს. კლდიაშვილი).

ფხიზლობს-გამოიფხიზლებს

„ვირმა ახლა ძლივს გამოიფხიზლა და ყურების ბლარტუნით წამოდგა“ (ვაჟა).

ჩქარობს-გამოიჩქარებს

„აკი მიტომ გამოიჩქარა აქეთ [ნირომ]?“ (ქ. ლომთაძე).

ჯირითობს-შემოიჯირითებს

„ღია ჭიშკარში შემოიჯირითა... მამაკაცმა“ (დ. კლდიაშვილი).

თამაშობს-შემოითამაშებს

„ქარმა შუილით შემოითამაშა სახლში“ (შ. არაგვი).

ქვეითობს-ჩამოიქვეითებს

„მდიდრად ნამყოფმა ოჯახმა იცვალა ფერი, ჩამოიქვეითა და უკან-უკან მისრიალებდა“ (დ. კლდიაშვილი).

კაპასობს-წამოიკაპასებს

„[გადია] ხშირად ბატონების გასაგონადაც - კი წამოიკაპასებდა: „უგვარო ცხენსაო ნუ აჭმევ ქერსაო“ (ნ. ლორთქიფანიძე).

4) ხმდღ + ი - ობ ჰებ ინდექსი გვიჩვენებს, რომ აწმყოს მწკრივში არსებული ზმნისწინი მყოფადის მწკრივში არ გადაჰყვება. ემატება ღ პრეფიქსი, ობ თემის ნიშანი გადადის ებ თემის ნიშანში. გვაქვს 101 მაგალითი.

დათარეშობს-ითარეშებს

„[ქარი] მარტყოფის მინდვრებზე თავისუფლად დათარეშობდა“ (შ. არაგვ.)

დასეირნობს-ისეირნებს

„მზეთუნახავი მისი პატარა... ვაჟით ბალში დასეირნობდა“ (აკაკი).

დაფარფაშობს-იფარფაშებს

„არწივნი დაფარფაშობენ, უფსკრულს ავლებენ თვალებსა“ (ვაჟა).

დაციალობს-იციალებს

„დაციალობდა ოთახში [პეპელა], ფანჯრის შუშაზე ცოცაედა“ (ვაჟა).

დაწანწალობს-იწანწალებს

„ეგ სულ მაგრე დაწანწალობს მთელი ღამე“ (აკაკი).

მიმუსაიფობს-იმუსაიფებს

„ტკბილად მიმუსაიფობდნენ ჩვენი მგზავრები“ (დ. კლდ.).

მისეირნობს-ისეირნებს

„ღიდრონები ერთ ხანს ფეხით მისეირნობდნენ“ (ვ. ბარნ.).

მიფათურობს-იფათურებს

„მიფათურობდა არსაკიძე ბნელ ქუჩაბანდში“. (კ. გამსახ.).

მიქანაობს-იქანაეებს

„ბოროტი ლანდივით მიქანაობდა გაიოზი“ (დ. ქიჩა.).

მიჯირითობს-იჯირითებს

„ერთი მშვენიერთაგან, რომელიც ვირით მიჯირითობდა გაელეებაზე კვილით დედამიწას გაერთხო“ (შ. არაგვ.).

მორაკრაკობს-ირაკრაკებს

„თეთრი კულიდან თეთრი ღვინო მორაკრაკობს“. (ი. გრემ.).

მოყუნცულობს-იყუნცულებს

„[ძაღლი] უშნოდ ... მოყუნცულობდა“ (ნ. ლომ.).

მოჩინდრიკობს-იჩინდრიკებს

„ნაცარქექია გადაბრინგულა ქორზე და მოჩინდრიკობს ჩქარა“ (აკაკი).

მოჯახირობს-იჯახირებს

„დაღლილი ვარ და მოვეჯახირებ“ (დ. შენგ.).

მოჯირითობს-იჯირითებს

„ხალისობდნენ ბედნიერნი მოჯირითობდნენ“ (ვ. ბარნ.).

5) ზმნწ=ზმნწ + ი - ობ ჯბ ჩნდექსის მიხედვით ზმნისწინი რჩება

ორსავე მწკრივში, ემატება მყოფადის მწკრივში ი სუფიქსი, ობ თემის ნიშანს კი ცვლის ებ თემის ნიშანი. მაგალითი ორია.

შემოქმედობს-შემოიქმედებს

„უდიდესნი მოქმედნი ერისა ზომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომხატველნი..., რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ქმნიან ისტორიასა“ (ილია)

6) ზმნწ + ი - მიმღ +ობქებ ინდექსი აწმყოდან მყოფადის მწკრივში გადასვლისას იმატებს ზმნისწინს, ი პრეფიქსს, მიმღეობის სუფიქსი არ გადაჰყვება მყოფადის მწკრივში, ობ თემის ნიშანი იცვლება ებ თემის ნიშნით, მაგალითი ერთია.

კლებულობს-მოიკლებს

„გლები კაცის გაჭირვება არ კლებულობდა“ (ნ. ლორთ.).

7) ზმნწ + ი - ობქავ ინდექსი აწმყოსაგან მყოფადის მწკრივს აწარმოებს ზმნისწინის დართვით, ი პრეფიქსით, ობ თემის ნიშანს კი ცვლის ავ თემის ნიშანი. მაგალითი ერთია.

ლოცულობს-წაილოცავს

„დედამ... წყობისად დაულაგა შეილს ტანისამოსი, წაილოცა მცირეოდენი ხატის წინ, ჯვარი გადასახა“ (ვ. ბარნ.)

§ 12. ებ თემისნიშნისანი ინდექსები მაგალითებით

1. ი - ებ = ებ მყოფადის მწკრივი იწარმოება ი პრეფიქსით. ებ = ებ მიგვანიშნებს, რომ თემის ნიშანი იგივე ღარჩა, რაც იყო აწმყოს მწკრივში ამ ინდექსის შემტველ ზმნათა რაოდენობა უდრის 556. მაგ.:

ბარბაცებს-იბარბაცებს

„ცეცხლის ალიცა ბარბაცებს მთვრალივით აქეთ-იქითა“ (ვაჟა).

გუგუნებს-იგუგუნებს

„ღარბაში ხალხი გუგუნებდა“ (ს. კლდ.).

ელვარებს-იელვარებს

„ვითა ეთერი მზეთუნახავი, საყვარლის მლოდე ... სახეს ვარდისფრად იღებავს გრძნობით და იელვარებს სურვილით თვალებს“ (აკაკი).

ზოზინებს-იზოზინებს

„ნულარ ზოზინებთ, დაგვიგვიანდება!“ (ა. ყაზბ.).

კანკალებს-იკანკალებს

„საწყალი მწყემსი თავზარდაცემული კანკალებს (ი. გოგებ.)

ჟიჟივებს-იჟიჟივებს

„[მიმინო და ჯიხოლა] ბელურებივით ყივყივებდნენ (თ. რაზიკ.).

ღიღინებს-იღიღინებს

„გიორგი სულ ერთსა და იმავე სიმღერას ღიღინებდა ხოლმე ხმადაბლა (ილია).

ჩხრიალებს-ჩხრიალებს

„ზოგისა ბაშა ჩხრიალებს ზოგის კაკალიც არა“ (ანდწა)

ცახცახებს-იცახცახებს

„წნორის ფოთოლივით ცახცახებდა ვარდისაბარი“ (კ. გამსახ.).

ჭიკჭიკებს-იჭიკჭიკებს

„[ჩიტი] ხეზე დაჯდებოდა და საამურად ჭიკჭიკებდა“ (ი. გოგებ.).

ხრუტუნებს-იხრუტუნებს

„იქვე ხრუტუნებდა ღორი და ჭერმის კურკას ამტერევედა“ (ვ. ბარნ.)

2. ინდექსი $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}}$ მყოფადის მისაღებად წინა ინდექსისაგან განსხვავებით მწკრივს ი პრეფიქსთან ერთად ემატება ზმნისწინი. რაოდენობა უდრის 246. მაგ.:

ხარხარებს-გადაიხარხარებს

„[მეუნაშვილმა] ხმამაღლა გადაიხარხარა“ (ნ. ლომ.).

კაჟკაჟებს-გაიკაჟკაჟებს

„მაღლად აშვერილ კლდის წვერზე გვირგვინად მოდგმული მნათობნი გაიკაჟკაჟებდნენ“ (ა. ყაზბ.).

ბუბუნებს-დაიბუბუნებს

„გოგოთურ დაიბუბუნებს ჭერი დაიწყებს ნძრევას“ (ვაჟა).

კაჟკაჟებს-დაიკაჟკაჟებს

„ამოდებული ხმალივით მტკვარი შენს დაძახილზე დაიკაჟკაჟებს“. (გ. ლეონ.)

გოგმანებს-მოიგოგმანებს

„[ზღარბმა], საღ-სალამათმა, წუხელ კიდე მოიგოგმანა მსხლის ძირში“ (ი. გოგებ.).

ფართხალებს-შეიფართხალებს

„[გული] ხან უცნაურად ტოკავდა და ხან საოცრად შეიფართხალებდა ხოლმე“ (აკაკი).

ჩურჩულებს-წაიჩურჩულებს

„კაპიტანმა და მაიორმა რაღაც წაიჩურჩულეს“ (მ. ჯავახ.).

კრუსუნებს-ჩაიკრუსუნებს

„[გვადი] ტკბილად ჩაიკრუსუნებდა როცა სავარცხლის კბილები... აქა-
ვებულ ადგილს მოფხანდნენ“ (ლ. ქიაჩ.).

ბიბინებს-წაიბიბინებს

„[ზღვა] ამწვანებულ ჯეჯილივითა ზურმუხტის ფერად წაიბიბინებს (კ.
მაყ.).

ფურტულებს-წაიფურტულებს

„ხოხობიც [ხიდან] კისერჩამოძაბული ჩამოსჩერებოდა [მელას] და ხა-
მუმ-ხამუმ წაიფურტულებდა“ (ვაჟა).

3. ინდექსი $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}}$ აწმყოს მწკრივში წარმოდგენილია
ზმნისწინით, მაგრამ მყოფადში გადასვლისას კარგავეს მას, იმატებს ე
სათავისო ქცევს ნიშანს. ებ თემის ნიშანი კი იგივე რჩება. რაოდენობა
ტოლია 213.

დაყრანტალებს-იყრანტალებს

„ყორნები დაყრანტალებენ, ყვავნი ჩხავიან კრებითა“ (ვაჟა).

დაცანცარებს-იცანცარებს

„თავის ბუთქვი კუდით დაცანცარებდა მინდორზე [როსტომელა] (ვაჟა)

მისლიკინებს-ისლიკინებს

„ზემოდან უფრო მომსხო კენჭები და სიფრიფანა სიპები მისლიკინებ-
დნენ (თ. რაზიკ.).

მიღრიალებს-იღრიალებს

„თერგი მრისხანე, თერგი მბღლინვარე..., ვით შმაგი ლომი - მიღრიალებ-
და“ (ილია).

მიჩანჩქარებს-იჩანჩქარებს

„ქებებზე მხიარულად მიჩანჩქარებდა... ნაკადული“ (ი. გოგებ).

მოლაპლაპებს-ილაპლაპებს

„მდინარე მოლაპლაპებდა და სადღაც შორს იკარგებოდა“ (შ. არაგვ.).

მონარნარებს-ინარნარებს

„მთვარე... ლურჯ ცაზე მონარნარებდა“ (აკაკი).

მოღუღუნებს-იღუღუნებს

„გრილი ნიავი მოღუღუნებდა ტრიალ მინდორზე (ვაჟა).

4) $\boxed{\text{ზმნწ}=\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ებ} = \text{ებ}}$ $\boxed{\text{ქწმყოში არსებული ზმნისწინი ინდექსი}}$
შეიძლება გადაყვეს მყოფადის მწკრივში, ემატება ი პრეფიქსი. თემის
ნიშანი ებ რჩება. რაოდენობა უდრის 28.

ჩაჩხრიალებს-ჩაიჩხრიალებს

„ეს პატარა მდინარე... ჩაჩხრიალებდა ყვითელ გალიკულ ლოდებზე“ (ვაჟა).

ჩაჩხრუხუხებს-ჩაჩხუხუხებს

„გადამუშავებული ქაფქაფა რჩე [სეპარატორიდან] ჩაჩხუხუხებსდა ყველის ქვებში“ („ლიტ. და ხელოვნ.“).

გადაჩანჩქარებს-გადაიჩანჩქარებს

„ლამზად ეტყობოდა როგორ გადაჩანჩქარებდა წყარო ქვევით კლდეზე“ (ვაჟა).

გადმომჩქეფარებს-გადმოიჩქეფარებს

„ქველ საქმეთა წყარო მათგან გადმოიჩქეფარებს (ი. მაჩაბ. თარგ.)

გადმოჩქრიალებს-გადმოიჩქრიალებს

„კლდესა და კლდეს შუა მდინარე გადმოჩქრიალებს ორ საუენ სიმაღლეზე“ (გ. წერეთ.).

გამომეტყველებს-გამოიმეტყველებს

„[ვარდიკოს] თაფლისფერო, საკმაოდ ღიღრონი თვალები მშვიდად და გულკეთილობით გამომეტყველებდა“ (ე. ნინოშ.).

მიმოსრიალებს-მიმოსირიალებს

„და ზედ ბეჩავი ჩემი ტლუ ნაეი ტალღათა შორის მიმოსრიალებს“ (ი. გრიშ.).

შემოქმუტუნებს-შემოიქმუტუნებს

„დამსხვრეული ფანჯრებიდან ქარი თავისუფლად შემოქმუტუნებდა“ (ა. ყაზბ.).

ჩამოწანწკარებს-ჩამოიწანწკარებს

„აქა-იქ ჩამოწანწკარებს პატარა თხელი რუები“. (ი. გოგებ.).

5) ინდექსი $\boxed{\text{ხმნც} + \text{ი} = \text{ი} - \text{ე} = \text{ე}}$ აწმყოში არსებული ზმნისწინი მყოფადის მწკრივში არ გადაჰყვება. ი პრეფიქსი და ე თემის ნიშანი იგივე რჩება. სულ 3 მაგალითია.

მოიმწარებს-იმწარებს

მოიძუნწებს-იძუნწებს

მოიძველებს-იძველებს

„ჰე, შენი ღმერთი მოიძველებს!“ (ლ. ქიაჩ.).

§ 13. ი დაბოლოებიანი ინდექსები მაგალითებით

აწმყოში ი დაბოლოებიანი ზმნათა ინდექსთა რაოდენობა ბევრია.

1) ი - იქებ ინდექსი აწმყოდან მყოფადს ი პრეფიქსით აწარმოებს. ი დაბოლოებას ენაცვლება ებ თემის ნიშანი. გვაქვს 24 მაგალითი.

ტირის-ტირებს

„ოთარანთ ქერივი ტიროდა! ამის მეტად დედის თვალზე შეიღს ცრემლი არ ენახა!“ (ილია).

ღვივის-ღვივებს

„კერიიზე ღვიოდა ნაკვეერჩხალი“ (ნ. ლორთქ.).

ჭვივის-იჭვივებს

„სალომეს სახლის ფანჯარაში სინათლე ჭვიოდა“ (ლ. ქიაჩ.).

ხენეშის-იხენეშებს

„სცემს უროს მიხიაც, თან ხენეშის“ (თ. რაზიკ.).

2) ი - საწყ + ი ქებ ინდექსი აწმყოსაგან მყოფადს აწარმოებს ი პრეფიქსით, საწყისი წარმოდგენილია სხვადასხვა სუფიქსით, ი დაბოლოებას ცვლის ებ თემის ნიშანი. 65 მაგალითი.

იკვის-იკივლებს

„ღედამ შემხედუ იკივლა ზე წამოვარდა გიჟივით“ (აკაკი).

იჟვის-იჟივლებს

„ჩიტმა... იფრთქიალა იჟივლა და გაღებულ კარებში გავარდა“ (ნ. ლორთქ.).

შხივის-იშხივლებს

„საზანდარმა ღამე ააცხცახა აეთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა“ (გ. ლეონ.).

ჩივის-ჩივლებს

„პურისმცხოვლების ნაკლებობაზე თბილისი ვერ ჩივლებდა“ (ილია).

იჯღაის-იჯღაევლებს

„[გორჩუნიძეს] საღამომდის კიდევ ტანჯივით ეცოცხლა ბევრი იჯღაევლა“ (აკაკი).

3) ი - იქებ + ი - იქებ ინდექსი მყოფადში გადასვლისას იცილებს ზმნისწინს, იმატებს ი პრეფიქსს, ი დაბოლოებას ენაცვლება ებ თემის ნიშანი. 10 მაგალითია.

მიხუის-იხუებს

„[გზიდან] მარჯვნივ რამდენიმე მხარს ბუჯი მიხუს“ (თ. სახოკ.).

მოკენესის-იკენესებს

„(დათვი) მოდიოდა და თანაც მოხენეზოდა, მოკენესოდა“ (ვაჟა).

4) ზმნწ + ი - საწ + ი ქებ ინდექსს აწმყოში აქვს ზმნისწინი, მყოფადში შორდება, ემატება ი პრეფიქსი, საწყისის სხვადასხვა სუფიქსი, ღ დაბოლოებას ენაცვლება ებ თემის ნიშანი. 29 მაგალითი.

დაქრის-იქროლებს

„სასიამოვნო... ნიავი რომელიც განუწყვეტლივ დაქროდა ამ ადგილებში აგრილებდა შუბლს“ (ა. ყაზბ.).

დაძრწის-იძრწოლებს

„მისთვის დაძრწის ცხვართან მგელი მცხვარეს არ დაეძინოს“ (ანდაზა).

მიყივის-იყივლებს

„... თავშიშველი ქოსა გახუ მიყოდა მიკისკისებდა ბაზიერებს ეძახდა“ (კ. გამსახ.).

მოზუნს-იზუნლებს

„მოდის და მოდის შავი ნისლები, წინ მიუძღვება, მოზუნს ქარი“ (ვაჟა).

5) ზმნწ + ი - იქებ ინდექსი მყოფადის წარმოებისას იყენებს ზმნისწინს ი პრეფიქსთან ერთად ი დაბოლოებას ენაცვლება ებ თემის ნიშანი. 15 მაგალითი.

კნავის-ჩაიკნავლებს

„გაიგე, რაც გითხარი? - ჰკითხა მარაბდელმა. - „გავიგე, - იმ კატასავით ჩაიკნავლა ჰასანმა, რომელსაც ხორცის ჭამა აუკრძალეს“ (მ. ჯავახ.).

ტირის-წამოიტირებს

„[ბავშვმა] ლოგინში წამოიტირა“ (ბანოვ.).

6) ზმნწ + ი - საწ + ი ქებ ინდექსი აწმყოსაგან მყოფადს აწარმოებს ზმნისწინით, ი პრეფიქსით, საწყისის სუფიქსით, ი დაბოლოებას ებ თემის ნიშანი ენაცვლება. 59 მაგალითი.

ჩხავის-დაიჩხავლებს

„[ნიკო] სუნით ეძებდა თუ რომელ ოჯახში დაიჩხავლებდა ახლად დაბადებული ბავშვი“ (შ. არაგვ.).

ფუვის-ჩაიფუვლებს

„გაზაფხულზე, როდესაც ზეავები ღნება მიწა და თოვლი ერთმანეთში

არეული ჩაიფუტლებს, ამ რუზე კენკეშა ამოდის“ (ვაჟა).

სივის-წამოსივლებს

„ლევანმა დრო იშოვა და მხარი გაჰკრა, რაზედაც ქალმა „ბეჩა გოგონას“ - წამოსივლა (ნ. ლორთქ.).

7) $\boxed{\text{ზმნწ}=\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ი} \text{ ებ}}$ ინდექსი მყოფადის წარმოებისას გვიჩვენებს რომ ზმნისწინი ორსავე მწკრივშია, ემატება ი პრეფიქსი, ი დაბოლოებას ენაცვლება ებ თემის ნიშანი. 6 მაგალითი.

გამოჭვივის-გამოიჭვივებს

„ლღეს აქ ხართ, ვაჟკაცებო, გამარჯვების გამკობთ სხივი, თქვენს სახეში შორი გზების ელვარება გამოჭვივის“ (ს. თავ.).

8) $\boxed{\text{ზმნწ}=\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{საწ} + \text{ი} \text{ ებ}}$ ინდექსში ზმნისწინი ორსავე მწკრივშია. მყოფადში გადასვლისას იმატებს ი პრეფიქსს, საწყისის სხვადასხვა სუფიქსს, ი დაბოლოებას ენაცვლება ებ თემის ნიშანი. 17 მაგალითი.

ჩახუის-ჩაიხუელებს

„მთვარე ცას შემოსწყრომია, წყალი ჩახუის შორადა, ტირილად მესმის ჩხრიალი მისი ხევიდან ორადა“ (ვაჟა).

გამოწივის-გამოიწივლებს

„ყველა წინ მიდის ყველა სწავლაშია ერთი ბეწვა ბავშვები კვერცხში გამოწივიან“ (ილია).

9) $\boxed{\text{ზმნწ}=\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ი} \text{ ებ}}$ ინდექსით წარმოდგენილია ზმნისწინი და ი პრეფიქსი ორსავე მწკრივში, ი თემის ნიშანი გადადის ებ თემის ნიშანში. 7 მაგალითი.

გამოიძახის-გამოიძახებს

„უცნაური ხმით გამოიძახის კენესით ღატრილი“ (აკაკი).

მოისწრაფის-მოისწრაფებს

„მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან“ (ნ. ბარათ.).

10) $\boxed{\text{ზმნწ}=\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ენ} + \text{ქ}}$ ინდექსით ზმნისწინი ორსავე მწკრივშია მყოფადში იმატებს ი პრეფიქსს, ძირში - ენ სუფიქსს, ი დაბოლოება იკარგება. 14 მაგალითი. 2 ძირის ზმნა.

გამორბის-გამორბენს

„სახლებიდან, ეზოებიდან გამორბოდნენ მამაკაცები, ქალები, ბავშვები“ (დ. კლდ.).

ღის¹-იღენს

1. ამ ზმნაში ი ძირისეულია.

„წყარონო, ... ნურც ღაიშრიტებით, იღინეთ, იწანწყარეთ!“ (ვაჟა).

11) $\boxed{\cancel{2000} + 0 - 0 + \cancel{2}}$ ინდექსი აწყოღან მყოფადმი გაღასელისას იცილებს ზმნისწინს იმატებს 0 პრეფიქსს ძირს ემატება ენ სუფიქსი, 0 ღაბოლოება იკარგება. მაგალითი ორია.

ღარბის-ირბენს

„სულ ფეხშიშველა ღა თავშიშველა ღაერბოღით მიწღორში“ (აკაკი) .

12) $\boxed{0 = 0 - 0 - 0}$ ინდექსში 0 პრეფიქსი გვაქვს აწმყოსა ღა მყოფადმი 0 ღაბოლოებას ეწაცლება ებ თემის ნიშანი. მაგალითი ერთია.

იციწის-იციწებს

„მე რომ ჩემი თავგაღასავალი... მოვახსენე, ბერი იციწა“ (აკაკი).

13) $\boxed{0 = 0 - 0 + 0}$ ინდექსით 0 პრეფიქსი ორსავე მწკრიშია, ემატება მყოფადმი სწყყისის ილ სუფიქსი, 0 ღაბოლოებას ეწაცლება ებ თემის ნიშანი. მაგალითი ერთია.

იღწვის-იღწვოლებს

„[ალექსანდრე როინიშვილი] იღწვოღა ღა თავისი ნაღვან-ნაამაგვეი თავის ქვეყანას მიართვა“ (იღია).

14) $\boxed{0000 - 0 = 0 + 0}$ მყოფადმი გაღასელისას ემატება ზმნისწინი 0 პრეფიქსი ორსავე მწკრიში გვაქვს 0 ღაბოლოებას ეწაცლება ებ თემის ნიშანი. მაგალითი ერთია.

იციწის-ჩაიციწებს

„მგელამ რომ მზევინარის სახელი გაიგონა, ... ჩაიციწა“ (ვაჟა).

15) $\boxed{0000 \cancel{0} 0000 + 0 = 0 - 0 + 0}$ მყოფაღს წარმოება ზღება ზმნისწინთა მონაცვლეობით, 0 პრეფიქსი ორსავე მწკრიშია, ემატება სწყყისის სუფიქსი, რომლის წინ 0 თანხმოვანი იკარგება, 0 ღაბოლოებას ეწაცლება ებ თემის ნიშანი. მაგალითი ერთია.

მოიბრძვის-გამოიბრძოლებს.

„მოიბრძვიან უჩინარად [გმირები]“ (გ. ლეონ).

16) $\boxed{\cancel{2000} + 0 = 0 - 0}$ მყოფადმი გაღასელისას ზმნისწინი არ გაღაჟ ყვება, 0 პრეფიქსი ორსავე მწკრიშია, 0 ღაბოლოებას ეწაცლება ებ თემის ნიშანი. მაგალითი ორია.

მოიმღერის-იმღერებს

„მოჩქეფენ ნაკაღულები, მორბიან, მოიმღერიან“ (მ. მღვიმ).

მოიჩქარის-იჩქარებს

„[ბავშვებმა] ამოიბრძინეს კიბე მაღალი... მოიჩქარიან“ (გ. კაჭახ).

§ 14. ავ თემისნიშნისან ზმნათა ინდექსები მაგალითებით

ავ თემისნიშნისანი ზმნები აწმყოს მწკრივიდან მყოფადის მწკრივის წარმოებისას გამოყოფენ შემდეგ ინდექსებს:

1) $\boxed{\text{ი} - \text{ავ} = \text{ავ}}$ ინდექსი მყოფადის მწკრივს აწარმოებს ღ პრეფიქსით, ავ თემის ნიშანი აწმყოსა და მყოფადში უცვლელია. გვაქვს 12 მაგალითი.
ფეთქავს-იფეთქავს

„[ალი] ხანდახან კიდევ იფეთქავდა..., მკრთალად გაანათებდა ხოლმე არემარეს“ (ე. ნინოშ.).

2) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ავ} = \text{ავ}}$ ინდექსი ზმნისწინით, ღ პრეფიქსით აწარმოებს აწმყოს მწკრივიდან მყოფადს. თემის ნიშანი უცვლელია. სულ ოთხი მაგალითი დაიძებნა.

ბჟუტავს-გაიბჟუტავს

„რამდენიმე წუთი და ხშირ ნისლში გაიბჟუტა შუქმა და შენობების სურათები ბუნდად გამოჩნდა“ (ა. ყაზ.).

ყვინთავს-დაიყვინთავს

„რამდენიმე მეგრელი გაღმომეშა წყალში, დაიყვინთა“ (ე. ნინოშ.).

3) $\boxed{\text{ი} - \text{ავ} \{ \text{ებ} \}}$ ინდექსი მიგვანიშნებს, რომ მყოფადი იწარმოება ღ პრეფიქსით. ავ თემის ნიშანს ცვლის ებ თემის ნიშანი. გვაქვს 114 მაგალითი.

ბჟუტავს-იბჟუტებს

„თავლის სანთლები ბჟუტავდნენ ნიშებში“ (კ. გამსახ.).

ღრტვინავს-იდრტვინებს

„ჩვენ ზეცას ვერ მოუცდითო“, - ღრტვინავდა და ბორგავდა ხალხი (ვაჟა).

კუთავს-იკუთებს

„მოხუცებული დედა სულ ისევ ავადმყოფობს სულ კუთავს“ (დ. ერისთ).

როკავს-იროკებს

„ფერხისაის ცეკვა დაიწყეს... ნელ-ნელა მწყობრად როკავდნენ აბჯრიანო, ზურჩიანი ვაჟაკები“ (კ. გამსახ.).

ფორთხავს-იფორთხებს

„[ყორანმაც] იკადრა გაეშვა ყვავი, რომელიც უკვე თავგაჭეჭყილი დაბლა ფორთხავდა“ (ვაჟა).

ქშინავს-იქშინებს

„ონსე ოხრავდა ქშინავდა მოსვენება ვერ ეპოვა“ (ა. ყაზბ.).

ხრჩოლავს-იხრჩოლებს

„ხრჩოლავს ირანულ ყალიონში გაღვივებული თრიაქი“ (კ. გამსახ.).

4) ~~ზმნწ~~ + ი - ავ ქებ აწმყოს წრეში წარმოდგენილი ზმნისწინი შორდება ზმნას, ემატება ი პრეფიქსი, ავ თემის ნიშანი იცვლება ებ თემის ნიშნით. დაიძებნა 51 მაგალითი.

დაბობავს-იბობებს

„მეცხვარე... დასტრიალებდა ძაღლს ლეკვებს, რომლებიც სველ მიწაზე დაბობავდნენ“ (ვაჟა).

დაგოგავს-იგოგებს

„[ქესო] მთელი დღე დაგოგავდა ფერად ყვავილებსა და მწვანე მდელოებს შორის“ (ილია).

მიფოფხავს-იფოფხებს

„თაფხარდაცემული ქორის ბახალები... ბუდიდან მალლა მოფოფხავდნენ“ (თ. რაზიკ.).

მიხობავს-იხობებს

„გაქეკარი ხის ტოტს და მიხობავ მუცლით“ (თ. რაზიკ.).

მოყონავს-იყონებს

„რძე მოყონავდა ძუძუდან“ (გ. ლენ.).

მოწვეთავს-იწვეთებს

„[ჯოტოს მამის] თითებზე შავი სითხე მოწვეთავდა“. (ს. კლდ.).

5) ~~ზმნწ~~ + ი - ავ ქებ ინდექსი აწარმოებს მყოფადს ზმნისწინის საშუალებით, ი პრეფიქსით, ავ თემის ნიშნის ებ თემის ნიშანში მონაცვლეობით. სულ 13 მაგალითია.

გმინავს-ჩაიგმინებს

„ხო, ხო, ხო, - დაბლად ჩაიგმინა გოჩამ, - ვიცო, რაც გიკლავს მაგ ჩიტის გულს მეზობელო“ (ლ. ქიაჩ.).

ფორხავს-წაიფორხებს

„ხშირად მოხდება ხოლმე, რომ... კაცი უნებურად ფეხს წამოჰკრავს რამეს წაიფორხებს“ (აკაკი).

6) ~~ზმნწ~~ + ი - ავ ქებ ინდექსში ნაჩვენებია, რომ მყოფადის მწკრივში არ გადაჰყვება ზმნისწინი, ემატება ი პრეფიქსი, ავ თემის ნიშანს ებ თემის ნიშანი ცვლის.

მოქროლავს-იქროლებს

„მოქროლაუდა აზოვანი ვაჟკაცო მშვენიერ ბელაურზე მუღლომ, კოხტა ბელადო პირველ მეომრად ცნობილი მთელს დაღესტანში“ (ი. გოგებ.).

7) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ღრეკ} + \text{აქ}}$ ამ ინდექსის მიხედვით აწმყოღან მყოფადს წარმოებისას იკარგება ზმნისწინი, ავ თემის ნიშანი. მყოფადში კი ემატება ი პრეფიქსი, ძირში კი ადგილი აქვს ღრეკალობას.

მიფრინავს-იფრენს

„მწყრები თბილი ქვეყნებისაკენ ღამით მიფრინავენ“ (ი. გოგებ.).

8) $\boxed{\text{ზმნწ} - \text{ავ} = \text{ავ}}$ ამ ინდექსის საშუალებით ერთი ზმნა აწარმოებს მყოფადს ზმნისწინის ღართვით. თემის ნიშანი კი იგივე რჩება.

ქროლაეს-შემოჰქროლაეს

„[ტყე] მანანას ზშირად იბურტყედა როღესაც შემოჰქროლაუდა“ (ბაჩ.).

9) $\boxed{\text{ზმნწ} | \text{ზმნწ} - \text{ავ} = \text{ავ}}$ ზმნისწინების მონაცვლეობით ხდება მყოფადის მწყრივის წარმოება. ავ თემის ნიშანი კი ორსავე მწყრივშია. მაგალითი ერთია.

მიცურავს-გაცურავს.

„[მთვარე] მიცურავს ცაზე“ (აკაკი).

§. 15. უთემისნიშნო ინდექსები მაგალითებით

უთემისნიშნო მედიოაქტივები აწმყოღან მყოფადის მწყრივის წარმოებისას გამოყოფენ შემდეგ ინდექსებს:

1) ი - ი პრეფიქსით აწარმოებს მყოფადს ხუთი უთემისნიშნო ზმნა.

მაგ.: მღერს-იმღერს

„მისთვის არ ემღერ, რომ ეიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა“ (ილია).

ფრთენს-იფრთენს

„მახარეს ხმა ლაპარაკის დროს ისე საამოდ ფრთენდა, როგორც მაშინ, როცა ეთერმა ზარი აახმაურა“ (შ. არაგვი).

2) ი - ებ ინდექსი ე პრეფიქსით აწარმოებს მყოფადს და იმატებს ებ თემის ნიშანს. გვაქვს 38 მაგალითი.

ღუმს-იღუმებს

„ღუმდა ყოველი მუნ არემარე“ (ნ. ბარათ).

ჟღერს-იჟღერებს

„სხვა ჰანგზე ჟღერს იმისი ჩანგი“ (აკაკი)

ქუხს-იქუხებს

„როგორც ქუხს ისე არ წვიმსო“ (ანდჷა)

ძგერს-იძგერებს

„იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის ძგერდა ცივი ხელები დააკრუფინეს. [ღიმიტრი ყიფიანი]“ (აკაკი).

წვიმს-იწვიმებს

„ცა შავად მოიდრუბლა და კარგა ხანი იწვიმა“ (ი. გოგება).

3) ზმნწ + ი - ებ ინდექსი აწმყოსაგან მყოფადს აწარმოებს ზმნისწინით, ე პრეფიქსით და ებ თემის ნიშნის დართვით. გვაქვს 9 მაგალითი.

ყეფს-წაიყეფებს

„ბროლია... რამდენჯერმე წამოჯდა მთვარისკენ პირი ქნა და სამგლოვიაროდ წაიყმუელა და წაიყეფა“ (შ. არაგვი).

ქუხს-გამოიქუხებს

„პირველად გამოიქუხა სპეროზიას კლდიდანა“ (ვაჟა).

4) ზმნწ + ი - ებ ინდექსი მყოფადში გადასვლისას იცილებს ზმნისწინს იმატებს ი პრეფიქსსა და ებ თემის ნიშანს. მაგალითი 10.

მორქეფს-ორქეფებს

„გვერდს უგმირავენ ლახერთა, მორქეფს ძმარი და წყალია“ (ვაჟა).

5) ზმნწ=ზმნწ + ი ინდექსში ზმნისწინი ორსავე მწკრივეშია. მყოფადში კი ემატება ი პრეფიქსი. მაგალითი ორია.

მიმოფრენს-მიმოიფრენს

„მერცხლები მიმოფრენენ“.

6) $\boxed{\text{ზმნწ}=\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ებ}}$ წინა ინდექსის მსგავსია აქაც წარმოება, ოღონდ ემატება ებ თემის ნიშანი. სულ 14 მაგალითია.

გადმოდულს-გადმოიდუღებს

„ზოგან გადმოდულს ქვეერები, ზოგან ფორთოხლის ხეავია“ (ი. ნონეშ).

გამოჭვირს-გამოიჭვირებს

„მის მოკაზმულობაში გამოჭვირდა ყმაწვილური თვალთამხედველობა“ (ს. მგალობ.).

7) $\boxed{\text{ი} - \text{საწ} + \text{ებ}}$ ინდექსი მყოფადს აწარმოებს ი პრეფიქსით, საწყისის სუფიქსით და ებ თემის ნიშნით. მაგ.:

კვეხს-იკვეხნებს

„ყველა კვეხს წინაპართა“ (გ. ლეონ.).

8) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი}}$ აწმყოში წარმოდგენილი ზმნისწინი ზმნას შორდება და მყოფადში გადასვლისას ემატება ი პრეფიქსი. მაგალითი ერთია

მიფრენს-იფრენს

„ღამურა მიფრენს“ (დ. კასრ.)

9) $\boxed{\text{ზმნწ}=\text{ზმნწ} - \text{ებ}}$ ინდექსით წარმოდგენილია ზმნისწინი, რომელიც გვაქვს ორსავე მწკრივში. მყოფადში გადასვლისას ემატება ებ თემის ნიშანი. მაგალითი ერთია.

გასჭვირს-გასჭვირებს

10) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი}}$ მყოფადს აწარმოებს ზმნისწინით და ი პრეფიქსით. მაგალითი ერთია.

ყეფს-ღაიყეფს

„[ძალი] ღაიყეფს და გაჩუმდება“ (ნ. ლორთქ.).

§6. მედიოზმთა ანალოგიური წარმოება ორპირიან ზმნებში

ინდექსური წარმოება დამახასიათებელია საშუალო გვარის ზმნებისათვის. მათი დიდზე დიდი უმეტესობა ერთპირიანია, მაგრამ ანალოგიური წარმოების ორპირიანი ზმნებიც გვხვდება, რომელთა შესახებ გარკვეული თვალსაზრისი გააჩნიათ აკად. აკ. შანიძეს და პროფ. ზ. ჭუმბურიძეს.

აკად. აკ. შანიძე წერს:

„მედიოაქტივისებრი ფორმათა წარმოება გარდამავალ ზმნებში“ - და-

ნაკლის მწკრივთა ფორმების შევსების საკითხში მედიაოქტივის ფორმათა წარმოებას იზიარებს რამდენიმე გარადამავალი ზმნა, როგორცაა: ანგარიშობს, თაობს, თაკილობს, ქირაობს, ხმარობს და სხე... ზოგი ზმნა გარდაუვლად იმარება და გარდამავლადაც, ასეთებია: გალობს, გლოვობს, თამაშობს, ლაპარაკობს, ნანობს, ოცნებობს, ფიქრობს და სხე... ეს ზმნები საკუთრივ მარტო I სერიის აწმყოს წრის ფორმებს აწარმოებენ, დანარჩენებს კი იტყებენ ნასესხები ფორმით. სესხებისას ისინი იმავე წესს ადგანან, რასაც გარდაუვალი მედიაოქტივი ზმნები; მაგ., ვთაობ, ვითავებ, ვითავე, მითავები; ეუწივი, ეუწივლებ, ეუწივლე, მიჩივლია და მისთ“.¹

პროფ. ზ. ჭუმბურიძე ვარაუდობს რომ მედიაოქტიურ ზმნათა მყოფადის წარმოების ტიპს მისდევს ზოგი გარდამავალი ზმნაც. ანგარიშობს-იანგარიშებს; გლოვობს-გლოვებს; დარდობს-იდარდებს; თაობს-ითავებს; ლაპარაკობს-ილაპარაკებს; ნახულობს-ინახულებს; ქირაობს-იქირავენს; ქადაგებს-იქადაგებს და ა.შ.

პროფ. ზ. ჭუმბურიძე იმოწმებს აკად. აკ. შანიძეს და წერს: „ამ ზმნათა უმეტესობას პირდაპირი ობიექტური პირი შეიძლება ახლდეს და შეიძლება არა, ასე რომ, ისინი გარდაუვლად იმარებიან და გარდამავლადაც“.²

ზემოთ დასახელებული ზმნები მიჩნეულია გარადამავლად. ჩვენი აზრით, ისინი გარდამავლებია მყოფადიდან მოყოლებული III სერიის ჩათვლით. აწმყოში კი საშუალია. ე.ი. ამ ორპირიანებსაც ვთვლით საშუალ-მოქმედებითად, რადგან მათ ახასიათებთ აწმყოდან მყოფადის ინდექსური წარმოება. ისინი არ აწარმოებენ აწმყოდან მყოფადს ისე, როგორც ჩვეულებრივი გარდამავალი ზმნები, I ტიპის უღლებისას აწმყოდან მყოფადი ზმნისწინის დართვით იწარმოება, აქ კი გვაქვს III ტიპის უღლებისთვის დამახასიათებელი მყოფადის მწკრივის წარმოება. მართალია აწმყოს მწკრივში შეეწყობა ზმნას ობიექტი, მაგრამ ის რეალური არ არის, ის ანალოგიური წარმონაქმნია, რაც საშუალი გვარის ზმნებისთვისაც არის დამახასიათებელი აწმყოში. ამდენად, გარადამავლობა რეალური არ ჩანს. საკითხი დადგება გარდამავლობა უშუალოდ პ. 0 გან არის გამოწვეული თუ მისი ანალოგიური გრამატიკული ფორმისაგანაც შეიძლება იყოს მიღებული.

1. აკ. შანიძე, თხზულებანი, III, გვ., 483.

2. ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 110.

ვეფიქრობთ, თუ ინდექსური წარმოება საშუალო გეარის ზმნათათვის არის დამახასიათებელი და ზემოთ დასახელებულ ზმნებსაც ინდექსურ წარმოებისად მივიჩნევთ, იქნება კი ასეთი ზმნები გარდამავალი?

ინდექსური წარმოება ორპირიან (ობ თემისნიშნის) ზმნებში იშვიათი გამოწვევისა.

1) $\boxed{\text{ი} - \text{ობ} \mid \text{ი}}$ ინდექსი მყოფადის მწკრივის წარმოებისას იმატებს ი პრეფიქსს, ობ თემის ნიშანი იცვლება ი თემის ნიშნით. მაგალითი ხუთია.

ნატრობს-ინატრის

„[გიგოლზე] უკეთეს მშრომელს ვერ ინატრიდა ოსტატი“ (ვ. ბარნ.).

ნაღვლობს-ინაღვლის

„ნურას ინაღვლო დედო!“ (რ. ერისთ.).

2) $\boxed{\text{ი} - \text{მიმღ} = \text{მიმღ} + \text{ობ} = \text{ობ} + \text{ებ}}$ ინდექსი მყოფადის მწკრივს აწარმოებს ი პრეფიქსით, ობ თემის ნიშანი და მიმღეობის ძირი წარმოღგენილია ორსავე მწკრივში, ხოლო მყოფადში ემატება ებ თემის ნიშანი. მაგალითი ერთია.

ყრილობს-იყრილობებს

„[ელიშერი] თავის სახლობაზე ყრილობდა ბრძს“ (ს. მგალობ.).

3) $\boxed{\text{ი} - \text{მიმღ} + \text{ობ} \mid \text{ებ}}$ ინდექსი მყოფადის მწკრივის წარმოებისას იმატებს ი პრეფიქსს აწმყოში არსებული მიმღეობის ულ სუფიქსი მყოფადში არ გადაჰყვება. ობ თემის ნიშანს ენაცვლება ებ თემის ნიშანი. გვაქვს სულ სამი მაგალითი.

კისრულობს-იკისრებს

„რად კისრულობ მარტოკა შველას? (თ. მაჩაბ. თარგმ.).

4) $\boxed{\text{ი} - \text{შემღ} + \text{ობ} \mid \text{ავ}}$ ინდექსი აწარმოებს აწმყოს მწკრივიდან მყოფადის მწკრივს წინა ინდექსის მსგავსად, ოღონდ ობ თემის ნიშანს ენაცვლება ავ თემის ნიშანი. მაგალითი ორია.

კითხულობს-იკითხავს

„უთუოდ იკითხავთ: როგორ ჩნდება ნავთი?“ (ი. გოგება.).

5) $\boxed{\text{ი} - \text{შემღ} + \text{ობ} \mid \text{ი}}$ ინდექსი მყოფადს აწარმოებს წინა ორი ინდექსის მსგავსად, ოღონდ ობ თემის ნიშანს ცვლის ი თემის ნიშანი. მაგალითი ხუთია.

ყიდულობს-იყიდის

„[გლეხი] ოთხ მანეთად ყიდულობდა ხორბალს“ (მ. ჯავახ.).

შოულობს-იშოვის

„შენ თუ სალაპარაკო იშოვე, ხომ აღარ გაათავებ?“ (აკაკი).

6) $\boxed{\text{ი} - \cancel{\text{ქ}}}$ ინდექსი აწმყოს მწკრივიდან მყოფადის მწკრივს ი პრეფიქსით აწარმოებს, ობ თემის ნიშანი კი ზმნას სცილდება.

ხმარობს-იხმარს

„წამალიც ხელთა აქონიათ და არ უხმარიათ!“ (ილია)

არის ობ თემისნიშნანებში იშვიათი გამონაკლისი (ჩვენს მაგალითებში სულ ოთხი ზმნაა), როდესაც ზმნისწინიდან გამოყენებული მყოფადის საწარმოებლად. ვეფიქრობ, რომ ეს გარემოება ეითარებას არ ცვლის რადგანაც ამგვარ ზმნათა რაოდენობა მეტისმეტად მცირეა და ანალოგიით უნდა იყოს წარმოქმნილი.

1) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ობ} = \text{ობ}}$ ინდექსი იმავე წარმოებისათვის იყენებს ზმნისწინს და ი პრეფიქსს ხოლო ობ თემის ნიშანი გადაჰყვება მყოფადის მწკრივში. მაგალითი ერთია.

ჰყრობს-დაიჰყრობს

„ყოველთვის მე ვიყავ მისის იმედით, არასა ეჰყრობდი ჩემთა სითაჰხედით“ (დ. გურამ.).

2) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \cancel{\text{მზღ}} + \text{ობ} = \text{ობ}}$ წინა ინდექსთან შედარებით განსხვავებაა მხოლოდ მიმღების მაწარმოებელში, რომელიც მყოფადში გადასვლისას შორდება ძირს.

ტყობილობს - შეიტყობს

„ათას ჭორსა და ახალს ეტყობილობდით“ (ვ. ბარნ.).

3) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \cancel{\text{მზღ}} + \text{ობ} \text{ ებ}}$ ინდექსი აწმყოდან მყოფადის მწკრივში გადასვლისას იმატებს ზმნისწინს, ი პრეფიქსს, მიმღების სუფიქსი არ გადაჰყვება მყოფადის მწკრივში, ობ თემის ნიშანი იცვლება ებ თემის ნიშნით. მაგალითი ორია.

გებულობს-გაიგებს

„ბევრ საინტერესო რასმეს გებულობდნენ ისინი“ (რ. გვეტ.).

ღებულობს-მიიღებს

„შენ ხშირად ღებულობ ბანკიდან ფულს“ (ა. ბელ.).

გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ რამდენიმე ზმნა, რომლებიც აწმყოსაგან მყოფადს აწარმოებენ ი პრეფიქსის გარეშე, თემის ნიშანთა მონაცვლეობით.

ასეთია ი დაბოლოებიანი ზმნები. მაგ.,

შემოღობის-შემოღობებს
ჩამოყვირის-ჩამოჰყვირებს
გასჰყვირის-გასჰყვირებს

ორპირიანებში ასეთი ზმნების გადასვლა ანალოგიად უნდა მივიჩნიოთ. ამდენად, მათი გარდამავალ ზმნებად ჩათვლა გარკვეულ დაბრკოლებად ჩნდება. არაბუნებრივად ჩანს ქართულისათვის. მაგ.,

ჰყვირის-ჰყვირის; ყვირის-ყვირის;

ზშირ შემთხვევაში პირთა რაოდენობა დამოკიდებულია კონტექსტზე.

პირმონაცვლე თავისებური ზმნები

ზმნის სწავლას პრაქტის თითქმის ყოველთვის ნაკლები ყურადღება მახვილდება თავისებურ ზმნებზე. ამ თემისადმი სხვადასხვა მიდგომა ნათელი გახდეს თუ თანამიმდევრულად გავაღვიწიებთ თვალსა და განვიხილავთ ადრე არსებულსა თუ მოქმედ სასწავლო პროგრამებს სახელმძღვანელოებსა და მეთოდურ ლიტერატურას.

§7. თავისებური ზმნები მეთოდურ ლიტერატურაში

ა) ზმნები ქართული ენის პროგრამებში.

ძველ სასწავლო პროგრამებში თავისებურ ზმნათა სწავლების საკითხები შედარებით ნაკლებადაა გამოკვეთილი. მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან კი ეს თემაც ჩნდება პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში. თანდათან დღის წესრიგში შეაქვთ და ცდილობენ დაიცვან პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისობა ამ საუკუნის „ქართული ენის გრამატიკის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისობის შესახებ ლაპარაკი ფაქტიურად მხოლოდ ილია სიხარულიძის 1929 წელს გამოცემულ „ენის დაკრეფებაშია ასევე შემდგომი წლების მისივე სახელმძღვანელოებს და ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის“ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას რადგან 1928 წლამდე ქართული ენის გრამატიკის სრულყოფილი პროგრამები ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის“.¹ მანამდე ამგვარ თანაფარდობასა და შესატყვისობაზე არ იყო გამახვილებული ყურადღება. ეს კი სწავლების თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მასზე.

1929 წლის „ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამაში“ (5-10 კლასები), რომელიც განკუთვნილია მეშვიდე კლასისთვის გარდნაეული

1. ბ. ბათიაშვილი, ქართული ენის გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოთა (1921-1961) ავტორთა ძირითადი პრინციპები, გვ. 121.

და გარდაუვალი ზმნების შემდეგ მოცემულია „პირ-რიცხვ და დრო-ნაკულ ზმნათა უღვლილება“.

1933 წლიდან მოყოლებული დღემდე თავისებური ზმნები ხაზგასმითა და გამოკვეთილად ყველა პროგრამაშია შეტანილი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ პროგრამებზე დართულ მეთოდურ მითითებებში თითქმის არც არის პირდაპირ აღნიშნული, თუ რა თანამიმდევრობით გავანაწილოთ, რა შინა-არსით და როგორ ვასწავლოთ ეს ზმნები. 1933 წლის სსრ განსახკომის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ შემუშავებულ პროგრამებში, საერთოდ, არეულია სინტაქსისა და მორფოლოგიის საკითხები.

ნაშნარი სახელების შემდეგაა საკითხი: „პირ-, რიცხვ და დრონაკლ (დეფექტურ) ზმნათა უღვლილება“ (გვ.11).

1934, 1937 წლების „არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პროგრამებში“ VI კლასებისათვის განსაზღვრულია ზმნის ყველა კატეგორიის კერძოდ, გზის (ანუ კონტაქტის) შემდეგ „პირნაკლი, რიცხვნაკლი და დრონაკლი ზმნების“ სწავლება (გვ. 6). ე.ი. თავისებურებათა განხილვა გადატანილია ზმნის ყველა კატეგორიის შესწავლის შემდეგ.

1938 და 1939 წლების პროგრამებში წინა პროგრამათა მსგავსი მდგომარეობაჲ ოღონდ თავისებური ზმნები შეტანილია ნასახელარი ზმნების შემდეგ.

1940-1946 წლების არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პროგრამებში - VI კლასისთვის ზმნის უღვლების ტიპების შემდეგ ყურადღება გამახვილებულია ე.წ. „მონაცვლე ზმნებზე“. შენაცვლება რიცხვის მიხედვით, შენაცვლება დრო-კილოთა მიხედვით; გამოკვეთილია აგრეთვე მართლწერის საკითხები.

1946 წლის საშუალო სკოლის ქართული ენის პროგრამაში თავისებური ზმნები შეტანილია „მონაცვლე ზმნებთან“ (6 საათი).

1951-1955 წლების საშუალო სკოლის პროგრამებში „ფუძის“ შემდეგ მოდის „მონაცვლე ზმნები“ (5 საათი); შენაცვლება რიცხვის მიხედვით, შენაცვლება მწკრივთა მიხედვით; იქვე გათვალისწინებულია მართლწერის საკითხებიც.

1956-1959 წლების საშუალო სკოლის პროგრამებში „უღვლების“ შემდეგ შეტანილია „თავისებური ზმნები“ განაწილებული 4 საათი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. რიცხვში მონაცვლე ზმნები და მათი მართლწერა (2 საათი).
2. მწკრივში მონაცვლე ზმნები და მათი მართლწერა (2 საათი).

1960-1972 წლების რვაწლიანი სკოლის პროგრამებშიც „უღლებს“ შემდეგ არის „თავისებური ზმნები“, მაგრამ დათმობილი აქვს 3 საათი.

რიცხვში მონაცვლე ზმნები - ზოგადად.

მწკრივში მონაცვლე ზმნები ზოგადად (სეარჯიშობის გარეშე).

1973-1976 წლის „რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამებში“ „თავისებური ზმნები“ „კონტაქტის“ კატეგორიის შემდეგაა მოცემული და დათმობილი აქვს 4 საათი. პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები, პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნები, მწკრივში მონაცვლე ზმნები - ზოგადად.

1981-1984 წლების „რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამებში“ თავისებური ზმნები უკვე დანაწევრებულადაა შეტანილი ცალკეულ კატეგორიებთან. რა თქმა უნდა, ბოლოს აღარ არიან გაერთიანებული ერთ საკითხად „თავისებური ზმნები“. ზმნის პირისა და რიცხვის კატეგორიების სწავლების ინვერსიისა და ზმნის რთული ფორმების შემდგომაა შეტანილი პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები. აგრეთვე პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნები. მწკრივების სწავლების შემდეგ კი გათვალისწინებულია მწკრივში მონაცვლე ზმნები.

ამგვარად, თავისებური ზმნების სწავლების საკითხები მოქმედ პროგრამებში საბოლოოდ ისეა შეტანილი, როგორც 1981-1984 წლების პროგრამებში. იმავეს იმეორებს 1989-1998 წლების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ახლანდელი პროგრამები.

ბ) ქართული ენის სახელმძღვანელოები

პროგრამასა და სახელმძღვანელოს შორის შესატყვისობაზე ზრუნვა როგორც ითქვა, განსაკუთრებით გაძლიერდა 30-იანი წლებიდან. ამ პერიოდში სკოლებში ძირითად სახელმძღვანელოდ დამტკიცდა 1933 წელს გამოცემული ი. სიხარულიძის „ქართული ენა“. 1938 წელს კი აკად. აკ. შანიძეს დაეუალა, შეედგინა სახელმძღვანელო „ქართული ენის გრამატიკის“ სახელწოდებით. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ვ. თოფური, დამსახურებული მასწავლებელი ფ. რურუა.

1939 წელს გამოიცა აკად. აკ. შანიძის სახელმძღვანელო „ქართული ენის გრამატიკა“. არასრული საშუალო სკოლის V, VI და VII კლასებისათვის. ყველაზე მეტი მწყობრი ხასიათი მიეცა სკოლაში ენის სისტემა-

ტური კურსის სწავლებას. ეს სახელმძღვანელო დაედო საფუძვლად აგრეთვე შემდეგში შედგენილ ენის პროგრამას. ამან კიდევ უფრო დაახლოვა პროგრამა და სახელმძღვანელო.

ზმნის კატეგორიების დახასიათების შემდეგ ექვსი პარაგრაფი დათმობილი აქვს თავისებურ ზმნებს. „I-X გამოცემის ჩათვლით ჯერ სახელზმნები (საწყისი, მიმღობა) იყო მოცემული შემდეგ თავისებური ზმნები. XI გამოცემიდან კი (სრულიად სამართლიანად) გადაჯგუფდა თავისებური ზმნები ზმნის უღლების შემდეგ არის განხილული და მას მოსდევს სახელზმნა... აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ყოველწლიურად ჯერ თავისებური ზმნები იყო შეტანილი და შემდეგ სახელზმნა, მაგრამ სახელმძღვანელო მას არ მიჰყვება“.¹

პირველ გამოცემაში თავისებური ზმნები დაცალკეებულა პარაგრაფებად: შენაცვლება, შენაცვლება რიცხვის მიხედვით (ცალკე S პირების მიხედვით, ცალკე 0 პირთა მიხედვით), ახლავს 8 მაგალითი. შენაცვლება დრო-კილოთა მიხედვით - 12 მაგალითი; შენაცვლება ასპექტის მიხედვით - 2 მაგალითი; შენაცვლება პირიანობის მიხედვით - 2 მაგალითი. ამით მთავრდება მორფოლოგიის საკითხები და იწყება სინტაქსი.

1941 წლის გამოცემა ზუსტად მისდევს 1939 წლის გამოცემას.

1946 წელს აკად. ვარლამ თოფურიას რედაქტორობით გამოიცა სახელმძღვანელო I და II ნაწილი, წინა გამოცემების მსგავსად, ერთად V, VI, VII კლასებისათვის. ამ წიგნს ერთვის მართლწერის საკითხებიც, უფრო ფართოდაა წარმოდგენილი თავისებური ზმნებიც. ასეთ ზმნებს ეთმობა სამი პარაგრაფი: 1) § 207, „გადახრა საერთო წესებიდან“; 2) § 208. რიცხვში მონაცვლე ზმნები. 6 მაგალითი. 3) § 209. შენაცვლება მწკრივთა მიხედვით. 9 მაგალითი.

1948 წელს ი. გიგინეიშვილის რედაქტორობით ცალკე გამოიცა I ნაწილი, ფონეტიკა და მორფოლოგია (მართლწერის საკითხებითურთ). პარაგრაფებად დაყოფა და მაგალითები მისდევს წინა 1946 წლის გამოცემას. ოღონდ მესამე პარაგრაფში „შენაცვლება მწკრივთა მიხედვით“ საანალიზოდ 9 მაგალითის ნაცვლად 8 მაგალითია წარმოდგენილი. 1946 წლის გამოცემის მეშვიდე და მერვე მაგალითი ამ გამოცემაში გაერთიანებულია და ჩათვლილია ერთ მაგალითად, რიგით მეშვიდედ. (მაგ.: მომაქვს||მოვიტან; მომაქვს||წავიღებ).

1. ბ. ბათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

1956 წლამდე არავითარი ცვლილება არ არის სახელმძღვანელოში თავისებური ზმნების შესახებ. ამ წლიდან 1961 წლის ჩათვლით მესამე პარაგრაფის სახელწოდება „შენაცვლება მწკრივთა მიხედვით“ ასეა შეცვლილი „მწკრივში მონაცვლე ზმნები“.

1962 წელს გამოიცა „ქართული ენის გრამატიკა“ მხოლოდ I ნაწილი. ავტორები: აკ. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე. წიგნი მოიცავს ფონეტიკასა და მორფოლოგიას (V-VI კლასების სახელმძღვანელო). განსხვავებული რამ თავისებურ ზმნათა შესახებ არც აქ თქმულა.

1965 წლის მეორე გამოცემაში უღლების ტიპების შემდეგაა დასახელებული თავისებური ზმნები. განკუთვნილია ოთხი პარაგრაფი: 1) § 148. გადახრა საერთო წესებიდან. შინაარსით იგივეა როგორც წინა გამოცემებში. 2) გამოყოფილია პირნაკლი ზმნები, ცალკეა განმარტებული პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნებიც. დასათაურებულია ასე: „პირნაკლი და პირში მონაცვლე ზმნები“. დასახელებულია 12 მაგალითი. 3) რიცხვი მონაცვლე ზმნებში მაგალითით; 4) მწკრივში მონაცვლე ზმნები - 8 მაგალითით. თავისებური ზმნების შემდეგ იწყება სახელზმნა.

ასე უცვლელად გრძელდება მომდევნო გამოცემებში ეს საკითხი (1965-1969). 1974 წელს გამოიცა მხოლოდ I ნაწილი - მორფოლოგია, თავისებური ზმნები კვლავ ისეა წარმოდგენილი. ამდენად, 1965 წლიდან მოყოლებული 1979 წლის ჩათვლით ცვლილება არ მომხდარა. პარაგრაფებად დაყოფა მაგალითებზე, სავარჯიშოებიც თითქმის უცვლელია.

1981 წლიდან ეს თემა ცალ-ცალკე პარაგრაფებადაა შეტანილი პროგრამაში.

1984 წლის „ქართული ენის“ VI კლასის სახელმძღვანელოში (აკაკი შანიძე, ლეო კვაჭაძე), თავისებური ზმნები ცალკე საკითხად არ არის წარმოდგენილი, განაწილებულია ცალკეულ კატეგორიასთან დაკავშირებულ თავისებურებათა განმარტებებით. პირის სწავლებისა და ინვერსიის შემდეგ ისწავლება:

- 1) § 20 ზმნის რთული ფორმები.
- 2) § 21 პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები.
- 3) § 22 პირში მონაცვლე ზმნები.
- 4) § 23 რიცხვში მონაცვლე ზმნები.

მწკრივების, თემისა და თემის ნიშანთა სწავლების შემდეგ (§ 41) შეტანილია მწკრივში მონაცვლე ზმნები - 7 მაგალითით.

ასეა განლაგებული ეს საკითხები ახლაც „ქართული ენის“ მოქმედ სახელმძღვანელოში.

უასპექტო ზმნები 1939 წლიდან 1962 წლამდე (ავტორი აკაკი შანიძე) ასპექტის შემდეგ ცალკე პარაგრაფით იყო გამოყოფილი. ქცევასთან უქცეო ზმნები სავარჯიშოს გარეშე. 1962 წლიდან (აკაკი შანიძე, ივანე იმნაიშილი, ლეო კვაჭაძე) ისევე ისეა შეტანილი უასპექტო ზმნები (კვლავ სავარჯიშოს გარეშე).

1984 წლის გამოცემაში (აკაკი შანიძე, ლეო კვაჭაძე). უასპექტო ზმნები სამი სავარჯიშოთია წარმოდგენილი უქცეო ზმნები - ისევე ისე მეთორღება სავარჯიშოების გარეშე.

ეს ცვალებადობა იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში და შეიძლება ითქვას თავისებურ ზმნებზე ყურადღების სხვადასხვანაირად გამახვილებას.

გ) მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში პირველად თავისებური ზმნების სწავლების საკითხებზე მარიამ თალაკვაძემ გაამახვილა ყურადღება თავის მონოგრაფიულ შრომაში „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია“ (1959). პირველივე გამოცემაში ექცევა ყურადღება ასეთი ტიპის ზმნებს. ამდენად, არც მეორე გამოცემაშია (1975) ცვლილება. მეცნიერი თავისებურ ზმნებს ზმნის უღლების სწავლების შემდეგ განიხილავს.

პირველ რიგში მარიამ თალაკვაძე განსაზღვრავს თვით მოვლენას - „მონაცვლეობას“, „არის“ ზმნის უღლების მაგალითზე და წერს:

„რომელიმე ზმნის დანაკლისი ფორმების შევსებას სხვა ფუძის ზმნით შენაცვლება ეწოდება. ზმნა, რომელიც ავსებს დანაკლის ფორმებს, მონაცვლეა. მაშასადამე, იქნება ზმნა მონაცვლეა არის ზმნისა. ამავე ზმნის მონაცვლეა წვეტილში იყო.

ამგვარად, არის იქნება, იყო მონაცვლე ზმნებია. ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან მწკრივებში“¹. ამით მან ნათელი წარმოდგენა მისცა, თუ რა მოვლენაა „შენაცვლება“ და რას ნიშნავს ზმნა „მონაცვლეა“.

შენაცვლების საერთო წესის გაცნობის შემდეგ მარიამ თალაკვაძე წარმოადგენს რიცხვში მონაცვლე ზმნების მაგალითებს, იქვე მიუთითებს, რომ

1. მ. თალაკვაძე, დსაზ. ნაშრ., გვ. 215.

შეიძლება პირდაპირ მიეცეს დასასწავლად ის ზმნები რომლებიც ხშირად იხმარება. აღნიშნულია რომ განსაკუთრებით საყურადღებოა ეს საკითხი მოსწავლეთა მათრღმეტყუელებისა და მართლწერისათვის. ამდენად, ხამ გამით მიუთითა რომ თავისებურ ზმნათა სწავლების პროცესში განსაკუთრებით აუცილებელია მართლწერასა და მართლმეტყუელებაზე ყურადღების გამახვილება. შეიძლება თავისუფლად ვთქვათ, რომ მას მხედველობაში აქვს მეტყუელების სტილზე მუშაობა.

თავისებურ ზმნათა მართებული ხმარებისათვის გვთავაზობს ვარჯიშობათა სხვადასხვა სახებს. მაგ.: ცალკეული ზმნების დასახელება, მათი გადაყვანა მრავლობით რიცხუში ან სხვა მწკრივში, ტექსტიდან სათანადო ზმნების ამოწერა. ასეთ ზმნებზე ფრახების შედგენა და ა.შ.

მარიამ თალაკვაძეს მიზანშეწონილად მიანია წერითი სამუშაოს ჩატარება ცალკეული სახის მონაცვლეობაზე. რეკომენდაციას იძლევა ისეთ წერით სახეებზე, როგორიცაა: კარნახი, მოცემული ზმნების გადაყვანა-გადაკეთება და სხვ. აგრეთვე ტახულების გამოყენება რითაც ხამს უსვამს თვალსაჩინოების პრინციპის ეფექტურობას.

მარიამ თალაკვაძის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე შრომა მოიპოვება რომელშიაც საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება თავისებური ზმნების სწავლებასთან და მასთან დაკავშირებულ მეტყუელების განვითარების საკითხებზე.

1987 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოკათა გაერთიანებულმა კათედრამ გამოსცა კრებული „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები“. ამ კრებულში დოც. ოთარ გაჩეჩილაძემ დაბეჭდა წერილი: „ზოგიერთ თავისებურ ზმნათა სწავლებისათვის მე-7 კლასში“.

ამ საკითხზე ოთარ გაჩეჩილაძე საკმაოდ ფართოდ მსჯელობს ის განსახლერავს საერთოდ თავისებურ ზმნებს იმოწმებს აკად. აკაკი შანიძეს. ერცლად საუბრობს მის მიერ შემოთავაზებულ ზმნათა ჯგუფებზე.

დოც. ოთარ გაჩეჩილაძე მიჰყვება სკოლის პროგრამით დათმობილი 3 საათს ცალ-ცალკე გამოყოფს მათ და გაკვეთილებს ამგვარად ანაწილებს:

- I გაკვეთილი: პირნაკლი და რიცხვნაკლი პირში მონაცვლე ზმნები.
- II გაკვეთილი: რიცხვში მონაცვლე ზმნები.

III გაკვეთილი: მართლწერის საკითხები რიცხვში მონაწილე ზმნების სწავლებასთან დაკავშირებით.

მეცნიერი იძლევა ყოველი გაკვეთილის საორიენტაციო ნიმუშებს. ამით მტკიცედ უსვამს ხაზს, რომ თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებულ თავისებურებებზე იქვე უნდა გამაზვილდეს ყურადღება. პირის სწავლების დროს პირნაკლი და ა.შ.

პირველ გაკვეთილზე მოსწავლეები ეცნობიან პირნაკლსა და რიცხუნაკლ ზმნებს... საუბრის მეთოდით განმარტებულია, რომ ზმნები - ბნელა ცივა, ცხელა, გრილა და სხვ. წარმოშობით არიან სახელი და ზმნა: ბნელ - ა(რს) ცივა-ა(რს), ცხელ-ა(რს)...

ამის შემდგომ პირში მონაცვლე ზმნებს განმარტავს.

პირველ რიგში, პირში მონაცვლე ზმნების გასარკვევად აღებული მაგალითი არის - გახლავს. ამ საილუტსრაციო ნიმუშის შემდეგ მისაწვდომადია მიცემული განსაზღვრა. „ზმნის ისეთ ფორმას, რომელიც იხმარება ჩვეულებრივი ზმნის მაგიერ მორიდებულ საუბარში პირში მონაცვლე ზმნა ჰქვია“.

ოთარ გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ არის - გახლავს ზმნებთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს შემდეგი:

ა) გახლავს იხმარება უპირო ფორმითაც.

ბ) ზმნას გახლავს ორი პირის ნიშანი აქვს გ-ახლავს-

იგი წარმოშობით (ფორმის შენარჩუნებითვე) ორპირიანი, გაგება ერთი პირისა აქვს კერძოდ, სუბიექტური პირისა.

2) მოსვლა - მობრძანება, წასვლა-წაბრძანება;

3) დაჯდომა - დაბრძანება;

4) მოსვლა - ხლება;

5) ჭამა - მირთმევა;

6) ჭამა - ხლება;

7) წაღება - მიტანა.

ახალი მასალის განმტკიცებისათვის მეტად სასარგებლოდ და აუცილებლად ვარაუდობს ოთარ გაჩეჩილაძე მრავალფეროვან საკლასო ვარჯიშობის ჩატარებას და საშინაოდ ზეპირი და წერიითი დავალებების მიცემას. თუმცა სასურველი იყო აგრეთვე სტილისტიკურ სავარჯიშოთა მიწოდება, რაც მეტად აამაღლებდა მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების

კულტურას.

მეორე გაკვეთილი დათმობილი აქვს რიცხვში მონაცვლე ზმნების თავისებურებათა გარკვევას. ოთარ გაჩეჩილაძე გვთავაზობს ზმნათა წყვილ-წყვილი ფორმების თანამიმდევრულად განხილვას რასაც სათანადო სიცხადე შეაქვს. სწავლების გზად გამოყენებულია ინდუქცია უმეტესად ეყრდნობა საუბრის მეთოდს და შედარება - შეპირისპირების ხერხს.

რაობის გაცნობას იწყებს სუბიექტური პირის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნების ახსნით: 1) ჯდომა-სხდომა, 2) ვარდნა - ცვიენა; 3) თავს დაცემა - თავს დასხმა (თუმცა საჭიროა იქვე მოვიმარჯვოთ კონტექსტი რომ ეს ნიმუშები მივაწოდოთ სხვადასხვა წინადადებაში). ვარჯიშობის დროს კი გაბმული ტექსტის ამბის შედგენით განმარტებულია რომ შენაცვლება რიცხვში ობიექტურ პირთაგან პირდაპირს ახსიათებს ირიბს კი - არა. საანალიზოდ მოყვანილია შემდეგი მაგალითები:

4) გდება-ყრა, მაგალითად:

„... მათ წინ დაცემული მკლავებმომტკრეული ვაჟკაცით ეგლო უზარმაზარი მუხა“. (კეცხ.).

„თავმოჭრილი ცხვრები რიყესავით ეყარა“ (ვაჟა).

5) სმა-სხმა. მაგალითად:

„იქ ჩამოსხდნენ, გაშალეს ნაბადი და ზედ მზალო დასვეს“ (ა. ყაზბ.).
„საჩქაროდ ამოსხეს ბავშვებმა ბარტყები“ (თ. რაზიყ.).

6) მობმა-მოსხმა. მაგალითად:

„ტყემ მოისხა ფოთოლი...“ (ილია), „ამ ვაზმა შარშან ერთი მტევანი მოიბა, წელს კი ბევრი მოისხა“. (ო. გაჩ.).

ზეპირ დავალებასთან ერთად მოსწავლეებს შინ მიეცემათ წერითი დავალება: 1. შერჩეული ტექსტიდან წინადადების ამოწერა სადაც წარმოდგენილი იქნება რიცხვში მონაცვლე ზმნები; 2. შეადგინონ რამდენიმე წინადადება რიცხვში მონაცვლე ზმნების გამოყენებით.

მესამე გაკვეთილის მიზანია მოსწავლეები დაეუფლონ რიცხვში მონაცვლეობასთან დაკავშირებულ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს.

ოთარ გაჩეჩილაძე ადგენს ტაბულას სადაც წარმოდგენილია სწორი ფორმები რიცხვში მონაცვლე ზმნათა ერთ სვეტში და მეორე სვეტში კი - უმართებულო (განსხვავებული).

1988 წელს მანანა მიქაძემ გამოსცა წიგნი - „მეთოდური მითითებები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის“ სათაურით „ზმნის პირისა და რიცხვის სწავლების ზოგიერთი საკითხი საშუალო სკოლაში“. მასში ვრცლად და ცალ-ცალკეა განხილული S და O პირების სწავლების თეორიულ-პრაქტიკული საკითხები.

თავისებური ზმნების სწავლებას დათმობილი აქვს მე-ნ თავი. პირველ ნაწილშივე ამახვილებს ყურადღებას ზმნის რთული ფორმების სწავლებაზე. აქ დადასტურებულია, რომ არის შემთხვევები, როცა პირი აღნიშნულია ორმაგად, რაც მეშველი ზმნის ხმარებასთან არის დაკავშირებული. მხოლოდ ასეთ ზმნებს უწოდებენ რთულსო - ყურადღო, ღაღადყო და მისთ. (გვ. 72). უხსნის აგრეთვე მათ წარმოება-შედგენილობას. იქვე განმარტავს რომ რთული ზმნის სახელად ნაწილს ან ორივეს ერთვოდა პირის ნიშანი ძველ ქართულში - ქღაღად ყო, ვბრძოლა ვყო.

შეფასებულია ამ ფორმათა ახლანდელი მდგომარეობა პროგრამასა და სახელმძღვანელოს მიხედვით. გაანალიზებულია მხოლოდ ერთადერთი სა-ვარჯიშო, რომელიც წარმოდგენილია მ რთული ზმნით.

მ. მიქაძე საკუთარი გამოცდილებისა და დაკვირვების საფუძველზე ასკვნის რომ მოსწავლეები ძალიან ხშირად გამოყოფენ რთულ - ზმნებში ა-ს სუბიექტური პირის ნიშნად და ვერ ხსნიან, რომ იგი არს მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმაა.

იგი ხაზს უსვამს რომ მასწავლებლები ზმნის რთული ფორმის შესწავლის დროს ნაკლებად იყენებენ ისეთ თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალებს სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი ეს თავისებურებანი. მისი აზრით, ეს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თანამედროვე პირობებში მოსწავლეთა არასრული ცოდნისა. იგი თვლის, რომ სათანადო ტაბულებსა და სქემებზე დაკვირვებით, შედარება-შეპირისპირების ხერხის გამოყენებით ადვილად ხერხდება მარტივი და რთული ზმნის გარჩევა. იმის გარკვევა თუ არს ზმნის შეკვეცით როგორ მიიღება ბოლოსართი ა. შესაბამის მაგალითებზე ვარჯიშობამ ხელი შეუწყო საკითხის გარკვევას. აღნიშნა, რომ III პირის ფორმებში მეშველ ზმნას მხოლოდით რიცხვში აქვს არს შეკვეცილი ვარიანტი ა, ხოლო მრ. რ-ში - ან. (დაბადებულა, დაბადებულან, გაზრდილა, გაზრდილან).

საკონტროლო და საექსპერიმენტო კლასებში ჩატარებულია საკლასო წერა, კოდოსკოპით მიეწოდათ საცდელი კლასის მოსწავლეებს რთული

ზმნის ფორმები, რომლებზედაც უნდა შეედგინათ წინადადებები, ამან უკეთესი შედეგი მისცა.

მეორე ეტაპზე იგი მასალის განმტკიცების მიზნით კლასს აწოდებს სათანადო დამატებით სავარჯიშოებს პრაქტიკული ჩვენების გამოშუქებისათვის. კარგ შედეგს იძლევა ასეთი სავარჯიშოები:

- 1) საკითხავი ტექსტიდან ზმნის რთული ფორმების ამოწერა;
- 2) ზმნის რთული ფორმების გამოყენებით წინადადებების შედგენა.

3) ზმნის III პირის ფორმიდან ზმნის პირის ნიშნის → და შემდეგი ზმნისა - ა ნაწილის გამოყოფა.

რთული ზმნების შესწავლის შემდეგ მანანა მიქაძე ცალკე გამოყოფს ქვეთავს: „პირნაკლი, რიცხვნაკლი პირში მონაცვლერიცხვში მონაცვლე ზმნების სწავლება“.

დასაწყისშივე განმარტებულია რომ ქართულ ენაში არსებობს ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელიც დეფექტური ზმნების სახელითაა ცნობილი. ამის ნიმუშად აწვდის და ახასიათებს პირველ რიგში პირნაკლ ზმნას - თოვს. მას უდარებს სამსახვე პირის მქონე ზმნას - ვქსოვ. შეპირისპირებით ნათელი ხდება რომ I და II პირი აკლია ზმნას თოვს. ზაზს უსვამს იმასაც, რომ ამ ზმნას აკლია ამავე დროს არა მარტო პირები, არამედ რიცხვიც. აღნიშნულია ასეთი ბუნების მოვლენების გამომხატველი ზმნები. მაგ.: წვიმს ცხელა ცივა თბილა ბნელა გრილა და სხვ.

პირნაკლ და რიცხვნაკლ ზმნათა განმარტების შემდეგ მკვლევარი ასახულებს რომ მოგვეპოვება სინონიმური მნიშვნელობის ზმნები, რომლებიც ერთერთს ენაცვლებიან ერთსა და იმავე პირში. ნათქვამია რომ ერთი იმარება ჩვეულებრივ მეორე-მორიდებულ საუბარში. ასეთ ზმნებს უწოდებს პირში მონაცვლებს და მაგალითად მოჰყავს შემდეგი ზმნები: არის|| გახლავს ხარ||ბრძანდება, ჭამა||მიირთვია, თქვა||ბრძანა დაჯდა||დაბრძანდა მოდი||მობრძანდი წადი||წაბრძანდი. რიცხვში მონაცვლე ზმნები: ზის-სხედან, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა ძირის ზმნა.

შემდეგ მოცემულია დეფექტური, პირდაპირობიექტური პირის მიხედვით მონაცვლე ზმნა. გადავავლე ქვა - გადავყარე ქვები.

დაფიქსირებულია რომ გარდაუვალ ზმნებთან შენაცვლება ხდება სუბიექტურ, ხოლო გარდამავალ ზმნებთან - პირდაპირ ობიექტურ პირებში.

მანანა მიქაძე წერს რომ ქართულ ენაში პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნების გარდა გვაქვს: ასპექტნაკლი, მწკრივნაკლი, გვარნაკლი ზმნები.

ზზგასმულია რომ პირნაკლი რიცხვნაკლი პირში მონაცვლე და რიცხვში მონაცვლე ზმნების სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნის პირისა და რიცხვის გაცნობისთანავე, რადგან მათ საფუძვლიან ცოდნასება დამოკიდებული მოსწავლეთა მართლმეტყველება და მართლწერა. იქვე აღნიშნულია რომ სახელმძღვანელოს წინა გამოცემებში დეფექტური ზმნები განიხილებოდა ყველა მორფოლოგიური კატეგორიის შემდეგ.

ცალკე გაკეთილს უთმობს რიცხვში მონაცვლე ზმნებს. დაფაზე გაკრულია სქემა რომელშიც 6 წინადადებაა. ანალიზდება მოსწავლეთა დახმარებით რიცხვში მონაცვლე ზმნებო დგინდება განსხვავება III S პირის ნიშნების ხმარებაშიც: ზის-სხედან. გამოყენებულია შედარება-შეპირისპირების ხერხი გაკეთებულია დასკვნა რომ შინაარსის მიხედვით ეს ზმნები (დაეჯექი-დაესხედით) ერთი და იგივეა მაგრამ სხვადასხვა ფუძე აქვთ.

იმვე მეთოდითა და ხერხით ირკვევა რომ პირში მონაცვლე ზმნების გარდა ქართულ ენაში მოიპოვება რიცხვში მონაცვლე ზმნებო რომელთაგან ერთი მხოლობითში იხმარება მეორე-მრავლობითში. (ვარდება-ცვივა; ევლო-ეყარა).

კედელზე იკრება სქემა, სადაც ჩამოწერილია დეფექტური ზმნები პირისა და რიცხვის მიხედვით. მოსწავლეებს ევალებათ აგრეთვე ამ დეფექტური ზმნების გამოყენებით თხზულების შედგენა. ბოლოს ჩაატარებს საკონტროლო წერას. მოსწავლეებმა უნდა ჩასვან კოდოსკოპით მიწოდებულ წინადადებებში გამოტოვებული ზმნის სწორი ფორმა.

მაგ.: 1. ბალახში ვაშლები... (აგლია, ყრია) და ა.შ.

§ 18. თავისებურ ზმნათა სწავლება

1. ზოგადი საკითხები

მეთოდური მემკვიდრეობის მიმოხილვამ დაგვარწმუნა რომ თავისებური ზმნები თავიდანვე იქცეედა ყურადებას სწავლების თვალსაზრისითაც. სხვადასხვა განსაზღვრა-ფორმულირებით, მოცულობითა და თანმიმდევრობით გვხვდება თითქმის ყველა ქართულ გრამატიკაში. სხვადასხვა რიგითა და შინაარსით იყო წარმოდგენილი სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში. ეს გარკვეულ სხვადასხვაობას იწვევდა თავად სწავლებაშიც, რაც გარკვეულ ასახვას პოულობდა მეთოდური რეკომენდაციებშიც.

ამგვარი შეუსაბამობანი ხანდახან თავს იჩენს თანამედროვე ეტაპზეც. მართალია, შემოქმედებითად მიდგომა მისასაღებელია, მაგრამ ხშირად ეს თავისებური ზმნები სხვადასხვა მოცულობით, შინაარსითა და თანმიმდევრობით ისწავლება მასწავლებელთა სურვილითა და შეხედულებით. ამიტომ, პირველ რიგში აუცილებელია დაზუსტდეს და განისაზღვროს თუ როგორ განაწილდეს ამ სახის ზმნები კალენდარულსა და თემატიკურ გეგმებში შესასწავლი საკითხების დაგეგმასთან ერთად. უმთავრესია სწორად, თანამიმდევრულად განაწილდეს მასთან დაკავშირებული საკითხები.

2. სწავლების თანამიმდევრობისათვის როგორც ენაზეთ, ადრინდელ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში თავისებური ზმნები განხილული იყო ყველა კატეგორიის შესწავლისა და ზმნათა უღლების შემდეგ ერთი სათაურით „თავისებური ზმნები“. რომელშიც დაჯგუფებულია ცალ-ცალკე პარაგრაფად თითოეულ დეფექტურ ზმნათა სახეობა. 1980 წლიდან კი დღემდე თავისებურ ზმნებზე ყურადღება მახვილდება პირის კატეგორიის შემდეგ: რთული ზმნები, პირნაკლი, რიცხვნაკლი, პირში მონაცვლე, რიცხვში მონაცვლე ზმნები. მწკრივებისა და სერიების სწავლების შემდეგ მწკრივნაკლი ზმნებია წარმოდგენილი.

მასწავლებელთა უმრავლესობა გამოყოფს 5-6 საათს. ოფიციალურად ძირითადი (პროგრამიდან) 4 საათი და ამ საკითხებთან დაკავშირებულ მეტყველების განვითარებისათვის 2 საათი. ე.ი. დაახლოებით 6 საათი.

ამჟამად მოქმედი პროგრამით ეს საკითხი პირის ნიშნების სწავლებასთან დაკავშირებით განიხილება კალენდარული გეგმის მიხედვით ოქტომბრის თვეში, ხოლო თავისებურ ზმნებზე დაჯგუფებულად და შემაჯამებლად ზმნის სწავლების ბოლოსაც მახვილდება ყურადღება.

ზმნის პირისა და რიცხვის საკითხებს მთლიანად დათმობილი აქვს სულ 18 საათი. თემატიკურ გეგმაში თავისებური ზმნები ასე განაწილდება.

1-ელი გაკვეთილი - რთული ზმნები

მე-2 გაკვეთილი - პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები

მე-3 გაკვეთილი - პირში მონაცვლე ზმნები

მე-4 გაკვეთილი - რიცხვში მონაცვლე ზმნები 5 პირის მიხედვით;

მე-5 გაკვეთილი - რიცხვში მონაცვლე ზმნები 0 პირის მიხედვით;

მე-6 გაკვეთილი - შემაჯამებელი, მასალა მართლწერისა და მართლ-

მეტყველებისათვის.

თავისებური ზმნების სწავლებას წინ უძღვის განმეორება-ვარჯიშის გაკვეთილი. ამას თანამიმდევრულად უკავშირდება პირველი გაკვეთილი და ვაცნობთ რთულ ზმნებს, რომლის შესავალ ნაწილში გამახვილებულია ყურადღება, რომ ქართულში გვხვდება ისეთი თავისებურებანი, რაც პირველ რიგში კლინდება ზმნის შედგენილობა-აგებულებაში.

§ 19. I ბაკვეთილი - რთული ზმნები

გაკვეთილის თემა - რთული ზმნები;

გაკვეთილის მიზანი - მოსწავლეებს გაეცნოთ:

- 1) შედგენილობით გვხვდება მარტივი და რთული ზმნები;
- 2) როგორია ზმნის შედგენილობა;
- 3) მუშეულზმნიანი ფორმები ძველ და ახალ ქართულში;
- 4) ევარჯიშო რთული ზმნების ამოცნობა-გამოყენებაში.

გაკვეთილის მსვლელობა

წერთი საშინაო დავალების შემოწმების წინა მასალის (ობიექტურ პირებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები) ინდივიდუალური თუ ფრონტალური გამოკითხვის და შეჯამების შემდეგ მასწავლებელი ამზადებს ნიადაგს ახალ მასალაზე გადასასვლელად. დავაკვირთ, ჩვენ შევისწავლეთ S და O პირებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები, რაც აუცილებელია მართლმეტყველების დასაუფლებლად.

საერთოდ ზმნები მარტივია მაგ.: ვწერ, ვხატავ ვაშენებ, კითხულობს კერაუს... მაგრამ გვაქვს რთული აგებულების სხვაგვარი ზმნებიც.

დაფაზე მზადაა სათაური - რთული ზმნები და წინადადებები.

მოცემული წინადადებებიდან ამოიწერს გამოძახებული მოსწავლე ზმნებს.

1. „ინც დამბადა შეძლებამცა მანვე მომცა ძლევედ მტერთად“. 2. „იმთავითვე, დაებადებულვარ თუ არა, ვაჟის შეძენით გაზარებულ მამაჩემს დიდი ხნის გარისხული და სასახლიდან გაგდებული შინაყმა შეურიგებია“.

S ა.0

S ი.0 ა.S

მოსწ., დამბადა მან; მე

მო-მ-ც-ა მან მე ის

S

S ა.0

დაებადებულვარ - მე;

შეურიგებია მას ის.

დავდივარ	ვაკეთებ	ეწერ	ვზივარ
დადიხარ	აკეთებ	წერ	ზიხარ
დადის	აკეთებს	წერს	ზის

მასწ., ვინ დამისახელებს რომელი ზმნებია აქ ერთმანეთის მსგავსი?

მოსწ., დამბადა, დავბადებულვარ.

მასწ., რატომ და რა საერთოს ხედავ?

მოსწ., ისინი შინაარსით ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემენ, რომ გაჩენილან, დაბადებულან, ამ ქვეყნად მოვლენილან.

მასწ., რა განსხვავებაა მათ შორის აგებულების მიხედვით?

მოსწ., განსხვავებულია ფორმა, ერთს არ ახლავს ვარ - ზმნა, მეორეს ახლავს.

მასწ., მართალია, ვაუღლოთ ორივე ზმნა S წყობით, ორსავე რიცხვში ერთმანეთის პირისპირ, სვეტებად ჩამოეწეროთ, გამოვყოთ ვარ ზმნა.

მოსწ., წერს დაფაზე.

- მზ.რ. 1. დავიბადე
2. დაიბადე
3. დაიბადა

- მზ.რ. დავბადებულ-ვარ
დაბადებულ-ხარ
დაბადებულ-ან

- მრ.რ. 1. დავიბადე-თ
2. დაიბადე-თ
3. დაიბად-ნენ

- მრ.რ. დავბადებულ-ვართ
დაბადებულ-ხართ
დაბადებულ-ან

მასწ., წაიკითხეთ დაწერილი მაგალითები და კვლავ დაასახელეთ პირისა და რიცხვის ნიშნების გარდა რა განასხვავებს ამ ზმნებს?

მოსწ., ვარ, ხარ ზმნები.

მასწ., ამ ზმნებს მეშველი ზმნები ეწოდება. ისინი დამხმარე ზმნებადაც შეიძლება მოვიხსენიოთ. ზმნებს რომელნიც მეშველ ზმნას შეიცავენ რთული ზმნები ეწოდება. დამისახელეთ, რომელია ამ შემთხვევაში რთული ზმნები.

მოსწ., დავბადებულვარ, დაბადებულხარ.

მასწ., რატომ არიან ესენი რთული ზმნები?

მოსწ., რადგან მათ ფუძეს ემატება მეშველი ზმნა.

მასწ., დავიბადე, დაიბადე, დაიბადა, დავიბადეთ, დაიბადეთ, დაიბადნენ. როგორი ზმნებია?

მოსწ., ესენი მარტივი ზმნებია, რადგან არ შეიცავენ მეშველ ზმნას.

მასწ., დაბადებულა დაბადებულან - თქვენ არ დაგისახელებიათ ესენი
რთულ ფორმებში. დააკვირდით, მარტივია ზმნა თუ რთული?
მოსწ., მარტივია რადგან არ არის წარმოდგენილი ვარ, ხარ მეშველი
ზმნით.

მასწ., ეს ზმნებიც რთულია! აი, რატომ. წერეთ!

დაბადებულ - არს დაბადებულ - არიან

მესამე პირში ზღება შეკვეცა არს, არნ მეშველი ზმნებისა და
სწორედ ამან შეგიყვანათ შეცდომაში.

მოსწ., წაიკითხეთ შემდეგი წინადადებები და ამოწერეთ ზმნები.

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი... ჩემი
სამშობლოც ის არი“.

„ერისთავები და დიდებულები - აზნაურებს და აზნაურები კი
გლეხებს აზრდევინებდნენ შეილებს“.

დასახალეთ რომელია მარტივი რომელი რთული ზმნა და რა-
ტომ?

მოსწ., ვშობილვარ, გავზრდილვარ - რთული ზმნებია რადგან ფუძე
შეიცავს მეშველ ზმნებს.

მარტივია - აზრდევინებდნენ.

მასწ., როგორ იქნება ეს რთული ფორმები მე-3 პირში?

მოსწ., შობილჯ; გავზრდილა.

მასწ., რატომ არიან ესენი რთული ფორმები?

მოსწ., შობილ - არს; გავზრდილ - არს. არს მეშველი ზმნა შეკვეცილი
ფორმითაა წარმოდგენილი და ა ხმოვანი შეერთებულია ზმნის
ფუძესთან.

მასწ., ყურადღება მივაქციოთ ტაბულას წაიკითხოთ ჩამოწერილი მეშ-
ველი ზმნები.

მოსწ., ვარ, ხარ, არის; ვიყავ, იყავ, იყო; ვიქნებო, იქნებო, იქნება.

მასწ., დასახელეთ წინადადებები, სადაც იქნება გამოყენებული მეშ-
ველზმნიანი ფორმები.

მოსწ., „გადავწყვიტე, დავმალულიყავი სხვენში“. რთული ზმნაა - დავ-
მალულიყავო რადგან შეიცავს მეშველ ზმნას ვიყავი.

მოსწ., „სად მიდიხართ ამ დილაუთენია“. მიდიხართ - რთული ზმნაა
ახლავს მეშველი ზმნა - ხარ.

მასწ., ძველ ქართულში ასეთ ზმნებში ცალკე გამოიყოფოდა მეშველი

ზმნა და ცალკე მიმღეობადი ნაწილი. მაგ.: განერისხებულვარ - განრისხებულ ვარ.

ნათლად ვხედავთ, ახალ ქართულში მოხდა¹ შეზრდა შერწყმა ფორმებისა. ახალ ქართულში რთულმა ზმნამ I პირში ორჯერ გამოხატა S-ის ნიშანი. მაგ., გან-ვ-რისხებულ-ვ-არ, გა-ვ-ციებულ-ვ-არ;

ამრიგად, დაასახელებთ რამდენგვარია ზმნის ფორმა?

მოსწ., ზმნის ფორმა ორგვარია: მარტივი და რთული.

მასწ., ჩამოთვალეთ მარტივი ზმნები

მოსწ., წერს ჭედავს ცურავს აკეთებს ამენებს...

მასწ., დაასახელებთ რთული ზმნები

მოსწ., ცვურავარ, ვხტივარ, გალამაზებულხარ, გასუქებულ იქნა დამშვენებულა...

მასწ., რა ჰქვია რთული ფორმების მაწარმოებელ ზმნას?

მოსწ., მეშველი ზმნები. ესენია: ვარ, ხარ, არის ვიყავ იყავ იყო, ეიქნებო იქნებო იქნა...

მასწ. რა ემართება მესამე პირში არს მეშველ ზმნას?

მოსწ., არს მეშველი ზმნა შეკვეცილი ფორმით არის წარმოდგენილი მესამე პირში.

მაგ.: გალამაზებულ-ა დაჩოქილ-ა; დაბრმავებულ-ა.

მასწ., როგორ იხმარებოდა რთული ზმნები ძველ ქართულში?

მოსწ., ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი სახელადი ნაწილი და მეშველი ზმნა.

კურთხეული ვარ, კურთხეული ხარ, კურთხეულ არს.

მასწ., რას გავეცანით დღეს?

მოსწ., რთულ ზმნებს.

მასწ., საშინაო დავალებად გექნებათ „რთული ზმნები“. ამოიწერეთ აკაკი წერეთლის პოემიდან „თორნიკე ერისთავი“ რთული ზმნები, გამოყავით მეშველი ზმნები, გვერდით მიუწერეთ მარტივი ფორმები.

აქ წარმოდგენილი გაკვეთილის მსვლელობა ნათლად გვიდასტურებს რომ ამ საკითხის ბოლოს გადატანა არაა გამართლებული. უფრო გასაგები ხდება მოსწავლეთათვის პირისა და რიცხვის კატეგორიათა ათვისების დროს პრაქტიკულადაც უკეთესია.

ამგვარად, პირველ გაკვეთილზე, რომლის თემაა „რთული ზმნები“, ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე:

გამოკითხული მასალის შეჯამების დროს მივანიშნებთ, რომ ზმნები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მარტო პირისა და რიცხვის მიხედვით, არამედ შედგენილობით, აგებულებითაც.

ვაწერინებთ დაფაზე მაგალითებს და ვაანალიზებთ, შეეუპირისპირებთ ერთმანეთს დაკვირვება-დაკვირვებულვარ, გაკვირვება-გაკვირვებულვარ... ზმნებს და ვასკენით: პირველი ზმნა მარტივი შედგენილობისაა, მეორე-რთული. რთულ ზმნას ემატება ვარ, რომელსაც მეშველი ზმნა ეწოდება. ის შეიძლება შეგვხვდეს შეკვეცილი ფორმითაც.

რთულ ფორმებს ედებულობთ სხვა მეშველი ზმნების დართვითაც. ასეთებია: ვიყავი, იყო, იქნება. იქვე მიუთითებთ, რომ ძველ ქართულში ამ სახის ზმნები ცალ-ცალკე იწერებოდა, ცალკე მიძღვობის ნაწილი და ცალკე მეშველი ზმნა.

მასალის განმტკიცებისათვის დაეუსვამთ კითხვებს, კვლავ დაგმზუსტებთ გაუგებარ საკითხებს საილუსტრაციო მაგალითებით და ვეარჯიშებთ პრაქტიკულად მათ გამოყენებაზე.

§ 20. პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები

მეორე გაკვეთილის შესავალ ნაწილში ინდივიდუალური და ფრონტალური გამოკითხვის დროს მოსწავლეთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ და შევანხნოთ, რომ გვხვდება ისეთი თავისებური ზმნებიც, რომლებიც დადგენილ ნორმებს არ ემორჩილებიან. პირველ რიგში, ეს ჩანს ზმნის შედგენილობა-აგებულებაში, ზოგჯერ მას ემატება მეშველი ზმნა, პირველი პირი გამოხატულია ორმაგად, ვხივარ, ვწუხვარ, დავდივარ... გაკვირვებულვარ...

მაგრამ გვხვდება ისეთი ზმნები, რომლებსაც პირველი და მეორე პირის ფორმები სრულებითაც არა აქვთ, მრვალობითში - არც მესამე პირის ფორმები. ასეთი ფორმები შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ პოეზიაში, ძალიან იშვიათად: „როგორც დავლამდი, ისე გაკთენდი“ (დ. გურამიშვილი).

ენახოთ მაგალითები, შეეუპირისპიროთ ერთმანეთს ასეთი ზმნების უღლება.

მე	ე-წერ	ქოჯ
შენ	წერ	ოჯ
ის	წერ-ს	თოჯ-ს
ჩვენ	ე-წერ-თ	ე-თოჯ-თ
თქვენ	წერ-თ	თოჯ-თ
ისინი	წერ-ენ	თოჯ-ენ

მასწ., წაიკითხეთ ხმაშეცვლილი მაგალითები განმარტე, როგორია ეს ზმნები აგებულებით?

მოსწ., ეს მარტივი ზმნებია.

მასწ., აღნიშნე, რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?

მოსწ., „წერს“ ზმნა იხმარება სამსავე პირში როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში.

მასწ., მაგრამ „თოჯ“ ზმნასაც სამსავე პირში ვიხმართ და ღვეწერთ?

მოსწ., I და II პირის ასეთი ფორმები არ გვხვდება არც მხოლობით რიცხვში და არც მრავლობითში.

მასწ., სულ წარმოუდგენელია მრავლობით რიცხვში: ჩვენ ვთოჯთ, თქვენ თოჯთ. ისინი თოჯენ.

მასწ., ავიღოთ კიდევ მაგალითები:

„ათასჯერა წვიმს სეტყვაა,
მთებზე, ნისლეები ჰკიდია“ (ვაჟა).
„კაცი სახლს აშენებს“.

მე	ე-აშენებ	ეწვიმ
შენ	აშენებ	წვიმ
ის	აშენებს	წვიმ-ს
ჩვენ	ე-აშენებ-თ	ე-წვიმ-თ
თქვენ	აშენებ-თ	წვიმ-თ
ისინი	აშენებ-ენ	წვიმ-ენ

მასწ., დამისახელებთ სხვაობა ამ ზმნებს შორის?

მოსწ., აშენებს. - იხმარება ყველა პირში. წვიმს - იხმარება მხოლოდ III პირში მხოლოდ რიცხვში.

მასწ., გადავხაზოთ ჯვარედინად პირველსა და მეორე პირში ზმნები: წვიმს თოჯს.

მასწ., რას ვხედავთ ამ მაგალითებში, რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ?

მოსწ., ამ ზმნებს არ აქვთ I და II პირი. (აკლია)

მასწ., ის (წვიმა) წვიმს კი შეიძლება ვთქვათ, მაგრამ მე (წვიმა) ეწვიმ ან შენ (წვიმა) წვიმ არასოდეს შეგვხვდება, კიდევ უფრო შეუძლებელია: ისინი (წვიმები) წვიმან (წვიმენ). კი გვხვდება „თოვლი თოვს ქარი ბობოქრობს“ (ეაჟა). მაგრამ მე ვთოვ არ შეიძლება; მე ვბობოქრობ კი იუღლება.

რა შეიძლება ეუწოდოთ ასეთ ზმნებს?

მოსწ., ესენი პირნაკლი ზმნებია.

მასწ., რატომ?

მოსწ., ეს ზმნები პირნაკლია, რადგან ისინი პირველი და მეორე პირს ფორმით არ იხმარებიან.

მასწ., კიდევ რა აკლია ამ ზმნებს?

მოსწ., ამ ზმნებს აკლიათ აგრეთვე რიცხვი. მრავლობითში არცერთი პირი არ გააჩნიათ.

მასწ., წავიკითხოთ მრ. რიცხვში ჩამოწერილი ზმნები - თოვს წვიმს, წერს აშენებს.

მასწ., უხერხული გამოსათქმელი რომელია აქედან? დაასახელეთ ამის მაგალითი?

მოსწ., წერენ, აშენებენ - ჩვეულებრივად იუღლება პირების მიხედვით... მრავლობით რიცხვში. თოვენ, წვიმენ არასწორი ქართულია.

მასწ., სწორია, მაგრამ რა დასკენას გავაკეთებთ?

მოსწ., თოვს წვიმს და მსგავს ზმნებს ქართულში არა აქვთ საერთოდ მრ. რიცხვი.

მასწ., ე.ი. პირნაკლი ზმნები თოვს წვიმს; რიცხვნაკლნიც ყოფილან.

ამიტომ არიან ისინი თავისებურად დეფექტური, ნაკლოვანი ზმნები.

მათი დეფექტი ნაკლი იმაში ვლინდება რომ ვერ აწარმოებენ I და II პირს მხოლოდით რიცხვში და არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვი.

შეიძლება იყოს იშვიათად გამოყენებული ეს ფორმები I და II პირში პოეზიაში, მწერლის ნება-სურვილის მიხედვით. მასწავლებელი დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეს აძლევს ბარათს წინდადებით, სანამ ის წერს მასწავლებელი მიმართავს კლასს შეკითხვით: ვინ დაასახელებს კიდევ პირნაკლ ზმნებს?

მოსწ., ქრის; ცრის; ელავს; ღამდება. თენდება; რიჟრაჟდება.

დაფაზე დაწერილია უკვე წინადადება:

„იქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა“ (ვაჟა).

მასწ., თუ არის ამ წინადადებაში პირნაკლი ზმნა და რომელია იგი?

მოსწ., ამ წინადადებაში პირნაკლია - იქუხა

მასწ., რატომაა ეს ზმნა პირნაკლი?

მოსწ., I და II პირში ეს ზმნა თითქმის არ იხმარება.

~~მე გოქუნე; შენ აქუნე~~, მხოლოდ III პირში შეიძლება შეგვხვდეს მან იქუხა. ამიტომ ზმნა რიცხვნაკლიცაა. ჩვენ გოქუნეთ, თქვენ იქუნეთ; ~~მათ იქუნეს~~ - უხერხულია.

მასწ., რომელი ფორმებიც არ არის მართებული გადავხაზოთ.

დაიმახსოვრეთ! პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნებია.

მასწავლებელი კითხულობს წინადადებებს და მოსწავლეთაგან პასუხს შეპირად მოითხოვს.

„დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტენინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ“. დამისახელეთ პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნა და და მისაბუთეთ, რომ ისინი თავისებურია.

მოსწ., ამ წინადადებაში პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნაა - დაბინდდა, რადგან ამ ზმნას არა აქვს I და II პირი. მე დაებინდდი შენ დაბინდდი არასწორი ფორმებია. მრავლობით რიცხვში კი არც შესაძლებელია პირი არ ეწარმოებათ. დაბინდდებიან, დაებინდდებით, დაბინდდებით - მართებული ფორმა არ გახლავთ.

მასწ., მოემზადეთ საკლასო დამოუკიდებელი საეარჯიშოს დასაწერად. მოცემულ წინადადებებში გაუსვით ხაზი პირნაკლ და რიცხვნაკლ ზმნებს და ამოიწერეთ ისინი.

1) წვიმდა, ელავდა ღვარები

მთის ფერდობებზე დიოდნენ (ვაჟა).

2) გაზაფხულდა. ვეჯილები გააზინდა

თოვლის წყლებმა დაიწყეს ცელქად დენა (ვაჟა).

3) ბარში წვიმს მთებში დათოვლა

ცხვარ-ძროხას ბეწვი აშლია (ვაჟა)

4) როცა კი გაზაფხულდება გამოიღვიძებს ქვეყანა (ვაჟა)

5) საღამოვდებოდა. მზის სიწითლე ეფინებოდა მდინარეს (ხ. კლდ).

მოსწ., წინადადებებში პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნებია:

წვიმდა ელავდა გაზაფხულდა დათოვლა წვიმს გაზაფხულდება.
მასწ., სწორია ეს ჩამოთვლილი ზმნები. ვისაც ასე არა გაქვთ, შეასწო-
რეთ. ვინ მეტყვის, რატომ ითვლებიან ეს ზმნები პირნაკლ და
რიცხვნაკლ ზმნებად?

მოსწ., დავწეროთ დაფაზე კიდევ ერთი წინადადება და გამოვეყოთ თა-
ვისებური ზმნა. დაფაზე წერს მოსწავლე:

„თქვენს მტერსა ისეთი დილა
მაშინ გათენდა ჭირისა“ (ვაჟა).

მოსწ., თავისებური ზმნაა გათენდა. კერძოდ, პირნაკლი და რიცხვნაკ-
ლია ვინაიდან აკლია I, II პირი და არ გააჩნია მრავლობითი
რიცხვი.

მასწ., რომელი სახის დეფექტური ანუ თავისებური ზმნები შევისწავ-
ლეთ ჩვენ დღეს?

მოსწ., დღეს შევისწავლეთ პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები.

მასწ., რა თავისებურება ახასიათებს ამ ტიპის ზმნებს?

მოსწ., ის ზმნები, რომელთაც აკლიათ I და II პირი და არ გააჩნიათ
მრავლობითი რიცხვი არიან პირნაკლიცა და რიცხვნაკლი ზმნე-
ბი.

მასწ., რას აღნიშნავენ ასეთი ზმნები?

მოსწ., ასეთი ზმნები აღნიშნავენ ბუნების მოვლენებს.

მასწ., დამისახელეთ მაგალითები.

მოსწ., თოვს წვიმს ელავს ქუხს ბინდება; ზამთრდება; ჭექს

მასწ., მოიგონეთ, შეადგინეთ წინადადებები, რომელშიც გამოყენებული
იქნება დასახელებული ზმნები.

I მოსწავლე - შარშან მთელი შემოდგომა წვიმდა.

II მოსწავლე - ქუხდა დაჭექდა. ტყეს კი მეზი დაეცა.

III მოსწავლე - თოვს და ბარდნის ლამაზად გარეთ.

IV მოსწავლე - ბახმაროში ლამაზად თენდება.

V მოსწავლე - საღამოვდება გავიქცეთ სახლში.

ერთხელ კიდევ ვაკეთებთ საერთო დასკვნას:

ამგვარად, თავისებურია არა მარტო რთული ზმნები, არამედ სხვებიც.
დეფექტურ ზმნათაგანია პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნა. შედარება-
შეპირისპირებისა და მაგალითების ანალიზის დროს თვალსაჩინოდ გამო-
ჩნდება სხვაობა ჩვეულებრივ უღლებად ზმნისა და პირნაკლ, რიცხვნაკლ-

ზმნებს შორის. ვასკენით: გეზდება პირნაკლო რიცხვნაკლი ზმნებიც, რომელთაც აკლიათ I და II პირი, არ აქვთ მრავლობითი რიცხვი.

მასალის განმტკიცების მიზნით კვლავ ვავარჯიშებთ მაგალითებზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი სავარჯიშოების მიწოდება.

სავარჯიშო №1 მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები, მიუთითეთ რომელ პირში დგას ზმნა და გამოყავით პირის ნიშანი.

1. ჭექდა ელავდა წამ-უწუმს (ვაჟა). 2. ამონათღი ცისკარო დილის ამომშუქელი! (ვ. ბარნ.). 3. აცივდა ნისლით შემოიბურა ცად ატყორცნილი მთების კალთები (ვ. ტაბ.). 4. ბინდდება. ბნელი ხეები იბურდებიან შავად (ვაჟა). 5. კარჩი გამოვედ, ჟინვლავდა ამომხდარიყო ცისკარი. (ვაჟა). 6. მთელი ლამქარი მიჰქროდა ბნელში (კ. გამსახ.). 7. ორშაბათ დილა გათენდა თავის რჯულით და წესითა (ვაჟა). 8. გარიჟრაჟია. მთებს სძინავთ. ჯერ მზე არ ამოსულიყო (ვაჟა). 9. დაიქუხა ცამ, ელვის ლეკურები გადაამსხვრია მწვერვალებს თავზე (ვაჟა). 10. დიდი ხანია დაღამდა აღარ გვეღირსა თენება (ვაჟა).

სავარჯიშო № 2. ზაზი გაუსვით პირნაკლ და რიცხვნაკლ ზმნებს.

1. სარკესავით მოკამკამებული ცა მტრედისფრად შერიჟრაჟებულებიყო (დ. მაჩხ.) 2. აგრილდა. ჯანღისაგანა აღარ სჩანს მთები, ხეები (ვაჟა). 3. თენდება. მზისა სხივები მთის წვერებს ეფინებიან (ვაჟა). 4. დაბნელდა წყალნი ტირიან, კალთა გვეხურვის ღამისა (ვაჟა). 5. არაგვიც მიჰქუხს მრისხანედ, ამ დროს შაფურად მდინარე (ვაჟა). 6. ღამე გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა აიხადა, გარიჟრაჟდა (ილია). 7. თოვლი მოვიდა და ხეები გაიბარდნა. 8. ცამ გაიელვა და დაიქუხა (აკაკი). 9. რაკი დაბეხავს ელვა-ქუხილი, დაისეტყვების ყანა თუ ხილი (დ. გურამ.). 10. შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა (ვ. ტაბ.).

სამინაო დავალება: 1) შესწავლეთ § 21 „პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები“. 2) დაწერეთ თხზულება „შემთხვევა ტყეში“, სადაც გამოყენებული იქნება ამ ტიპის ზმნები.

* შენიშვნა: პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები ფუძემონაცვლე ზმნებია.

§ 21. პირში მონაცვლე ზმნები

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ახლაც ერთად აცნობს და ერთ გაკვეთილს უთმობს როგორც პინაკლსა და რიცხვნაკლს ისე პირში მონაცვლე ზმნებსაც. ასეთივე მეთოდიურ რეკომენდაციებს იძლევიან თავიანთ შრომებში მ. მიქაძე, ო. გაჩეჩილაძე და სხვები.¹ მაგალითად, თითქმის უმრავლესობას ასე აქვს დაგეგმილი პირველი გაკვეთილი: პირნაკლი, რიცხვნაკლი და პირში მონაცვლე ზმნები. ხანგრძლივმა დაკვირვებამ და საგანგებო ცდებმა კი დაგვარწმუნა: აუცილებელია ცალკე გაკვეთილი გამოვეყოს პირში მონაცვლე ზმნების სწავლებას თუნდაც იმ ვარაუდით, რომ პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნების ღრმად ათვისების შემდეგ, პრაქტიკულად მათ გამოყენებაზე ვარჯიშის პროცესში ყურადღება გამახვილდეს მონაცვლეობაზე, კერძოდ, რიცხვში მონაცვლე ზმნებზე. მით უფრო იმიტომ, რომ მოქმედ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ცალ-ცალკეა გამოყოფილი ისინი: „პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები. პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნები“.²

იქვე ნათლადაა მინიშნებული, რომ მეტყველების კულტურის გაკვეთილზე საგანგებოდ უნდა გაესვას ზაზი „პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნათა სწორად ხმარებას“.³ ეს იმაზედაც მიუთითებს, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მას მართლწარმოთქმისა და მართლწერის წესების საფუძვლიანად ათვისებისათვის. ამავდროს იგი გასაგებს ხდის ქართული ენის ზმნათა ამ ერთი ჯგუფის თავისებურებებს. კერძოდ, იმას თუ როგორ გაერკვეს როდის და როგორ იხმაროს ზმნები: „არის“, „იქნება“, „იყო“, „ამბობს“, „იტყვის“, „თქვა“ და შემდეგ კი - „ბრძანდება“, „გახლავს“, „ბრძანა“ და ა.შ. ასე უფრო ითვისებენ და იყენებენ პრაქტიკულად წინა

1. ა) მ. მიქაძე, ზმნის პირისა და რიცხვის სწავლების ზოგიერთი საკითხი საშუალო სკოლაში, 1988, გვ. 28.

ბ) ო. გაჩეჩილაძე, ზოგიერთ თავისებურ ზმნათა სწავლებისათვის მე-7 კლასში, კრებ. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები, 1987, გვ. 14.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა, V-IX კლასები, გვ. 28.

3. იქვე, გვ. 28.

გაკვეთილებზე აბსნილ რთულსა და პირნაკლ ზმნებს.

ამას კარგად ითვისალისწინებდა მ. თალაკვაძე და წერდა: „პირველი საკითხი, რომელიც მონაცვლე ზმნების სწავლებისას დაისმის, ეს თვით მოვლენის („მონაცვლეობა“) და ტერმინების („შენაცვლება“, „მონაცვლეობა“, „მონაცვლე“) გაცნობაა“¹.

შემდეგ კი იძლევა ასეთ მეთოდოლოგიურ დარიგებას: „იმისათვის რომ მოსწავლეთათვის გასაგები გახადოთ, თუ რა არის შენაცვლება, საჭირო იქნება „არის“ ზმნის უღლება“².

თავისებური ზმნების სწავლება მას გადატანილი ჰქონდა უღლების სწავლებასთან ე.ი. როცა გავლილია ზმნის ყველა კატეგორია ალბათ, ამას იმით ამართლებდა, რომ ზმნის თავისებურებათა სწავლება და ზემოთ აღნიშნულ ტერმინთა გაგება შედარებით ძნელია და უფრო ადვილი გახდება ბოლოს, მაგრამ ამ საკითხებზე პრაქტიკულად მანამდეც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა მოსწავლეებს. მით უმეტეს წინა V-VI კლასშიც კი ვეარჯიშებთ „მორიდებულ საუბარში სახმარ სიტყვებზე“, შენაცვლებაზე.

ამიტომ ცალკე გამოყოფა და პირისა და რიცხვის სწავლებასთან დაკავშირებით მარტივად ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილია. სწორედ, ამიტომაც ახლა ასე შეტანილი პროგრამებსა და სახელმძღვანელოებშიც, რა თქმა უნდა გამეორების დროს ზმნათა უღლებაზე ვარჯიშობის პროცესშიც უნდა გამახვილდეს მათზე ყურადღება.

როგორც ვხედავთ, III გაკვეთილის შესავალ ნაწილში აუცილებელია მოსწავლეებს გაეამეორებინოთ, გაეახსენოთ მეხუთე-მეექვსე კლასში ნასწავლი პირში მონაცვლე ზმნები, ანუ როგორც იქ არის ფორმულირებული. „მორიდებულ საუბარში სახმარი სიტყვები“. ეს მოვლენა პირველ ყოვლისა არის ზმნათა ურთიერთმონაცვლეობა. მაინც უნდა გაღრმავდეს ადრე მიღებული ინფორმაცია ამ თავისებურ ზმნათა შესახებ. თავისებურ ზმნათა გაცნობასა და მათ პრაქტიკულად გამოყენებას რამდენადმე საფუძველი ეყრება მე-5-ნ კლასიდან. მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ პედაგოგები ყოველთვის არ ახდენენ მე-5 და მე-6 კლასებში შესწავლილი მასალის სრულყოფილად გაეამეორებასა და სისტემაში მოყვანას. ეს საფუძველიცაა მომავალი ცოდნის მისაღებად.

1. მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია 1959, გვ. 260.

2. იქვე, გვ. 260.

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა მოგვცა საშუალება დავასკვნათ: ამ ფაქტისა და შესაძლებლობის გვერდის ავლა თავის მხრივ აფერხებს მე-7 კლასში არა მარტო პირში მონაცვლე ზმნების არამედ, საერთოდ, ზმნის პირსა და რიცხვთან დაკავშირებული საკითხების სწავლების პროცესის სწორად აგებასა და წარმართვას.

ამგვარად, მესამე გაკვეთილის თემა იქნება: პირში მონაცვლე ზმნები გაკვეთილის მიზანი - გავაცნო მოსწავლეებს:

- 1) პირში მონაცვლე ზმნები, ზოგადად;
- 2) მორიდებული საუბრის ფორმები;
- 3) ჩვეულებრივ საუბარში გამოყენებული ზმნები;
- 4) აღინიშნოს, რომ ესენი სინონიმური ზმნებია!

პირნაკლ და რიცხვნაკლ ზმნათა გამოკითხვის შემდეგ მასწავლებელი გადადის ახალ მასალაზე და აწოდებს მათ კიდევ ერთი სახის თავისებურ ზმნებს. კერძოდ, ზმნათა ურთიერთმონაცვლეობა ამისათვის შეპირისპირებით აუღლებს არის, იქნება, იყო ზმნებს.

მე ვარ დღეს სკოლაში	მე ვიქნები სკოლაში
შენ ხარ დღეს სკოლაში	შენ იქნები სკოლაში
ის არის დღეს სკოლაში	ის იქნება სკოლაში
ჩვენ ვართ დღეს სკოლაში	ჩვენ ვიქნებით სკოლაში
თქვენ ხართ დღეს სკოლაში	თქვენ იქნებით სკოლაში
ისინი არიან დღეს სკოლაში	ისინი იქნებიან სკოლაში

მე ვიყავი სკოლაში

შენ იყავი სკოლაში

ის იყო სკოლაში

ჩვენ ვიყავით სკოლაში

თქვენ იყავით სკოლაში

ისინი იყვნენ სკოლაში

მასწ., წავიკითხოთ წინადადებები და აღვნიშნოთ, რა ფორმალური განსხვავებაა ამ ზმნებს შორის.

მოსწ., ზმნები არის, იქნება, იყო შინაარსით ერთი და იგივეა მაგრამ ფორმით სხვადასხვა.

მასწ., რომელი ზმნები ენაცვლებიან „არის“ ზმნას?

მოსწ., არის-ზმნას ენაცვლება იქნება, იყო - ზმნები.

მასწ., ეს ზმნები მონაცვლეები; თვით ამ მოვლენას შენაცვლება ეწოდება.

ე.ი. როცა ერთი ზმნა იცვლება მეორეთ, მაგრამ შინაარსით ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემს ასეთ ზმნებს მონაცვლე ზმნები ეწოდება. გავეცნოთ ურთიერთმონაცვლეობის სხვა შემთხვევას.

მასწ., დააკვირდით ამ მაგალითებს

მე ვარ სკოლის მოსწავლე
შენ ხარ სკოლის მოსწავლე
ის არის სკოლის მოსწავლე
ჩვენ ვართ სკოლის მოსწავლეები
თქვენ ხართ სკოლის მოსწავლეები
ისინი არიან სკოლის მოსწავლეები

მე გახლავარ სკოლის დირექტორი
შენ ბრძანდები სკოლის დირექტორი
ის გახლავს (ბრძანდება) სკოლის დირექტორი
ჩვენ გახლავართ სკოლის დირექტორები
თქვენ ბრძანდებით სკოლის დირექტორები
ისინი გახლავან (ბრძანდებიან) სკოლის დირექტორები.

მასწ., შეადარეთ ამ წინადადების ზმნები ერთმანეთს. რა შეგიძლიათ თქვით მათი ლექსიკური მნიშვნელობის შესახებ?

მოსწ., ამ ზმნებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. ისინი ერთ

შინაარსს გადმოგვცემენ „არის“-ის „გახლავს“- ის. ზმნას „არის“- ენაცვლება ზმნა- „გახლავს“; „ბრძანდება“.

მასწ., რა შემთხვევაში ვიხმართ „არის“ ზმნას?

მოსწ., როცა ვესაუბრებით თანატოლებს ახლობლებს.

მასწ., ე.ი. „არის“ - ზმნას ჩვეულებრივი საუბრისას ხმარობენ, ხოლო „გახლავს“, „ბრძანდება“ მორიდებული საუბრისას.

შეიძლება მარტივი ფორმით იქვე მივაწოდოთ ცნობები, რომ მაღალ საფეხურზე მდგარ ადამიანს ვერ მიმართავენ ჩვეულებრივი ფორმით, შენობით, ეს განსხვავება იყო არა მარტო სხვა საფეხურზე მდგარ ადამიანებს შორისმაგ.: მეფე და თავადი, თავადი და გლეხი, ამავე დროს ერთი ფენის ხალხი ერთურთში იცავდა უფროს-უმცროსობას რაც დღესაც ნათე-

ლია ჩვენთვის და არ არის უცხო. ამ ზრდილობიან ფორმებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. ეს ფაქტები ნათლად ჩანს ძველ ნაწერებში. თქვენ ნასწავლი გაქვთ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ თავი „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“.

გავიხსენოთ, ევზირები როგორ მიმართავენ არაბეთის ხელმწიფეს.

„მაგას ნუ პბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია თქენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია“;

აქ ნათლად ჩანს როგორ მიმართავენ ქვეყნის მფლობელს ხელქვეითნი. გავეცნოთ შემდეგ წინადადებებსაც:

„სტუმარი სავარძელში დააბრძანეს თვით კი იქვე ჩამოსხდნენ“.

„ბავშვებმა ბაყაყი ბალახზე დასვეს ისკუპა და ისევ გუბეში ჩაბტა“.
რომელია აქ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები?

მოსწ.: დააბრძანეს დასვეს.

პირველ შემთხვევაში პატივისცემითაა მოხსენიებული სტუმარი ხოლო მეორე შემთხვევაში ბაყაყი ჩვეულებრივი საუბრის ფორმით.

მასწ., რომელ პირშია ეს ზმნები?

მოსწ., ორივე ზმნა მესამე პირშია.

მასწ., ორივე მესამე პირშია, მაგრამ სხვადასხვა ფორმით იხმარება. რა შეგიძლიათ დაარქვათ, უწოდოთ ასეთ ზმნებს?

მოსწ., ისინი ერთ პირში არიან, მაგრამ ენაცვლებიან ერთმანეთს.

მასწ., ეს ზმნები პირში მონაცვლე ზმნებია. ჩვენ ვისწავლეთ სინონიმები, ომონიმები. რას ეწოდება სინონიმი?

მოსწ., სინონიმები ეწოდება ბგერითი შედგენილობით განსხვავებულ ისეთ სიტყვებს რომელთაც მნიშვნელობა ერთნაირი (ან დაბლოებით ერთნაირი) აქვთ.

მაგ., კომში და ბიჯ მხდალი და ლაჩარჯ მოწაფე და მოსწავლე.
მასწ., არის-გახლავს; ხარ-ბრძანდები; ერთმანეთის სინონიმები!
ბია! რა იქნება ამ სიტყვათა სინონიმები? წერს დაფაზე.

ბავშვი წერს

დაჯექი	-	დაბრძანდი
ჭამე	-	მიირთვი
წადი	-	წაბრძანდი
მიეცი	-	მიართვი

მასწ., „რაც გენებოს ბრძანე და მოგართმევო!“ (თ. რაზიკ.) გამოყავით ამ წინადადებაში პირში მონაცვლე ზმნები და დაახასიათეთ.

მოსწ., გენებოს, ბრძანე, მოგართმევ - ეს ზმნები პირში მონაცვლეა სინონიმური ზმნებია. იბმარება მორიდებულ საუბარში. მათი გამოყენება ჩვეულებრივი საუბრისას ასე იქნება: „რაც გინდოდეს თქვი და მოგიტან!“

მასწ., მოვემზადოთ საკლასო წერისათვის თქვენ უნდა გამოყოთ პირში მონაცვლე ზმნები. მიეცათ წინადადებები სხვადასხვა საკონტროლო ფორმით.

1. ეს დრო გახლავთ ზაფხული (ა. წერ.). 2. შენ არხეინად ბრძანდებოდე, ეხლა მე ვიცი უნდა სამაგალითოდ დასაჯო (ვაჟა). 3. დევები... ლეშსა სჭამენ ფუთობით (ვაჟა). 4. ჯერ მსაჯული არ გამობრძანებულა სამსჯავროში (აკაკი). 5. დონ-ჰედრო ტახტიდან გადაშობრძანეს. (ილია) 6. სამივენი მიეახლნენ გირშელს და გადაჰკოცნეს შიშინარე. (კ. გამს.). 7. კათალიკოსი კალმახს სჭამდა [მამამზემ] ახლადშემწეარი კალმახი კიდევ მორათვა სტუმარს (კ. გამსახ.) 8. წამო, წამოდი, ჯერ ერთი შენც ჩაისველე ყელია (ვაჟა).

საკონტროლო კლასის 40 მოსწავლიდან 30 მოწაფე ასახელებს ზუსტად ყველა პირში მონაცვლე ზმნას:

გახლავთ, წავედით, მოვიდა ბრძანდებოდე, სჭამენ, არ გამობრძანებულა და ა.შ.

10 მოსწავლე არასრულყოფილად ასახელებს ამ თავისებურ ზმნებს მოცემული წინადადებებიდან.

მასწ., რა შევისწავლეთ ჩვენ დღეს?

მოსწ., პირში მონაცვლე ზმნები.

მასწ., რატომ არიან ეს ზმნები სინონიმური?

მოსწ., სინონიმურია იმიტომ, რომ ერთნაირი მნიშვნელობით იბმარება ერთი მორიდებულ საუბარში, მეორე ფორმა ჩვეულებრივი საუბრისას შინაარსიც ერთნაირი აქვთ.

მასწ., ჩამომითვალეთ ასეთ ზმნათა წყვილები.

მოსწ., არის-გახლავს; მოსვლა-მობრძანება; წასვლა- წაბრძანება; დადჯდომა-დაბრძანება.

მასწ., თვალსაჩინოებისათვის სასარგებლოა ტაბულის გამოყენება სადაც განსხვავებული ფერითაა წინადადებაში აღნიშნული პირში მო-

ნაცვლე ზმნები.

საშინაო დავალებად ეძლევათ § 22; შეადგინონ თხზულება პირში მონაცვლე ზმნების გამოყენებით, შეარჩიონ სათაური, ხაზი გაუსუან ჩვენთვის საინტერესო ფორმებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, სადაც ჩვენ დაკვირვებას ვაწარმოებდით, მასწავლებლები არ ატარებენ საკონტროლო ან დამოუკიდებელ, საკლასო წერებს პირში მონაცვლე ზმნათა გამოყენებაზე, სხვა სახის სავარჯიშოების მიწოდებაც არ ხდება. სახელმძღვანელოში დასახელებულ პარაგრაფში კი გამოიყოფა მხოლოდ ერთი სავარჯიშო, ამ სახის თავისებურ ზმნებზე აუცილებელია უფრო მეტი ვარჯიში რაც ხელს შეუწყობს მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევთა გამომუშავებას.

სასურველია, დამატებით მივაწოდოთ ასეთი სახის სავარჯიშოები:

სავარჯიშო № 1. დაყოფით დაწერილ სიტყვებს მოუძებნეთ სინონიმური ცალი რომელიც ჩვეულებრივი საუბრისას გამოიყენება.

1. მეფე ტახტიდან გ ა დ ა ა ბ რ ძ ა ნ ე ს (აკაკი). 2. „მ ო ბ რ ძ ა ნ ღ ი!“... კარებს უღებს და ხელით უჩვენებს (აკაკი) 3. ბავშვებმა... თვალკრემლიანი გურამი ტრამვაიში ჩ ა ა ბ რ ძ ა ნ ე ს (ა. ხაზუტა). 4. სამიუნი მ ი ე ა ხ ლ ნ ე ნ მეფეს (კ. გამს.). 5. გათენდა ბიძაც დროა გ ა მ ო ვ ა ბ რ ძ ა ნ ო თ დროშა (ვაჟა). 6. ბულბული უარზე დადგა განაყოველთვის ვარ სიმღერის იმტაზე, უგუნებოდ გ ა ხ ლ ა ვ ა რ თ ო - თქვა მან (აკაკი). 7. „ოჰ! შენა ხარ, თიმსალ?“ – უთხრა ხანმა, – „სად არის?“ „მარტო გ ე ა ხ ე ლ ი!“ – მიუგო მოწყენით ქვრივმა. (აკაკი).

სავარჯიშო № 2 გადაიწერეთ, დასვით სასვენი ნიშნები. ცალ-ცალკე სვეტებში ამოიწერეთ მორიდებული და ჩვეულებრივი საუბრისას გამოყენებული ზმნები.

1. წაიღე იქვე საიდანაც მოიტანე, აქ შენ საწირავს არა აქვს ბინა (ვაჟა). 2. შამანდური იმ დროს მოვიდა სამაჭანკლოდ, როცა დარეჯანს კეცი გამოდებული ჰქონდა (ვაჟა). 3. მეფე-დედოფალი გაშლილ ნაბადებზე და ფარდაგებზე დააბრძანეს (ვაჟა). 4. ბერთა შორის ეპისკოპოსნი და „უთავადესნი ძმანი“ ხორციელს არც სჭამდნენ, თავათ კათალიკოსი ხმელი პურითა და წყალით იკვებებოდა (კ. გამსახ.). 5. ქალი ჩაბრძანდა მოხლებით მდინარის ნაპირსა (ი. გოგება). 6. არ დაგიდევენ ერთობას, შეილებს ჯიხვებს სჭამენ წყვილადა (ვაჟა). 7. [ყელს] თვალ-წარბს ჭიები უჭამდნენ დასხმულნი კაპასობითა (ვაჟა). 8. ზაქარამაც ცხელ-ცხელი გოჭის თაი

ქვაბიდან ამოაბრძანა (რ. რაზიკ.).

სავარჯიშო № 3 პატივისცემის ფორმები გადაიყვანეთ ჩვეულებრივი საუბრის დროს სახმარ ზმნებად და ისე გადაწერეთ.

1. ცოტა ხანს... დაბრძანდი, სანამ ჩვენ პურსა და ნაზუქს გამოოცახობ-ღეთ (თ. რაზიკ.).
2. ტახტზე თავ-გვირგვინიანი დაბრძანებულა დინჯადა (ვაჟა).
3. სტუმრად ხომ არსად წაბრძანდა, ბიჭო, ქალბატონი?" (ვაჟა).
4. ლაფაიეტს უნდოდა... იაკობინელები ამოეფლიტა და მეფე... ტახტზე აებრძანებინა (ი. მაჭავ. თარგმ.).
5. [ჟანდარმებმა] წამაბრძანეს მეტეხის ციხეში (ს. შანშ.).
6. სადაც გინდა წაბრძანდი, ხელს ვინ გიჭერს! (ილია).
7. წამოაბრძანეს დედოფალი თბილისში და დაახვიეს თავს ექიმები (ი.გოგ.).
8. თუ მოსურვებთ, სალამოზედ ჩვენთან - წამობრძანდით" (ა. ცაგარ.)
9. ეს ტყუილი - კნეინა წააბძანე ხულაში (ილია).
10. თავში დაბრძანდა მთავარი და კვერდით დედოფალია (აკაკი).
11. მოხუცებს ახსოვდათ, რომ ერთხელ ყვავილ-ბატონები ერთი ოჯახი-დან მეორეში გადაბრძანდნენ (ს. კლდ.).

§ 22. რიცხვში მონაცვლე ზმნები

ა) პირში მონაცვლე ზმნების საფუძვლიანად ათვისებაზეა დამოკიდებული მათი მართლწარმოთქმისა და მართლწერის ცოდნა ჩვევთა გამომუშავება. სხვაგვარად მოსწავლე ვერ გაერკვევა როდის უნდა იხმაროს ზმნები არის, ხარ, თქვა და სხვ. როგორც ვხედავთ, პირნაკლო რიცხვნაკლო პირში მონაცვლე ზმნების გრამატიკული ბუნების ცოდნა საფუძვლად ედება დეფექტური ზმნების მართლწარმოთქმისა და მართლწერის საკითხების სწავლებას.

მოსწავლეები გაეცნენ მონაცვლეობას. როგორც ცვლის ერთ ზმნას მეორე ზმნა, მაგრამ შინაარსი იგივეა არ იცვლება. მაგ.: ბავშვი მოდის უფროსი მობრძანდება. შენაცვლების არსის დაუფლებისა და გაგების შემდეგ შესაძლებელია ახალ მასალაზე გადასვლა. გაეცნობიან მოწაფეები რიცხვში მონაცვლე ზმნებს.

ამ საკითხს მეთოდურ რეკომენდაციებში მ. მიქაძე, ო. გაჩეჩილაძე და

სხვები უთმობენ მეორე გაკვეთილს. მარიამ თალაკვაძე კი როგორ ვთქვით, იწყებს შენაცვლების განმარტებით, პირსა და რიცხვში მონაცვლეობაზე ამახვილებს მხოლოდ ყურადღებას.

რიცხვში მონაცვლე ზმნების თავისებურებათა გასარკვევად, მათ შესასწავლად, თანამიმდევრულად უნდა იქნეს განხილული ზმნათა წყვილ-წყვილი ფორმები, როცა მხოლობითში ერთი ფუძე იხმარება, მრავლობითში - მეორე.

ზმნის პირისა და რიცხვის სწავლების დროს თავისებურ ზმნათა გასაცნობად ამჯერად მეოთხე გაკვეთილი ეთმობა რიცხვში მონაცვლე ზმნებს.

გაკვეთილის მიზანი - გავაცნოთ მოსწავლეებს:

1. მონაცვლეობა ხდება არა მხოლოდ პირში, არამედ რიცხვშიც.
2. აღვნიშნო, რომ აქაც გვაქვს ზმნის ფორმის ცვალებადობა და შინაარსის იგივეობა.
3. ამ გაკვეთილზე ჯერ ყურადღება გამახვილდება მხოლოდ S პირების მიხედვით მონაცვლე ზმნებზე.

სახელმძღვანელოში ამ საკითხებს ეთმობა ერთი პარაგრაფი - § 23, ახლავს 2 სავარჯიშო თითოეული სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლემ გაარკვიოს მასში მოცემული ზმნის თავისებურება. გამოყოს პირისა და რიცხვის ნიშნები, გაარჩიოს, რომელი პირია, რომელსაც უხდება პირში შენაცვლება. ხოლო მეორე სავარჯიშო ითხოვს მრავალწერტილის ადგილას მოსწავლემ ჩასვას მონაცვლე ზმნა სწორი ფორმით.

საანალიზო მასალა დაფაზება მომზადებული. ის რამდენიმე მაგალითს შეიცავს - ზი|ჯექ; ჯედ|სხედ ძირებისას.

მე	ვზივარ	ტაბლასთან	მე	ვიჯექი	ტაბლასთან
შენ	ზიხარ	ტაბლასთან	შენ	იჯექი	ტაბლასთან
ის	ზის	ტაბლასთან	ის	იჯდა	ტაბლასთან
ჩვენ	ვზივართ	ტაბლასთან	ჩვენ	ვიჯექით	ტაბლასთან
თქვენ	ზიხართ	ტაბლასთან	თქვენ	იჯექით	ტაბლასთან
ისინი	ზიან	ტაბლასთან	ისინი	იჯდნენ	ტაბლასთან

მასწ., წაიკითხეთ წინადადებები და შეადარეთ ერთმანეთს.

მოსწ., ყველა წინადადება შინაარსეულად ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს.

განსხვავება მხოლოდ კვლავ ზმნის ფორმებშია. ზის ზმნას ენაცვლება იჯდა ზმნა, თუ გადავიყვანთ წარსულ დროში.

მასწ., დააკვირდით. ეს ზმნები მონაცვლეებია.

ენახოთ შემდეგი მაგალითები და ამოვიცნოთ მონაცვლე ზმნები.

1. ჩამოვდა ოთარაანთ ქერივი ღერეფნის ღირეზე (ილია).

2. სტუმარი და მასპინძელი ერთად ჩამოსხდნენ საღედაკაცო კერაზე (ვაჟა).

მოსწ., პირველ წინადადებაშია ზმნა ჩამოვდა მეორეში - ჩამოსხდნენ.

მასწ., რა განსხვავება და მსგავსებაა ამ ზმნებს შორის?

მოსწ., მსგავსება შინაარსობრივია, განსხვავება ფორმობრივი ზმნის ფუძეებში; ერთი ზმნა ენაცვლება მეორეს.

მასწ., რა დროს რატომ, რის გამო ხდება შენაცვლება?

მოსწ., მხოლოდობით რიცხვშია ნახმარი ზმნა ჩამოვდა ის - ოთარაანთ ქერივი.

მასწ., რაში მოხდა შენაცვლება?

მოსწ., შენაცვლება მოხდა რიცხვში.

მასწ., ზი-ჯედ ზმნა იხმარება მხოლოდობით რიცხვში. ბავშვი ზის; ბავშვი იჯდა; მაგრამ მრავალბობითში ამ ზმნის ფორმების ხმარება არასწორია. ბავშვები ზიან, იჯდნენ არამართებულია. ეს ფაქტი მიგვანიშნებს თუ რამდენად აუცილებელია ფორმის მონაცვლეობა ფუძეში. გადავშალოთ ჯვარედინად წინა მაგალითებში ნაუღლები ზი და ჯედ ფორმები მრავლობით რიცხვში.

ზხავეს მოსწავლე არასწორ ფორმებს და დაფაზე წერს:

ჩვენ ეისხედით ტაბლაზე

თქვენ ისხედით ტაბლაზე

ისინი ისხდნენ ტაბლაზე

მასწ., ენახოთ შემდეგი მაგალითები.

მასწავლებელი კითხულობს წინადადებებს და მოითხოვს კლასისაგან გამოყონ მონაცვლე ზმნები.

„გააკეთეთ საფრები და ჩაუჯექი“ (აკაკი).

„მარზილში ჩასხდნენ.. ხელისმომკიდე და პატარძალი“ (ა. ყაზბ.).

მოსწ., მონაცვლე ზმნებია ჩაუჯექი და ჩასხდნენ.

მასწ., რის მიხედვით ენაცვლებიან ერთმანეთს?

მოსწ., ისინი ენაცვლებიან მხ. და მრ. რიცხვის მიხედვით.

მასწ., როგორც ადრე ვისწავლეთ, ვარ - ბრძანდები პირის მიხედვით მონაცვლე ზმნებია.

ჩავეყეკი - ჩასხდნენ რის მიხედვით ენაცვლებიან?

მოსწ., ესენი რიცხვში მონაცვლე ზმნებია.

მასწ., ზის - სხედან, დაჯდა-დასხდნენ ერთპირიანი ზმნებია. ამგვარად, სუბიექტური პირების რიცხვში მონაცვლეობა ხდება ერთპირიან ზმნებში.

რიცხვში მონაცვლეობა - მასწავლებელი წერს დაფაზე სათაურს. იქვე მიეცემა დაფაზე მაგალითები და კლასი იწერს მას საკლასო რვეულში.

„ცაზე მომფრინავე... ქორები ჩამოსხდნენ დაბლა“ (ვაჟა).

მასწ., განმარტეთ რომელია მონაცვლე ზმნა და გადაიყვანეთ ზმნა მხოლობით რიცხვში.

მოსწ., ჩამოსხდნენ - რიცხვში მონაცვლე ზმნაა, იხმარება მრავლობით რიცხვში, მას მხოლობითში შეესაბამება დაჯდა - ფორმა. ეს წინადადება მხოლობით რიცხვში ასე იქნება:

„ცაზე მომფრინავე... ქორი დაჯდა დაბლა“.

მასწ., თუ ამ ზმნებთან შეწყობილი სახელი მე-3 პირშია და კრებითია მაშინ ეს ზმნა მრავლობითის აღმნიშვნელია, მაგრამ მხოლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი მაგ.:

„მეფესთან მისვლისთანავე ხალხი დასხდა მაგიდასთან“.

ხალხი-კრებითი სახელია და ამიტომაც დასხდა-შეეწყო მხოლობითის ფორმით (და არა დასხდნენ).

ენაზთო შემდგი წყვილი - ვარდნა-ცვივნა

მე გადავკარდი

შენ გადავკარდი

ის გადაეკარდა

ჩვენ გადავცვივდით

თქვენ გადაცვივდით

ისინი გადაცვივდნენ.

გადავკარდა - ითქმის ერთზე, გადაცვივდნენ - მრავალზე. ეს ზმნებიც ერთპირიანია, რიცხვში ენაცვლებიან სუბიექტური პირები. მაგ.:

„შუა ბანიდან ... ვებერთელა ქვა ჩამოვკარდა დარბაზში“. (ნ. ლორთქ.).

„[იატაკის] აგურები შიგადაშიგ ამოცვივულა“. (ილია).

დაახასიათეთ თითოეული ზმნა, რის მიხედვით არიან მონაცვლეები.

მოსწ., ჩამოვკარდა ქვა-ერთპირიანია, მხ. რიცხვში. ენაცვლება მრავლო-

ბითში - ამოცვივულა - აგურები... მონაცვლეება სუბიექტურ პირში მრავლობითი რიცხვის მიხედვით.

მასწ., კვლავ შეიძლება რვეულში ჩაეაწერინოთ ორი ისეთი წინადადება -
ბა სადაც ზმნები თვით ბავშვებმა უნდა ჩასვან. ვარდნა ანცივი-
ნა.

„საგონებელში... თავების გუნდი“ (ვაჟა).

„... თორიანი ხევისბერები“ (კ. გამსახ.).

მოსწ., I წინადადებაში ჩაისმის ჩაქარდა ზმნა მხოლობითი რიცხვის ფორმით, რადგან ქვემდებარე - გუნდი - კრებითი სახელია. II წინადადებაში კი ჩამოცვივდნენ. რახან ხევისბერები - სულიერია და მრავლობით რიცხვშია.

მასწ., თუ ზმნის სუბიექტურ პირთან შეწყობილი სახელი კრებითი ან ნივთიერებითი სახელია მაშინ მრვლობითის აღმნიშვნელი ზმნა მხოლობით რიცხვში იხმარება. მაგალითად „სახელოსნოებიდან, მონასტრებიდან და ციხეებიდან გამოცვივდა ხალხი“ (და არა გამოცვივდნენ). „შავსა, მთასავით დიდრონსა პირიდან ცეცხლი სცვიოდა“ (ვაჟა).

„თოვლი დედამიწაზე თეთრად ჩამოცვივდა“ (ი. გოგებ.).

განმარტეთ, რატომ დგას მხოლობით რიცხვში მრავლობითის აღმნიშვნელი ზმნები.

მოსწ., I და III წინადადებაში S გადმოცემულია კრებითი სახელით.

გრამატიკულად მხოლობითის ფორმით. ხალხი და თოვლი - კრებითობის გაგებით. II წინადადებაში ცეცხლი ნივთიერებითი სახელია.

მასწ., თავს დაცემა||თავს დასხმა - ესენიც რიცხვმონაცვლეა სუბიექტური პირების მიხედვით, მართალია, ორპირიანი ზმნებია, მაგრამ ირიბობიექტიანი.

„მეკობრე თავს დაეცა ვაჭარს მაგრამ მეკობრეები თავს დაესხნენ ქარავანს“. დაცემა-იხმარება მხ. რიცხვში, დასხმა მრ. რიცხვში.

მაგ., „გვეომებოდნენ რჯულძაღვები გვეხსმოდენ თავს შვილო!“ (ვაჟა).

„უწინ შინ როდის დამდგარვარ, როსც დაგვეცემა თათარი“ (ვაჟა). დაახასიათეთ ზმნები.

მოსწ., კითხულობს ხმამაღლა წინადადებებს და გამოყოფს I წინადადებაში. ზმნას - გვესმოდენ. მრავლობითის ფორმით. II წინადადებაში - დაგვეცემა მხოლობითის ფორმით.

მასწ., სად ხდება მონაცვლეობა დააზუსტეთ!

მოსწ., გვესმოდენენ - ისინი ჩვენ, S მრავლობითში - რჯულძაღვები. დაგვეცემა - ის ჩვენ, S მხოლობითში - თათარი.
ე.ი. შენაცვლება გვაქვს S პირებისა რიცხვში.

მასწ., გლება|ყრა - ამ წყვილშიც ზმნათა სუბიექტური პირები ენაცვლებიან რიცხვში. ორი სხვადასხვა ზმნაა წარმოდგენილი.
გღია - მხოლობითში იხმარება, ყრია-მრავლობითში.
მაგ., „დალეწილი აბჯარი მიწაზე გღია“.

„ქირმანული ხალიჩები ეყარა ირგვლივ“. გამოყავით ზმნები და დაახასიათეთ.

მოსწ., გღია - ის (აბჯარი) მხ. რიცხვში იხმარება.

ყრია - ისინი (ხალიჩები) მრ. რიცხვში იხმარება. მონაცვლეობა ხდება S პირისა რიცხვში.

მასწ., ავიღოთ ასეთი წინადადება:

„ნახევრად შიშველი მონები, დამშეული დედაკაცები და მუწუკი ბიანი ბაღები ეყარნენ გზაზე“. (კ. გამსახ.).

მოსწ., ეყარნენ - მრ. რიცხვშია ნახმარე, რადგან S მრავლობითია - მონები, დედაკაცები, ბაღები.

მასწ., გადაიყვანეთ წინადადების ბოლო ქვემდებარე - ბაღები - მხოლობით რიცხვში.

მოსწ., „მუწუკებიანი ბაღი ეგღო გზაზე“.

მასწ., მობმა|მოსხმა რიცხვში მონაცვლე წყვილებია.

მობმა-იხმარება ერთი ნაყოფის გამოღებაზე, ბევრზე-მოსხმა.

აქაც შენაცვლება გვაქვს სუბიექტური პირებისა რიცხვის მიხედვით.

„ჩემმა დარგულმა ხემ წელს ერთი ლელი მოიბა, ხოლო შარშან ბევრი მოისხა“.

მონაცვლე წყვილებია კვობა|ხოცვა სუბიექტური პირებისა რიცხვში.

„გედი მღერის და კვდება ლამაზად“.

„თევზები იხოცებიან უწყლოდ“. გააანალიზეთ ეს წინადადებები.

მოსწ., კვდება ის - გელი - მხოლოდით რიცხვშია სუბიექტი.

იხოცებიან ისინი - თევზები - მრავლობით რიცხვშია სუბიექტი.

შენაცვლება გვაქვს სუბიექტური პირებისა რიცხვის მიხედვით.

ეს ახალი მასალა შეიძლება ასე შევუჯამოთ.

მასწ., მონაცვლეობის რა სახეს გავეცანით დღეს?

მოსწ., დღეს შევისწავლეთ რიცხვში მონაცვლე ზმნები.

მასწ., როგორია ეს ზმნები და რატომ ითვლებიან რიცხვში მონაცვლეად?

მოსწ., ეს ზმნები მონაცვლეები, რადგან მხოლოდით რიცხვში სხვა

ფორმით იმარებიან, მრავლობით რიცხვში კი - სხვაგვარად.

მასწ., რამდენ პირიანი შეიძლება იყოს ეს ზმნები?

მოსწ., ისინი არიან ერთპირიანი, ან ორპირიანი.

მასწ., როგორი პირები ენაცვლებიან ერთმანეთს?

მოსწ., მონაცვლეობა ხდება S პირისა რიცხვის მიხედვით.

მასწ., დავასახელოთ მაგალითები:

მოსწ., „მეფე-დედოფალს აქეთ-იქიდან ქალები და მეჯვარეები მიუსხდნენ“. მიუსხდნენ მრავლობითი რიცხვის ფორმა, რადგან სუბიექტი მრავლობითშია.

მასწ., გადამიყვანეთ ამ ზმნის სუბიექტი მხოლოდით რიცხვში.

მოსწ., „მეფე-დედოფალს მეჯვარე მიუჯდა“.

აქ ზმნა სხვა ფორმითაა სუბიექტი მხოლოდით რიცხვშია.

მასწ., ამგვარად, მსგავსი მნიშვნელობის მქონე ზმნებს, რომელთაგან ერთი მხოლოდითი რიცხვის გადმოსაცემადაა გამოყენებული ხოლო მეორე - მრავლობითის რიცხვში მონაცვლე ზმნებია.

გაიმეორეთ წესი და დაიმახსოვრეთ.

საშინაო დავალება. § 23 შეადგინეთ 10 წინადადება რიცხვში მონაცვლე ზმნებზე.

საკონტროლო კლასებში ჩატარებულმა ამგვარმა მეცადინეობამ და საკონტროლო კლასებთან შედარება - გაანალიზებამ დაგვარწმუნა, რომ დეფექტური ზმნების ბუნების ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ფორმათა მართლწარმოთქმისა და მართლწერისათვის. მაგრამ საკმარისი არ არის წესის თეორიული ცოდნა თავისებური ზმნების სწავლების დასაწყის ეტაპზე პრაქტიკული ჩვევის გამოსამუშავებლად და ამ დეფექტური ზმნების ცოდნის განსამტკიცებლად უფრო მეტი მიზნობრივი სავარჯიშო-

ბის ჩატარებაა აუცილებელი.

საექსპერიმენტო კლასს მიეწოდა ამ ტიპის სავარჯიშო: გამოტოვებულ ადგილას ჩასვით საჭირო ფორმა.

1. ხმლები ჩააგეს ქარქაშში ცხენებზე... მხედარნი (ვაჟა). (შეჯდნენ, შესხდნენ).
2. კინდამ თვალში ნაცარი... ალხოს (ვ. ბარნ). (ჩაუცვივდა ჩაყარა).
3. ჩემს ოჯახში ზოგნი უღროოდ... (ვაჟა) (კვლებიან, იხოცებიან).
4. ყველანი..., ავთანდილიც... (დაჯდა ზის ზიან, დასხდნენ). (გ. წერეთ.).
5. თარობზე უწესრიგოდ... საკითხავები ეტრატის გრაგნილები კარაბადინები ავანდასტები და ფიალები (კ. გამსახ.) (გდია ყრია).
6. ახლა სწორ ბილიკებზე... ულაყი (გ. რჩეულ.). (გაეარდა გაცვივდა).
7. დავით და ელიზბარი თქარა-თქურით... (მ. ჯავახი). (მოვარდნენ, მოცვივდა მოცვივდნენ).
8. კეკე ჩემს ახლო... (ბ. ჩხ.) (გადმოსხდა, გადმოჯდა).
9. ყორნები... მახლობელ ნაძვებზე, უხიაგი ყრანტალით უხმობენ ღამეს (კ. გამსახ.).
(შემომჯდარან, ზიან, შემომსხდარან).
10. მინდორში მარგალიტები... (გდია ყრია).
11. ამ ჭერამმა წელს ბევრი... (მოიბა, მოისხა).
12. ხალხი... მთის წვერიდან (გადეარდა გადაცვივდა).

ეს სავარჯიშო შეიცავს 14 საკონტროლო კითხვას. ამგვარად მიწოდებული მასალისა და სწავლების შემდეგ საექსპერიმენტო კლასიდან 30 ბავშვმა სრულყოფილად გასცა პასუხი 8 ბავშვმა დაუშვა 2-დან 5 შეცდომამდე.

აქ მოტანილი ნიმუშები ძირითადად იმაზე მიუთითებენ, თუ რა მთავარ საკითხებზე და რა თანამიმდევრობით გავამახვილოთ ყურადღება ზმნის ამ თავისებურებათა ახსნის პროცესში.

მასწავლებელს შეუძლია უფრო მარტივადაც მიაწოდოს თეორიული განმარტებანი, ნებისმიერად შეარჩიოს და გადაანაწილოს ზეპირი და წერილი სავარჯიშოები, რაც თანამიმდევრულად გაგრძელება და შეივსება შემდეგ მეთყველების კულტურაზე მუშაობისათვის განკუთვნილ გაკვეთილებზე.

საილუსტრაციოდ თუ სავარჯიშოდ რეკომენდებული მასალებიც შეიძლება შეეცვალოს, გავამრავალფეროვნოთ ან შევამციროთ შეხედულებისა

და შესაძლებლობათა მისეღვით. გეგმანომიერად გადაკანაწილოთ და გზა-
დაგზა შემოქმედებითად გამოვიყენოთ მეტყველების განმავითარებელი სა-
ვარჯიშობის ჩატარების პროცესში. ეს პროგრამული მოთხოვნაცაა. პირისა
და რიცხვის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს მოჰყვება: „მეტყვე-
ლების კულტურა. ზმნის პირისა და რიცხვის ფორმათა სწორად ხმარება.
პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნათა სწორად ხმარება. სუბიექტური და
ობიექტური პირების ფორმებთან დაკავშირებული მართლწერა“. (გვ. 28).
ყველა ეს საკითხი ზმნის შესწავლილ თავისებურებებზე ყურადღების გამახ-
ვილებასაც გულისხმობს. აქ მთავარია, საილუსტრაციო და სავარჯიშო
მასალები გონივრულად შეირჩეს თავისთავად მიუწინაღობოთ თავისებურებებ-
ზეც, სხვადასხვა ფორმათა კვლავ სწორად გამოყენებაზე.

თუ წინასწარ კარგად გავითვალისწინებთ ყოველივეს თვით ზმნისწინის
სწავლების დროსაც კი შეიძლება მოვავლოთ შევასწავლოთ (თავადაც მოიგო-
ნონ) ეს თავისებურებანი. მაგალითად, იმ დროს ძირითადი მიზანია, ვაჩვენ-
ოთ, რომ ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას: ჩამო-ზევიდან ქვევით, აქეთ.
ამ შემთხვევაში სასურველია მივსცეთ ისეთი მაგალითები, რომლებიც თავის-
თავად მოავლინებენ რიცხვში მონაცვლეობასაც: ზევიდან ქვევით (აქეთ) ვაშ-
ლი ჩამოვარდა, ვაშლები ჩამოცვიდა. ქარმა ვაშლი ჩამოვარდა. ვაშლები
ჩამოვარდა. მასპინძელმა სტუმარი დასვა, სტუმრები დასხა და ა. შ. მართალია
აქ მთავარ ყურადღებას გავამახვილებთ ზმნისწინის დანიშნულება - ფუნქცი-
აზე, არაფერიც რომ არ ვთქვათ რიცხვში შენაცვლებაზე. სწორად გამოყენე-
ბის ჩვევის დასაუფლებლად მაინც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.
ამგვარ შესაძლებლობათა უფრო ფართოდ გამოყენება კი შეგვიძლია მეტყ-
ველების კულტურის განვითარებაზე ვარჯიშობის დროს.

ბ) თუ ზმნის პირისა და რიცხვის სწავლებისათვის პროგრამით გამოყო-
ფილ 18 საათს ისე გადავანაწილებთ, რომ პრაქტიკული მეტყველების
კულტურის ამალლებისათვის სამუშაოდ გამოვეყოფთ საათებს, მაშინ უმჯო-
ბესია ერთი ცალკე გაკვეთილი ძირითადად დაეუთმოთ სუბიექტური პირის
რიცხვში მონაცვლეობასაც. მომდევნო გაკვეთილზე კვ ვარჯიშობის პრო-
ცესში შედარებით მეტად გამახვილდება ყურადღება პირდაპირ ობიექტური
პირის რიცხვში მონაცვლეობაზე შესაბამისი სავარჯიშობებით.

აქაც გაკვეთილის შესავალი ნაწილი დაეთმობა წინა მასალის გამოკითხ-
ვასა და გამეორება-ვარჯიშობას, შემდეგ აქვე მივაწვდით საილუსტრაციო
მაგალითებს და მისი ანალიზის საფუძველზე მიეცემა განმარტებაც, რომ

რიცხვში ენაცვლებიან ერთმანეთს პირდაპირი ობიექტებიც.

მონადირემ ქვა გადააგლო;

მონადირემ ქვები გადაყარა.

მასწ., რამდენპირიანია ზმნა და როგორია ორსავე წინადადებაში?

მოსწ., I წინადადების ზმნა ორპირიანია, გარდამავალი -

გადააგლო მან ^s ⁰ ის.

II წინადადების ზმნაც ორპირიანია, გარდამავალი -

გადაყარა მან ^s ⁰ ისინი.

მასწ., რა განსხვავებაა ამ წინადადებებს შორის?

მოსწ., ზმნები შინაარსით ერთნაირია-სინონიმურია, პირდაპირი ობიექტის ფარდი სახელებია I წინადადებაში მხოლოდით რიცხვშია,

ხოლო II წინადადებაში მრავლობით რიცხვშია და სხვა ფორმით.

მასწ., როგორია ეს ზმნები და რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ?

მოსწ., ეს ზმნები რიცხვში მონაცვლეა პირდაპირ ობიექტური პირების მიხედვით.

მასწ., გდება|ყრა - წყვილი მიუღწეოთ პირთა მიხედვით.

მე	ვაგდებ	ქვას	მე	ყვრი	ქვებს
შენ	აგდებ	ქვას	შენ	ყრი	ქვებს
ის	აგდებს	ქვას	ის	ყრის	ქვებს
ჩვენ	ვაგდებთ	ქვას	ჩვენ	ყვრით	ქვებს
თქვენ	აგდებთ	ქვას	თქვენ	ყრით	ქვებს
ისინი	აგდებენ	ქვას	ისინი	ყრიან	ქვებს

„მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, მომიწონა და უფროსებთან დამსვა სკამზე“ (აკაკი).

„ბავშვმა ბარტყები ისევ ჩასხა ბუდეში“ (ი. გოგებ.).

მასწ., გამოყავით ჩვენთვის საინტერესო ზმნები და დაახასიათეთ ისინი.

მოსწ., რიცხვში მონაცვლე ზმნის წყვილებია. დამსვა - ჩასხა.

დამსვა - იხმარება მაშინ, როცა ზმნას ახლავს მხოლოდით რიცხვში მდგარი პირდაპირი ობიექტი, ხოლო ჩასხა მაშინ,

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობით რიცხვშია.

დამსვა - მან მე; ჩასხა - მან ბავშვები (ისინი).

მასწ., გვაქვს კიდევ რიცხვში მონაცვლე ასეთი წყვილები:

სმა-სზმა; ცმა-სზმა.

„მონადირე ჩამოსევს ხალიჩაზედა ღვინოს აწვდიან თანაცა“
(ვაჟა).

„კარებთან ქალნი ჩამოსხა“ (შ. ღაღ.).

„მეთევზემ დიდი თევზი დაიჭირა და თოკზე ააცვა“ (ვაჟა).

„შალვა თევზს ბლომად იჭერდა, აასხამდა ჩირივით ზის ტოტზე
და მხიარულად გამოექანებოდა შინისკენ“ (ვაჟა).

ვნახოთ მაგალითები და დაახასიათეთ თითო-თითოდ წინა-
დადეგები.

I მოსწ., რიცხვში მონაცვლეა ზმნა, პირდაპირი ობიექტური პირის
მიხედვით, ჩამოსევს. ობიექტი მხოლობითშია - მათ ჩამოსევს
მონადირე.

II მოსწ., რიცხვში მონაცვლეა ზმნა, პირდაპირი ობიექტური პირის მი-
ხედვით, ჩამოსხა. ობიექტი მრავლობითშია. მან ჩამოსხა ქალნი

III მოსწ., რიცხვში მონაცვლეა პირდაპირი ობიექტური პირის მიხედ-
ვით ზმნა - ააცვა. ობიექტი მხოლობითშია - მან დაიჭირა
თევზი, ააცვა.

IV მოსწ., რიცხვში მონაცვლეა პირდაპირი ობიექტური პირის მიხედვით
ზმნა - აასხამდა.

ობიექტი მხოლობითშია. ახლავს სიტყვა მრავლის აღმნიშვნე-
ლი ბლომად, რომელიც ანიჭებს კრებითობის გაგებას. შალვა
აასხამდა ბლომად თევზს.

ამ მასალის შეთვისების შედეგებისა და ცოდნის განმტ-
კიცების მიზნით კლასის წინაშე უკამთ საკონტროლო კითხ-
ვებს:

მასწ., რას გავეცანით ჩვენ ღღეს?

მოსწ., ღღეს ჩვენ გავეცანით რიცხვში მონაცვლე ზმნებს.

მასწ., როგორ ზმნებს ეწოდება რიცხვში მონაცვლე?

მოსწ., ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ზმნებს, რომელთაგან ერთი
მხოლობითი რიცხვის გამოსახატავადაა გამოყენებული, ხოლო
მეორე - მრავლობითისათვის, რიცხვში მონაცვლე ზმნები ჰქვია.

მასწ., რომელი პირების მიხედვით ხდება რიცხვში მონაცვლეობა?

მოსწ., მონაცვლეობა ხდება ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირე-

ბის მიხედვით.

მასწ., რა შემთხვევაში აქვს ადგილი სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლეობას?

მოსწ., სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლეობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ზმნა ერთპირიანია ან ირიბობიექტიანია ორპირიანი გარდაუვალი.

მასწ., რა შემთხვევაში აქვს ადგილი ზმნების პირდაპირობიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლეობას?

მოსწ., პირდაპირობიექტური პირების მიხედვით მონაცვლეობა ხდება როცა ზმნა ორპირიანი გარდამავალია და შეიცავს პირდაპირ ობიექტს.

მასწ., როგორია ამ ზმნათა მნიშვნელობა?

მოსწ., ამ ზმნებს აქვთ სინონიმური მნიშვნელობა.

მასწ., ჩამოთვალეთ სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნები.

მოსწ., ზის-სხედან; ვარდება-ცვივიან; თავს დაეცა-თავს დაესხნენ და სხვ.

მასწ., დაეასახელოთ პირდაპირობიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნები.

მოსწ., პირდაპირობიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნებია:

გადააგდო-გადაყარა; დასეა-დასხა; მოიბა-მოისხა; დაკლა-დახოცა და სხვ.

მასწ., თუ კრებითი ან ნივთიერებათა სახელი ახლავს მონაცვლე ზმნებს მაშინ როგორ ენაცვლებიან ზმნები და რა ფორმით?

მოსწ., თუ მონაცვლე ზმნებთან წარმოდგენილია ნივთიერებითი ან კრებითი სახელები, მონაცვლე ზმნებიდან მათთან ვიყენებთ მრავლობითი რიცხვის შინაარსის მქონე ზმნას მხოლოდითის ფორმით.

მასწ., დაასახელოთ მაგალითი.

მოსწ., ხალხი დაესხა თავს თბილისს. ხალხი კრებითი სახელია, მას შეეწყობა შინაარსით მრავლობითის აღმნიშვნელი ზმნა, ოღონდ მხოლოდითი რიცხვის ფორმით.

ამგვარად, შევისწავლეთ „რიცხვში მონაცვლე ზმნები“ და გავეცანით, რომ გარდა სუბიექტური პირისა არსებობს პირდაპირობიექტური პირის

მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნები. გავიგეთ, რომ ეს ზმნები ერთნაირი მნიშვნელობისაა, რომელთაგან ერთი მხოლოდითში იხმარება, მეორე-მრავლობითში. ასეთია რიცხვში მონაცვლე ზმნები.

ამ მაგალითებში შენაცვლება ზღება სუბიექტური პირის მიხედვით.

მებალე ზის; მოსწავლეები სხედან; ხელოსანი იჯდა; ხელოსნები ისხდნენ; ლუკმა გაეარდა ჯამში ჩაეარდა; ლუკმები ჯამში ჩაცვიდნენ. პირდაპირობიექტური პირების მიხედვით შენაცვლება შემდეგ მაგალითებში:

ნინომ ჩანთა გადააგდო; ნინომ ჩანთები გადაყარა; მან დედოფალი ეტლში ჩასვა; რაინდმა მანდილოსნები ეტლში ჩასხა და სხვ.

თუ მონაცვლე ზმნების სუბიექტურ ან პირდაპირობიექტურ პირად შეწყობილია კრებითი ან ნივთიერებითი სახელი, მაშინ მასთან იხმარება მრავლობითის აღმნიშვნელი ზმნა მხოლოდითის ფორმით. მაგალითად: ნაცარი ყრია; მტკერი ცვივა; სტუდენტობა ისხდა და ა.შ.

სამინაო დავალება § 23. მეორე ნახევარი. პირდაპირობიექტურ პირთა მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნები.

წერით დავალებად მიეცემათ: ვაჟა ფშაველას შემოქმედებიდან ამოიწერონ წინადადებები რიცხვში მონაცვლე ზმნებით. გაარკვიონ ზმნები სუბიექტური პირების მიხედვით თუ პირდაპირობიექტური პირების მიხედვითაა მონაცვლე. აღნიშნონ, თითოეული ფორმა რომელ ზმნას ენაცვლება რიცხვში.

გ) თავისებური ზმნების სწავლებას უკავშირდება მთელი რიგი საკითხები პრაქტიკული სტილისტიკიდან. ამ ზმნათა სპეციფიკურობის გარკვევის გარეშე მოსწავლე ვერ მიხვდება, როდის უნდა იხმაროს ზმნები: არს, ხარ, თქვა და რა შემთხვევაში - გახლავს, ბრძანდება, ბრძანა. რომელ რიცხვში უნდა გამოიყენოს ზმნები: ვარდება, აგდია, ცვივა, ყრია, რომელ ზმნებთან ზღება სუბიექტური პირის რიცხვში შენაცვლება, რომელ ზმნებთან - ობიექტური პირისა. „გრამატიკის გაკვეთილზე მიღებული თეორიული ცოდნა საფუძვლად უდევს „პრაქტიკული სტილისტიკის“ ენათმეცნიერულად და პრაქტიკულად დაუფლებას რაკი სიტყვის ლექსიკური და სტილური მნიშვნელობა უშუალოდ არის დაკავშირებული სიტყვის გრამატიკულ ბუნებასთან“¹.

1. რ. გაბეჩაეა, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხთა სწავლება რეაწლიან სკოლაში, თბ., 1982. გვ. 125.

ამიტომაც აუცილებელია სავარჯიშოებში ფართოდ გაითვალისწინონ პრაქტიკული სტილისტიკის საკითხები. ამ მხრივ ბუნებრივია შეზღუდულია სახელმძღვანელოც და დამატებით სავარჯიშოებს აწვდის მასწავლებელი.

როგორც სწავლების პროცესზე დაკვირვებამ და მოსწავლეთა გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, თავისებურ ზმნათა სწავლება ერთნაირი სირთულით არ ხასიათდება. პირნაკლი და რიცხვნაკლი ასევე მწკრივში მონაცვლე ზმნების გაცნობას ნაკლები სიძნელე ახლავს. სწავლების სწორი ორგანიზაციის პირობებში მოსწავლეებს ჩვეულებრივ არ უჭირთ მათი თავისებურების გაცნობიერება რაც შეეხება მეტყველებაში მათ მართებულად გამოყენებას აქაც არ გვხვდება რაიმე დაბრკოლება. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნების შესახებ.

მოსწავლეთა ზეპირი და წერილობითი პასუხების ანალიზმა გვიჩვენა რომ ამ ეტაპზე მათ არა აქვთ ასეთი ზმნების მართებული ფორმებით ხმარების ჩვევა. მათ პასუხებში არცთუ იშვიათად გვხვდება: მოსწავლეები ზიან; ქვები ვარდებიან; მსხლელები აბია და მსგავსი ფორმები, რაც მეტყველების დაბალი დონის მაჩვენებელია. ხშირად მოსწავლეები სწორად ამბობენ გრამატიკულ წესს მაგრამ მის გამოყენებას მეტყველებაში ვერ ახერხებენ.

უკეთესი შედეგებია იმ სკოლებში, სადაც მასწავლებლები ამ მითითებით დამატებით მუშაობას ატარებენ (შემოდებული აქვთ საგანგებო ბლოკნოტები, სისტემატიურად მიმართავენ ასეთი ზმნების მორფოლოგიურ გარჩევას ატარებენ დამატებით სავარჯიშოებს). იგივე ითქმის პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნების შესახებაც. მოსწავლეთა ერთ ნაწილს ოჯახიდან და მხატვრული ლიტერატურიდან უკვე აქვს შეძენილი ასეთი ზმნების ხმარების ჩვევა მაგრამ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ისინი ვერ ახერხებენ ყოველდღიურ მეტყველებაში მათ გამოყენებას. ამის გამო მათი საუბარი მოკლებულია სათანადო გამომსახველობასა და ექსპრესიულობას. არადა როგორც მეთოდოლოგიური ლიტერატურაშია აღნიშნული, „მოსწავლემ პრაქტიკულად უნდა გაიგოს რომ ენის ძირითადი ფუნქცია საკონიმიუკაციო ფუნქციაა, მაგრამ მას აქვს ემოციურ-გამომსახველობითი ფუნქციაც. ამიტომ მთავარია არა მარტო ის თუ რას ვამბობთ, როგორ შინაარსს გადმოცემთ, არამედ ისიც, როგორ ვამბობთ. კარგი ზარი შეიძლება ძნელად დაეიდეს მსმენელამდე, თუ იგი სათანადოდ არ გაფორმდება სათანადოდ

სამუალებებით“.¹

როგორც ვთქვით, რიცხვში მონაცელები ზმნების სწავლების შემდეგ მიცემულია ორი სავარჯიშო.

სავარჯიშო № 2 მიზნად ისახავს მრავალწერტილის ადგილას სათანადო ზმნების ჩასმას. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მსგავსი დაეალებების შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა სტილის დასახეწად. ამიტომ ჩვენ დამატებითაც შევიმუშავეთ ამ ტიპის სავარჯიშოთა სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა სიტყვის ძიებას. ფსიქოლოგები მსგავსი ტიპის სავარჯიშოების შესრულებას დიდ ყურადღებას უთმობენ, „უნდა შეუქმნათ დამწერს ატმოსფერო იმ მომთხონელობისა, რომელსაც ეწოდება „ძიება სიტყვისა“. ამ სამუალებით მოსწავლეს უმუშავდება საკუთარი ტექსტისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მექანიზმი და უამრავი შესაძლებლობიდან ჩანაფიქრისა და სიტყვათა შერჩევის უნარ, ამასთანავე საკუთარი ორიგინალური სტილი“.²

მართლწერისა და მართლმეტყველების გაუმჯობესების ჩვევაში მოყვანის და ქართულად სწორად საუბრისა თუ წერისათვის აუცილებლად მიგვაჩნია მეტყველების კულტურის გაკვეთილის გამოყენება ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გავლის შემდგომ. უმეტეს წილად შეიძლება მთელი გაკვეთილი დატვირთული იყოს პრაქტიკული სავარჯიშო მასალით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მართებული საუბრის და წერის გამომუშავებას საჭიროების შემთხვევაში შევასწავებთ მხოლოდ ადრე მიწოდებულ თეორიულ განზოგადებებს უკვე შესწავლილ გრამატიკულ წესებს.

სავარჯიშო № 1. გადაწერეთ ტექსტი დაუკვირდით დაყოფით დაწერილ სიტყვებს და განმარტეთ, რომელ თავისებურ ზმნებს განეკუთვნებიან ისინი.

1. ბოლოს ჭილყავით გ ა დ მ ო ც ვ ი ე დ ნ ე ნ ხმალშემართული ოვები (კ. გამსახ.).

2. რაიცა შეეხება ომს ომში ზნაურები წ ა ა ს ხ ა მ ე ნ მონებს (კ. გამსახ.).

3. ხალხი წ ა მ ო ც ვ ი ე დ ა ზეზე და ქულები მოიგლოჯა თავიდან (ა. ყმბ.).

1. ნ. უსტიამვილი, აღზრდისა და სწავლების აქტუალური საკითხები

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, თბ., 1984, გვ.46.

2. Жинкин, Н. И. Психологические основы развития речи, „В защиту живого слова“, 1966, გვ. 14.

4. ვარსკვლავთა გუნდიც დ ა ე ს ხ ა მზეს თავზე დასამხობადა (ვაჟა).
5. [ქალები] გაბუტულები აქეთ-იქით გ ა მ ს ხ დ ა რ ი ყ ე ნ ე ნ (ი. ეკალ.)
6. ყმამ გ ა დ ა ყ ა რ ა ისრები მშვილდიც, ნაჭერი ხელადა (ვაჟა)
7. [მერცხალმა] დასლო ექესი პატარა თეთრი კვერცხი... და ზედ დ ა ა ჯ დ ა (ი. გოგებ.).
8. გამაფხულობით გ ა მ ო ვ ი ს ხ ა მ ხოლმე ნორჩ ყლორტებსა (6. ლომ.).

სავარჯიშო № 2. მოიფიქრეთ ისეთი ორ-ორი წინადადება, რომ ერთში იყოს მხოლოდ ერთ რიცხვში გამოყენებული რიცხვში მონაცვლე ზმნა, ხოლო მეორეში - მრავლობით რიცხვში. სულ ხუთი წყვილი რიცხვში მონაცვლე ზმნა.

სავარჯიშო № 3. სვეტში ჩამოწერილ ზმნებს მიუწერეთ შესაბამისი სინონიმური წყვილი.

- ვამლი ვარდება -
- ბავშვი ჯდება -
- ყუთები ყრია -
- მტერი დაესხა -
- ლეღვი აბია -
- მან შეილებიც თან წაასხა -

სავარჯიშო № 4. გადაიწერეთ მაგალითები და ხაზი გაუსვით თავისებურ ზმნებს. აღნიშნეთ, რა თავისებურებებს იჩენენ, რატომ არიან ისინი დეფექტურები და რა შემთხვევაში, როდის იხმარება თითოეული მათგანი.

1. მე ერთს კაცს ასაკლებად ჩამოვსხი ქისტები, განა ქვეყნის დასაღუპავად! (ვაჟა). 2. [მამამზეს] საკუთარი ნების სიმტკიცის უნარი ჰქონდა გინდა დილეგში ჩაეგლოთ, გინდ ძელზე გაეკრათ (კ. გამსახ.). 3. თურმე იმ გორაზე ლეკებიც მამლის ჯოგით მსხდარიყენენ (ვაჟა). 4. მწიფეს ესროდენ, მკვებე ცვიოდაო (ანდჷა). 5. [შაქრო] მალე ჩავარდა იმ ნეტარს ცხოვრებაში, რომელშიც ცვივდებოდნენ... შემძლებელთა თავადთა სიყრმის შვილები ბატონყმობის დროს (მელან). 6. გირშელი, გაბოი და პიპაც შემოისხეს ქალუნდაურებმა გარს (კ. გამსახ.). 7. მას დიდ ხანს როდი სწყალობდა [ბედი], ისევ ტანჯვამი ჩავარდა, როგორც აქამდე წვალობდა

(ვაჟა). 8. ტანი რად გვინდა მარტოკა, თუ არ გვახსია ხელები? (ვაჟა).

საეარჯიშო № 5. ამოიწერეთ პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ზუთ-ზუთი პირნაკლი, პირში მონაცვლე, რიცხვში მონაცვლე ზმნები და დაახასიათეთ ისინი.

დავალება № 6. შეადგინეთ თხზულება „მოგზაურობა უდაბნოში“ პირნაკლი ზმნების გამოყენებით.

დავალება № 7. დაუკვირდით თქვენს ოჯახში მყოფთა მეტყველებას, ჩაიწერეთ სიტყვები, რომლებიც, თქვენი ჭრით, არ არის სწორი სალიტერატურო ქართულის შესატყვისი და გაარკვიეთ, როდის იმარებიან პირნაკლი რიცხვნაკლი, პირში მონაცვლე, რიცხვში მონაცვლე ზმნები.

§ 23. მწკრივში მონაცვლე ზმნების სწავლება

აკად. აკ. შანიძის ქართული ენის სახელმძღვანელოს თანაავტორი ლეო კვაჭაძე თავის წიგნში „ქართული ენა“ (I ნაწილი) ეხება თავისებურ ზმნებს, მიუთითებს, რომ პირნაკლი, რიცხვნაკლი, პირში და რიცხვში მონაცვლე ზმნებთან ერთად ასევე თავისებურია მწკრივნაკლი ზმნებიც.

იგი წერს: „დანაკლის ფორმათა შესახებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ფუძის ზმნა. ასეთ შეესებას შენაცვლება ჰქვია, ხოლო თვით ზმნას მონაცვლე“.¹

„როგორც ცნობილია, ზოგიერთი ზმნა ერთი ან რამდენიმე მწკრივს აწარმოებს, დანარჩენები კი სხვა ფუძისაგან ნაწარმოები ფორმით აქვს შეესებული. ესენი მწკრივში მონაცვლე ზმნებია“.²

მწკრივში მონაცვლე ზმნების სწავლება პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნების შესწავლის შემდეგ, არ არის რთული, მათი სწორი ფორმით გამოყენების ჩვევას მოსწავლეები პრაქტიკულად არიან დაუფლებული, გარკვეული გამონაკლისების გარდა. მთავარია ბავშვები უკვე გარკვეულები არიან ამგვარი გრამატიკული მოვლენის (მონაცვლეობის) არსში. იციან, რა არის შენაცვლება. რომელია პირში მონაცვლე, რიცხვში მონაცვლე ზმნები. არ უჭირთ მწკრივში მონაცვლეობის გაგება-ათვისება.

1. ლეო კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბილისი, 1981, გვ. 298.

2. იქვე, გვ. 300.

ყოველივე ამის საფუძვლიანი შესწავლა ხელს უწყობს მშობლიური ენის თავისებურებათა კიდევ უფრო გაცნობიერებას და ლოგიკური შროვნების უნარის განვითარებას. ზეპირი და წერიითი მეტყველების პრაქტიკული ჩვევების დაუფლებას.

„გრამატიკაში ბავშვის ლოგიკური ცნებითი შროვნების განვითარების უდიდესი მუხტია დადებული ვინაიდან თვითონ გრამატიკა ადამიანის უდიდესი აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია განყენებითი მეცნიერებაა და ცხადია აბსტრაქციების უნარის განვითარების საუკეთესო საშუალებაა გონების საზრდოა“¹.

შ. კეკელია და აკ. დავითიანი სახელმძღვანელოში „ქართული ენა“ წერენ: „ნაკლულ ზმნებს, რომლებიც დანაკლის ფორმებს სხვა ფუძის ზმნებით ივსებენ, ფუძემონაცვლე ზმნებს უწოდებენ, ხოლო იმ ზმნებს, რომლებიც საერთოდ ვერ ივსებენ დანაკლის ფორმებს, დეფექტური ანუ საკუთრივ ნაკლული ზმნები ჰქვია“²

იქვე აღნიშნავენ, რომ ფუძემონაცვლეობა თითქმის ყველა კატეგორიაში ხდება, მაგრამ ეს მოვლენა მხოლოდ ცალკეული ზმნებისათვის არის დამახასიათებელი. მათ შორის მწკრივში მონაცვლე ზმნებისათვის.

მწკრივების შესწავლის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ზმნის თემას, ერთთემიან და ორთემიან ზმნებს, თემის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს. მხოლოდ ამის შემდეგ § 41 დათმობილი აქვს „მწკრივში მონაცვლე ზმნებს“.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი (ზ. ცინცაძე, ლ. ჭავჭავაძე, ნ. ნიორაძე და სხვ.) ამ საკითხს ყოფს ორ გაკვეთილად. პირველ გაკვეთილზე ინდუქციის გზით აწვდის ზმნებს: - 1) ვარ, ვიქნები, ვიყავი; 2) მაქვს, მექნება; 3) ზი, ჯად, (ჯექ). მომდევო გაკვეთილზე კი ხსნიან შემდეგ ზმნებს: 4) დი ვალ, ვედ, ვიდ. 5) ვმერები, ვიზამ, ვქენი. 6) მომაქვს, მოვიტან. 7) ვამბობ, ვიტყვი ვთქვი.

ზოგიერთები (მასწ.: ფ. მეტრეველი, თ. დეკანოზიშვილი, თ. ზამთარაძე, თ. რამიშვილი და სხვ.) ერთ გაკვეთილს უთმობენ მწკრივნიაკლ ზმნებს

1. ლ. წულაძე, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი ქართული ენის გაკვეთილზე, ქართული ენის ლიტერატურის სწავლების საკითხები, თბ., 1987, გვ. 77.
2. შ. კეკელია აკ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973, გვ. 214.

შემდეგ გაკვეთილებზეც ჩაურთავენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს და ამლე-
ვენ დამატებით განმარტებებს.

ამდენად, თითქმის ყველა მასწავლებელი საგანაგებოდ ამახვილებს ყუ-
რადლებას მწკრივნაკლ ზმნებზე. ცდება და დაკვირვებამ დაგვარწმუნა,
რომ მწკრივნაკლი ზმნების თავისებურებათა ზოგადად გაცნობისათვის იმ
შემთხვევაშია საკმარისი ერთი გაკვეთილი, როცა მომდევნო გაკვეთილებზეც
გზადაგზა მახვილდება ყურადღება და ღრმადება საკითხი პრაქტიკული
სავარჯიშოებით.

საექსპერიმენტო კლასში ამ სახით ჩატარდა გაკვეთილი:

ასე მაგალითად: გაკვეთილის თემა - მწკრივნაკლი ზმნები.

გაკვეთილის მიზანი - მოეაგონოთ მოსწავლეებს:

1) ერთი ზმნის ფორმა ზოგჯერ ენაცვლება მეორეს, როგორც ადრე
ენახეთ, ასეთი მონაცვლეობა ხდება პირსა და რიცხვში. მონაცვლეობა
გვხვდება აგრეთვე მწკრივების მიხედვითაც.

2) ზმნას შეიძლება აკლდეს რომელიმე მწკრივი ან სერია.

3) ნაკლული მწკრივების შესაესებად იყენებენ სხვა ძირისა და ფორმის
ზმნებსაც.

როგორც გაკვეთილის მიზანშია გათვალისწინებული გაკვეთილის შესა-
ვალ ნაწილში (გამოკითხვის პროცესში) განვლილი მასალიდან გავამეორე-
ბინებთ თავისებურ ზმნებს, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ
მონაცვლეობაზე, რომ ქართულ ენაში გვხვდება პირსა და რიცხვში მონაც-
ვლე ზმნები.

აღვნიშნავეთ, რომ თავისებურ ზმნათა რიგში შედის აგრეთვე მწკრივ
ნაკლი ზმნები.

მასწ., ავიღოთ ზმნა ვარ და ვაუღლოთ აწმყოსა და მყოფადის მწკრივ-
ში.

წერს დაფაზე

მოსწ., მე ვარ	ჩვენ ვართ	მე ვიქნები	ჩვენ ვიქნებით
შენ ხარ	თქვენ ხართ	შენ იქნები	თქვენ იქნებით
ის არის	ისინი არიან	ის იქნება	ისინი იქნებიან

მასწ., მიუღღეთ ეს ზმნა წყვეტილის მწკრივში.

მოსწ., მე ვიყავი	ჩვენ ვიყავით
შენ იყავი	თქვენ იყავით
ის იყო	ისინი იყვნენ.

მასწ., III სერიის I თურმეობითში როგორ იქნება წარმოდგენილი?

მოსწ., მე ვყოფილვარ ჩვენ ვყოფილვართ
შენ ყოფილხარ თქვენ ყოფილხართ
ის ყოფილა ისინი ყოფილან.

მასწ., აულლეთ ზმნა უწყვეტლის მწკრივში.

მოსწ., არა; არ ხერხდება.

მასწ., ამ ზმნას არა აქვს უწყვეტელი და აწმყოს კავშირებით. I სერიიდან აწარმოებს მხოლოდ აწმყოს მწკრივს. კიდევ რისი აღნიშვნა შეგიძლიათ, სხვა ზმნებთან შედარებით? მაგალითად: ვაშენებ, ვენერ ზმნებისაგან განსხვავდება ვარ ზმნა?

მოსწ., დაფაზე დაწერილი ზმნები შინაარსით ერთნი არიან, მაგრამ სხვადასხვაა ფორმით ზოგი მწკრივიც არ აქვთ.

მასწ., ზოგიერთ ზმნას აკლია რომელიმე მწკრივიც ან მთელი სერია და ნაკლები მწკრივების შესავსებად იყენებს სხვა ზმნას.

ასეთ ზმნებს მწკრივში მონაცვლე ზმნები ჰქვია.

ე.ი. ვარ ზმნას რა აკლია და რა ზმნები ენაცვლება?

მოსწ., ვარ ზმნას მხოლოდ აწმყოს მწკრივის ფორმები აქვს. (ვარ, ხარ, არის; ვართ, ხართ, არიან). მყოფადის წრეში ენაცვლება ვიქნები. (ვიქნები, ვიქნებოდე, ვიქნებოდე), მეორე და მესამე სერიის მწკრივები კი ყოფა ზმნისაგან აქვს შეესებული.

მასწ., დაწერეთ დაფაზე წინადადება: „გოსტამაბიშვილი თურმე გაცხარებულ ომში იყო“. მონახეთ ზმნა.

მოსწ., იყო - არის ზმნა.

მასწ., რატომაა თავისებური იყო ზმნა.

მოსწ., იგი მონაცვლე ზმნაა I - სერიაში მისი მონაცვლეა ვარ, აკლია ორი მწკრივი უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი. დანარჩენ მწკრივებს კი ივსებს ვიქნები და ყოფა ზმნით.

მასწ., „მაქვს საქონელი ურიცხვი ვერვისგან ანაწონები“.

გამოვყოთ ზმნა - ვაუღლოთ.

მოსწ., მე მაქვს. ჩვენ გვაქვს
შენ გაქვს თქვენ გაქვთ
მას აქვს. მათ აქვთ

მასწ., მაქვს - მოეპოვება აწმყოს წრისა და მესამე სერიის ფორმები.
წერს დაფაზე. მაქვს, მქონდა, მქონდეს; მქონია, მქონოდა,

მქონოლეს.

მოსწ., მეოფადის წრეში ენაცვლება მექნება, მექნებოდა, მექნებოდეს. ე.ი. მაქვს, მექნება. სინონიმური ზმნებია. შინაარსით ერთსა და იმავეს აღნიშნავენ. ზმნა მაქვს მწკრივენაკლია, ლეფექტური, თავისებური ზმნაა.

მასწ., „მტრედი არხის პირას ტირიფზე იჯდა“.

გადაიყვანეთ ზმნა აწმყოს მწკრივში და დაწერეთ მთელი წინადადება ახლანდელ დროში.

მოსწ., „მტრედი არხის პირას ტირიფზე ზის“.

მასწ., შეადარეთ ერთმანეთს ზმნები. ზის - შეჯდა.

მოსწ., ეს ზმნებიც მწკრივენაკლებია ერთმანეთს ენაცვლებიან. ზი ზმნას ენაცვლება სხედ ფუძე, როცა რიცხვნაკლია.

მასწ., ზი-ს მხოლოდ აწმყოს მწკრივის მხოლოდითი რიცხვის ფორმები აქვს. მე ვზივარ, შენ ზიხარ, ის ზის.

სხვაგან კი გამოყენებულია ჯედ (ჯექ) ფორმები.

რომელ მწკრივშია ამ წინადადებაში ზმნა?

„დარბაზში იჯდა თავადი, დინჯად ჩიბუხსა ქსუტავდა“.

მოსწ., ზმნა იჯდა - II სერიის წყვეტილის მწკრივშია.

მასწ., დაწერეთ წინადადება: „ციცა გორგალს ეცა წააჯდა ზევიდან“ (თ. რაჭიკ.).

მოსწ., ზმნა წააჯდა - II სერიის წყვეტილის მწკრივშია.

მასწ., შემდეგი წინადადება: „აქაო და ფული მაქვსო, პირველ ადგილზე წამომჯდარიყო!“ (ე. ბარნ.).

მოსწ., ზმნა - წამომჯდარიყო - III სერიის II თურმეობითის მწკრივშია.

მასწ., ე.ი. ჩვენ დავინახეთ, რომ ჯედ(ჯექ) ზმნა აწმყოს მწკრივის გარდა გვაქვს სამსავე სერიაში.

მასწ., ნაკლულია დი, ვალ, ველ, ვილ - ეს ძირები ზმნისწინის გარეშე არ იხმარება.

დაწერეთ წინადადება: „ცხერის სუნი უდიოდა ფხოველ მხე-ვალს“ (კ. გამსახ.).

მოსწ., ზმნა - უდიოდა.

მასწ., დი ძირისაგან იწარმოება აწმყოს წრის მწკრივთა ფორმები.

მოსწ., ვალ ფუძისაგან ნაწარმოებია მყოფადის ფორმები:

მე წამოვალ	ჩვენ წამოვალთ
შენ წამოხვალ	თქვენ წამოხვალთ
ის წამოვა	ისინი წამოვლენ

„ასი ათასი მტრელი შენკენ წამოვა ფრენით“ (ან. კალან.)

მოსწ., ზმნა წამოვა - I სერიის მყოფადის მწკრივშია.

მასწ., მყოფადის წრის სხვა მწკრივები ვიდ - ძირისგან იწარმოება.
ხოლმეობითი

მე მოვიდოდი	ჩვენ მოვიდოდით
შენ მოხვიდოდი	თქვენ მოხვიდოდით
ის მოვიდოდა	ისინი მოვიდოდნენ

აღნიშნეთ, რომელ მწკრივშია და დააწერეთ თავზე.

მოსწ., მოვიდოდი მყოფადის წრის ხოლმეობითის მწკრივია.

მასწ., ასევე იქნება მყოფადის კავშირებითში. მოვიდოდე, მოვიდოდეთ..
წყვეტილში I და II პირში ვედ გვხვდება, მესამეში - ვიდ.

მივედი, მიხვედი, მივიდა, III სერიის ფორმებში როგორ იქნება?

მოსწ., მოესულვარ, მოესულიყავ, მოესულიყო.

მასწ., მწკრივენაკლია ვშვრები, ვიზამ, ვქენი. ეს ზმნები თქვენთვის
ძალიან ნაცნობია.

I სერიაში აწმყოს მწკრივში რომელი ძირი გამოიყენება?

მოსწ., მე ვშვრები	ჩვენ ვშვრებით
შენ შვრები	თქვენ შვრებით
ის შვრება	ისინი შვრებიან

მასწ., მყოფადის წრეში რომელი ფორმა გვხვდება?

მოსწ., მე ვიზამ	მე ვიზამდი	მე ვიზამდე
შენ იზამ	შენ იზამდი	შენ იზამდე
ის იზამს	ის იზამდა	ის იზამდეს

მასწ., II და III სერიის ფორმები, როგორც იცით, გვექნება ექენი, ექნა,
მიქნია, მექნა, მექნას.

მასწ., ლაკწეროთ წინადადება „ქარიშხალს მიაქვს მწვანე ფოთლები“.

მოსწ., ზმნა მიაქვს - აწმყოს მწკრივშია.

მასწ., როგორ იქნება ეს წინადადება წარსულ დროში, წყვეტილის
ფორმაში.

მოსწ., „ქარიშხალმა მიიტანა მწვანე ფოთლები“.

მასწ., როგორი ზმნებია მიაქვს - მიიტანა?

მოსწ., ერთურთს ენაცვლებიან მწკრივებში. სინონიმურია, ბევრით
შემადგენლობით სხვადასხვა შინაარსით ერთნაირია.

მასწ., აწმყოს წრის მწკრივებშია - მომაქვს, მომქონდა, მომქონდეს,
მყოფადში, მეორესა და მესამე სერიის მწკრივებში - მოვიტან,
მოვიტანდი, მოვიტანდე; მოვიტანე, მოვიტანო, მომიტანია, მომე-
ტანა, მომეტანოს.

„ღამაქვს უდიდესი სევლა გულით“. გამოყავით ზმნა.

მოსწ., ღამაქვს - ზმნა I სერიაში, აწმყოს მწკრივშია.

მასწ., როგორ იქნება I თურმეობითში.

მოსწ., „მიტარებია უდიდესი სევლა გულით“.

მასწ., ვაბობ, ვიტყვი, ვთქვი - მწკრივში მონაცვლე ზმნებია.

მე ვაბობ

შენ აბობ

ის აბობს

რომელი მწკრივია?

მოსწ., აწმყოს მწკრივია;

მასწ., მყოფადის წრისაა - ვიტყვი ვიტყოდ ვიტყოდე.

მეორე და მესამე სერიის მწკრივთა ფორმებია - ვთქვი ვთქვა
მითქვამს მეთქვა მეთქვას.

ჩვენ შევისწავლეთ მწკრივში მონაცვლე ზმნები.

დავალება:

ა) შეადგინეთ ჩვენ მიერ გარჩეულ ზმნებზე წინადადებები.

ბ) დაწერეთ ამავე, შეადგინეთ მოთხრობა, სადაც გამოიყენებთ მწკრივ-
ში მონაცვლე ზმნებს.

მწკრივინაკლი ზმნების სწავლებას მოსდევს პრაქტიკული სამუშაო. ამ საბით გაკვეთილის წარმართვამ კარგი შედეგი გამოიღო. ექსპერიმენტულ ჯგუფში 48 მოსწავლიდან აქტიურად მონაწილეობდა 35 ბავშვი. სეარჯიშობის ჩატარების დროს ცოდნის შემოწმებამ, განმტკიცებამ, ხელი შეუწყო საკითხის სიღრმით დაუფლებას და საბოლოოდ მოსწავლეთა მართლწერისა და მართლმეტყველების განვითარება-განმტკიცებას.

სავარჯიშო № 1. დაუკვირდით და მოძებნეთ თავისებური ზმნები აღნიშნეთ, რომელ დეფექტურ ზმნებს განეკუთვნებიან ისინი.

1. არაგვის პირას აღუჩები ყვოლდენ და ტოროლებს ცაში აქონდათ განახლებული მიწის სიხარული (კ. გამსახ.).
2. ზევით-ზევით რომ აივლიდა ცოტად ამ ქოხიდან კაცო საძოვარს ბალახს მოეკიდებოდა (ვაჟა).
3. აქ კი ნუ ამოვა, ჩვენ ჩავალთ იმასთან (ა. ყაზბ.).
4. კოლო კამენს თავზე შის (ი. გოგებ.).
5. ამ კარებიდან ქარი შედის წისკვილი იმას დაუყენებიაო“ (ვაჟა).
6. დედას გლახები შინ შექყავდა პურს აჭმევდა, ლეინოსა და არაყს ასმევდა (თ. რაზიკ.).

სავარჯიშო № 2. მოუძებნეთ საპირისპირო წყვილი დაყოფით დაწერილ სიტყვებს.

1. მაღლი მხრებში შ ე გ ი ჯ დ ე ბ ა და გაგატარებსო (ილია).
2. [ძიძია] დ ა პ ყ ვ ა ნ დ ა თ ხატობაში და სატირალზე (ა. ყაზბ.).
3. თხას რომ წინ მგელი არ შეხვდეს დაღესტანში გ ა დ ა ვ ა ო (ანდია).
4. [ქონება] გ ა ა ქ ე ს ჩხიკე-ყვავ-ძერასო (აკაკი).
5. რაც უნდა მტერი მ ო ვ ი დ ე ს არვინ შეიმჩნევს ჭირადა (ვაჟა).
6. ცისკრის ა მ ო ს ვ ლ ა ერეკლეს წესით ჯარის აშლისა ნიშანი არი (ვაჟა).
7. [პელო] სულ თავის ხელით გ ა მ ო დ ი ს ძმასაც აცმევს (თ. რაზიკ.).

სავარჯიშო № 3. ამოიწერეთ მაგალითებიდან მწკრივნაკლი ზმნები მოათავსეთ სვეტში და მიუწერეთ შესაბამისი, საპირისპირო მონაცვლე ფორმა.

1. მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ, ლახტი მიპყრია ხელშია, მის ნაცვლად, მინდვრად დავდივარ, და დავტანტალობ ტყეშია (ვაჟა).
2. ის რომ თავის უმანკო სულს აბარებდა..., მე მაშინ ფეხთით ვიჯექი (ილია).
3. კამენს ვერ გაუვლი ახლო, კბენა იცისო (ა. ცაგარ.).
4. [მაჩვმა და მელიამ] ჩაუარეს ხნულის პირებს (თ. რაზიკ.).

5. რწყილი ვერ წამოვა და შენ რავა გამექცეოდი! (აკაკი).
6. ნამგლებს გაჰქონდეს პრიალი... და თანაც შევიწროებულს მწყრებს ამოჰქონდეს ფრთხიალი (ვაჟა).
7. [წიწმატას] გვერდით უზის ... ჳრელი კატა (ვაჟა).
8. მონღოლებს ქალებიც დაჰყავთ სანადიროდ (ე. ბარნ).

საეარჯიშო № 4 დაასახელეთ მწკრივში მონაცვლე ზმნები, აღნიშნეთ რომელი სერიის რომელ მწკრივშია.

1. [აბდუშაჰილი] გამოეთხოვა გადაუგლო საესე ქისა და გაიარა კარი (აკაკი).
2. ტყეებიდან ჩააქვთ ძიძის სოფელში წნელი ფიჩხი... (ნ. ლომ).
3. დედა... ტახტზე იჯდა ფეხმოყეცილი (აკაკი).
4. მე ერთი ფეხმარდი შიკრიკი მყავს. (ზღაპ.).
5. კათალიკოსი თავისი ამალით გადავიდა გულამყარში. ოთხივე ეპისკოპოსი თან ეახლა (კ. გამსახ.).
6. ავდექი გავიტანე სანთელი მეორე ოთახში (აკაკი).

საეარჯიშო № 5 გადაიწერეთ ტექსტი, ზაზი გაუსვით თავისებურ ზმნებს.

1. [ფალავანი] წამოდგა ზეზე და კალოს შემოუარა (აკაკი).
2. იქ ეგულებათ ორი სამარე... ათასში ერთხელ შავი ყორანი მხრებს ტყლაშუნით თავზე გადუვლის (ვაჟა)
3. მე თამროს შევხედე, იმას შერცხვა აღმური აუვიდა ლოყებზე (ილია).
4. და ამასაც თქვენ ცოდვად გვითვლით ჩვენ, რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად (ილია).
5. კიბეც სირბილით ჩავლო [ოქროპირმა] (რ. გვეტ.).
6. როცა არწივი თან მახლავს მზის მარჯვენა მხარზედა - მეფისა მადგა გვირგვინი ვზივარ სამეფო ტახტზედა (ვაჟა).
7. [სიმღერას] შრომაში შეაქვს სიხარულის ელფერი (ი. გოგებ.).
8. [ძმებს] ცხვარიც ბეერი ჰყავთ, ძროხები გაუღით ისევ ნახირად (ვაჟა).

სავარჯიშო № 6 ჩასვით გამოტოვებულ ადგილას შესაბამისი თავისებური ზმნა მართებული ფორმით.

1. მე ფრთები ... და ჰაერში დავფრინავდი (ვაჟა)
2. ძმებს ურიცხვი ... ცხვარ-ძროხა, ცხენ-აქლემების ჯოგები (ვაჟა) (ყოლა-ქონა).
3. ხალხია დამწკრივებულღ შავს ლულსა ... თსებით (ვაჟა). (სმა დალევა).
4. მოძღვარმა უკანასკნელად ... „ამინ“ (ა. ყაზბ.) (თქმა-მბობა.)
5. სანაგვეებზე დედაკაცებს ნაგავი (თ. რაზიკ) (ქონა-გატანა.)
6. ... და ცხოვრობდნენ ერთად ორნი ძმანი (ზღაპ.). (არის-იყო).
7. სააკაძის განდგომის ამბავი მალე ... შაკ-აბაზს (ვ. ბარნ.) (ვალ-ვედ).
8. ამ ძმობამ ჩვენი ბედნიერების კვირტი უნდა ... (ილია) (ქონა-გატანა).
9. მართლა სად იყო ამდენი ხე-ტყე, რაც ამ წყალს ... (აკაკი) (ქონა-გატანა).
10. შავი ყორანი მხარზედა ... მიყეფს საზარელ ხმაზედა (ბაჩ.). (ზოჯედ.)

საერთო დასკვნები

1. თავისებური ზმნების ანალიზი და ამ თავისებურებათა ახსნის ცდა ქართული ენის თითქმის ყველა ადრინდელ გრამატიკაშია მოცემული. ავტორები სწორად იმეორებენ წინამორბედ გრამატიკოსთა ნაშრომებს, თუმცა მეცნიერული თვალსაზრისით ყოველთვის არ არის გასაზიარებელი.

მსჯელობა ზმნების თავისებურებათა შესახებ იწყება პირველი სრულყოფილი ქართული გრამატიკიდან, რომლის ავტორია ანტონ ბაგრატიონი. აქვეა მოცემული ტერმინები: კანონიანი, უკანონო (დრონაკლი) და პირნაკლი. ზმნათა ანალიზი იწყება არსებითი ვარ (მეშველი) ზმნით. საგულისხმოა, რომ ანტონი თავისებურებად მიიჩნევს S_1 , O_1 , S_2 , O_2 კომბინაციების შედეგად ფორმათა არარსებობას, რაც მეორდება მომდევნო გრამატიკოსთა ნაშრომებში.

გაიოზ რექტორი კარგად იცნობდა ანტონის გრამატიკის ორსავე რედაქციას. ის თავის „ქართულ ღრამატიკაში“ ზმნას ყოფს პიროვნად და პირნაკლად, კანონიერად და უკანონოდ. გაიოზი მიჰყვება ანტონისეულ ანალიზს და მეტი სიღრმე შეაქვს საკითხის გარკვევაში.

დავით ბატონიშვილი მისდევს ანტონის კვალს თავისებურ ზმნათა დახასიათებისას. იოანე ქართველიშვილი, იოანე ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსელიანი ეყრდნობიან გაიოზ რექტორის დებულებებს სხვადასხვა სახეცვლილებით.

არ. ქუთათელაძე, თ. ჟორდანი, ს. ხუნდაძე, ა. ბენაშვილი, მ. ჯანაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, მ. კელენჯერიძე თითქმის არაფერს ამატებენ ახალს ხსენებულ გრამატიკოსთა ნაშრომებს. ე.ი. ამოსავალია ანტონისა და გაიოზის შეხედულებები, რომელთაც უცვლელად ემყარებიან ან ოდნავ ცვლიან ზემოთ დასახელებული ავტორები. ილია სიხარულიძე, წინამორბედ გრამატიკოსთაგან გასხვავებით, სრულყოფილად ასახულებს თუ რატომ არიან ზმნები პირნაკლნი, რიცხვენაკლნი. მისი თვალსაზრისი წინგადადგმული ნაბიჯია.

შემოტანილია რამდენიმე ახალი ტერმინი: შემწეობითი (ა. ბენაშვილი), დეფექტური, მსხვრევალი (ი. ნიკოლაიშვილი), რიცხვნაკლი (ი. სიხარულიძე) და სხვ.

2. ჩვენს შრომაში გამოყოფილია თავისებურ ზმნათა მეორე ჯგუფი:

ფუძემონაცვლე ზმები.

ფუძემონაცვლე ზმებს მედიალურ ზმნებს ეწოდებათ. კერძოდ, საქმე გვაქვს საშუალი გვარის ზმნებთან, რომელთაც საკუთარი ფორმა აქვთ აწმყოს წრეში, ხოლო მყოფადის წრისა და სხვა სერიათა მწკრივებს განსხვავებული ფორმით ივსებენ, იცვლიან ფუძეს აწმყოსაგან მყოფადის წარმოებისას და ეს შეცვლილი ფუძე გადაჰყვება მეორე და მესამე სერიებში.

საშუალ-მოქმედებითი აწმყო-მყოფადში სწორედ ფუძით განსხვავდება ერთმანეთისგან, ძირი კი ერთი და იგივეა. ამ ზმნებში აწმყოსაგან მყოფადის წარმოების ერთნაირი წესი არ არსებობს. უმრავლესობა მყოფადში ღ პრეფიქსს დაირთავს, ღ პრეფიქსითვეა წარმოდგენილი ზმნები II სერიის ფორმებთანაც. ეს საერთო მოვლენა ჩანს სამაგიეროდ აწმყოსაგან მყოფადის წარმოებისას განსხვავებას გვაძლევს თემის ნიშანთა მონაცვლეობა. თემის ნიშანთა გაჩენა, თუ სხვაგვარი ცვლილებები კონკრეტულად, ცალკეულადაა გარჩეული. სწორედ, ამ მომენტის გამოა მიჩნეული ეს ზმნები თავისებურად. ამ თავისებურებათა ანალიზისათვის მიემართეთ ინდექსს.

ამრიგად, ინდექსი არის საშუალი გვარის ზმნის ფუძის ნაწილი, რომლის შედგენილებაში შემავალ ელემენტთა ცვლილებით აწმყოს მწკრივისაგან ვღებულობთ მყოფადის ფორმას.

ინდექსში შემავალი ელემენტებია: ზმნისწინი (იშვიათად), ი პრეფიქსი, ძირი, თემის ნიშანი.

ინდექსმა საშუალება მოგვცა დაკვირვებოლით, რა შეიცვალა აწმყოდან მყოფადის წარმოებისას. პირობითად, ინდექსი არის ძირითადი და არაძირითადი. ასეთი დაყოფა დამოკიდებულია მათს გავრცელებულობაზე. ძირითადად მივიჩნევთ ინდექსს რომლის შემადგენლობაში შედის 10 ან მეტი ერთეული. თუ ინდექსთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია, ინდექსი არა-ძირითადია. ნაშრომის შინაარსის გაგებისათვის გამოყენებულია პირობითი ნიშნები. განსაზღვრულია ინდექსში შემავალი თითოეული ელემენტის ფუნქცია.

1) უმთავრესია ელემენტი ღ. ღ პრეფიქსი უპირველეს ნიშნად უნდა დასახელდეს მედიალური ზმნების აწმყოდან მყოფადის წარმოებისას. კერძოდ, ქეგლ-ის მიხედვით მოპოვებულ მასალაზე (3149 ზმნა) დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ა) მყოფადში ღ პრეფიქსიანია 96,8 % ზმნებისა. წკაპუნობს-იწკაპუნებს; ბ) მხოლოდ ღ პრეფიქსით 1081 ზმნა აწარმოებს აწმყოდან მყოფადს.

მაგ.: გრიალებს-იგრიალებს ყიეყიეებს-იყიეყიეებს. გ) ღ პრეფიქსის გარეშეა 24 ზმნა.

2) ელემენტი - თემის ნიშანი. ღ პრეფიქსთან ერთად მნიშვნელობა აქვს თემის ნიშნებს. ღ თემისნიშნისებრი ყველაზე მეტია სხვა თემის ნიშნებთან შედარებით. ღ თემისნიშნისებრი 1524 ერთეული, რომელიც მყოფადში გადასვლისას იძლევა შეიღ განსხვავებულ ინდექსს. ყველა ინდექსი ღ პრეფიქსისაა.

აწმყოში უპირატესია ღ თემისნიშნისებრი მედიუმი, მყოფადში გადაყვანისას ის იცვლება ჩვეულებრივ ღ თემის ნიშნით. პირუკუ პროცესი ღ-ს ღ თემის ნიშანი ენაცვლებოდეს ასეთი შემთხვევა არ დასტურდება. საერთოდ, მყოფადში ყველა თემის ნიშანი თითქმის ყოველთვის იცვლება ღ-ით. და ღ თემის ნიშანი რომ ღ ან სხვა თემის ნიშნით იცვლებოდეს გამოირიცხულია.

ე.ი. აწმყოში უპირატესია ღ თემისნიშნისებრი მედიუმი (1524 ერთეული). მყოფადში კი ღ თემისნიშნისებრი (3134 ერთეული). ეს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამ ჯგუფის ზმნებისათვის.

სულ 49 ინდექსია, რომელშიც შედის 3149 მედიოაქტივის ზმნა. ღ თემისნიშნისებრში 7 ინდექსიდან ძირითადია 4 ინდექსი.

მაგ.: 1)

ღ - ობ = ობ

 16 ბჭობს-იბჭობს;

2)

ღ - ობ ებ

 1280 პირფერობს-იპირფერებს;

3)

ზმნწ + ობ - ობ ებ

 120 ლამქრობს-გაილაამქრებს|ილაამქრებს;

4)

ზმნწ + ობ - ობ ებ

 101 დაბორიალობს-იბორიალებს.

ღ თემისნიშნისებრი 1046 ერთეული - 5 ინდექსიდან ძირითადია - 4.

ავ თემისნიშნისებრი 205 ერთეული - 9 ინდექსიდან ძირითადია - 4.

ი დაბოლოებისებრი 254 ერთეული - 16 ინდექსიდან ძირითადია 9.

უთემისნიშნისებრი 82 ერთეული - 10 ინდექსიდან ძირითადია 3.

ინდექსის ელემენტია ძირი, რომელიც შეიძლება იყოს ზმნური (ზოგი მათგანი მომდინარეობს სახელისაგან), საწყისისეული, მიმდებარისეული.

ზმნური ძირის მქონეა ყველა ღ (1046) და ავ (205) თემისნიშნისებრი ზმნები აწმყოსა და მყოფადის მწერებებში. სულ 1251 ერთეული.

ღ თემისნიშნისებრი, ძირითადად, ზმნური ძირითაა წარმოდგენილი, გვაქვს მიმდებარისეული და საწყისისეული ფორმები (იხ. ცხრილი გვ. 40). ჩათვალეთ თუ არა ზმნისწინი ინდექსის ელემენტად, საბოლოოდ,

კიდევ სჭირდება დაკვირვება რადგანაც ფუძემონაცვლე ზმნებთან ზმნისწინი იშვიათად გამოიყენება და პირველი და მეორე უღლების ზმნებთან ზმნისწინის ფუნქციასთან შედარებით გარკვეული კანონზომიერება არ გააჩნია.

ზმნისწინის გამოყენება მესამე ტიპის უღლების ზმნებში გამონაკლის თავისებურებას გვიჩვენებს და არა სისტემას, ამდენად ის შეიძლება მივიჩნიოთ ახალ წარმონაქმნად.

3. ზმნის სწავლების პროცესში თავისებურ ზმნებზე მეტ-ნაკლებად თითქმის ყოველთვის მახვილდებოდა ყურადღება. ადრიდანვე სათანადო ასახვას პოულობდა ქართული ენის სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

მოქმედ პროგრამებში თავისებური ზმნები უკვე დანაწევრებულადაა შეტანილი ცალკეულ კატეგორიებთან. ზმნის პირისა და რიცხვის სწავლებისას რთული, პირნაკლი და რიცხვნაკლი, პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნები. მწკრივების სწავლების შემდეგ კი გათვალისწინებულია მწკრივში მონაცვლე ზმნები. ცალკეა შეტანილი აგრეთვე უასპექტო და უქცეო ზმნები.

ასევეა განაწილებული სასკოლო სახელმძღვანელოებში. ცალკე პარაგრაფებს დართული აქვს შესაბამისი სავარჯიშოები და დავალებები.

მეთოდოლოგიური ლიტერატურაში დასისტემებული სახით პირველად თავისებური ზმნების სწავლება განიხილა მარიამ თალაკვაძემ, „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგიაში“ (1959). ამ საკითხებს სპეციალური შრომები მიუძღვნეს ო. გაჩეჩილაძემ, ნ. მალაქელიძემ მ. მიქაძემ და სხვებმა. ჩვენ კი ვცადეთ, მონოგრაფიულად დაგვემუშავებინა ეს თემა.

სასწავლო პროცესზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ, საგანგებო ცდა - ექსპერიმენტებმა და ამა თუ იმ თავისებურებათა სწავლების თითოეული გაკვეთილის ანალიზმა ნათელი გახადა: თავისებური ზმნები, რომლებიც არ ემორჩილებიან საზოგადოდ შემუშავებულ ნორმებს, გარკვეულ სიძნელეებს ქმნიან სწავლების პროცესში. ამიტომ ისინი საყურადღებოა დიდაქტიკურადაც. ამგვარი მოვლენების გაცნობასა და პრაქტიკულად ათვისებას საფუძველი ეყრება V-VI კლასებში, ძირითადად შესწავლება VII კლასში. მათ საფუძვლიან ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სინტაქსის საკითხების გარკვევისათვისაც. ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად, სტილზე მუშაობისათვის, მართლწარმოთქმისა და მართლწე-

რის წესების საფუძვლიანად ასათვისებლად. ამან მოითხოვა დამატებითი პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც წარმოდგენილია ამ საკვალიფიკაციო ნაშრომში. კვლევით დადგენილი რეკომენდაციები ინერგება პრაქტიკაში.

ა) საშუალი გვარის თავისებურებათა სწავლებისათვის

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით VII კლასში ზმნის სწავლებისათვის გამოყოფილი 77 საათიდან 8 საათი ეთმობა გვარის გაცნობას.

გვარის კატეგორიის შესწავლისათვის განკუთვნილი ეს 8 საათი შემდეგ საკითხებზეა განაწილებული: „გვარის რაობა და ფორმები: მოქმედებითი ვნებითი და საშუალო გვარი და გარდამავლობა; გვარი და პირთა რაოდენობა; ვნებითი გვარის ტიპები; საშუალი გვარის ზმნები. მოქმედებითი გვარის ზმნათა გადაქცევა ვნებითად, ვნებითისა - მოქმედებითად. სხვადასხვა გვარის ზმნებთა უღლების თავისებურება.“¹

პროგრამაში მითითებული თემები VII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოში ხუთ პარაგრაფზეა განაწილებული.

§ 47 დასათაურებულია ასე: „საშუალი გვარის ზმნები“. ჩამოთვლილია შემდეგი თავისებურებანი: „საშუალი გვარის ზმნები, ... გარდაუვალია ერთპირიანი ან ორპირიანი. უსაქექტოა. დიდი უმეტესობა მხოლოდ უზმნისწინოდ იხმარება (დულს წუხს ქუხს...), ხოლო იმ ზმნებს, რომლებიც ზმნისწინს დაირთავენ, აწმყოს ფორმა მყოფადისად ვერ გადაექცევათ. მაგალითად, გორავს და მიგორავს ფრინავს და მოფრინავს ცურავს და მიცურავს - ყველა აწმყოს მწკრივის ფორმაა“.²

სახელმძღვანელოში განმარტებულია აგრეთვე საშუალო-ვნებითი და საშუალო-მოქმედებითი ზმნები. სწავლების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებასა და ახსნას საჭიროებს საშუალო-მოქმედებითი ზმნების შემდეგი თავისებურებანი:

ნაკლული მწკრივების შესავსებად იყენებენ იმავე ფუძის ისეთ ფორმებს რომელთაც პირდაპირი ობიექტი არ მოუპოვებათ, მაგრამ სხვა მხრივ

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1995, გვ. 30.
2. აკაკი შანიძე, ლეო კვაჭაძე, ქართული ენა, თბ., 1984, გვ. 68.

მოქმედებითი გვარის ზმნათა თვისებებს გვიჩვენებენ: სუბიექტი ბრუნეაცვა-
ლებადი ეწყობათ და მესამე სერიის ფორმები ინვერსიულად აქვთ წარ-
მოდგენილი.

საილუსტრაციო მაგალითების ანალიზის საფუძველზე საგანგებოდ უნ-
და გაეხვას ხაზი, რომ „ერთპირიანი ზმნის მონაცვლეს თავში ი აქვს
ორპირიანისას -- უ (მე-3 ობიექტურ პირში; პირველსა და მე-2 ობიექტურ
პირში ი). ცოცხლობს-იცოცხლებს, იცოცხლავ; კპატრონობს-უპატრონებს,
უპატრონავ. (მი-პატრონებს, მი-პატრონავ; გ-პატრონებს, გ-პატრონავ).

მონაცვლე ზმნათა თემის ნიშანია უმეტესად ე: ცხოვრობს-იცხოვრებს,
ნადირობს-ინადირებს“!

სახელმძღვანელოს ავტორები საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმებს
მოგვიანებითაც ეხებიან. (§ 60) ასეთი სახის ზმნები უღლებათა მესამე
ტიპშია გაერთიანებული. კვლავ აღნიშნულია, თუ როგორ ივსებენ ნაკულულ
მწკრივებს „მედლო-აქტივები“ და ხაზგასმულია, რომ ერთპირიანი ზმნებს ი
სათავისო ქცევის ნიშანი მოუღივთ, ორპირიანებს კი სასხვისო ქცევის უ,
მაგრამ ზმნებს რეალურად არ ახლავთ პირდაპირი ობიექტი და ქცევის
გაგებას ვერ იძლევიან. ნიმუშად აღებულია ორი ზმნა: ცვტოვრობ და
ვპატრონობ. საჭიროა, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ასეთ ზმნებს პირდაპირი
ობიექტი რეალურად არ ახლავს და ამ შემთხვევაში ი სათავისო ქცევის
გაგებას არ გვაძლევს.

გამოცდილებამ და ჩატარებულმა ექსპერიმენტმა საშუალება მოგვცა
დავასკვნათ: რომ მოწაფეთა მიერ ზმნის შესწავლისას ყველაზე ძნელად
აღსაქმელია გასაანალიზებელი და რთულად ასათვისებელი საშუალი გვარის
ზმნებია, მაგრამ საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნათა რაოდენობა სამ
ათასზე მეტია. ამიტომ სასურველია, სახელმძღვანელოში დაემატოს საშუ-
ალი გვარის ზმნების გაცნობის შემდეგ (III ტიპის უღლების განსაზღვრა-
დე) მცირე მოცულობის პარაგრაფი სათაურით: „საშუალ-მოქმედებითი
გვარის ზმნების უღლებისათვის“.

ზემოთ ითქვა: საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნების უმეტესობა უზმ-
ნისწინოდ იხმარება, ზოლო, თუ ზმნისწინს დაირთავენ აწმყოს მწკრივში,

1. აკაკი შანიძე, ლეო კვაჭაძე, დასახ., ნაშრ., გვ. 69.

ასეთი ფორმა მყოფადს ვერ აწარმოებს. (გორავს, მიგორავს - აწმყოს ფორმებია). იქვე უნდა შევახსენოთ და დაკონკრეტდეს, რომ ზმნისწინი მყოფადის მწკრივის წარმოების საშუალებაა მხოლოდ I და II უღლების ზმნათათვის (მოქმედებითი და ვნებითი გვარის), მაგრამ არის შემთხვევები, როცა აწმყოს მწკრივში მდგარი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნა მყოფადს სხვა ელემენტებთან ერთად სწორედ ზმნისწინით აწარმოებს:

- მაგ.: ზაფხულობს-გაიზაფხულებს;
 გვიანობს-დაიგვიანებს;
 ზრობს-მოიზრებს;
 ბუღობს-დაიბუღებს;
 დარობს-გამოიდარებს;
 ვაკობს-ამოივაკებს.

ძალაშია თემის ნიშანთა მონაცვლეობა.

სახელმძღვანელოში აღნიშნული იყო გაკვრით, რომ მონაცვლე ზმნათა თემის ნიშანია უმეტესად ებ: ცხოვრობს-იცხოვრებს; ნადირობს-ინადირებს.

ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი ზმნების უდიდესი უმრავლესობა, ფაქტიურად, აწმყოში აბ თემის ნიშნითაა წარმოგენილი 1524 ერთეული. მყოფადში ობ გვაძლევს ებ ნიშანს და ებ რჩება. საერთოდ ებ თემის ნიშნისა მყოფადში 3134 ერთეული.

ამრიგად, აწმყოში ობ თემის ნიშანი; მყოფადში ებ თემის ნიშანი შეიძლება ჩაითვალოს ამ ზმნათა ჯგუფის ერთ-ერთ თავისებურებად და ამოსაცნობ ელემენტად.

- | | | |
|-------|--------------------------|----------------------|
| მაგ.: | ობ→ებ | ებ = ებ |
| | ქეიფობს-იქეიფებს | დუღუნებს-იდუღუნებს |
| | ყოყლოჩინობს-იყოყლოჩინებს | სისინებს-ისინებს |
| | ცელქობს-იცელქებს | წმუტუნებს-იწმუტუნებს |

- | | |
|---------------------|--------------------|
| აე→ებ | ი დაბოლოებიანი→ებ |
| ბეუტავს-იბეუტებს | კენესის-იკენესებს; |
| ქშინავს-იქშინებს | ტირის-იტირებს; |
| ცქმუტავს-იცქმუტებს. | ხენეშის-იხენეშებს. |

ახალი პარაგრაფი ასეთი ფორმით წარმოგვიდგენია:

ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი ზმნების აწმყოდან მყოფადის მწკრივის წარმოებისას უპირატესად იყენებენ:

1) ღ პრეფიქსს (სათავისო ქცევის ნიშანი, ქცევას არ გამოხატავს და არ ჩანს რეალური ობიექტი მაგ.: წკაპუნობს-იწკაპუნებს; ფხაჭუნობს-იფხაჭუნებს; ფაცურობს-იფაცურებს.

2) თემის ნიშანთა მონაცვლეობა:

ა) აწმყოს მწკრივში ჭარბობს ობ თემის ნიშანი. მაგ.: პირფერობს, ლაპარაკობს, ლაშქრობს, ტრაბახობს.

ბ) აწმყოში ნებისმიერი დაბოლოებით საშუალ-მოქმედებითი ზმნები მყოფადში გადასვლისას თითქმის ყოველთვის გვაძლევს ებ თემის ნიშანს.

მაგ.: ბორძიკობს-იბორძიკებს; გიფობს-იგიფებს;
ელვარებს-იელვარებს; ბოდავს-იბოდებს;
ტირის-იტირებს; მხეფს-იმხეფებს.


3) ზმნისწინის როლი მყოფადის წარმოებისას ამ ტიპის საშუალი გვარის ზმნებთან ძალიან შეზღუდულია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ის (ზმნისწინი) ღ პრეფიქსთან და თემის ნიშანთა მონაცვლეობასთან ერთად ერთპირიან საშუალ-მოქმედებით ზმნებს აწარმოებს აწმყოდან მყოფადში. მაგ., მუხლისთაობს-წაიმუხლისთაეებს;

ჩემულობს-დაიჩემებს;
გვიანობს-დაიგვიანებს;
ბუდობს-დაიბუდებს.

საკითხის ნათელსაყოფად კარგ ეფექტს იძლევა როცა მიეწოდება მოსწავლეებს ასეთი სქემა:

აწმყოს მწკრივი

მყოფადის მწკრივი



სათანადო ეფექტს იძლევა აგრეთვე ასეთი პრაქტიკული სავარჯიშოები:

სავარჯიშო № 1. გადაიწერეთ მაგალითები. გაუსვით ქვეშ ერთი ზმნი აწმყოს მწკრივში მდგარ ერთპირიან საშუალ-მოქმედებით ზმნებს, ხოლო ორი ზმნი მყოფადის წრეში ან II სერიაში წარმოდგენილ მაგალითებს.

1. ბებერია ეგ ტიალი! როგორ ბუხბუხებს და რუხრუხებს (ვ.ფ.) 2. მას შემდეგ ქორს აღარ გაუჭაჭანებია ჩვენს ეზოში (ვ. ფ.) 3. რამდენიმე წუთი და ხშირ ნისლში გაიბუტა შუქმა და შენობის სურათები ბუნდოვნად გამოჩნდა (ა.ყ.) 4. მოხუცებული დედა სულ ისევ ავადმყოფობს და ისევ იკუთებს (დ.ქ.) 5. [კესო] მთელი ღლე დაგოგავდა ფერად ყვავილებსა და მწვანე მდელოებს შორის (ი.ჭ.) 6. მიფორთხავს [დაჭრილი] შაში და მისდევს თან ვანო (ე.ფ.) 7. დიდხანს იკოტრიალა ორგზის დაჭრილმა არსაკიმემ თავდაღმართში (კ.გ.) 8. ნუ ითვალთმაქცებ, ცხოვრების წინ, ნუ დეცემი! (გ. ტ.) 9. იმდენი იჯიუტოს მანამ მოეწყინება! (ე.ბ.) 10. ბაღლები გულში გოჭებივით ჭიჭინებდნენ. (ვ.ფ.)

სავარჯიშო № 2. ჩამოწერეთ ზმნები ერთ სვეტში, მარჯვნივ მიუწერეთ მყოფადის მწკრივში გადაყვანილი ფორმები. გამოყავით განმასხვავებელი ნიშნები, მიუთითეთ, რა ფორმით ხდება ახალი მწკრივის წარმოება.

ბურთაობს გორაობს კაპასობს მუშაობს მღერის ხენების ფეოქავს ყნოსავს შრიალებს კამკამებს მღელეარებს კამკამებს მოლაპლაპებს ზოზინებს ქმინავს.

სავარჯიშო № 3. წაიკითხეთ, გამოარკვიეთ და ამოწერეთ აწმყოს წრეში მღგარი ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი ზმნები.

1. დელაკაცები ვიშივიებდნენ (ე.ბ.) 2. ყბელად გადაქცეული მწყემსი გაუჩერებლივ რატრატებდა (ა.ყ.) 3. ცივი ქარი უსიამოვნოდ სისინებდა (დ.ქ.) 4. თავლის სანთლები ბუტუტავდნენ ნიშებში (კ.გ.) 5. დარი იყო და თბილად, ხანდახან კიდევ უინჟლავდა (ბაჩ.) 6. [ცხენი] ხან ფრთხეინავს და ხან ხეიხეინებს (ა.წ.) 7. ეერ მიხვდნენ, რომ გაბრო თავისთვის არის და აქაც და იქაც სულ სხვადასხვანი ავაზაკობენ იმის სახელითა (ი.ჭ.) 8. დალოცვილო! ზომ გახსოვს სიმდიდრით რომ ამაყობდით, არავისთან არ მალავდი შენს შეძლებას ტრაბახობდი! (ა.წ.) 9. წადი, ნუ ჩერჩეტობ, ერთი შენს დუქანს მიხედე! (ე.ნ.) 10. ყმაწვილია და ცელქობს ჯერ ამან ზრდილობისა არა იცის რა ყველას ეთამაშება (ა.წ.)

სავარჯიშო № 4. ჩახაზეთ რვეულში სქემა. მოცემული მაგალითების მიხედვით ჩაწერეთ ათი საშუალ-მოქმედებითი ზმნა.

აწმყოს მწკრივი	მყოფადის მწკრივი	წყვეტილი	თურმეობითი
სტუნაობ-ს	ი-ხტუნაე-ებ-ს	ი-ხტუნაე-ა	უ-ხტუნავი-ა
სეირნ-ობ-ს	ი-სეირნ-ებ-ს	ი-სეირნ-ა	უ-სეირნი-ა

ბ) საშუალო გვარის თავისებურებათა სწავლებისათვის
უმადლეს სასწავლებლებში

აკად. აკ შანიძეს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ მოცემული აქვს ქართულ ზმნათა დაჯგუფება უღლების მიხედვით. გამოყოფილია ოთხი ტიპი უღლებისა:

- I უღლება - მოქმედებითი გვარის ზმნებისა;
- II უღლება - დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებისა;
- III უღლება - საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებისა;
- IV უღლება - საშუალ-ვნებითი და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისა.

ცნობილია აწმყოსაგან მყოფადი იწარმოება ზმნისწინის დართვით, ფუძის მონაცვლეობითა და ძირის მონაცვლეობით. ამათგან ნორმალურ უღლებას გვაძლევს ზმნისწინის ხმარება რაც დამახასიათებელია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებისათვის, ე. ი. I და II ტიპის უღლების ფორმათათვის, საშუალო გვარის ზმნებში კი ჩვეულებრივია ფუძისა და ძირის მონაცვლეობა. ეს არასრულყოფილად, ძირითადად, პრაქტიკულად აქვთ შესწავლილი საშუალო სკოლაში. პირველ რიგში, გაეამოვრებიან და მოვაგონებთ ამ თავისებურებებს. მხოლოდ ამის შემდეგ მიუუთითებთ ხაზგასმით, რომ საშუალ-მოქმედებით ზმნებს „შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლების გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათაეოს ან სასხვისოს ფორმები“.¹

აქვე უფრო დეტალურად მახვილდება ყურადღება იმ თავისებურებებზე, რომ საშუალო გვარის ზმნებს საკუთარი ფორმა აქვთ მხოლოდ აწმყოს წრეში.

მყოფადისა და დანარჩენ სერიათა მწკრივების წარმოებისას იცვლიან ფუძეს, რომელიც გადაჰყვება მეორე და მესამე სერიის მწკრივებში. ასეთი წარმოება ძირითადია, მაგრამ არის შემთხვევები, ძალზე მცირე, როცა საშუალ-მოქმედებითი ზმნები აწმყოსაგან მყოფადის წარმოებისას უთანაბრდება I და II ტიპის უღლების ზმნებს.

1. აკაკი შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 489.

კერძოდ, ხდება ზმნისწინის გამოყენება სხვა ელემენტებთან ერთად.

მაგ.: ჩემულობს-დაიჩემებს; გვიანობს-დაიგვიანებს;

ბუღობს-დაიბუღებს; ცურავს-შეცურავს.

საგანგებოდ მახვილდება ყურადღება შემდეგ მოვლენებზე ერთპირიან საშუალ-მოქმედებით ზმნებში აწმყოსაგან მყოფადის წარმოების ერთნაირი წესი არ არსებობს. უმრავლესობა მყოფადში ე პრეფიქსს დაირთავს ამავე პრეფიქსითუვა წარმოდგენილი ეს ზმნები II სერიაში. ეს საერთო მოვლენაჲ მაგრამ აწმყოს მწკრივისაგან მყოფადის მწკრივის წარმოებისას განსხვავებას გვაძლევს ფუძე, კერძოდ, ადგილი აქვს თემის ნიშანთა მონაცვლეობას.

აწმყო-მყოფადის შედარებისას აწმყოში სხვადასხვა თემის ნიშანი გვაქვს. მათ შორის ხშირია ობ თემის ნიშანი, მყოფადში გადაყვანისას ისინი იცვლებიან ებ თემის ნიშნით.

როდესაც აწმყოსაგან მყოფადი ზმნისწინის დართვით იწარმოება ენებთსა და მოქმედებით გვარის ზმნებში (I და II ტიპის უღლება) თემის ნიშანთა მონაცვლეობა არ ხდება. ე.ი. ობ თემის ნიშანი დამახასიათებელი უნდა იყოს საშუალი გვარის ზმნებისათვის აწმყოს ფორმებში, ხოლო ენებითებში მხოლოდ ებ გვხვდება. მოქმედებითი გვარის ზმნებში კი ამ მხრივ შეზღუდვა არ იგრძნობა.

საშუალ-მოქმედებითი ზმნების აწმყოს ფუძე ნაირგვარია. ამიტომ ამ ნაირგვარობის სისტემაში მოყვანის და სრულყოფილად ათვისებისათვის კარგ შედეგს იძლევა ინდექსაცია. წლების განმავლობაში საკუთარმა გამოცდილებამ მოგვცა გზა სწავლებისათვის. ყველაზე ადვილად გასაგებად დაგვესახა ინდექსი.

ინდექსი არის საშუალი გვარის ზმნის ფუძის ნაწილი, რომელშიც შემავალ ელემენტთა საშუალებით აწმყოს მწკრივისაგან ვღებულობთ მყოფადის ფორმას.

ინდექსში შემავალი ელემენტებია: ზმნისწინი (იშვიათად), ი პრეფიქსი, ძირი, თემის ნიშანი.

ინდექსი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ აწმყოდან მყოფადის წარმოებისას რა შეიცვალა.


განვმარტავთ, რომ ინდექსში შედის შემდეგი პირობითი ნიშნები: თუ ზმნისწინი არის როგორც აწმყოში, ისე მყოფადში, ინდექსში იწერება მათ შორის ტოლობა = ; ზმნწ = ზმნწ, ხოლო თუ სხვა ზმნისწინი ჩნდება

მყოფაღში, მაშინ ზმნისწინებს შორის ჩაისძის (ი), ზმნე ზმნე, მონაცლე-ობის აღმნიშვნელი ასეეა თემის ნიშნებთანაც.


პირობით ნიშნად მიჩნეულია $\boxed{+ ი}$ თუ მას უსწრებს წინ ზმნისწინი, ხოლო თუ უზმნისწინია პრეფიქსი ი უპლიუსოდაა.

ზმნის ძირის პირობითი ნიშანია - ტირე.

მაგ.:



აწმყოსაგან მყოფაღის წარმოებისას შეიძლება რომელიმე ელემენტი დაიკარგოს. ინდექსში ეს აღნიშნულია გადასკეუთი ზახებით. (გამრავლების ნიშნით). ე.ი. ზმნისწინი აწმყოში იყო და მყოფაღში გადასვლისას დაიკარგა ჩამოშორდა.



უმთავრესია ი პრეფიქსი, რომელიც უპირველეს ნიშნად უნდა დასახელდეს საშუალ-მოქმედებითი ზმნების აწმყო-მყოფაღის წარმოებისას, კერძოდ, ქეგლ-ის მიხედვით მოპოვებულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს რომ ი პრეფიქსიანია 98 % ფუძემონაცლე ზმნებისა.

ი პრეფიქსთან ერთად მნიშვნელობა აქვს თემის ნიშნებს. როგორც ვთქვით, მედიალური ზმნებისათვის ყველაზე გაერცელებულია აწმყოს წრეში ბ თემისნიშნის ზმნები. ამიტომ სანიმუშოდ განვიხილოთ ეს ფორმები. 3200 მედიალური ზმნიდან ბ თემისნიშნისა 1524 ერთეულია რომელიც მყოფაღში გადასვლისას იძლევა 7 განსხვავებულ ინდექსს. ყველა ინდექსი ი პრეფიქსიანია. ბ თემისნიშნის რაოდენობრივად ყველაზე მეტია სხვა თემის ნიშნებთან შედარებით.


აუხსნით, რომ ინდექსი გვაქვს ძირითადი და არაძირითადი.

ძირითადია ინდექსი, რომელთა შემადგენლობაში შედის რიცხობრივად მეტი ზმნა, არანაკლებ 10 ერთეულია.

თუ ზმნათა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია - ინდექსები არაძირითადია. განვიხილავთ მხოლოდ ობ თემისნიშნანთა ძირითად ინდექსებს.

- მაგ.: 1) $\boxed{\text{ი} - \text{ობ} = \text{ობ}}$ 19 ერთეული ბჭობს-იბჭობს
- 2) $\boxed{\text{ი} - \text{ობ} \text{ ებ}}$ 1280 ერთეული პირფერობს-იპირფერებს
კაპასობს-იკაპასებს
- 3) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ობ} \text{ ებ}}$ 120 ერთეული წკაპუნობს-იწკაპუნებს.
ლაშქრობს-გაილაშქრებს*
ლაპარაკობს-დაილაპარაკებს
ბოდლობს-მოიბოდობს
- 4) $\boxed{\text{ზმნწ} + \text{ი} - \text{ობ} \text{ ებ}}$ 101 ერთეული დაბორილობს-იბორილობს
მიბორძიკობს-იბორძიკებს.
მოჯირითობს-იჯირითებს.

აწმყოში უპირატესია ობ თემისნიშნანი მედიუმო, მყოფადში კი ებ თემისნიშნანი (3134 მაგალითი). ეს ასახულია ინდექსებში.
ობ თემისნიშნანთა სქემა.



*ზმნისწინი შეიძლება ახლდეს ზმნას, შეიძლება არა. ეს ფორმები ქველ-ში ზმნისწინითაა წარმოდგენილი.

ებ თემისნიშნის, ასევე აე თემისნიშნისა და ი დაბოლოებიან ზმნებში გამოიყო ოთხი ძირითადი ინდექსი, უთემისნიშნო ფორმებში კი სამი ძირითადი ინდექსი. ეს ძირითადი ინდექსები და სქემები თითოეულ მათგანზეა განხილული, მაგრამ აქ არ მოგვეყვას საკითხის გამარტივების მიზნით.

ამგვარად, ერთპირიანი მედიუმისათვის აწმყოს წრიდან მყოფადის წრის საწარმოებლად უმთავრესი ელემენტია ი პრეფიქსი - და თემის ნიშნები. მათი ცვალებადობის შედეგად მივიღებთ 49 ინდექსს. სწავლებისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ ძირითადი ანუ ხშირად ხმარებადი ინდექსები. არაძირითადი ინდექსები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და სწავლების გაიოლების მიზნით მათი განხილვისაგან დასაწყისში თავი უნდა შეეკავოთ. შემდეგ კი აუცილებელია მათზეც ყურადღების გამახვილება. ამით სრული სურათი შეიქმნება მედიალური ზმნების აწმყოსაგან მყოფადის წარმოებისა. სრულყოფილად წარმოდგება, თუ როგორ აწარმოებს თითოეული ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი ზმნა აწმყოს მწკრივისაგან მყოფადის მწკრივს.

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ, КЛАССИФИКАЦИИ, КОНСТРУКЦИИ И ПРЕПОДАВАНИЯ ГРУЗИНСКИХ НЕДОСТАТОЧНЫХ ГЛАГОЛОВ

Резюме

В работе проанализированы глаголы грузинского языка, которые известны в специальной литературе как дефектные или недостаточные. Многогранность этих глаголов, их своеобразие давно привлекали внимание исследователей. С самого же начала был отмечен недостаточный, дефектный характер указанных категорий, поэтому их по-разному называли и по-разному толковали.

Для исчерпывающего изучения этих своеобразных глаголов мы сочли необходимым выяснить, как были представлены глаголы этого типа в ранних грамматиках грузинского языка.

Число авторов грузинских грамматик превышает два десятка.

Первая полная грамматика грузинского языка принадлежит Антону Багратиони. Он делит глаголы на две группы - закономерные и незаконмерные; количество последних невелико, здесь подразумеваются глагольные формы супплетивного образования, а именно, глаголы с неправильным образованием форм лица и времени.

Антон I считает, что незаконмерными являются глаголы, которые "встают на пути закона". Заслуга Антона I очень велика, так как он выделил и проанализировал глаголы, выявляющие отклонение от закономерных образований. Но следует отметить, что его положения не всегда точны с научной точки зрения. Ценно то, что автор заложил основы изучения своеобразных (дефектных) глаголов.

Гайоз Ректор в своей "Грузинской грамматике" производит характеристику недостаточных глаголов, следуя принципам Антона I. Но он более детально рассуждает о данных глаголах и количество их в его работе гораздо больше. В отличие от предыдущего автора, Гайоз Ректор выделяет четыре группы дефектных глаголов: 1) naklulevani; 2) naklobiti; 3) ixueibitni; 4) с недостаточными формами

Антон I лишь перечисляет эти своеобразные глаголы и разъясняет, почему они называются незакономерными, тогда как Гайоз Ректор производит классификацию указанных глаголов, добавляя свои примеры.

Давид Багратиони при характеристике недостаточных глаголов идет по следам Антона I, тогда как Иоанн Картвелишвили, Иоанн Багратиони, Соломон Додашвили, Платон Иоселиани опирается на взгляды Гайоза Ректора, привнося сюда некоторые своеобразия.

А.Кутателадзе, Т.Жордания, С.Хундадзе, А.Бенашвили, М.Джанашвили, Т.Николаишвили, М.Келенджеридзе не добавляют ничего нового к обсуждаемой проблеме. Иными словами, взгляды Антона I и Гайоза Ректора являются базисными; впоследствии на них опирались создатели грузинских грамматик, внося лишь незначительные изменения в приведенные выше рассуждения. В отличие от других авторов грузинских грамматик, Илья Сихарулидзе дает исчерпывающее объяснение и аргументирует отсутствие в дефектных глаголах форм лица или числа и т.п.

Не лишена определенного интереса и терминология, употребляемая в дефектных глаголах. Например, З.Шаншовани использует термин *saarso* (вспомогательный глагол); Антона I также обозначает вспомогательный глагол "var" (я есть) термином *arsebiti*. В обоих случаях авторы, по всей видимости, опираются на армянскую грамматику.

Как следует из вышесказанного, в работе рассматриваются связанные с данной проблемой термины, их происхождение и взаимосвязь.

В работе приводится индексация модальных глаголов. По нашему мнению, существуют 2 группы этих глаголов:

1. С чередующимся корнем, изучение которых было начато уже в первых грамматиках.
2. С чередующейся основой.

Правильные глаголы обеих групп разработаны академиком Ак.Шанидзе. Что касается основочередующихся неправильных глаголов, то они рассмотрены в книге проф. З.Чумбуридзе "Будущее время в картвельских языках", где автор делает заслуживающие внимания выводы.

Известно, что формы будущего образуются от форм настоящего тремя способами:

1. При помощи преверба – çers - d açers (пишет - напишет).
2. Чередованием основы tamaşobs - itamaşobs (играет - поиграет).
3. Супплетивно – ambobs - i t q v is (говорит - скажет).

Из них возможность нормального спряжения дает первый способ – трисоединение преверба, что характерно для глаголов действительного и страдательного залогов 1 и 2 спряжения. А в глаголах среднего залога обычным является чередование основ или супплетивизация.

Как уже было сказано, основочередующиеся глаголы мы относим ко 2 группе разноспрягаемых глаголов. Такие глаголы называются модальными. В данном случае мы имеем дело с так называемыми глаголами среднего залога, которые имеют свою форму лишь в группе настоящего, а в группе будущего и других сериях они восполняют скривы отличающимися формами. Они меняют основу при образовании формы будущего или настоящего времени и эта основа переходит во вторую и третью серии.

Средний и действительный залогов в настоящем и будущем различаются именно по основе, но корень у них один и тот же. У этих глаголов нет единого правила образования будущего времени: большинство принимает в будущем времени префикс "i", с тем же префиксом "i" представлены данные глаголы во 2 серии. По видимому, это общее явление. Но зато при образовании будущего времени от формы настоящего различие сказывается в чередовании тематического аффикса. Появление тематического показателя или другие какие-либо изменения рассматриваются в диссертации каждый в отдельности, на конкретных примерах. Именно из-за приведенных выше обстоятельств считаются данные глаголы своеобразными. Для анализа указанных особенностей мы обратились к понятию индекса.

Индекс – это часть основы глаголов среднего залога, с изменением составляющих элементов которого мы получаем от скривы настоящего времени форму будущего времени.

То, что мы говорили при образовании форм будущего от настоящего, распространяется на имперфект и пермансив, на сослагательное настоящего и сослагательное будущего времени. Для пар: настоящее – будущее, имперфект - пермансив, сослагательное настоящего-сослагательное будущего различительные элементы одни и те же. А именно, когда мы образуем пермансив от имперфекта

или сослагательное будущего от формы сослагательного настоящего, разница та же, что и при образовании будущего от формы настоящего времени. Поэтому показатели скрив в индекс не включаются.

В индекс входят следующие элементы: преверб (редко), префикс "i", корень, тематический показатель. При сравнении форм настоящего и будущего в настоящем выявляются различные тематические показатели, среди них часто встречаются тематический -ob. В форме будущего времени этот суффикс заменяется суффиксом -eb. Обратный процесс, т.е. замена -eb настоящего на -ob будущего времени, не засвидетельствован.

Когда будущее образуется от формы настоящего присоединением преверба в глаголах действительного и страдательного залога, чередование тематических показателей не происходит.

Индекс дает возможность наблюдать изменения, происходящие при образовании будущего времени от формы настоящего.

Условно можно разграничить индекс основной и индекс неосновной. Такое деление зависит от количественного показателя; основным считается индекс, в состав которого входят 10 или более единиц. Но если количество элементов меньше 10, мы считаем этот индекс неосновным.

В работе использованы следующие условные знаки: тождество =; чередование - } ; корень – обозначен знаком тире (-); наличие "i" с превербом - + i и т.д., если преверб перечеркнут- \times , то значит он отсутствует в будущем времени.

В диссертации дано определение функций элементов.

Главнейшим является элемент - i, который приводится первым при образовании форм будущего от настоящего в медиальных глаголах.

Наблюдение над материалом Толкового словаря грузинского языка (3222 глагола) показало, что 1) всего с префиксом "i" образуют будущее 96,8% глаголов $\check{\text{c}}\text{karinobs} - i\check{\text{c}}\text{karinebs}$ (скрипит – будет скрипеть); 2) только с префиксом i образуют будущее от настоящего 1081 глаголов: $\text{grialebs} - i\text{grialebs}$ (гремит – будет греметь); 3) без аффикса i -24 глагола $\check{\text{c}}\text{q}i\text{vis} - \text{camocq}ivlebs$ (пищит - запищит).

Элементом индекса является и тематический показатель, который имеет большое значение

С тематическим -ob-1543 единицы, которые при образовании будущего дают 7 индексов; все эти индексы имеют префикс i. Количество глаголов с тематическим -ob больше, чем глаголов с другим тематическим показателем.

В глаголах с темой -ob — 4 основных индекса.

1) i - ob = - ob - 19 - ḃçobs - iḃçobs (спорит - поспорит);

2) i - ob } - eb - 1280 - ṗirçrobs - i ṗirçrebs (лицемерит — будет лицемерить);

3) Преверб + i - ob } eb - 120 lapara k̇ obs - dailaparakrebs // ila ṗ ara k̇ ebs

(говорит — поговорит, будет говорить);

4) Преверб + i - ob } eb - 101 - dabodialobs - ibodialebs (бродит — будет бродить).

С тематическим - eb - 1046 единиц, из 5 индексов основных — 4.

С тематическим - av - 205 единиц, из 11 индексов основных - 4.

С окончанием - i - 254 единиц, из 16 индексов основных - 7.

Без тематического показателя — 82 единиц, из 10 индексов основных - 3.

Элемент корень может быть глагольный, масдарный, причастный.

Например, с тематическим -ob — в основном глагольные; в настоящем времени — 1510, в будущем — 1518; причастные — в настоящем Ø, в будущем - 1; масдарные — в настоящем -14, в будущем — 5.

Таким образом, приведенная специфика представлена в виде системы и дает возможность детального изучения более чем 3000 глаголов грузинского языка. Работа представляет собой новый путь языковедческого исследования, который может стать основой дальнейшего изучения индексного образования основочередующихся глаголов.

ბამოყენებული ლიტერატურის სია

1. აბულაძე ი. - ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბლისი, 1973.
2. ბაბუნაშვილი ე. - ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970.
3. ბაგრატიონი ა. - ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885.
4. ბათიაშვილი ბ. - ქართული ენის გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოთა (1921-1961) აგების ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1963.
5. ბარამიძე ლ. - ზოგიერთი ტიპის მემუელ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, № 9, 1964.
6. ბატონიშვილი ი. - ხუმარსწავლა კალმასობა, წიგნი I, რედაქტორი აკად. აღ. ბარამიძე, თბილისი, 1990.
7. ბენაშვილი ა. - ქართული გრამატიკა, თბილისი, 1894.
8. გაბედავა გ. - მართლწერის სწავლების საკითხები მე-5-6 კლასებში, თბილისი, 1958.
9. გაბეჩავა რ. - ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხთა სწავლება რეაწლიან სკოლაში, თბილისი, 1982.
10. გაიოზ რექტორი - ქართული ღრამმატიკა ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბილისი, 1970.
11. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и Индоевропейцы, Т. № 1-2, Тб., 1984 г.
12. გაჩეჩილაძე ო - ზოგიერთ თავისებურ ზმნათა სწავლებისათვის მე-7 კლასში კრებული, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები, თსუ, 1987.
13. გეგუჩაძე ლ. - დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, თსუ შრომები, B₃ 13421, 1972.
14. გიგინეიშვილი ი. - ზმნის ფუძე, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბილისი, 1971, № 1.
15. გოგოლაშვილი გ. - ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი, 1988.

16. გოგოლაშვილი გ., კვანტალიანი ც., შენგელია დ. - ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი, 1989.
17. დავითიანი ა. - ზმნის გარდამაქცევისა და გვარის სწავლება, ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1969, №1.
18. დოდაშვილი ს. - ქართული ღრამმატიკა ტფილისი, 1830.
19. ერთელიშვილი ფ. - ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.
20. თალაკვაძე მ. - ზმნის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955.
21. თალაკვაძე მ. - ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდისკა, თბილისი, 1975.
22. თევზაძე ჭ. - რთული ზმნები ძველ ქართულში ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. 13, 1959.
23. თოფურია ვ. - მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, გაზ. სახალხო განათლება, 1951, № 2.
24. თოფურია ვ. - ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.
25. თოფურია ვ. - შრომები III, თბილისი, 1979.
26. იოსელიანი პ. - პირველ დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატისა-ძის იოსელიანის მიერ, აღბეჭდილი ქ. თფილისს, წიგნსა საბეჭდილსა შინა ი. და დ. არზანოვთა, 1940.
27. კალანდაძე ვ. - პასუხობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, თბილისი, 1981.
28. კარიჭაშვილი დ. - ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1929.
29. კეკელია შ., დავითიანი აკ. - ქართული ენა, თბილისი, 1973.
30. კელენჯერიძე მ. - ქართული პრაქტიკული გრამატიკა, თბილისი, 1925.
31. კვაჭაძე ლ. - ქართული ენა, I, თბილისი, 1981.
32. კვიციანიძე პ. - ქართული სწორმეტყველება საშინჯი სახელმძღვა-ნელო, პირველი წიგნი შედგენილი პ. კვიციანიძის მიერ, თბილისი, 1988.
33. კიკნაძე ლ. - I სერიის მწკრივთა წარმოება, თსუ შრომები, XXX-XXXI B ტ, თბილისი, 1947.

34. Климов Г. А., Типология языков активного строя, М. 1977 г.
35. მიქაძე მ. - ზმნის პირისა და რიცხვის სწავლების ზოგიერთი საკითხი სამუშაო სკოლაში, თბილისი, 1988.
36. მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის, მონთო ბანს, 1877, მონაზონთა ერთობისაგან.
37. ნიკოლაიშვილი ი. - ქართული მოკლე გრამატიკა, თბილისი, 1919.
38. ნიკოლაიშვილი ი. - ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1927.
39. ნოზაძე ლ. - მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, 1974.
40. ჟორდანია თ. - ქართული გრამატიკა ეტიმოლოგია და სინტაქსი. თხზული და გამოცემული თ. ჟორდანისაგან, ტფილისი, 1889.
41. Жинкин Н.И. - Психологические основы развития речи, „В защиту живого слова“, 1966.
40. რამიშვილი ვ. - ქართული ენა, გრამატიკა, მართლწერა III და IV კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1944.
42. სიხარულიძე ი. - ენის დაკვირვება, სამუშაო წიგნი მოწაფეთათვის განსახკომის მიერ ნებადართული სახელმძღვანელო შრომის სკოლის 5, 6, 7 ჯგუფის და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის, თბილისი, 1929.
44. სიხარულიძე ი. - ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, სახელმძღვანელო სამუშაო სკოლის V-VI-VII კლასებისათვის, თბილისი, 1936.
45. უსტიაშვილი ნ. - აღზრდისა და სწავლების აქტუალური საკითხები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, თბილისი, 1984.
46. ფერაძე ი., სიხარულიძე ი. - ენის დაკვირვება, ენის სწავლების I კონცერტრი (სამუშაო წიგნი), ტფილისი, 1927.
47. ფონზუა ბ. - ინვერსიული ლექსიკონი, თბილისი, 1967.
48. ფოცხიშვილი ალ. - ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1979.
49. ქავთარაძე ივ. - რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში, იკე, ტ. I, თბილისი, 1946.
50. ქავთარაძე ივ. - ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის

ძველ ქართულში თბილისი, 1954.

51. ქავთარაძე ივ. - ზოლმეობითის ფორმათა შესწავლის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. 96, 1963.
52. ქავთარაძე ივ. - ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII, I, თბილისი, 1964.
53. ქართული ენის პროგრამა პირველდაწყებითი სამოქალაქო სკოლებსა, თბილისი, 1912.
54. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა, საფაბრიკო-საქარხნო და კომ. ახალგაზრდობის სკოლებსათვის, პროექტი, თბილისი, 1932.
55. ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია, საშუალო სკოლის პროგრამები, თბილისი, 1933.
56. ქართული ენა, ლიტერატურა (V-VIII კლ.) არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პროგრამები, თბილისი, 1938-1946.
57. ქართული ენა და ლიტერატურა - ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამები (V-XI კლასები) 1951-1995.
58. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, თბილისი, 1950-1964.
59. ქუთათელაძე არ. - პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფილისი, 1888.
60. ქუთათელაძე არ. - ქართული ზმნების კლასიფიკაცია, ტფილისი, 1897.
61. ქუთათის ქართული გიმნაზიის პროგრამები: 1. მოსამზადებელი კლასების ყველა საგნის გიმნაზიის კლასების მხოლოდ ქართული ენის, ქუთათისი, 1911.
62. ყიფიანი დ. - ახალი ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1882.
63. შალამბერიძე გ. - ქართული მართლწერა, თბილისი, 1961.
64. შანიძე აკ. - სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბილისი, 1920.
65. შანიძე აკ. - მწკრივთა მოძღვრებისათვის, სამი მწკრივის თავისებურებანი ძველ ქართულში, საქ. მეც. აკად.

მოამბე, თბილისი, ტ. VI, № 10, 1945.

66. შანიძე აკ. - ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953.
67. შანიძე აკ., კვაჭაძე ლ. - ქართული ენა, VII კლასის სახელმძღვანელო, თბილისი 1992.
68. შანშოვანი ზ.- მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა ქმნილი ზურაბ შანშოვანისაგან 1837 წელსა, გამოცემული ა. ცაგარელისაგან, სანკტ-პეტერბურგო 1881.
69. ჩიქობავა არნ. - რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, ჟურნ., ახალი სკოლისკენ, თბილისი, 1929.
70. ჩიქობავა არნ. - ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948; II, თბილისი, 1961.
71. ჩიქობავა არნ. - იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965.
72. ჩიქობავა არნ. - მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968.
73. ჩუბინაშვილი ნ. - ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.
74. ცაგარელი ალ. - ქართული გრამატიკული ლიტერატურის შესახებ, სანკტ-პეტერბურგო 1873.
75. წულაძე ლ. - მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხები ქართული ენის გაკვეთილზე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები, თბილისი, 1987.
76. ჭავჭავაძე ილ.- თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1955.
77. ჭუმბურიძე ზ. - მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986.
78. ხუნდაძე ს. - ქართული ზმნები, ტფილისი, 1891.
79. ხუნდაძე ს. - ქართული გრამატიკა, თბილისი, 1917.
80. ჯორბენაძე ბ. - ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975.
81. ჯორბენაძე ბ. - ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი, 1983.

შესავალი 3

თავი პირველი

თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიიდან. 5
 § 1. თავისებური ზმნები აღრინდელ გრამატიკებში. 5
 § 2. თავისებურ ზმნებთან დაკავშირებული ტერმინებისათვის. 26

თავი მეორე

ინდექსაცია 27
 § 3. მედიალურ ზმნათა ინდექსაცია 27
 § 4. ინდექსაციის პირობითი ნიშნები 31
 § 5. ინდექსაციის შემადგენლობაში შემაჯალ ელემენტთა
 ფუნქციისათვის 32
 § 6. ელემენტი თემის ნიშანი 32
 § 7 ელემენტი ი პრეფიქსი 36
 § 8. ელემენტი ძირი 41
 § 9. ზმნისწინი 42
 § 10. მესველზმნიანი ფორმები მელიოაქტივებში 57
 § 11. ობ თემისნიშნიანი ინდექსები მაგალითებით 58
 § 12. ებ თემისნიშნიანი ინდექსები მაგალითებით 64
 § 13. ი დაბოლოებიანი ინდექსები მაგალითებით 68
 § 14. ავ თემისნიშნიანი ინდექსები მაგალითებით 72
 § 15. უთემისნიშნო ინდექსები მაგალითებით 74
 § 16. მედიუმთა ანალოგიური წარმოება ორპირიან ზმნებში. 76

თავი მესამე

ძირმონაცვლე თავისებური ზმნები 81
 § 17. თავისებური ზმნები მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში 81
 § 18. თავისებურ ზმნათა სწავლება 92
 § 19. რთული ზმნები 94
 § 20. პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები 98
 § 21. პირში მონაცვლე ზმნები 104

§ 22. რიცხვში მონაცვლე ზმნები	111
§ 23. მწკრივში მონაცვლე ზმნები	127
საერთო დასკვნები	137
დანართი	
ა) ფუძემონაცვლე ზმნათა თავისებურების სწავლება საშუალო სკოლაში	142
ბ) ფუძემონაცვლე ზმნათა თავისებურებების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში	147
Вопросы истории изучения, классификации, конструкции и преподавания грузинских недостаточных глаголов, Резюме.	152
გამოყენებული ლიტერატურის სია	157
სარჩევი	162

გამომცემლობის რედაქტორი ე. გამცემლიძე
ტექრედაქტორი ფ. ბუდალაშვილი
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად - 1.11.99, საბეჭდი
ქალაქი - 60x90 1/16, პირ. ნაბეჭდი
თაბახი - 10,25. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი - 8,23

შეკვეთა №487

ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 14

ფინანსთა სამინისტროს საგამომცემლო-პოლიგრაფიული
გაერთიანება „ფინანსები“